

საოჯახო დავები

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2024, №11

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2024, №11

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2024, №11

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2024, №11

გადაწყვეტილებების შერჩევისა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ქეთევან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საძიებელი

- 1. მეუღლეთა ქონებრივი უფლებები და მოვალეობები**
ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების
თანამესაკუთრედ ცნობა 4; 15
მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული
ქონების განკარგვა 31
მეუღლის ქონების გადაქცევა მეუღლეთა თანასაკუთრებად 46
- 2. მშობლის უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ**
არასრულწლოვანი შვილის საკუთრებაში არსებული
ქონების განკარგვა 60
შვილის საცხოვრებელი ადგილი
მშობლების განქორწინებისას 75
მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვა 97; 107
ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ 129
ალიმენტის ოდენობის გაზრდა 162
- 3. შვილად აყვანა**
შვილად აყვანის დადასტურება
აღმზრდელის გარდაცვალებისას 178

1. მეუღლეთა ქონებრივი უფლებები და მოვალეობები

ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონების თანამესაკუთრედ ცნობა

გადანუსვითილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-427-2020

23 თებერვალი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე
მ. ერემაძე

დავის საგანი: თანასაკუთრების გაყოფა, თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მ. გ-ძე (შემდეგში – მოსარჩელე ან მოწინააღმდეგე მხარე) და ზ. შ-ძე (შემდეგში – მოპასუხე ან კასატორი) 1989 წლის 22 აპრილიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან. მხარეებს, თანაცხოვრებისას, ოთხი შვილი შეეძინათ.

2. მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში, მოპასუხის საკუთრებაში აღირიცხა ექვსი ავტოსატრანსპორტო საშუალება, კერძოდ: 1). მოდელი – MERSEDES-BENZ E 200 CDI 2.2 SALOON, სახელმწიფო ნომერი – ...; 2). მოდელი – MERSEDES-BENZ 230 E კომბი (ხეთჩბეკი), სახელმწიფო ნომერი – ...; 3). მოდელი – KAMAZ 5511 ციციხვი თვითმცლელი, სახელმწიფო ნომერი – ...; 4). მოდელი – KAMAZ 5410 უნაგირა სანეგარი, სახელმწიფო ნომერი – ...; 5). მოდელი – ODAZ 9370 ლითონის ბორტიანი პლატფორმა, ნახევარმისაბმელი, სახელმწიფო ნომერი – ...; 6). მოდელი – GKB 8535-01 თვითმცლელი, მისაბმელი, სახელმწიფო ნომერი – ... (შემდეგში – სადავო მოძრავი ქონება).

3. ქ. ქუთაისში, ... №6-ში (ყოფილი ... ქ. №10) მდებარე №4 ბინა (ს/კ №...), ქ. ქუთაისში, ... №6-ში (ყოფილი ... ქ. №10) მდებარე №4 ბინა (ს/კ №...), ქ. ქუთაისში, ... №6-ში (ყოფილი ... ქ. №10) მდებარე №4 ბინა (ს/კ №...), ქ. ქუთაისში, ... მდებარე ნაკვეთი №3-7 (ს/კ №...), ქ. ქუთაისში, ... მდებარე ნაკვეთი №6 (ს/კ №...), ქ. ქუთაისში, ... მდებარე ნაკვეთი №3-10/2 (ს/კ №...) (შემდეგში – სადავო უძრავი ქონება) – შეძენილია მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში და 2017 წლის თებერვლიდან აღნიშ-

ნული ქონების $\frac{1}{2}$ -ის მესაკუთრედ მოსარჩელეა აღრიცხული.

4. სადავო უძრავი ქონების გაქირავებით მიღებული საიჯარო თანხის $\frac{1}{2}$ ნაწილი, ჯამურად, 32 125 ლარს შეადგენს, კერძოდ, ... ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების იჯარის ფასია 27 500 ლარი (25 X 1 100), რომლის ნახევარია – 13 750 ლარი, ხოლო ... ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების საიჯარო შემოსავალია 36 750 ლარი (25 X 1 470), რომლის ნახევარიც, 18 375 ლარს შეადგენს.

5. მოპასუხემ, მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეიძინა შპს „ზ.მ“. შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილი შპს „ზ.მ-ის“ საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციებით დადგენილია, რომ 2014 წლის 31 მარტიდან 2016 წლის მაისამდე, დივიდენდის სახით, მოპასუხემ 321 551 ლარი მიიღო, რომლის $\frac{1}{2}$ შეადგენს 160 775 ლარს.

6. მოსარჩელემ სასამართლოში სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ, რომლითაც მოითხოვა:

6.1. სადავო მოძრავი ქონების, როგორც, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების, 50%-ის მესაკუთრედ ცნობა;

6.2. სადავო უძრავი ქონებიდან, 2014 წლის დეკემბრიდან 2017 წლის თებერვლამდე მიღებული იჯარის თანხის $\frac{1}{2}$ ნაწილის, 32 125 ლარის, მოპასუხისათვის დაკისრება;

6.3. შპს „ზ.მ-ს“ წილიდან, 2014 წლიდან 2017 წლის თებერვლამდე მიღებული დივიდენდის ნახევრის, 160 775 ლარის, აგრეთვე, 2017 წლის თებერვლიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე შპს-ს წილიდან 5%-ის ანაზღაურება.

7. მოგვიანებით, იმავე სასამართლოში შეგებებული სარჩელი შეიტანა მოპასუხემ, რომელმაც მოითხოვა:

7.1. მოსარჩელესთან რეგისტრირებული ქორწინების შეწყვეტა.

7.2. მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ბინის (მდებარე ქ. ქუთაისი, ..., დაზუსტებული ფართობი – 4 784 კვ.მ, ფართი – 99.10 კვ.მ, საზაფხულო ფართი – 19.57 კვ.მ, ს/კ №...) გასხვისების გამო, ფულადი კომპენსაციის – 11 666 აშშ დოლარის, მოსარჩელისათვის დაკისრება;

7.3. ქ. ქუთაისში, ბ-ის ქ. №36-ში მდებარე უძრავი ნივთის (დაზუსტებული ფართობი – 458.00 კვ.მ, ს/კ №...) შენობა-ნაგებობის ერთი გამოყოფილი ნაწილიდან (საერთო ფართი – 53.79 კვ.მ) 3/10 ნაწილის ნახევრის და შენობა-ნაგებობის ერთი გამოყოფილი ნაწილის (საერთო ფართით – 53.79 კვ.მ) 2/10 ნაწილის ნახევრის მესაკუთრედ ცნობა.

8. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით:

8.1. სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

8.1.1. ქუთაისში, ..., ნაკვეთი №3...-ში (ს/კ № ...) – მდებარე უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილი აღირიცხა მოსარჩელის საკუთრებაში;

8.1.2. სადავო მოძრავი ქონებიდან, მოსარჩელის საკუთრებაში აღირიცხა: მოდელი – MERSEDES-BENZ E 200 CDI 2.2 SALOON, სახელმწიფო ნომერი – ...;

მოდელი – KAMAZ 5511 ციცხვი თვითმცლელი, სახელმწიფო ნომერი – ...;

მოდელი – ODAZ 9370 ლითონის ბორტიანი პლატფორმა, ნახევარმისაბმელი, სახელმწიფო ნომერი –

8.1.3. მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა, 2014 წლის დეკემბრიდან 2017 წლის თებერვლამდე დროის მონაკვეთში სადავო უძრავი ქონებიდან მიღებული საიჯარო თანხის $\frac{1}{2}$ ნაწილის, მთლიანობაში 32 125 ლარის გადახდა.

8.1.4. მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა, შპს „ზ.მ-ის“ წილიდან 2014 წლიდან 2017 წლის თებერვლამდე მიღებული დივიდენდის ნახევრის – 160 775 ლარის გადახდა.

8.2. სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მოპასუხისათვის შპს „ზ.მ-ის“ წილიდან, 2017 წლის თებერვლიდან აღსრულების მომენტამდე, 5% დივიდენდის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში.

8.3. მოპასუხის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

8.3.1. მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება, განქორწინებით შეწყდა;

8.3.2. მოპასუხე ცნობილ იქნა ქ. ქუთაისში, ...-ში მდებარე უძრავი ნივთის (დაზუსტებული ფართობი – 458.00 კვ.მ, ს/კ №...) შენობა-ნაგებობის ერთი გამოყოფილი ნაწილიდან (საერთო ფართი – 53.79 კვ.მ) 3/10 ნაწილის ნახევრის და შენობა-ნაგებობის ერთი გამოყოფილი ნაწილიდან (საერთო ფართი – 53.79 კვ.მ) 2/10 ნაწილის ნახევრის მესაკუთრედ და ქონება მოპასუხის სახელზე აღირიცხა;

8.3.3. დანარჩენ ნაწილში შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

9. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, რომელმაც მოითხოვა ამ გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და, შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

10. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 31 მარტის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

10.1. სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დაადგინა, რომ მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში, მოპასუხის საკუთრებაში აღირიცხა ექვსი ავტოსატრანსპორტო საშუალება. ვინაიდან სადავო მოძრავი ქონება მხარეებმა რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნის პერიოდში შეიძინეს, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, კანონიერად დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა – ამ ქონების 50%-ის (სამი ავტოსატრანსპორტო

საშუალება) მესაკუთრედ ცნობის თაობაზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის 1158-ე მუხლი). სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო მოძრავი ქონების პირველი ინსტანციის სასამართლოსეული გაყოფა (სამი ავტოსატრანსპორტო საშუალება აღრიცხა მოსარჩელის საკუთრებაში, ხოლო სამი ავტოსატრანსპორტო საშუალება დარჩა მოპასუხის საკუთრებად), საკუთრებით თავისუფალი და შეუზღუდავი სარგებლობის საშუალებას მისცემდა ორივე მხარეს, რაც სასამართლიანი იყო და და ამ ნაწილში აპელანტს რაიმე დასაბუთებული პრეტენზია სასამართლოსათვის არ წარუდგენია (მაგალითად, პრეტენზია იმის შესახებ, რომ მოსარჩელისათვის მიკუთვნებული ქონების ღირებულება აღემატებოდა მოპასუხისათვის მიკუთვნებული ავტოსატრანსპორტო საშუალების ღირებულებას), რომლის არსებობისა და დადასტურების შემთხვევაშიც, სააპელაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევდა მოძრავი ქონების სხვაგვარად გაყოფას.

10.2. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დაადგინა შემდეგი გარემოებები: 1). სადავო უძრავი ქონება, მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში იყო შეძენილი და, 2017 წლის თებერვლიდან, აღნიშნული ქონების $\frac{1}{2}$ -ის მესაკუთრედ მოსარჩელე აღირიცხა; 2). სადავო უძრავი ქონების გაქირავებით მიღებული საიჯარო თანხის $\frac{1}{2}$ ნაწილი, ჯამურად, 32 125 ლარს შეადგენს, კერძოდ, ... ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების იჯარის ფასია 27 500 ლარი (25 X 1 100), რომლის ნახევარია – 13 750 ლარი, ხოლო ... ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების საიჯარო შემოსავალია 36 750 ლარი (25 X 1 470), რომლის ნახევარიც, 18 375 ლარს შეადგენს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია, 2014 წლიდან 2017 წლის თებერვლამდე, იჯარის სახით მიღებული შემოსავლის ოდენობა. მისი შედავება იმ საფუძველს ემყარებოდა, რომ 2017 წლის თებერვლამდე მოსარჩელე სადავო უძრავი ქონების რეგისტრირებული მესაკუთრე არ იყო და ეს შემოსავალი არ ეკუთვნოდა. სააპელაციო სასამართლომ ხსენებული შედავება არ გაიზიარა და განმარტა, რომ, სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება, მოსარჩელეს, მიენიჭა, მათი შეძენისთანავე და, არა – ქონების რეგისტრაციაში გატარების შემდეგ (სსკ-ის 1158-ე მუხლი).

10.3. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა სარჩელის კიდევ ერთ მოთხოვნაზე, რომელიც შეეხებოდა, შპს „ზ.მ-ს“ წილიდან, 2014 წლიდან 2017 წლის თებერვლამდე მიღებული დივიდენდის ნახევრის – 160 775 ლარის, აგრეთვე, 2017 წლის თებერვლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, შპს-ს წილიდან 5%-ის ანაზღაურებას. მოცემული კუთხით სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი გარემოებები: მოპასუხემ, მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში

შეიძინა შპს „ზ.მ.“; შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილი შპს ზ.მ.-ის საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციებით დადგენილია, რომ 2014 წლის 31 მარტიდან 2016 წლის მაისამდე, დივიდენდის სახით, მოპასუხემ 321 551 ლარი მიიღო, რომლის $\frac{1}{2}$ შეადგენს 160 775 ლარს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, დივიდენდის ოდენობა მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია, მისი მოსაზრებით დივიდენდის მიღების მოთხოვნა მიმართული უნდა იყოს საწარმოს და არა ფიზიკური პირის წინააღმდეგ. სააპელაციო სასამართლომ მოპასუხის მითითებული პოზიცია არ გაიზიარა და განმარტა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იყო მისი, არა როგორც საწარმოს პარტნიორის მოთხოვნა დივიდენდის განაწილების შესახებ, არამედ, ერთი მეუღლის მოთხოვნა მეორე მეუღლისადმი – რეგისტრირებული ქორწინების დროს შეძენილი ქონებიდან (წილიდან „ზ.მ.“-ში) მიღებული სარგებლის თანამესაკუთრებად აღიარებისა და მისთვის მიკუთვნების თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსკ-ის 1160.3 მუხლის თანახმად, მოსარჩელეს, როგორც თანამესაკუთრე მეუღლეს, ქონების განკარგვით მიღებული სარგებლის მოთხოვნის უფლება ჰქონდა. აქედან გამომდინარე, კანონშესაბამისი იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დივიდენდის სახით მიღებული სარგებლის განაწილებისა და 160 775.00 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ და ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად უნდა დარჩენილიყო.

10.4. რაც შეეხებოდა მოპასუხის შეგებებული სარჩელის მოთხოვნას, რომელიც მიმართული იყო ქ. ქუთაისში, ... მდებარე უძრავი ქონების გასხვისების გამო, მოსარჩელისათვის მის სასარგებლოდ კომპენსაციის დაკისრებაში, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა შემდეგი: ხსენებულ ბინაში, პრივატიზაციის დროისათვის რეგისტრირებული იყო და დაბადებიდან ცხოვრობდა მოსარჩელე, რის გამოც, სხვა ოჯახის წევრებთან ერთად, მან ამ ბინაზე საკუთრების უფლება მოიპოვა, რომელიც მის ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენდა და არ შეიძლებოდა მეუღლეთა საერთო ქონებად მიჩნეულიყო.

11. სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, ხოლო შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

საკასაციო საჩივრის დასაბუთება ასეთია:

11.1. სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია მოსარჩელესა და მოპასუხეს, როგორც მეუღლეებს შორის, თანაცხოვრების შეწყვეტის თარიღი. ამის გამო, სასამართლომ მოპასუხეს არასწორად დააკისრა 2014 წლის დეკემბრიდან 2017 წლის თებერვლამდე, სადავო უძრავი ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული ჯამური ქირის ნახევარ-

რი, 32 125 ლარი და, ამავე პერიოდში, მიღებული დივიდენდის ნახევარი, 160 775 ლარი.

11.2. დივიდენდის მოთხოვნის უფლება მოსარჩელეს აქვს საწარმოსგან, გაუგებარია, მოპასუხის მიმართ ამ მოთხოვნის დაყენება. ასეც რომ არ იყოს, მოსარჩელე, შპს „ზ-ში“ პარტნიორად (ე.ი. მოპასუხის კუთვნილი წილის თანამესაკუთრედ) 2017 წლის თებერვლიდანაა დარეგისტრირებული. ამავე დროიდანაა იგი ცნობილი, იჯარით გაცემული უძრავი ქონების მესაკუთრედ. მოცემულ ნაწილში, განჩინების დასაბუთებისას, არასწორია სსკ-ის 1164-ე მუხლზე მითითება.

11.3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოსარჩელეს მიეკუთვნა, მოპასუხის სახელზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნახევარი. გაუგებარია, თუ რატომ მიაკუთვნა სასამართლომ, მოსარჩელეს, მოპასუხის სამ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე 100% საკუთრების უფლება და რატომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ, თანასაკუთრების ამგვარად გაყოფა. სასამართლო ვერ ასაბუთებს, სადავო მოძრავი ქონების მხარეთა შორის თანაბარწილად გაყოფას.

11.4. გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია, ქ. ქუთაისში, ... მდებარე უძრავი ქონების გასხვისების გამო, მოსარჩელისათვის კომპენსაციის დაკისრების მოთხოვნის ნაწილშიც. მოსარჩელემ, ხსენებული უძრავი ქონება საკუთრებაში მიიღო სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, მოპასუხესთან ქორწინებაში ყოფნის პერიოდში, მას ეს ქონება არც ჩუქებით და არც მემკვიდრეობით არ მიუღია. ამდენად, ყველა წინაპირობა არსებობდა იმისათვის, რომ მოსარჩელეს მოპასუხისათვის 11 666 აშშ დოლარის გადახდა დაჰკისრებოდა.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 21 ივლისის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ) 391-ე მუხლის მიხედვით, მოპასუხის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად. 2022 წლის 9 თებერვლის განჩინებით, საკასაციო სასამართლომ საკასაციო საჩივარი დასაშვებად ცნო და დაადგინა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

13. საკასაციო პალატის განხილვის საგანი შემდეგია: რამდენად კანონიერია, მოსარჩელის მოთხოვნები – სადავო მოძრავი ქონების თანა-

მესაკუთრედ ცნობის, სადავო უძრავი ქონებიდან, 2014 წლის დეკემბრიდან 2017 წლის თებერვლამდე მიღებული იჯარის თანხის $\frac{1}{2}$ ნაწილის (32 125 ლარი), შპს „ზ.მ-ს“ წილიდან, 2014 წლიდან 2017 წლის თებერვლამდე მიღებული დივიდენდის ნახევრის, 160 775 ლარის ანაზღაურების თაობაზე. ამავდროულად, პალატის მიერ განსახილველია, მოპასუხის შეგებებული სარჩელის მართლზომიერება, ქ. ქუთაისში, ... მდებარე უძრავი ქონების გასხვისების გამო, მოსარჩელისათვის, მის სასარგებლოდ, კომპენსაციის დაკისრება (სსკ-ის 404-ე მუხლის პირველი წინადადება).

14. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით, სადავო მოძრავი ქონების თანამესაკუთრედ ცნობის ნაწილში სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, ძალაში დარჩა. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მითითებული ნაწილით, დადგენილია შემდეგი: მოსარჩელე ცნობილ იქნას, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან 50%-ის მესაკუთრედ და მის სახელზე აღირიცხოს სამი ავტოსატრანსპორტო საშუალება (სარჩელით მოთხოვნილი ექვსი ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან).

პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინების დასახელებულ ნაწილში განვითარებული მსჯელობა მცდარია და გაზიარებული ვერ იქნება. ასეთი დასკვნის საფუძველს ქმნის შემდეგი გარემოებები:

14.1. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილია, რომ: მოსარჩელე და მოპასუხე, 1989 წლის 22 აპრილიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან; მხარეებს, თანაცხოვრებისას, ოთხი შვილი შეეძინათ; მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში, მოპასუხის საკუთრებაში აღირიცხა ექვსი ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელთა თანამესაკუთრედ ცნობაც, განსახილველი სარჩელის ერთ-ერთი მოთხოვნაა.

14.2. მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების თანასაკუთრებად ცნობის საკანონმდებლო დანაწესი მოცემულია სსკ-ის 1158.1 მუხლში (მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი), ხოლო ასეთი ქონების მეუღლეებს შორის გაყოფის შესაძლებლობას ადგენს ამავე 1164-ე მუხლი (მეუღლეთა საერთო ქონება, თითოეული მეუღლის მოთხოვნით შეიძლება გაიყოს, როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე მისი შეწყვეტის შემდეგ). სსკ-ის 1158.1 მუხლის შინაარსი ნათლად გვაუწყებს, რომ, ყველა ის ქონება, რომელიც მეუღლეებმა ქორწინების პერიოდში შეიძინეს, მათი საერთო ქონებაა, თანასაკუთრებაა, გარდა საგამონაკლისო შემთხვევისა, კერძოდ, როდესაც, მათ შორის, საქორწინო ხელშეკრულებით რაიმე განსხვავებული წესია დად-

გენილი. კანონის მითითებული ნორმა იმის მაუწყებელიცაა, რომ თანასაკუთრებაში ქონების არსებობა, თავისთავად გულისხმობს, თითოეულ ამ ქონებაზე, ორივე მეუღლის (და, არა – ერთი მათგანის) საკუთრების უფლებას, ასეთი ქონება მეუღლეებს თანაბრად ეკუთვნით.

შესაბამისად, თუკი მეუღლეთა თანასაკუთრებაში რამდენიმე მოძრავი ნივთია, ერთმანეთს შორის მათი გაყოფისას, უმთავრესია, რომ ყველა ამ ნივთზე თანამესაკუთრე მეუღლეთა უფლებები თანაბარწილად განისაზღვროს, რადგან, როგორც აღინიშნა, კანონით ეს ნივთები ორივეს საერთო საკუთრებაა. ასეთი გზით თანასაკუთრების გაყოფა, მეუღლეთა კანონიერი ინტერესების დაცვის საუკეთესო საშუალებაა. სხვაგვარად, მეუღლეთა, როგორც თითოეული ასეთი ქონების თანამესაკუთრეთა უფლებების დაცვის მიზანი ვერ მიიღწევა, რადგან თანასაკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთებიდან რამდენიმე ნივთის გამოყოფისა და ერთ-ერთი მეუღლისათვის მიკუთვნების პირობებში (როგორც ეს სადავო შემთხვევაში მოხდა), შეუძლებელია იმის ზუსტად განსაზღვრა – რამდენად იქნა დაცული, წილთა თანაბრობის პრინციპი, რომლის არსიც თითოეულ მოძრავ ნივთზე თითოეული მეუღლის თანასაკუთრების უფლების არსებობაში მდგომარეობს.

14.3. ზემოაღნიშნული მსჯელობის საპირწონე ვერ გახდება სააპელაციო სასამართლოს მიერ იმ გარემოებაზე მითითება, რომ სადავო მოძრავი ქონების პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი წესით გაყოფა, საკუთრებით თავისუფლად და შეუზღუდავად სარგებლობის საშუალებას მისცემს მოსარჩელეს, რაც ამგვარი წესით ქონების გაყოფის სამართლიანობას ასაბუთებს. როგორც ზემოთ განიმარტა, თანასაკუთრებაში არსებული რამდენიმე მოძრავი ნივთის გაყოფისას, გადამწყვეტია, თითოეულ ნივთზე, თანამესაკუთრე მეუღლეთა უფლებების თანაბარწილად განსაზღვრა, რადგან კანონით ეს ნივთები ორივეს საერთო საკუთრებაა (სსკ-ის 1158.1 მუხლი). შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მთავარია დადგინდეს არა ის, თუ რამდენად შეძლებს მოსარჩელე, საკუთრებით თავისუფლად სარგებლობას, არამედ ის, რომ გაყოფის შედეგად, დაცული იქნება თუ არა, თითოეულ მოძრავ ნივთზე თითოეული მეუღლის თანასაკუთრების უფლება.

რაკი სადავო მოძრავი ნივთების სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული წესით გაყოფისას, შეუძლებელია, მეუღლეთა შორის წილთა თანაბრობის პრინციპის დაცულობის ზუსტად განსაზღვრა, ამიტომ პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ქონების იმგვარად გაყოფა, რომ მოსარჩელე ცნობილ იქნეს, თითოეული მოძრავი ნივთის 1/2 ნაწილის მესაკუთრედ.

15. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება დანარჩენ ნაწილში საკმარისადაა დასაბუთებული და

კანონშესაბამის დასკვნებსაც შეიცავს. მათთან მიმართებით, პალატა, პირველ რიგში ყურადღებას მიაქცევს საქმეზე დამტკიცებულად ცნობილ შემდეგ გარემოებებზე:

1). სადავო უძრავი ქონება, მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში იყო შეძენილი და, 2017 წლის თებერვლიდან, აღნიშნული ქონების 1/2-ის მესაკუთრედ მოსარჩელე აღირიცხა;

2). სადავო უძრავი ქონების გაქირავებით მიღებული საიჯარო თანხის 1/2 ნაწილი, ჯამურად, 32 125 ლარს შეადგენს.

3). მოპასუხემ, მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეიძინა შპს „ზ.მ.“; შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილი შპს „ზ.მ.-ის“ სა-შემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციებით დადგენილია, რომ 2014 წლის 31 მარტიდან 2016 წლის მაისამდე, დივიდენდის სახით, მოპასუხემ 321 551 ლარი მიიღო, რომლის 1/2 შეადგენს 160 775 ლარს.

მითითებული გარემოებები კასატორს დასაბუთებული შედავების (პრეტენზია) გზით არ გაუქარწყლებია, ამიტომ ისინი სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის (სსსკ-ის 407.2 მუხლი).

პალატის განსჯით, ზემოთ დადგენილი ფაქტობრივი მოცემულობა იმის მაუწყებელია, რომ სადავო უძრავი ქონებაც და შპს „ზ.მ.-ც“, სწორედ მხარეთა შორის რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნის პერიოდში იქნა შეძენილი, რამაც მითითებულ ნაწილებში სარჩელის დაკმაყოფილება სწორად განაპირობა.

რაც შეეხება კასატორის (მოპასუხე) პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ იჯარის ქირიდან მიღებული შემოსავალი მოსარჩელეს არ ეკუთვნოდა, რადგან 2017 წლის თებერვლამდე, იგი არ იყო სადავო უძრავი ქონების რეგისტრირებული მესაკუთრე, აღნიშნული პრეტენზიის უარსაყოფად სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა სსკ-ის 1158-ე მუხლზე. მითითებული ნორმით კანონმდებლის მიერ ცალსახადაა დადგენილი, რომ მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის სა-ქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე სადავო უძრავი ქონების თანამესაკუთრე მათი შეძენისთანავე გახდა და, აღნიშნულზე გავლენას ვერ მოახდენს ის ფაქტი, რომ ხსენებული ქონების 1/2-ის მესაკუთრედ ის ფორმალურად 2017 წლის თებერვლიდან დარეგისტრირდა.

კასატორის კიდევ ერთი პრეტენზია ისაა, რომ მოსარჩელის მიერ დივიდენდის მიღების მოთხოვნა მიმართული უნდა იყოს სანარმოს და

არა ფიზიკური პირის წინააღმდეგ. ამ კუთხით სააპელაციო სასამართლომ მართებულად აღნიშნა, რომ მოსარჩელე დივიდენდის მიღებას მოითხოვს, არა, როგორც საწარმოს პარტნიორი, არამედ, განსახილველი სარჩელით წარმოდგენილია ერთი მეუღლის მოთხოვნა მეორე მეუღლისადმი, რეგისტრირებული ქორწინების დროს შეძენილი ქონებიდან (წილიდან „ზ.მ.“-ში) მიღებული სარგებლის თანამესაკუთრებად აღიარებისა და მისთვის მიკუთვნების თაობაზე.

მოსარჩელის ასეთი უფლება გამომდინარეობს სსკ-ის 1160.3 მუხლიდან, რომლითაც დადგენილია, რომ, მეუღლეს, როგორც თანამესაკუთრეს, უფლება აქვს, მოითხოვოს ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი. ამდენად, მოცემულ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განჩინება სწორადაა დასაბუთებული.

16. რაც შეეხება გასაჩივრებული განჩინების იმ ნაწილს, სადაც წარმოდგენილია მსჯელობა მოპასუხის შეგებებული სარჩელის მოთხოვნაზე, ქ. ქუთაისში, ... მდებარე უძრავი ქონების გასხვისების გამო, მოსარჩელისათვის მის სასარგებლოდ კომპენსაციის დაკისრების შესახებ, პალატა აღნიშნავს შემდეგს:

სსკ-ის 1161-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილია, რომ თითოეული მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს ქონება, რომელიც მას ეკუთვნოდა დაქორწინებამდე.

როგორც სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე დადგენილად ცნო, ზემოხსენებულ ბინაში, პრივატიზაციის დროისათვის რეგისტრირებული იყო და დაბადებიდან ცხოვრობდა მოსარჩელე, რის გამოც, ოჯახის სხვა წევრებთან ერთად, მან ამ ბინაზე საკუთრების უფლება მოიპოვა. ამ ფაქტობრივი გარემოების უარყოფელი დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) კასატორს არ წარმოუდგენია.

ასეთად ვერ ჩაითვლება კასატორის მიერ იმ გარემოებაზე მითითება, რომ აღნიშნული ქონება მოსარჩელეს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე მიეკუთვნა, მოპასუხესთან ქორწინებაში ყოფნის პერიოდში და, მას ეს ქონება, არც ჩუქებით და არც მემკვიდრეობით არ მიუღია.

კონკრეტულ შემთხვევაში, არსებითი მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ დასახელებული ქონების მოსარჩელისათვის გადაცემის საფუძველი გახდა, პრივატიზაციის დროისათვის მასში მისი რეგისტრაცია, რომლის გაქარწყლების მტკიცების ტვირთიც კასატორმა ვერ დაძლია. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილების მე-5 პუნქტის საფუძველზე, არაერთ საქმეზე განმარტა, რომ საცხოვრებელი სახლის (ბინის) პრივატიზაციისას თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ ის პირები, ვინც წარმოადგენდნენ ამ

საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლებს ან მათი ოჯახის წევრებს. სწორედ ამიტომ, პრივატიზაციის უფლების მქონე ერთ-ერთ პირზე საკუთრების უფლების აღრიცხვა არ ნიშნავდა მასთან მცხოვრები ოჯახის წევრების მიერ საკუთრების უფლების მოპოვებაზე უარის თქმას (იხ. სუსგ, საქმე: №ას-1161-1107-2013, 29.05.2015; №ას-1169-1124-2016, 10.03.2017; №ას-213-202-2017, 10.07.2017; №ას-1607-2018, 29.06.2021; №ას-969-2021, 3.11.2021). შედეგად, პრივატიზებულ ბინებზე საკუთრების უფლება მიეცემოდა ყველა იმ პირს, რომელსაც ბინის პრივატიზაციის დროისათვის საცხოვრებელ ფართობზე უფლება მოპოვებული ჰქონდა (ცხოვრობდა და ჩანერილი იყო სადავო ბინაში) (იხ. სუსგ, საქმე: №ას-1108-1028-2014, 31.07.2018; №ას-1173-2018, 14.01.2020; №ას-1382-2021, 8.04.2021; №ას-969-2021, 3.11.2021).

ამდენად, პალატას მართებულად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, აღნიშნული ქონების მოსარჩელის ინდივიდუალურ საკუთრებად მიჩნევის თაობაზე, რამაც მოპასუხის შესაბამისი მოთხოვნა წარუმატებელი გახადა.

17. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ შეცვლის გზით, საქმეზე ახალი გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული, კერძოდ, სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და მოსარჩელე ცნობილ იქნეს სადავო მოძრავი ქონების 1/2 ნაწილის მესაკუთრედ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 404-ე, 408.3, 409-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ზ. შ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 31 მარტის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 15 მარტის გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი;
3. მ. გ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. მ. გ-ძე ცნობილ იქნეს შემდეგი ექვსი ავტოსატრანსპორტო საშუალების: 1). მოდელი – MERSEDES-BENZ E 200 CDI 2.2 SALOON, სახელმწიფო ნომერი – ...; 2). მოდელი – MERSEDES-BENZ 230 E კომბი (ხეთრბეკი), სახელმწიფო ნომერი – ...; 3). მოდელი – KAMAZ 5511 ციციხვი თვითმცლელი, სახელმწიფო ნომერი – ...; 4). მოდელი – KAMAZ 5410 უნაგირა

სანევარი, სახელმწიფო ნომერი – ...; 5). მოდელი – ODAZ 9370 ლითონის ბორტიანი პლატფორმა, ნახევარმისაბმელი, სახელმწიფო ნომერი –; 6). მოდელი – GKB 8535-01 თვითმცლელი, მისაბმელი, სახელმწიფო ნომერი – ... – 1/2 ნაწილის მესაკუთრედ;

5. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ქორწინების განმავლობაში შექანილი ქონების თანამესაკუთრედ ცნობა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-170-2023

01 დეკემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: რ. ნადარაია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. მიქაუტაძე,
თ. ზამბახიძე**

დავის საგანი (ძირითადი სარჩელი): ქორწინების პერიოდში შექანილი ქონების თანამესაკუთრედ ცნობა, ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობა

დავის საგანი (შეგებებული სარჩელი): თანხის დაკისრება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. გ. დ-ვამ (შემდეგში მოსარჩელე, შეგებებული სარჩელით მოპასუხე) სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში ნ. კ-ძისა (შემდეგში მოპასუხე, შეგებებული სარჩელის მოსარჩელე) და ი. დ-ვას (შემდეგში მოპასუხე) მიმართ და მოითხოვა:

1.1. შემდეგი უძრავი ქონებების თანამესაკუთრედ ცნობა: ქ. თბილისი, ... ს/კ: ...; ქ. თბილისი, ... გამზირის პირველი შესახვევი №6, ბინა 31, ს/კ: ...; ქ. თბილისი, ... 33ე, ს/კ: ...; ქ. თბილისი, ... 33ე, ს/კ: ...; ქ. თბილისი, ... 33ე, ს/კ: ...

1.2. ნ. კ-ძესა და ი. დ-ვას შორის უძრავ ქონებაზე (მდებარე: ქ. ბათუ-

მი, ... ქუჩის გაგრძელება, ახლანდელი ..., ს/კ ...) 2012 წლის 29 ივნისს გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულების (განცხადების რეგისტრაციის №...) 1/2 ნაწილის ბათილად ცნობა.

1.3. ი. დ-ვასთან გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულებების გაუქმება შემდეგ უძრავ ქონებებზე: ა) ქალაქი თბილისი, ... გამზირი, 33ა, ამჟამად №33ბ, ს/კ ...; ბ) ქალაქი თბილისი, ... გამზირი, №33ა, ამჟამად №33ბ, ს/კ ...; გ) ქალაქი თბილისი, ... გამზირი, №33ა, ამჟამად №33ბ, ს/კ ...; დ) ქალაქი თბილისი, ... გამზირი, №33ა, ამჟამად №33ბ, ს/კ ...

1.4. მოპასუხეებმა სასამართლოში წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს.

2. ნ. კ-ძემ შეგებებული სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა გ. დ-ვასთვის მის სასარგებლოდ ბერკლის, „BARCLAYS“ /ლონდონი, გაერთიანებული სამეფო, №22 5LA, ბერკლის ლესტერი – LE87 2BB/ – საბანკო ანგარიშიდან გატანილი ფულადი თანხის – 59500 ფუნტი სტერლინგის ნახევრის – 29750 ფუნტი სტერლინგის ეკვივალენტი ლარის დაკისრება; ასევე ნ. კ-ძის სასარგებლოდ, ბინის გაუქირავებლობის 48000 აშშ დოლარის, იძულებით აყვანილი დაცვის სამსახურზე გადახდილი თანხის – 3000 ლარის, ქირის თანხის – 1300 ლარის, ტანსაცმლისა და პირველადი მოხმარების ნივთებისათვის დახარჯული თანხის – 1000 ლარის, სახლში დარჩენილი 1000 ევროს, გატეხილი ნეკნის მკურნალობის თანხის – 5000 ლარის, იტალიაში გამგზავრებისათვის აღებული სესხის თანხის – 20000 ევროს ეკვივალენტი ლარის, მორალური ზიანის – 20000 ლარის დაკისრება.

2.1. შეგებებული სარჩელის მოპასუხემ წარმოდგენილი შესაგებლით შეგებებული სარჩელი არ ცნო.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 01 დეკემბრის გადაწყვეტილებით:

3.1. გ. დ-ვას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ: გ. დ-ვა (პ.ნ ...) ცნობილი იქნა თანამესაკუთრედ ნ. კ-ძის (პ.ნ ...) სახელზე რიცხულ შემდეგ უძრავ ქონებებზე: ა) ქალაქი თბილისი, ... გამზირი, №33ე, ბინა №50, ს/კ ... ბ) ქალაქი თბილისი, ... გამზირის პირველი შესახვევი №6, ბინა №31, ს/კ ... გ) ქალაქი თბილისი, ... გამზირი, №33ე, ავტოსადგომი, ს/კ ... დ) ქალაქი თბილისი, ... გამზირი, №33ე, ავტოსადგომი, ს/კ ... ე) ქალაქი თბილისი, ... გამზირი, №33ე, ავტოსადგომი, ს/კ ...; გ. დ-ვას სასარჩელო მოთხოვნას ი. დ-ვასა და ნ. კ-ძის მიმართ, რეგისტრირებული ქორწინების პერიოდში შეძენილი უძრავი ქონების მდებარე: ქალაქი ბათუმი, ... ქუჩის გაგრძელება, ახლანდელი ... ქუჩა №4, ს/კ ..., – ი. დ-ვასთან ჩუქების ხელშეკრულების (დამონმებული საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2012 წლის 29 ივნისს) – 1/2 ნაწილში ბათილად ცნობის თაობაზე – ეთქვა უარი; გ. დ-ვას სასარჩელო მოთხოვნას,

ი. დ-ვას მიმართ, ჩუქების ხელშეკრულებების გაუქმების შესახებ შემდეგ უძრავ ქონებებზე: ა) ქალაქი თბილისი, ... გამზირი, 33ა, ამჟამად №33ბ, ს/კ ბ) ქალაქი თბილისი, ... გამზირი, №33ა, ამჟამად №33ბ, ს/კ ... გ) ქალაქი თბილისი, ... გამზირი, №33ა, ამჟამად №33ბ, ს/კ ... დ) ქალაქი თბილისი, ... გამზირი, №33ა, ამჟამად №33ბ, ს/კ ... ეთქვა უარი.

3.2. ნ. კ-ძის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ: გ. დ-ვას ნ. კ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა – ბერკლის, „BARCLAYS“ /ლონდონი, გაერთიანებული სამეფო, N22 5LA, ბერკლის ლესტერი – LE87 2BB/ – საბანკო ანგარიშიდან გატანილი ფულადი თანხის – 59500 ფუნტი სტერლინგის ნახევრის – 29750 ფუნტი სტერლინგის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება. ნ. კ-ძის სხვა სასარჩელო მოთხოვნები გ. დ-ვას მიმართ არ დაკმაყოფილდა.

4. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1. გ. დ-ვას და ნ. კ-ძის ჰყავთ საერთო შვილი – 1985 წლის 13 ივლისს დაბადებული ი. დ-ვა (ძირითადი სარჩელით მოპასუხე);

4.2. ნ. კ-ძის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით ირიცხება შემდეგი უძრავი ქონებები, მდებარე: 1. ქალაქი თბილისი, ... გამზირი, №33ე, ბინა №50, საკადასტრო კოდი: ..., უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: საანოტარო წესით 2006 წლის 27 ოქტომბერს დამოწმებული საბინაო სამშენებლო ამხანაგობა „ჭ-ძე – ...-ის“ კრების ოქმი №6, უფლების რეგისტრაციის თარიღი: 08/05/2007; 2. ქალაქი თბილისი, ... გამზირის I შესახვევი №6, საკადასტრო კოდი: ..., უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმებული 2005 წლის 31 აგვისტოს დამოწმებული ნოტარიუსის ბ. ს-ძის მიერ რეესტრით №1-7269, თარიღი: 01/09/2005; 3. ქალაქი თბილისი, ... გამზირი, №33ე, ავტოსადგომი, საკადასტრო კოდი: ..., უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: საანოტარო წესით 2006 წლის 27 ოქტომბერს დამოწმებული საბინაო სამშენებლო ამხანაგობა „ჭ-ძე – ...-ის“ კრების ოქმი №6, უფლების რეგისტრაციის თარიღი: 08/05/2007; 4. ქალაქი თბილისი, ... გამზირი, №33ე, ავტოსადგომი, საკადასტრო კოდი: ..., უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: საანოტარო წესით 2006 წლის 27 ოქტომბერს დამოწმებული საბინაო სამშენებლო ამხანაგობა „ჭ-ძე – ...-ის“ კრების ოქმი №6, უფლების რეგისტრაციის თარიღი: 08/05/2007; 5. ქალაქი თბილისი, ... გამზირი, №33ე, ავტოსადგომი, საკადასტრო კოდი: ..., უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: ავტოსადგომის ნასყიდობის ხელშეკრულება №1-7495, დამოწმების თარიღი: 26/08/2008, ნოტარიუსი მ. ჟ-ია, უფლების რეგისტრაციის თარიღი: 27/08/2008.

4.3. 2016 წლის 11 მაისის უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე გამჩუქებელმა (დედა) – ნ. კ-ძემ, დასაჩუქრებულს (შვი-

ლი) – ი. დ-ვას აჩუქა უძრავი ქონება, მდებარე: ქ. ბათუმი, ... ქუჩის გაგრძელება, ახლანდელი ... ქ.4, ს/კ ..., საკუთრების უფლება დარეგისტრირდა 2016 წლის 17 მაისს.

4.4. 2016 წლის 11 მაისის უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულებების საფუძველზე გამჩუქებელმა (მამა) – გ. დ-ვამ, დასაჩუქრებულს (შვილი) – ი. დ-ვას აჩუქა უძრავი ქონებები, მდებარე: 1. ქალაქი თბილისი, ... გამზირი, 33ა, ამჟამად №33ბ, ს/კ ...; 2. ქალაქი თბილისი, ... გამზირი, №33ა, ამჟამად №33ბ, ს/კ ...

4.5. ი. დ-ვას სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით ირიცხება შემდეგი უძრავი ქონებები, მდებარე: 1. ქალაქი თბილისი, ... გამზირი, №33ა, ამჟამად №33ბ, ს/კ ..., უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულება, დამონმების თარიღი: 11/05/2016; 2. ქალაქი თბილისი, ... გამზირი, №33ა, ამჟამად №33ბ, ს/კ ..., უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულება, დამონმების თარიღი: 11/05/2016; ზემოაღნიშნული ორივე უძრავი ქონება ი. დ-ვას საკუთრების უფლებით ალიცხვამდე, ირიცხებოდა გ. დ-ვას სახელზე (22/06/2011 ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე).

4.6. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 09 თებერვლის გადაწყვეტილებით დამტკიცდა შემაკავებელი ორდერი და აეკრძალა მოძალადე – გ. დ-ვას, მსხვერპლთან – ნ. კ-ძესთან სამსახურსა და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფება.

4.7. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 09 თებერვლის გადაწყვეტილებით დამტკიცდა შემაკავებელი ორდერი და აეკრძალა მოძალადე – გ. დ-ვას, მსხვერპლთან – ი. დ-ვასთან სამსახურსა და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფება.

4.8. 2017 წლის 6 იანვრის მდგომარეობით გ. დ-ვას და ნ. კ-ძის სახელზე ბერკლის, („BARCLAYS“/ლონდონი, გაერთიანებული სამეფო, N22 5LA, ბერკლის ლესტერი – LE87 2BB/) – საბანკო ანგარიშზე ფიქსირდებოდა 60227.53 ფუნტი სტერლინგი, ხოლო 2017 წლის 6 სექტემბერს ამავე ანგარიშზე დაფიქსირდა 231.63 ფუნტი სტერლინგი. ანგარიშზე ნვდომა ჰქონდა მხოლოდ გ. დ-ვას და ნ. კ-ძეს.

4.9. ნ. კ-ძის და გ. დ-ვას ბერკლის, („BARCLAYS“/ლონდონი, გაერთიანებული სამეფო, N22 5LA, ბერკლის ლესტერი – LE87 2BB/) – ყოველთვიური შემნახველი ანგარიშიდან 21/02/2017 წელს გადაირიცხა თანხა 57 000 ფუნტის ოდენობით გ. დ-ვას ანგარიშზე.

4.10. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1999 წლის 09 იანვარს, ლას ვეგასში, ნევადა (აშშ) დარეგისტრირდა საქორწინო ხელშეკ-

რულება გ. დ-ვას და ნ. კ-ძეს შორის; მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინების შესახებ ინფორმაცია დარეგისტრირდა ასევე ქალაქ რომის სამოქალაქო რეესტრის მიერ.

4.11. სასამართლომ დაადგინა, რომ გ. დ-ვა, ქ. რომის სამეწარმეო რეესტრის არქივში ფიქსირდება როგორც მცირე მენარმე, საქმიანობა: ბროკერი, ფირმის საქმიანობის დაწყების თარიღი: 10/06/1999, საქმიანობის შეწყვეტის თარიღი: 12/11/2009.

4.12. სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეთა შორის კონფლიქტის/დავის წარმოშობის პერიოდისათვის (2017 წლის იანვარი-მარტის პერიოდი) ი. დ-ვას, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადაკვეთილი აქვს 09.03.2017 წელს, ხოლო საქართველოში შემოსვლა დაფიქსირებულია 17.11.2017 წელს. ნ. კ-ძეს, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადაკვეთილი აქვს 09.03.2017 წელს, ხოლო საქართველოში შემოსვლა დაფიქსირებულია 18.10.2017 წელს. გ. დ-ვას, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადაკვეთილი აქვს 03.12.2016 წელს, ხოლო საქართველოში შემოსვლა დაფიქსირებულია 30.01.2017 წელს, კვლავ გასვლა ფიქსირდება 21.02.2017 წელს, შემოსვლა – 02.03.2017 წელს, გასვლა – 27.05.2017, შემოსვლა – 14.08.2017.

4.13. 2018 წლის 11 სექტემბრის დადგენილებებით (№0011713... და №0011713...) – ნ. კ-ძე და ი. დ-ვა ცნობილ იქნენ დაზარალებულად, 2018 წლის 16 იანვარს შს სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პირველ განყოფილებაში დაწყებული სისხლის სამართლის საქმეზე №00716011800, ი. დ-ვას მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე. თბილისის საქალაქო სამმართველოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2021 წლის 29 ივნისის განაჩენით გ. დ-ვა დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 1261-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სისტემატური შეურაცხყოფა, რამაც ტანჯვა გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ორი პირის მიმართ).

4.14. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია გარემოება, რომ გ. დ-ვა და ნ. კ-ძე იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში (1999 წლიდან) და ცხოვრობდნენ ერთ ოჯახად (1984 წლიდან – 2017 წლის იანვრის თვემდე), ერთობლივად წყვეტდნენ საოჯახო საკითხებს და ერთობლივი გადაწყვეტილებით განკარგავდნენ კუთვნილ ქონებებს.

5. აღნიშნული გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. გ. დ-ვამ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება მისი სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარ-

ჩელის სრულად დაკმაყოფილება. ნ. კ-ძემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით გ. დ-ვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და მისი შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

5.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 16 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე, ნ. კ-ძის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ ასაჩივრებს შეგებებულ სასარჩელო მოთხოვნას გაერთიანებული სამეფოს საბანკო ანგარიშიდან გატანილი ფულადი თანხის დაკისრების ნაწილში, ხოლო დანარჩენ შეგებებულ სასარჩელო მოთხოვნებს ამცირებს და აღარ სურს მათი განხილვა.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 30 ნოემბრის განჩინებით გ. დ-ვას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ნ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 01 დეკემბრის გადაწყვეტილება.

7. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

7.1. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მიუთითა, რომ ვინაიდან არ არსებობდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და იტალიის რესპუბლიკის ოფიციალური ორგანოების მიერ გაცემული/დამოწმებული დოკუმენტაციის ნამდვილობაში ეჭვის შეტანის საფუძველი, გ. დ-ვა და ნ. კ-ძე იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში 1999 წლიდან. აღნიშნულის გათვალისწინებით კი, პალატამ მიიჩნია, რომ რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონება ითვლებოდა მეუღლეთა თანასაკუთრებად და შესაბამისად, არ არსებობდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი გ. დ-ვას სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილების ნაწილში.

7.2. რაც შეეხება გ. დ-ვას სააპელაციო საჩივრის მოთხოვნებს, პალატამ მიუთითა, რომ არ არსებობდა ნ. კ-ძისა და ი. დ-ვას შორის, 2012 წლის 29 ივნისს გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულების (უძრავი ქონების ს/კ ...) 1/2 ნაწილის ბათილად ცნობის საფუძველი. პალატამ მიიჩნია, რომ 2012 წელსვე გ. დ-ვასთვის ცნობილი იყო ხელშეკრულების არსებობის ფაქტი და იმ შემთხვევაში თუ, როგორც ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების თანამესაკუთრე, არ ეთანხმებოდა მეუღლის გადაწყვეტილებას ქონების გაჩუქების შესახებ, მას აღნიშნულზე პრეტენზია უნდა დაეყენებინა შესაბამისი წესით, რაც არ განხორციელებულა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ მეუღლეებმა თანაცხოვრების პერიოდში, ქორწინების განმავლობაში შე-

ძენილი ქონება ერთობლივი გადაწყვეტილებით განკარგეს და მისი ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობდა.

7.3. რაც შეეხება გ. დ-ვასა და ი. დ-ვას შორის გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულებების (ს/კ ...; ს/კ ...; ს/კ ...; ს/კ ...), ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნების საფუძვლიანობას, გ. დ-ვა მიუთითებდა უმადურობაზე, რომელიც წარმოიშვა 2017 წლის დასაწყისში ოჯახური კონფლიქტის სახით. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ უძრავი ქონებები გ. დ-ვამ შეიძინა 2011 წელს და იმავე დღეს აჩუქა შვილს, ი. დ-ვას. ი. დ-ვას მიერ ზემოაღნიშნულ უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების აღრიცხვა განხორციელდა 2016 წელს და ამ დრომდე გ. დ-ვას არავითარი პრეტენზია არ გამოუხატავს შვილის მიმართ. რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, პალატამ სარწმუნოდ არ მიიჩნია გ. დ-ვას პოზიცია, რომ ავადმყოფობის პერიოდში შვილმა არ მოინდომა მამასთან ცხოვრება და მისი მოვლა, მეუღლეთა შორის არსებულ კონფლიქტში ჩაერია, მოპასუხეებმა მიაყენეს შეურაცხყოფა და გამოაგდეს სახლიდან. პალატის მოსაზრებით, საქმეში არსებული მტკიცებულებები (გ. დ-ვას მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეში არსებული დოკუმენტაცია/ინფორმაცია, გამოკითხვის ოქმები, პოლიციის თანამშრომლების მიერ შედგენილი ოქმები, სხვადასხვა სახის ოფიციალური ინფორმაცია და ა.შ.) აღნიშნულ პოზიციას აქარწყლებდა, მოწმეთა ჩვენებები კი მხოლოდ იმას ადასტურებდა, რომ მხარეთა შორის ოჯახური კონფლიქტის წარმოშობამდე გ. დ-ვა და ი. დ-ვა ფაქტობრივად ერთად არ ცხოვრობდნენ.

8. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრეს მხარეებმა. ნ. კ-ძემ მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ შეცვლა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო გ. დ-ვამ გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

8.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 12 ივნისის განჩინებით გ. დ-ვას საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

ნ. კ-ძის საკასაციო საჩივრის ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

8.2. კასატორი მიიჩნევს, რომ საზღვარგარეთ რეგისტრირებული ქორწინება საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნის დაუცველად არ წარმოშობს მეუღლეთა უფლებებს და მოვალეობებს. სააპელაციო პალატამ კი, სათანადო დასაბუთების გარეშე მიიჩნია, რომ ნ. კ-ძესა და გ. დ-ვას შორის არსებობდა რეგისტრირებული ქორწინება. სასამართლომ ძალადაკარგული „სამო-

ქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონის არასწორი განმარტების შედეგად მიიღო გადაწყვეტილება, ისე რომ მოქმედი სამართლებრივი ნორმები არ შეუფასებია.

8.3. კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს შეამცირა შეგებებული სარჩელის მოთხოვნები, თუმცა სააპელაციო პალატამ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არასწორად აღნიშნა, რომ ამ მოთხოვნებთან მიმართებით აპელანტმა უარი თქვა სააპელაციო საჩივარზე. კასატორის პრეტენზია ასევე შეეხება მის შეგებებულ სასარჩელო მოთხოვნას, გაერთიანებული სამეფოს საბანკო ანგარიშიდან გატანილი თანხის ანაზღაურების შესახებ. ნ. კ-ძე მიიჩნევს, რომ აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საზიარო უფლების მომწესრიგებელი ნორმები, კერძოდ, სსკ-ის 953-ე და 954-ე მუხლები.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 23 თებერვლის განჩინებით ნ. კ-ძის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე სასამართლოს 2023 წლის 16 ნოემბრის განჩინებით ნ. კ-ძის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

10. საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ გამოიკვეთა სსსკ-ის 412-ე მუხლის წინაპირობები, რის შედეგადაც ნ. კ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახალი განხილვის მიზნით, იმავე სასამართლოს უნდა დაუბრუნდეს.

11. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ხოლო, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული

პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

12. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხარეთა შორის დავის განხილვისას სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მოსარჩელე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენებით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს ამა თუ იმ ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს (სუსგ №ას-251-2018, 08.02.2022 წ.).

13. საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა, საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აგებულია რა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, პირის დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვა ამავე პირის ნებაზეა დამოკიდებული. მხარეები სამოქალაქო სამართალწარმოებაში თვითონვე განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3-მე-4 მუხლები), რაც კანონის მოთხოვნათა დაცვით (ამავე კოდექსის 178-ე მუხლი) უნდა აისახოს მხარეთა მიერ

სასამართლოში წარდგენილ სარჩელში (სუსგ №ას-1163-2018, 08.02.2019 წ.; №ას-495-2020, 23.10.2020 წ.).

14. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადანყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზე დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადანყვეტილების მიღება.

15. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაქტუალური მოვალეობა. მხარეები, სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, სრულიად თავისუფალნი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან.

16. კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა – სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურ სამართლებრივი ნორმა. მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის გა-

ნაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდика, თბ., 2003, გვ. 64; შდრ. სუსგ-ებს: №ას-475-2019, 15.04.2021წ; №ას-1065-2020, 08.04.2021წ; №ას-338-2019, 22.03.2021წ.).

17. განსახილველ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ გ. დ-ვას საკასაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს, გ. დ-ვას სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილების მართბომიერება და ნ. კ-ძის შეგებებულ სასარჩელო მოთხოვნებთან მიმართებით მისი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა.

18. გ. დ-ვას სარჩელი ეფუძნებოდა ნ. კ-ძესთან რეგისტრირებული ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონების სამართლებრივი რეჟიმის განმსაზღვრელ ნორმებს და მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ იგი ცნობილი უნდა ყოფილიყო ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონებების თანამესაკუთრედ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 1158-ე მუხლის თანახმად, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი. სსკ-ის 1159-ე მუხლის შესაბამისად, თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები. ამ ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ხორციელდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით. სსკ-ის 1168-ე მუხლის თანახმად, იმ ქონების გაყოფისას, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს, მეუღლეთა წილი თანაბარია, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით (გ. დ-ვას სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილში) დასტურდებოდა მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინების არსებობა და სადავო უძრავი ნივთების რეგისტრირებული ქორწინების პერიოდში შეძენა, რაც ქმნიდა პრეზუმირებულ ფაქტს მასზე მეუღლეთა თანასა-

კუთრების შესახებ.

19. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

20. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ ნ. კ-ძის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით ირიცხება შემდეგი უძრავი ქონებები:

1). ქალაქი თბილისი, ... გამზირი, №33ე, ბინა №50, საკადასტრო კოდი: ..., უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: სანოტარო წესით 2006 წლის 27 ოქტომბერს დამოწმებული საბინაო სამშენებლო ამხანაგობა „ჭ-ძე ...-ის“ კრების ოქმი №6, უფლების რეგისტრაციის თარიღი: 08/05/2007;

2). ქალაქი თბილისი, ... გამზირის I შესახვევი №6, საკადასტრო კოდი: ..., უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმებული 2005 წლის 31 აგვისტოს დამოწმებული ნოტარიუსის ბ. ს-ძის მიერ რეესტრით №1-7269, თარიღი: 01/09/2005;

3). ქალაქი თბილისი, ... გამზირი, №33ე, ავტოსადგომი, საკადასტრო კოდი: ..., უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: სანოტარო წესით 2006 წლის 27 ოქტომბერს დამოწმებული საბინაო სამშენებლო ამხანაგობა „ჭ-ძე ...-ის“ კრების ოქმი №6, უფლების რეგისტრაციის თარიღი: 08/05/2007;

4). ქალაქი თბილისი, ... გამზირი, №33ე, ავტოსადგომი, საკადასტრო კოდი: ..., უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: სანოტარო წესით 2006 წლის 27 ოქტომბერს დამოწმებული საბინაო სამშენებლო ამხანაგობა „ჭ-ძე ...-ის“ კრების ოქმი №6, უფლების რეგისტრაციის თარიღი: 08/05/2007;

5). ქალაქი თბილისი, ... გამზირი, №33ე, ავტოსადგომი, საკადასტრო კოდი: ..., უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: ავტოსადგომის ნასყიდობის ხელშეკრულება №1-7495, დამოწმების თარიღი: 26/08/2008, ნოტარიუსი მ. ჟ-ია, უფლების რეგისტრაციის თარიღი: 27/08/2008.

21. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1999 წლის 09 იანვარს, ლას ვეგასში, ნევადაში (აშშ) დარეგისტრირდა საქორწინო ხელშეკრულება გ. დ-ვასა და ნ. კ-ძეს შორის. მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინების შესახებ ინფორმაცია დარეგისტრირდა ასევე ქალაქ რომის სამოქალაქო რეესტრის მიერ. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ გ. დ-ვა და ნ. კ-ძე იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში (1999 წლიდან) და ცხოვრობდნენ ერთ ოჯახად (1984 წლიდან – 2017 წლის იანვრამდე).

22. კასატორი მიიჩნევს, რომ საზღვარგარეთ რეგისტრირებული ქორწინება საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნის დაუცველად არ წარმოშობს მეუღლეთა უფლებებსა და მოვალეობებს, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ კი ძალადაკარგული „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის არასწორი განმარტების შედეგად მიიღო გადაწყვეტილება, ისე, რომ მოქმედი სამართლებრივი ნორმები არ შეუფასებია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან, ნ. კ-ძის საკასაციო პრეტენზია გ. დ-ვას დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნების ნაწილში იმყარება მხოლოდ ზემოაღნიშნულ დასაბუთებას, სსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესის შესაბამისად, საკასაციო პალატა იმსჯელებს მხოლოდ მასზე.

23. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, მითითებული საკითხის სამართლებრივი შეფასების თვალსაზრისით, შესაბამისად, უარყოფს კასატორის პრეტენზიას და მიუთითებს „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოში ნამდვილად ითვლება სამოქალაქო აქტების ჩანაწერები და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც შედგენილია და ლეგალიზებულია ან აპოსტილით დამოწმებულია საზღვარგარეთ, სხვა სახელმწიფოს კანონმდებლობის საფუძველზე, თუ ამ კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. პალატა ასევე მიუთითებს, „სამოქალაქო აქტების შესახებ“ კანონის ამოქმედებამდე და ამავე დროს ქორწინების რეგისტრაციის დროისათვის მოქმედი „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ საქართველოს კანონის“ მე-5 მუხლზე, რომელიც ითვალისწინებდა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისათვის აუცილებელი საბუთების ლეგალიზაციას. მითითებული მუხლის მე-4 ნაწილით უცხო სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებში შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებული სამოქალაქო აქტები ამ კანონით გათვალისწინებულ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციაზე უფლებამოსილ ორგანოებში რეგისტრაციას არ ექვემდებარება. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილია ამერიკის შეერთებული შტატების, ნევადას შტატის, კლარკის ოლქის კლერკის სამსახურის მიერ აპოსტილით დამოწმებული ქორწინების მოწმობა, რომლითაც დასტურდება, რომ გ. დ-ვა და ნ. კ-ძე დაქორწინდნენ 1999 წლის 09 იანვარს (აპოსტილით დამოწმების თარიღი 2017 წლის 21 თებერვალი). ასევე წარმოდგენილია რომის მმართველობის ტერიტორიული სამსახურის მიერ აპოსტილით დამოწმებული ქორწინების შესახებ აქტის ამონაწერი, რომელიც ადასტურებს იტალიის რესპუბ-

ლიკის შესაბამისი მარეგისტრირებული ორგანოს მიერ ქორწინების შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციას (ქორწინების შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციის თარიღი – 2018 წლის 02 მაისი, აპოსტილით დამოწმების თარიღი – 2018 წლის 21 ივნისი). საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მითითებული დოკუმენტებით დასტურდება გ. დ-ვასა და ნ. კ-ძეს შორის რეგისტრირებული ქორწინების არსებობა და სამოქალაქო კოდექსის 1158-ე, 1159-ე და 1168-ე მუხლების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ მართებულად დატოვა უცვლელად პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა გ. დ-ვას სასარჩელო მოთხოვნა – ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონებების თანამესაკუთრედ ცნობის შესახებ.

24. კასატორის პრეტენზია შეეხება ასევე მის შეგებებულ სასარჩელო მოთხოვნებს. კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს შეამცირა შეგებებული სარჩელის მოთხოვნები, თუმცა სააპელაციო პალატამ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არასწორად აღნიშნა, რომ ამ მოთხოვნებთან მიმართებით აპელანტმა უარი თქვა სააპელაციო საჩივარზე. კასატორი ასევე მიუთითებს, რომ სააპელაციო პალატას იმ შემთხვევაში, თუ აპელანტი უარს იტყოდა მოთხოვნაზე, უნდა გამოეყენებინა სსსკ-ის 378-ე მუხლის დანაწესი და შეენეციტა საქმის წარმოება, რაზეც მხარეს შეეძლო შეეტანა კერძო საჩივარი.

25. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაზე, რომლის აღწერილობით ნაწილში, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის საფუძველების აღწერისას მითითებულია, რომ სააპელაციო პალატის 2022 წლის 16 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე ნ. კ-ძის წარმომადგენელმა უარი თქვა სააპელაციო საჩივარზე იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შემდეგი სასარჩელო მოთხოვნები: ნ. კ-ძის სასარგებლოდ, ბინის დაუქირავებლობის 48000 აშშ დოლარის, იძულებით აყვანილი დაცვის სამსახურზე გადახდილი თანხის – 3000 ლარის, ქირის თანხის – 1300 ლარის, ტანსაცმლისა და პირველადი მოხმარების ნივთებისათვის დახარჯული თანხის – 1000 ლარის, სახლში დარჩენილი 1000 ევროს, გატეხილი ნეკნის მკურნალობის თანხის – 5000 ლარის, იტალიაში გამგზავრებისათვის აღებული სესხის თანხის – 20000 ევროს ეკვივალენტი ლარისა და მორალური ზიანის 20000 ლარის გ. დ-ვასათვის დაკისრებაზე. გასაჩივრებული განჩინების სამოტივაციო ნაწილი სათანადო მსჯელობას მითითებულ საკითხზე არ შეიცავს და არც სარეზოლუციო ნაწილშია ასახული შესაბამისი შედეგი.

26. სსსკ-ის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში ამ კოდექსში ჩამოყალიბებუ-

ლი წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო პალატის 2022 წლის 16 ოქტომბრის სასამართლო სხდომის ოქმით ნათლად არ ირკვევა, ნ. კ-ძის წარმომადგენლის პოზიცია შეგებებული სასარჩელო მოთხოვნების ნაწილთან (ნ. კ-ძის სასარგებლოდ, ბინის დაუქირაველობის 48000 აშშ დოლარის, იძულებით აყვანილი დაცვის სამსახურზე გადახდილი თანხის – 3000 ლარის, ქირის თანხის – 1300 ლარის, ტანსაცმლისა და პირველადი მოხმარების ნივთებისათვის დახარჯული თანხის – 1000 ლარის, სახლში დარჩენილი 1000 ევროს, გატეხილი ნეკნის მკურნალობის თანხის – 5000 ლარის, იტალიაში გამგზავრებისათვის აღებული სესხის თანხის – 20000 ევროს ეკვივალენტი ლარისა და მორალური ზიანის 20000 ლარის გ. დ-ვასათვის დაკისრებაზე) მიმართებით, კერძოდ, გაურკვეველია აპელანტი საბოლოოდ თუ რა პოზიციას აფიქსირებს შეგებებული სასარჩელო მოთხოვნების ამ ნაწილებზე, ამცირებს სასარჩელო მოთხოვნას, თუ უარს ამბობს მასზე. საკასაციო საჩივარში მითითებულია, რომ ნ. კ-ძემ სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ საკითხის გარკვევის მიზნით საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს, იმისათვის, რომ სააპელაციო პალატამ გამოარკვიოს ნ. კ-ძის წარმომადგენლის მიერ სასამართლო სხდომაზე დაყენებული მოთხოვნის შინაარსი და დაადგინოს მხარის მითითება სასარჩელო მოთხოვნების შემცირებაზე (ნ. კ-ძის სასარგებლოდ, ბინის დაუქირაველობის 48000 აშშ დოლარის, იძულებით აყვანილი დაცვის სამსახურზე გადახდილი თანხის – 3000 ლარის, ქირის თანხის – 1300 ლარის, ტანსაცმლისა და პირველადი მოხმარების ნივთებისათვის დახარჯული თანხის – 1000 ლარის, სახლში დარჩენილი 1000 ევროს, გატეხილი ნეკნის მკურნალობის თანხის – 5000 ლარის, იტალიაში გამგზავრებისათვის აღებული სესხის თანხის – 20000 ევროს ეკვივალენტი ლარისა და მორალური ზიანის 20000 ლარის გ. დ-ვასათვის დაკისრების ნაწილში), წარმოადგენს სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ სარჩელის შემცირებას, თუ მითითებულ ნაწილში სარჩელზე უარის თქმას და ამის შემდეგ მიიღოს ამ ნაწილში შესაბამისი გადაწყვეტილება.

27. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს ასევე იმას, რომ ნ. კ-ძის ერთ-ერთ შეგებულ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა გ. დ-ვასთვის მის სასარგებლოდ ბერკლის, „BARCLAYS“ /ლონდონი, გაერ-

თიანებული სამეფო, N22 5LA, ბერკლის ლესტერი – LE87 2BB/ – საბანკო ანგარიშიდან გატანილი ფულადი თანხის – 59500 ფუნტი სტერლინგის ნახევრის – 29750 ფუნტი სტერლინგის ეკვივალენტი ლარის დაკისრება. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელი აღნიშნულ ნაწილში სრულად დაკმაყოფილდა. მიუხედავად აღნიშნულისა, ნ. კ-ძის სააპელაციო საჩივრის ერთ-ერთ მოთხოვნას კვლავ წარმოადგენდა გაერთიანებული სამეფოს საბანკო ანგარიშიდან გატანილი თანხის ნახევრის (29750 ფუნტი სტერლინგის ეკვივალენტი ლარის) ანაზღაურება (ნ. კ-ძის სააპელაციო მოთხოვნას წარმოადგენდა შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილება). საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემდგომ, სააპელაციო პალატამ ზემოაღნიშნული მოთხოვნის ნაწილში უნდა გაითვალისწინოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის დანაწესი (სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში), რომელიც მოიაზრებს გასაჩივრების მსურველი მხარის იმ შესაძლებლობას, რომ ზემდგომი წესით მან იდავოს მხოლოდ გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომლითაც მის მოთხოვნას ეთქვა უარი დაკმაყოფილებაზე (იხ. მაგ სუსგ №ას-169-159-2014) და ისე მიიღოს გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ გარემოებაზე, რომ გადაწყვეტილება ამ ნაწილში ნ. კ-ძის წინააღმდეგ არ არის გამოტანილი.

28. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო საქმეზე გადაწყვეტილებას თვითონ მიიღებს, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძვლები.

29. მოცემული ნორმების ანალიზის, წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთებისა და მსგავს დავებზე უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, ვინაიდან საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, თავად მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

30. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეუღია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილ-

დეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადანყვებილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. კ.-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 30 ნოემბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1285-2018

1 აპრილი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
მ. ერემაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 31 მაისის გადანყვებილებით ტ. გ.-ის (შემდეგში: მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი) სარჩელი მ. ო.-ისათვის (შემდეგში: მოპასუხე) 8481 აშშ დოლარის ეკვივალენტის ეროვნულ ვალუტაში გადახდის დაკისრების მოთხოვნით არ

დაკმაყოფილდა;

2. პირველი ინსტანციის სასამართლო მოცემულ საქმეზე შემდეგ უდავო ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითა:

2.1. მოსარჩელე და გ. კ-ი (შემდეგში: მოსარჩელის მეუღლე ან მოპასუხის დედა) 1983 წლიდან იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში;

2.2. მოსარჩელის მეუღლემ ბორჯომის კომუნალურ საწარმოო კომბინატის სახლმმართველობისგან 1996 წლის 23 აგვისტოს საკუთრებაში უსასყიდლოდ მიიღო საცხოვრებელი ბინა მდებარე ქ. ბორჯომში, ... ფართი – 35.8 კვმ;

2.3. მოსარჩელის მეუღლემ, მისი კუთვნილი საცხოვრებელი ბინიდან ორი ოთახი, ფართით 25.80 კვმ., მდებარე ბორჯომში, ..., 2009 წლის 3 ივლისს თავის შვილს (მოპასუხეს) აჩუქა;

2.4. მოპასუხემ 2009 წლის 1 სექტემბერს განცხადებით მიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებელს და მოითხოვა ქ. ბორჯომში, ... მდებარე საცხოვრებელ ბინაზე უკანონოდ მიშენებული ფართის დაკანონება;

2.5. ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2009 წლის 21 ოქტომბერს მიიღო ბრძანება №558 მოპასუხის უნებართვო მშენებლობის ლეგალიზებისა და ექსპლუატაციაში მიღების შესახებ, რომლითაც ლეგალიზებული და ექსპლუატაციაში მიღებული იქნა ბორჯომში, ... არსებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე მოპასუხის კუთვნილი მიშენება საერთო ფართით 19,4 კვ.მ. მათ შორის დამხმარე ფართი – 17.2 კვმ. საზაფხულო ფართი – 2.2 კვმ;

2.6. ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2009 წლის 21 ოქტომბრის ბრძანება №558 მოპასუხის უნებართვო მშენებლობის ლეგალიზებისა და ექსპლუატაციაში მიღების შესახებ, არ გასაჩივრებულა და კანონიერ ძალაშია.

2.7. 2013 წლის 13 აპრილს მოპასუხის დედა, რომელიც მოსარჩელის მეუღლეა, გარდაიცვალა;

2.8. საჯარო რეესტრიდან 2014 წლის 23 მაისის ამონაწერით დადგენილია, რომ ქ. ბორჯომში, ... მდებარე უძრავი ქონების (45.2. კვ.მ. ფართი, ს/კ ...) – იხ. მტკიცებულებები: ქორწინების მონმოზა №...; მოპასუხის დედის გარდაცვალების მონმოზა №...; 1996 წლის 23 აგვისტოს №183 ხელშეკრულება; 03.07.2009წ. ჩუქების ხელშეკრულება; 23.05.2014წ. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; მოპასუხის 12.08.2009წ. განცხადება; ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2009 წლის 21 ოქტომბრის №558 ბრძანება უნებართვო მშენებლობის ლეგალიზების და ექსპლუატაციაში მიღების შესახებ;

2.9. ზემოხსენებული გარემოებები მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ.

2.10. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 316-ე მუხლის პირველ ნაწილზე „ვალდებულების ძალით, კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება“, 317-ე მუხლის პირველ ნაწილზე „ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მხარეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან“ და 992-ე მუხლზე „პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი“ დაყრდნობით განმარტა, რომ დავის გადანაცვებისათვის, პირველ რიგში, უნდა შეფასებულიყო მხარეთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი. არ არსებობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვალდებულების გარეშე, რაც იმას ნიშნავს, რომ მოთხოვნის უფლების არსებობისათვის საჭიროა მოთხოვნის უფლების მქონე მხარე ვალდებულებით ურთიერთობაში იყოს მოპასუხესთან, ანუ, მათ შორის უნდა არსებობდეს სახელშეკრულებო ურთიერთობა, ან მისი მოთხოვნა უნდა გამომდინარეობდეს დელიქტური ვალდებულებიდან ან უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან;

2.11. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხის უკანონო ქმედებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. კერძოდ, მოსარჩელის მეუღლემ (რომელიც მოპასუხის დედა იყო) უკანონოდ გადასცა მოპასუხეს უძრავი ქონება, რომელიც ასევე მოსარჩელის საკუთრებაა, ხოლო თავად მოპასუხემ მოსარჩელის მიერ მიშენებული ფართი, როგორც საკუთარი, არამართლზომიერად დაიკანონა. მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია 2009 წლის 3 ივლისს მის მეუღლესა და მოპასუხეს დადებული ჩუქების ხელშეკრულება (იხ. 2.2 ქვეპუნქტი), ასევე ძალაშია და მოქმედებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2009 წლის 21 ოქტომბრის №558 ბრძანება უნებართვო მშენებლობის ლეგალიზების და ექსპლუატაციაში მიღების შესახებ (იხ. 2.4-2.5. ქვეპუნქტები); ამასთან, 23.05.2014წ. მდგომარეობით მომზადებული ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დადგენილია, რომ მოპასუხეს საკუთრებაში გააჩნია ქ. ბორჯომი, ... მდებარე უძრავი ქონება (ს/კ ...). ამდენად, სადავო არ არის ჩუქების ხელშეკრულების კანონიერება, ასევე უნებართვო მშენებლობის ლეგალიზების და ექსპლუატაციაში მიღების შესახებ ბრძანების კანონიერება. წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება მოპასუხის მხრიდან რაიმე უკანონო ქმედება, რომლითაც შესაძლებელია ზიანი მისდგომოდა მოსარჩელეს;

2.12. პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ დელიქ-

ტური ვალდებულება წარმოიშობა დაზარალებულის სამოქალაქო უფლებების დარღვევის შედეგად, ატარებს არასახელშეკრულებო ხასიათს და მიმართულია მიყენებული ქონებრივი ან მორალური ზიანის ანაზღაურების კენ. სასამართლომ სსკ-ის 992-ე მუხლის (ნორმის დეფინიცია იხ. 2.9 ქვეპუნქტში) შემადგენელ ელემენტებზე – მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი და მიზეზობრივი კავშირის არსებობა ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის – მიუთითა და დაასკვნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელისა და მოპასუხის ახსნა-განმარტებებით, წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებით ვერ იქნა დადასტურებული მოპასუხის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისა და ამ ქმედების შედეგად მოსარჩელისათვის მატერიალური ზიანის მიყენების ფაქტი. შესაბამისად, არ არსებობდა მოპასუხე მხარისათვის, მოსარჩელის სასარგებლოდ, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების საფუძველი, რაც სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთების უარყოფას ნიშნავს.

2.13. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყევტილება, რომელიც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ და, ახალი გადანყევტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 8 თებერვლის განჩინებით.

2.14. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება, ამასთან, მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 178-ე მუხლით მოსარჩელისათვის განსაზღვრულ ვალდებულებაზე, თავისი დარღვეული თუ სადავოდ გამხდარი უფლების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობის თაობაზე. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა არ არის აბსტრაქტული უფლება, რადგან იმავდროულად იზღუდება განმცხადებლის ვალდებულება, დაიცვას სსსკ-ით გათვალისწინებული პირობები, რაც სარჩელის განსახილველად მიღებისა თუ საქმის არსებითი განხილვისათვის აუცილებელ გარემოებას წარმოადგენს.

2.15. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, განსახილველ საქმეზე მოსარჩელის სტადია არსრულყოფილად არის განხორციელებული, რადგან სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. მოსარჩელემ სასამართლოს უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, მაშინ სარჩელი უკვე ამის საფუძველ-

ზევე არ უნდა დაკმაყოფილდეს (მოსარჩელის სტადია). დისპოზიციურობის პრინციპი უზრუნველყოფს დავის საგანზე მხარეთა ბატონობას და მხარეებს ანიჭებს შესაძლებლობას, თვითონ გადაწყვიტონ, თუ რომელი ფაქტები დაურთონ მოთხოვნას საფუძველად, თუმცა, მისი შინაარსი იმგვარად უნდა იქნეს ჩამოყალიბებული, რომ სრულყოფილად განსაზღვროს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველის ნორმატიული შინაარსი. ამ პირობას მნიშვნელოვანი სამართლებრივი ფუნქცია გააჩნია, რადგან შესაძლებლობას ანიჭებს სასამართლოს, შეამოწმოს იურიდიული კავშირი მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ფაქტებსა და მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს შორის. სასამართლო აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება არ უნდა იყოს მხარისათვის მოულოდნელი. მოთხოვნის ადრესატმა უნდა იცოდეს მის მიმართ არსებული პრეტენზიის, როგორც ფაქტობრივი, ისე – სამართლებრივი შინაარსი. მოპასუხე ასევე სარგებლობს პროცესუალური უფლებით, დაეთანხმოს ან სადავოდ გახადოს მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებები;

2.16 სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული წინაპირობები უნდა განსაზღვრავდეს მოთხოვნის სამართლებრივი ნორმის დისპოზიციურ მხარეს. სასამართლოს კვლევა ფაქტობრივი შემადგენლობის ნაწილში მიმდინარეობს იმ ნორმების ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის საფუძველს. თუ მოსარჩელის მიერ ფაქტობრივი მხარე არასრულყოფილად არის მითითებული, იმთავითვე გამოირიცხება უფლების რეალიზაცია კონკრეტული ნორმატიული შინაარსის ქრილში. „... მოთხოვნა არსებობს მაშინ, როდესაც მოცემულია კანონით გათვალისწინებული წინაპირობანი, ანუ ნორმის შემადგენელი ელემენტები“ (იხ. თომას ჰერმანი, მტკიცებულებითი სამართალი).

2.17 სააპელაციო სასამართლოს განსჯით მოსარჩელემ სათანადო წესით ვერ მიუთითა, თუ რაში გამოიხატა მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება, მით უფრო იმ პირობებში, რომ მოსარჩელეს (აპელანტს) სადავოდ არ გაუხდია მისი მეუღლის მიერ შვილისათვის (მოპასუხისათვის) უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულების კანონიერება; დადგენილია, რომ მოპასუხე ნამდვილი ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე წარმოადგენს სადავო უძრავი ნივთის, მათ შორის, მიშენებული ფართის მესაკუთრეს და მისთვის, მოსარჩელის სასარგებლოდ არ არსებობს ზიანის ანაზღაურების დაცისრების სამართლებრივი წინაპირობები, რაც სააპელაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმისა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების საფუძველია.

3. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

3.1. მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააპელა-

ციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 8 თებერვლის განჩინება, მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა შემდეგ ძირითად პრეტენზიებზე დაყრდნობით;

3.1.1. კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ მოსარჩელემ დააზუსტა თავისი სასარჩელო მოთხოვნა, ამასთან, სააპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვებით, გასცდა პირველად სასარჩელო მოთხოვნას და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას;

3.1.2. სასამართლომ აპელანტს დააკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა იმ პირობებში, როდესაც ის გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟისაგან, თანაც სასამართლოს გარეშე ხარჯი დაეკისრა, რაც სასამართლო ხარჯში შემავალი ცნებაა;

3.1.3. მოსარჩელეს არც ერთი ინსტანციის სამართალწარმოების ეტაპზე არ მიეცა მხარესთან მოლაპარაკების წარმოების უფლება;

3.1.4. სასამართლო უთითებს სსკ-ის 992-ე მუხლზე, თუმცა ვერ ხედავს სარჩელში მის წინაპირობებს, რაც ალოგიკურია.

3.2. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო განაცხადი დასაშვებად იქნა ცნობილი სსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

3.3. კასატორმა და მოწინააღმდეგე მხარემ უზენაეს სასამართლოს შეატყობინეს, რომ ისინი მორიგებით აპირებდნენ საქმის დასრულებას, ამის დასტურად, კასატორმა და მოპასუხის წარმომადგენელმა 2019 წლის 1 ივლისს წარმოადგინეს ერთობლივად ხელმოწერილი საჩივარი, სადაც მიუთითეს, რომ სასამართლოს მიეცა გონივრული ვადა მორიგების მიზნით, ხოლო, თუ ვერ მიაღწევდნენ მორიგებას, ამის შესახებ აცნობებდნენ სასამართლოს; საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი 2019 წლის 1 ივლისის განცხადებაზე მხარეთა ხელმოწერა არ არის ნოტარიულად დადასტურებული;

3.4. კასატორმა 2019 წლის 16 აგვისტოს, იმავე წლის 11 ნოემბერს, ასევე 2020 წლის 2 ივნისს წერილობითი განცხადებებით მომართა უზენაეს სასამართლოს, სადაც მიუთითა, რომ მოდავე მხარეებმა ნოტარიულად დამოწმებული განცხადებით მიმართეს „საქმის გამოხმოზაზე“ და მოითხოვა საქმის მასალები.

3.5. კასატორის ადვოკატმა 2021 წლის 30 ივნისს წარმოადგინა წერილობითი განცხადება, რომელსაც ერთვის მორიგების აქტის პროექტი და მიუთითა, რომ მხარეები აპირებდნენ მორიგებას და ამ მიზნით სარჩელის გამოხმოზას, თუმცა, მოწინააღმდეგე მხარემ უარი განაცხადა მორიგებაზე, შესაბამისად, მორიგება ვერ შედგა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვის შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ წარმოდგენილი საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს.

4. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). სსსკ-ის 410-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. მოცემულ შემთხვევაში სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე უცვლელად რჩება გასაჩივრებული განჩინება.

5. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში უთითებს, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი ნაწილის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას. საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში; მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძვლებთან ერთობლი-

ობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს (იხ. ბოელინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდთა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 38.) კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა. მოთხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა.

6. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირისაქენ მიმართული უფლებაა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა, საპროცესო-სამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადაწყვეტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.

7. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და მათი აღრევა არიდებული უნდა იქნეს. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება, მოსარჩელის უფლებამოსილებაა, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა (იხ. ბოელინგი /ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდთა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42.)

8. მოთხოვნის საფუძველის (საფუძველების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ

მისი მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან თუ სხვა ვალდებულებითი ურთიერთობებიდან.

9. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). მოსარჩელის სტადიის შემდეგ, სასამართლომ უნდა შეამოწმოს მოპასუხის სტადია, რაც მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების პასუხად შესაგებელში შედავებული გარემოებების კვალიფიციურობაზეა დამოკიდებული. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის დიდი პალატის გადაწყვეტილებაში (საქმეზე №ას-664-635-2016; პუნქტი 201) მითითებულია: „2007 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარდგენა სავალდებულო ხასიათს ატარებს (საქართველოს 28.12.2007წ.-ის კანონი №5669-სსმ), რაც იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნული საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობა მხარისათვის უარყოფით საპროცესო სამართლებრივ შედეგებს იწვევს. კერძოდ, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ითვლება შეუდავებლად და, შესაბამისად, დამტკიცებულად. სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შესაგებლის წარუდგენლობის ფაქტი თავისთავად განსაზღვრავს მტკიცების საგანს, რადგანაც მოსარჩელე თავისუფლდება სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცებისაგან. აღნიშნული გარემოება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობაცაა. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია მოპასუხის მიერ კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება, კერძოდ, სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ, დასაბუთებულ მოთხოვნას ანუ დავის გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები (და არა მისი სამართლებრივი შეხედულებე-

ბი) დამტკიცებულად ითვლება“.

10. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ (კასატორმა) სარჩელით მოითხოვა ჩუქების ხელშეკრულების (იხ. წინამდებარე განჩინების 2.2 ქვეპუნქტი), ნაწილობრივ ბათილად ცნობა და საჯარო რეესტრში მოპასუხის საკუთრებად რიცხული უძრავი ქონების (მდებარე ქ. ბორჯომი, ...) ნაწილზე მესაკუთრედ ცნობა, თუმცა, პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე, მოსარჩელის წარმომადგენელმა – გ. გ-ქემ მიუთითა, რომ ვინაიდან მოპასუხემ უარი განაცხადა მორიგების ყველა პირობაზე, მოსარჩელე შუამდგომლობდა სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტებას. საბოლოოდ, სასარჩელო მოთხოვნა შემდეგი სახით ჩამოყალიბდა: სადავო ბინის გამიჯვნის შეუძლებლობიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ფართის მიკუთვნების ნაცვლად, მოითხოვა სადავო ფართის ღირებულების მიკუთვნება, აუდიტის დასკვნის გათვალისწინებით, რაც 8 481 აშშ დოლარის ეკვივალენტურია ლარში; ეს თანხა მოიცავს მოსარჩელის მეუღლის მიერ მოპასუხისათვის გაჩუქებული უძრავი ქონების ღირებულებას – 3 008 აშშ დოლარს, ასევე, ლეგალიზებული ქონებიდან მოსარჩელის კუთვნილი წილის – 14.55 კვმ-ის ღირებულებას, რაც 5 472 აშშ დოლარია; შუამდგომლობას სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტებაზე დაეთანხმა მოპასუხის წარმომადგენელი, რის შემდეგაც პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა დაზუსტებული მოთხოვნის წარდგენაზე და მოსამზადებელი სხდომა მთავარ სხდომაში გადაიზარდა.

11. მოსარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი იმას ემყარება, რომ მისი ან გარდაცვლილი მეუღლის მიერ ჩუქების ხელშეკრულებით შვილისათვის (მოპასუხისათვის) ქონების ნაწილის გადაცემა უკანონოა, რადგან მოსარჩელის თანხმობა არ ყოფილა ასეთ განკარგვაზე, ხოლო უძრავი ქონება, როგორც რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში მიღებული, მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს, შესაბამისად, მისი წილი ქონებაც შვილს აჩუქა მოსარჩელის მეუღლემ და ამჟამად ამ ნაწილის ფულად კომპენსაციას ითხოვს კასატორი; ასევე, მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხე 1992 წლიდან საბერძნეთში სამუშაოდ იყო წასული, მას არც წილი ეკუთვნოდა და არც თვითნებურ მიშენებაში მიუღია მონაწილეობა; მოსარჩელემ გასული საუკუნის 90-იან წლებში სადავო ბინა 19.4 კვმ ფართი მიაშენა, თუმცა, მოპასუხემ შეცდომაში შეიყვანა გამგებელი და 2009 წელს ლეგალიზაციის გზით დაიკანონა ეს მიშენება;

12. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო, მიუთითა, რომ მას უკანონო ქმედება არ განუხორციელებია და, შესაბამისად, არც მოსარჩელისათვის მიუყენებია ზიანი;

13. წინამდებარე განჩინების 5-9 პუნქტებში მითითებული მსჯელო-

ბიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, რომ მოსარჩელე სსკ-ის 1160-ე მუხლიდან „1. იმ ქონების განკარგვა, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებაშია, ხდება მეუღლეთა შეთანხმებით, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქონებას. 2. მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ: ა) მან არ იცოდა გარიგების შესახებ; ბ) ის არ ეთანხმებოდა გარიგებას. 3. მეუღლეს, როგორც თანამესაკუთრეს, უფლება აქვს, მოითხოვოს ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი“ გამომდინარე ითხოვს მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებას. მოსარჩელის (კასატორის) მტკიცებით, მეუღლეთა თანასაკუთრებიდან მისი წილი ქონების განკარგვაც მოხდა მისი ან გარდაცვლილი მეუღლის მიერ მოპასუხისათვის ქონების ნაწილის ჩუქებით (იხ. წინამდებარე განჩინების 2.1-2.3 და 2.6 ქვეპუნქტები), რითაც მან ზიანი განიცადა. მოსარჩელის ეს მტკიცება არ არის გაზიარებული, რადგან, სსკ-ის 1160-ე მუხლის საფუძველზე დადგენილია, რომ მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა მეუღლეთა შეთანხმებით ხდება, ამასთან არ აქვს მნიშვნელობა, რომელი მეუღლე განკარგავს მას. რაც შეეხება ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქონების განკარგვასთან დადებული გარიგების ბათილად ცნობას მეორე მეუღლის მოთხოვნის საფუძველზე, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუ ქონების განმკარგავი მეუღლე არ იყო საამისოდ უფლებამოსილი და დამტკიცდება, რომ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ ასეთი განკარგვის უფლება არ ჰქონდა;

14. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელის მეუღლემ 2009 წელს თავის შვილს – მოპასუხეს აჩუქა ქონების ნაწილი და არა მთლიანი ქონება, მოსარჩელის მეუღლე 2013 წლის 13 აპრილს გარდაიცვალა, 2009 წლიდან 2013 წლამდე, ანუ მეუღლის გარდაცვალებამდე მოსარჩელეს (კასატორს) სადავოდ არ გაუხდია თანასაკუთრებაში არსებული ქონების ნაწილის განკარგვა, რაც ქმნის პრეზუმფციას, რომ მოსარჩელის თანხმობა არსებობდა ქონების ასეთ განკარგვაზე (იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი – 1160-ე მუხლი; გვ. 111; მთ. რედ. ჭანტურია ლ; 2000წ.). მოსარჩელე ვერ ადასტურებს, რომ მის მეუღლეს არ ჰქონდა თანასაკუთრებაში არსებული ქონების ნაწილის განკარგვის უფლებამოსილება, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მეუღლემ ქონების ნაწილი თავის შვილს – მოპასუხეს აჩუქა;

15. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ასევე სამართლებრივად უფარგისია მოსარჩელის მტკიცება, რომ მოპასუხე 1992 წლიდან საბერძნეთში იყო სამუშაოდ წასული და მას თვითნებურ მშენებლობაში არაავითარი მონაწილეობა არ მიუღია. იმ ფაქტობრივი გარემოების

დასამტკიცებლად, რომ მოსარჩელემ მიაშენა უძრავ ნივთს გარკვეული ფართი, საქმეში არც ერთი მტკიცებულება არ არის წარმოდგენილი, ხოლო სარჩელზე თანდართული მტკიცებულებები კასატორის სანინა-ალმდეგოა, რადგან მის მიერ საჯარო რეესტრიდან გამოთხოვილი დოკუმენტაციის მიხედვით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილია, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებელს 2009 წლის 31 აგვისტოს განცხადებით მიმართა მოპასუხემ და განხორციელებული მშენებლობის დაკანონება მოითხოვა. მოპასუხემ გამგეობისადმი წარდგენილ განცხადებას თან დაურთო მისივე დაკვეთით 2009 წლის 27 ივლისს მომზადებული შიდა საკადასტრო აზომვითი ნახაზი; მოპასუხის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების შესწავლის გზით მოხდა მიშენების დაკანონება; სადავო არაა, რომ მოპასუხე 2009 წლის 13 ივლისიდან აღრიცხულია, როგორც დედის (მოსარჩელის მეუღლის) მიერ ნაჩუქარი, ისე მიშენებული და დაკანონებული ფართის – 45,20 კვ.მ მესაკუთრედ. საქმის მასალებში არც ერთი მტკიცებულება არ არის წარმოდგენილი, რომელიც სადავო ქონებაზე მოსარჩელის რესურსებით ფართის მიშენებას დაადასტურებდა.

16. საქმის მასალებში თვითონ მოსარჩელისავე მიერ წარმოდგენილი სამკვიდრო მოწმობით დასტურდება, რომ კასატორმა, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ამ უკანასკნელის პირველი რიგის მემკვიდრემ საკუთრებაში მიიღო მამკვიდრებლის საკუთრებად რიცხული ქონება (მდებარე ბორჯომში, ... ქ. 35, სართული 3) 9.80 კვ.მ; ასევე დასტურდება, რომ კასატორმა მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, 2014 წელს მიმართა საჯარო რეესტრს და გამოითხოვა მის მიერ სადავოდ ქცეული ჩუქების ხელშეკრულება და საჯარო რეესტრის ამონაწერები.

17. საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან და მათ ფარგლებში საკასაციო საჩივრის პრეტენზიების არსებითად განხილვის გზით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი სსკ-ის 1160-ე, 408.1 „იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“ და 409-ე „თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება“, 992-ე მუხლების თანახმად არ ვლინდება, რადგან მოსარჩელის მეუღლის მიერ თანასაკუთრების ნაწილის განკარგვასთან მოპასუხის რაიმე კავშირი და მისი ბრალეული, არამართლზომიერი ქმედებები არ ვლინდება, ისევე, როგორც სადავო ქონებაზე განხორციელებული მიშენებით მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება არ დასტურდება, რაც გა-

მორიცხავს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებას;

18. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადანყევტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზეა დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება (შეად. სუსგ-ებს: №ას-475-2019, 15.04.2021წ; №ას-1065-2020, 08.04.2021წ; №ას-338-2019, 22.03.2021წ; №ას-1433-2021, 06.08.2021წ; №ას-754-2021, 02.12.2021წ; №ას-524-2021, 08.12.2021წ.).

19. სსსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრვენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

20. მტკიცების ტვირთს ანესრიგებს სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა

სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მოწინააღმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან).

21. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაქტულტატური მოვალეობა. მხარეები სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, სრულიად თავისუფალნი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან.

22. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა – სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურ სამართლებრივი ნორმა. მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის

მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბიოლინგი, ლადო ქანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდика, თბ., 2003, გვ.64).

23. კასატორის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლო გასცდა სასარჩელო მოთხოვნას გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვებით, სრულიად დაუსაბუთებელია (იხ. წინამდებარე განჩინების მე-10 პუნქტი); ასევე დაუსაბუთებელია საკასაციო საჩივრის ის არგუმენტი, რომ მოსარჩელეს არ უნდა დაკისრებოდა სასამართლოს გარეშე ხარჯის გადახდა (იხ. წინამდებარე განჩინების 3.1.3 ქვეპუნქტი), რადგან სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა მოპასუხის მოთხოვნაზე სააპელაციო სასამართლოში იურიდიული დახმარებისათვის გაწეული ხარჯის 840 ლარის აპელანტისათვის დაკისრების თაობაზე, რაც, სსსკ-ის 37-ე მუხლის საფუძველზე, 300 ლარის ოდენობით დაკმაყოფილდა.

24. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო საჩივრის ავტორმა, რომელიც მოსარჩელეა, ვერ შეძლო მისი სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლების დამაჯერებლად მითითება და შესატყვისი მტკიცებულებების წარდგენა, რომ მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით (ან მოპასუხისა და მოსარჩელის მეუღლის შეთანხმებული ქმედებით) მას ზიანი მიადგა, რის გამოც მისი საკასაციო განაცხადი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება.

25. კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ტ. გ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 8 თებერვლის განჩინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მეუღლის ქონების გადაქცევა მეუღლეთა თანასაკუთრებად

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1068-2018 22 თებერვალი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: თ. ზამბახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
მ. ერემაძე

დავის საგანი: მესაკუთრედ აღიარება, თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუ-
ციო ნაწილი და საფუძველი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლე-
გიის 15.02.2017 წლის გადაწყვეტილებით:

1.1. დაკმაყოფილდა ვ. გ-ის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, რო-
გორც „პირველი მოსარჩელე“), ნ. გ-ისა (შემდეგში ტექსტში მოხსენიე-
ბული, როგორც „მეორე მოსარჩელე“) და თ. გ-ის (შემდეგში ტექსტში
მოხსენიებული, როგორც „მესამე მოსარჩელე“, პირველ და მეორე მო-
სარჩელებთან ერთად მოხსენიებული, როგორც „მოსარჩელები“ ან
„შეგებებული სარჩელით მოპასუხეები“) სარჩელი ნ. ნ-ის (შემდეგში ტექ-
სტში მოხსენიებული, როგორც „მოპასუხე“, „შეგებებული სარჩელით
მოსარჩელე“ ან „კასატორი“) მიმართ:

1.1.1. მოსარჩელების სარჩელი დაკმაყოფილდა მოპასუხის მიმართ
უძრავი ქონების 1/2 ნაწილზე მესაკუთრეებად (თანაბარწილად) აღიარ-
ების შესახებ: პირველი მოსარჩელე ცნობილ იქნა 29.09.2013 წელს გარ-
დაცვლილი ვ. გ-ის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მამ-
კვიდრებელი“) სახელზე საკუთრების უფლებით რიცხული უძრავი ქო-
ნების, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ..., ს/კ: ... (შემდეგში ტექსტში
მოხსენიებული, როგორც „პირველი უძრავი ნივთი“), 1/6 ნაწილის მესა-
კუთრედ; მეორე მოსარჩელე ცნობილ იქნა მამკვიდრებლის სახელზე
საკუთრების უფლებით რიცხული პირველი უძრავი ნივთის 1/6 ნაწილის
მესაკუთრედ; მესამე მოსარჩელე ცნობილ იქნა მამკვიდრებლის სახელ-
ზე საკუთრების უფლებით რიცხული პირველი უძრავი ნივთის 1/6 ნაწი-
ლის მესაკუთრედ;

1.1.2. დაკმაყოფილდა მოპასუხის მიმართ სატრანსპორტო საშუალების 1/2 ნაწილზე მესაკუთრეებად (თანაბარწილად) აღიარების შესახებ მოსარჩელების სარჩელი: პირველი მოსარჩელე ცნობილ იქნა მამკვიდრებლის სახელზე საკუთრების უფლებით რიცხული სატრანსპორტო საშუალების – მარკა, მოდელი: FORD TRANSIT 2.5D, სარეგისტრაციო მოწმობა: AV3197..., სახელმწიფო ნომერი: ..., საიდენტიფიკაციო ნომერი: ... (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „პირველი ავტომობილი“) 1/6 ნაწილის მესაკუთრედ; მეორე მოსარჩელე ცნობილ იქნა მამკვიდრებლის სახელზე საკუთრების უფლებით რიცხული პირველი ავტომობილის 1/6 ნაწილის მესაკუთრედ; მესამე მოსარჩელე ცნობილ იქნა მამკვიდრებლის სახელზე საკუთრების უფლებით რიცხული პირველი ავტომობილის 1/6 ნაწილის მესაკუთრედ;

1.1.3. დაკმაყოფილდა მოპასუხის მიმართ უძრავი ქონების ნახევრის 1/2 ნაწილზე მესაკუთრეებად (თანაბარწილად) აღიარების შესახებ მოსარჩელების სარჩელი: პირველი მოსარჩელე ცნობილ იქნა მამკვიდრებლის სახელზე საკუთრების უფლებით რიცხული უძრავი ქონების, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ..., ს/კ: ... (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მეორე უძრავი ნივთი“) 1/12 ნაწილის მესაკუთრედ; მეორე მოსარჩელე ცნობილ იქნა მამკვიდრებლის სახელზე საკუთრების უფლებით რიცხული მეორე უძრავი ნივთის 1/12 ნაწილის მესაკუთრედ; მესამე მოსარჩელე ცნობილ იქნა მამკვიდრებლის სახელზე საკუთრების უფლებით რიცხული მეორე უძრავი ნივთის 1/12 ნაწილის მესაკუთრედ;

1.1.4. დაკმაყოფილდა მოსარჩელების სარჩელი მოპასუხის მიმართ სატრანსპორტო საშუალების ნახევრის 1/2 ნაწილზე მესაკუთრეებად (თანაბარწილად) აღიარების შესახებ: პირველი მოსარჩელე ცნობილ იქნა მამკვიდრებლის სახელზე საკუთრების უფლებით რიცხული სატრანსპორტო საშუალების – მარკა, მოდელი: SUZUKI GRAND VITARA XL 7, სარეგისტრაციო მოწმობა: AV4340..., სახელმწიფო ნომერი: ..., ს/ნ: ... (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მეორე ავტომობილი“), 1/12 ნაწილის მესაკუთრედ; მეორე მოსარჩელე ცნობილ იქნა მამკვიდრებლის სახელზე საკუთრების უფლებით რიცხული მეორე ავტომობილის 1/12 ნაწილის მესაკუთრედ; მესამე მოსარჩელე ცნობილ იქნა მამკვიდრებლის სახელზე საკუთრების უფლებით რიცხული მეორე ავტომობილის 1/12 ნაწილის მესაკუთრედ;

1.2. ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოპასუხის შეგებებული სარჩელი შეგებებული სარჩელით მოპასუხეების მიმართ:

1.2.1. არ დაკმაყოფილდა შეგებებული სარჩელი მამკვიდრებლის სახელზე საკუთრების უფლებით რიცხული პირველი უძრავი ნივთის მეულელთა თანასაკუთრებად ცნობისა და ამ ქონების 1/2 ნაწილზე, საო-

ჯახო სამართლებრივი საფუძვლით, შეგებებული სარჩელით მოსარჩელის მესაკუთრედ ცნობის შესახებ;

1.2.2. არ დაკმაყოფილდა შეგებებული სარჩელი პირველი უძრავი ნივთის რემონტის ხარჯის (3266.50 ლარის) შეგებებული სარჩელით მოპასუხეებისთვის თანაბარწილად დაკისრების შესახებ;

1.2.3. შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა დაკრძალვის ხარჯის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის ნაწილში: პირველ მოსარჩელეს შეგებებული სარჩელით მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2023.3 ლარის გადახდა; მეორე მოსარჩელეს შეგებებული სარჩელით მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2023.3 ლარის გადახდა; მესამე მოსარჩელეს შეგებებული სარჩელით მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2023.3 ლარის გადახდა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგს:

2.1. 2004 წლიდან მოპასუხე და მამკვიდრებელი, ამ უკანასკნელის გარდაცვალებამდე, ცხოვრობდნენ ერთ ოჯახად და ეწეოდნენ საერთო მეურნეობას.

2.2. მოსარჩელებს მამკვიდრებლის სიცოცხლეში მამკვიდრებლისაგან რაიმე ქონება არ მიუღიათ.

2.3. მამკვიდრებლის დანაშთ სამკვიდრო ქონებაზე ანდერძი არ არის შედგენილი და არც სამკვიდრო მონაწილეობა არ არის გაცემული ნოტარიუსის მიერ.

2.4. მოპასუხემ 20.03.2014 წელს მიმართა სანოტარო ბიუროს და მოითხოვა 29.09.2013 წელს გარდაცვლილ მამკვიდრებელთან ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონებიდან საკუთრების მონაწილეობის გაცემა კუთვნილ წილზე. ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონებიდან მამკვიდრებლის წილის განსაზღვრამდე სამკვიდრო მონაწილეობა არ გაიცა. მეორე და მესამე მოსარჩელებს 29.05.2014 წელს უარი ეთქვათ სამკვიდრო მონაწილეობის გაცემაზე სამკვიდროს მასის განსაზღვრამდე.

2.5. მოპასუხე ფაქტობრივად არ ცხოვრობს პირველ უძრავ ნივთში.

2.6. მოსარჩელებს მამკვიდრებლის დაკრძალვისა და მასთან დაკავშირებული ხარჯები არ გაუწევიათ.

2.7. 01.07.2005 წლის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მამკვიდრებელმა შეიძინა პირველი უძრავი ნივთი და საჯარო რეესტრში აღირიცხა ამ ქონების მესაკუთრედ. ნასყიდობის საგნის ღირებულება განისაზღვრა 4000 ლარით.

2.8. მოპასუხე და მამკვიდრებელი დაქორწინდნენ 29.07.2009 წელს. თანაცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი: 25.08.2005 წელს – მ. გ-ი და 15.12.2008 წელს – მ. გ-ი.

2.9. მამკვიდრებელი გარდაიცვალა 29.09.2013 წელს. შესაბამისად,

ამავე დღეს გაიხსნა მისი სამკვიდრო. მას დარჩა ექვსი პირველი რიგის მემკვიდრე: დედა – მესამე მოსარჩელე, მეუღლე – მოპასუხე და შვილები – პირველი მოსარჩელე, მეორე მოსარჩელე, მ. გ-ი და მ. გ-ი.

2.10. მამკვიდრებლის დანაშთ სამკვიდრო მასას წარმოადგენს: 1. პირველი უძრავი ნივთი; 2. პირველი ავტომობილი; 3. მეორე უძრავი ნივთის 1/2 ნაწილი; 4. მეორე ავტომობილის 1/2 ნაწილი.

2.11. აუდიტის 12.09.2016 წლის დასკვნის (აუდიტორი თ. კ-ძე) მიხედვით, შეფასდა პირველ უძრავ ნივთში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების საბაზრო ღირებულება. ამ დასკვნის ავტორისათვის საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების თაობაზე ცნობილი გახდა დამკვეთისაგან და ამ უკანასკნელმა განუმარტა შემფასებელს, რომ ჩატარებულია შემდეგი სამუშაოები: შიდა კედლების დემონტაჟი, ელექტროგაყვანილობისა და სანტექნიკის (სველი წერტილების გადატანა) გამოცვლა, კედლების გალესვა გაჯით, მეტლახის დაგება, შეკიდული ჭერის მოწყობა, რკინის კარი და გისოსების მოწყობა, გარე კიბის დამონტაჟება, მეტალოპლასტმასის ფანჯრის ჩასმა, კედლების შეღებვა და ფანჯრების ჩასმა, გაზიფიცირება. აუდიტმა დამკვეთის მიერ მითითებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების საბაზრო ღირებულება განსაზღვრა 13066 ლარით. 29.11.2016 წელს აუდიტმა პირველი უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულება განსაზღვრა 18 000 ლარით.

2.12. მოპასუხე 15.09.2011 წლის მდგომარეობით რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მენარმედ. 24.03.2015 წელს გაცემული ინფორმაციით, მოპასუხე ვაჭრობს სხვადასხვა სახეობის პროდუქციით. მოპასუხეს სს „ლ. ბ-ში“ 12.02.2013 წლის ხელშეკრულების საფუძველზე გახსნილი ჰქონდა „მშვიდი ანაბარი“. სს „ლ. ბ-ის“ ანგარიშიდან ამონაწერის მიხედვით, მოპასუხის მიერ ფიქსირდება გარკვეული ოდენობის თანხის მოძრაობა საბანკო ანგარიშზე. მხარემ ანგარიშიდან თანხა (882.76 აშშ დოლარი) ბოლოს გაიტანა 27.04.2013 წელს. მოპასუხემ 01.01.2011-01.05.2012 წლებში სს „ს. ბ-ში“ შეიტანა და დეპოზიტის ანგარიშიდან გაიტანა თანხა.

2.13. მამკვიდრებლის დაკრძალვის, საფლავის მოწყობისა და მასთან დაკავშირებული 12140 ლარის ხარჯი მოპასუხემ გაიღო.

2.14. მამკვიდრებელმა პირველი უძრავი ნივთი შეიძინა 01.07.2005 წლის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე და საჯარო რეესტრში აღირიცხა ამ ქონების მესაკუთრედ, ხოლო პირველი ავტომობილის მამკვიდრებლის სახელზე რეგისტრაციის თარიღია 21.05.2009 წელი. მოპასუხესა და მამკვიდრებელს შორის ქორწინება დარეგისტრირდა 29.07.2009 წელს. ამდენად, ზემოაღნიშნული ქონება მიიჩნევა ქორწინებამდე შეძენილ ქონებად და განიხილება მამკვიდრებ-

ლის ინდივიდუალურ საკუთრებად (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) 1161-ე მუხლი). სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 1151-ე და 1158-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ, რადგან მამკვიდრებლის მიერ ზემოაღნიშნული ნივთების შეძენისას მხარეთა შორის არ არსებობდა ქორწინება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასამართლო ვერ გამოიყენებს სსკ-ის 1158-ე მუხლით დადგენილ მეუღლეთა თანასაკუთრების სამართლებრივ დანაწესს. ამდენად, სამკვიდრო მასაში სრულად მოიაზრება პირველი უძრავი ნივთი და პირველი ავტომობილი. სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 1306-ე, 1307-ე, 1319-ე, 1320-ე, 1421.1, 1424-ე, 1336-ე, 1328-ე მუხლებით და მიუთითა, რომ მოსარჩლეებს პირველი უძრავი ნივთიდან და პირველი ავტომობილიდან უნდა მიეკუთვნოთ თითოეულს $1/6$ ნაწილი პირველი რიგის მემკვიდრეთა რაოდენობის პროპორციულად.

2.15. რაც შეეხება მეორე უძრავ ნივთს და მეორე ავტომობილს, უდავოა, რომ აღნიშნული ქონება შეძენილია მამკვიდრებელსა და მოპასუხეს შორის ქორწინების პერიოდში, ამდენად, სსკ-ის 1151-ე და 1158-ე მუხლებით დადგენილი წესის შესაბამისად, მეუღლეთა თანასაკუთრებაა. შესაბამისად, მამკვიდრებლის დანაშთ სამკვიდრო ქონებას წარმოადგენს მეორე უძრავი ნივთისა და მეორე ავტომობილის ნახევარი. ამრიგად, მოსარჩლეებს შესაბამისი წილი უნდა მიეკუთვნოთ ამ ქონების ნახევრიდან ($1/2$ ნაწილიდან). მოპასუხემ ცნო დანაშთი ქონების (მეორე უძრავი ნივთისა და მეორე ავტომობილის ნახევარი) $1/4$ ნაწილზე მოსარჩელეთა თანასაკუთრების უფლება მემკვიდრეობით-სამართლებრივი საფუძვლით, ამდენად, მოსარჩლეებს უნდა მიეკუთვნოთ ამ ქონების თითოეულს $1/12$ ნაწილი პირველი რიგის მემკვიდრეთა რაოდენობის პროპორციულად.

2.16. მოპასუხემ შეგებებული სარჩელით მოითხოვა პირველი უძრავი ნივთის მეუღლეთა თანასაკუთრებად ცნობა და ამ ქონების $1/2$ ნაწილზე მესაკუთრედ აღიარება. მოპასუხესა და მამკვიდრებელს შორის ქორწინება, სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად, დარეგისტრირდა 29.07.2009 წელს, ხოლო პირველი უძრავი ნივთი მამკვიდრებლის მიერ შეძენილია ქორწინებამდე, 01.07.2005 წლის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე. შეგებებული სარჩელით მოსარჩელემ უძრავი ნივთის $1/2$ ნაწილზე მესაკუთრედ აღიარება მოითხოვა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მან გადაიხადა უძრავი ნივთის შესაძენად საჭირო თანხის ნაწილი მამკვიდრებელთან ერთად. საქართველოს კანონმდებლობა არ უშვებს ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის გარეშე შეძენილი ქონების თანასაკუთრების ასპექტში განხილვას. სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, ქორწინების რეგისტ-

ტრაციის ფაქტის გარეშე შეძენილ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის დაწესება არ შეიძლება მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული. ამდენად, პირველ უძრავ ნივთზე, შეძენილია რა მოპასუხისა და მამკვიდრებლის ქორწინებამდე, სასამართლო ვერ გაავრცელებს სსკ-ის 1158-ე მუხლით დადგენილ მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პირველი უძრავი ნივთის მეუღლეთა თანასაკუთრებად ცნობის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც, მოპასუხეს არ გააჩნია სადავო ქონების 1/2 ნაწილზე მესაკუთრედ აღიარების მოთხოვნის უფლება.

2.17. მოპასუხემ შეგებებული სარჩელით მოითხოვა პირველი უძრავი ნივთის რემონტის ხარჯის – 3266.50 ლარის შეგებებული სარჩელით მოპასუხეებისათვის თანაბარწილად დაკისრება. შეგებებული სარჩელით მოსარჩელის მითითებით, მან მამკვიდრებლის სიცოცხლეში დაინყო და მისი გარდაცვალების შემდეგ დაასრულა მითითებულ საცხოვრებელ ფართში სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ქონების საბაზრო ღირებულება და უძრავი ქონება გახდა საცხოვრებლად ვარგისი. შეგებებული სარჩელით მოსარჩელე საბაზრო ღირებულების მნიშვნელოვნად გაზრდის შესახებ პოზიციის გასამყარებლად მიუთითებს 01.07.2005 წლის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებული ნასყიდობის საფასურისა და აუდიტორის დასკვნაში (შედგენის თარიღი 29.11.2016წ.) აღნიშნულ ქონების რეალურ ღირებულებას შორის სხვაობაზე. სასამართლომ განმარტა, რომ ქონების ფასის დადგენისას, ამ მტკიცებულებებში მითითებული განსხვავებული ოდენობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უტყუარ მტკიცებულებად იმისა, რომ ქონების შეძენის დროს ქონების ნასყიდობის საფასური ნამდვილად შეადგენდა 4000 ლარს.

2.18. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დადასტურდა 12.09.2016 წლის აუდიტის დასკვნაში მითითებული სარემონტო სამუშაოების ჩატარების ზუსტი დრო, კონკრეტული ღირებულება და ამ სამუშაოებისათვის მოპასუხის მიერ თანხის გადახდის ფაქტი. მოწმეების – ი. კ-სა და ლ. ბ-ის ჩვენებები არის არაზუსტი, ბუნდოვანი და შინაარსობრივად არ არის თანმიმდევრული. აღნიშნული პირები მოპასუხის მეზობლები არიან და უშუალო მომსწრენი იმ ფაქტისა, რომ აღნიშნულ ფართში ნამდვილად შესრულდა სარემონტო სამუშაოები, რამაც ვარგისი გახდა საცხოვრებლად, თუმცა ვერცერთი მათგანი იხსენებს კონკრეტული სამუშაოები რა პერიოდში ჩატარდა: მამკვიდრებლის სიცოცხლეში თუ გარდაცვალების შემდეგ. ლ. ბ-ი, რომლის საკუთრებაში არსებული ჯიხურიდან მოჩანს პირველი უძრავი ნივთი, მიუთითებს, რომ რკინის კარების მონტაჟი, ბინაზე კიბის მიდგმა და გაზიფიცირება მოხდა მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ, თუმცა არ არის შემსწრე

უშუალოდ მოპასუხის მიერ ამ კონკრეტული სამუშაოებისათვის თანხის გადახდისა. არც ის გარემოება დასტურდება, რომ მოპასუხემ საკუთარი ხარჯებით შეიძინა სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებისათვის აუცილებელი მასალები და ინვენტარი. მოწმეებმა ვერც ხელოსნები ვერ გაიხსენეს, რომლებმაც აღნიშნული სამუშაოები ჩაატარეს. მოწმეთა ჩვენებებიდან გაურკვეველია ამჟამად რა დანიშნულებით გამოიყენება ეს ფართი. ი. კ-ს განმარტებით, იქ ფუნქციონირებს სილამაზის სალონი, ხოლო ლ. ბ-ი (ასევე მეზობლად მცხოვრები) გამოორიცხავს იმ ფართში მოპასუხის მიერ რაიმე სამეწარმეო საქმიანობას. სათანადო მტკიცებულებას, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, არ წარმოადგენს ამხანაგობა „მ-ის“ თავმჯდომარისა და მისი წევრების განცხადებაც. ამ დოკუმენტში მითითებულია, რომ 2012-2013 წლებში მამკვიდრებელმა და მოპასუხემ სადავო ბინაში ერთობლივად ჩაატარეს სარემონტო სამუშაოები. ის გარემოება, რომ მოპასუხე გარკვეულ თანხებს ფლობდა და განკარგავდა 2011-2013 წლებში, თავისთავად არ გულისხმობს, რომ აღნიშნული თანხები გადახდილია ბინაში სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩასატარებლად, მით უფრო თანხები განიკარგებოდა 2013 წლის აპრილამდე – მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე.

2.19. შეგებებული სარჩელით მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო თავისი მტკიცების სათანადოდ რეალიზება და ვერ წარადგინა სათანადო მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა პირველ უძრავ ნივთში რემონტის ჩატარების რეალურ ღირებულებასა და ამ საფასურის უშუალოდ შეგებებული სარჩელით მოსარჩელის მიერ გადახდის ფაქტს. ამდენად, ის გარემოება, რომ პირველ უძრავ ნივთში რემონტი ჩატარდა და გაუმჯობესდა ბინის საყოფაცხოვრებო დანიშნულება, არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს შეგებებული სარჩელით მოპასუხეებისათვის (როგორც მემკვიდრეებისათვის) რემონტის ხარჯის დაკისრებისა.

2.20. შეგებებული სარჩელით მოსარჩელემ მოითხოვა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურებაც და შეგებებული სარჩელით მოპასუხეებისათვის სამკვიდროს წილის პროპორციულად გაღებული ხარჯის თანაბარწილად დაკისრება. სსკ-ის 1489-ე მუხლიდან გამომდინარე, მემკვიდრე ვალდებულია, აუნაზღაუროს მესამე პირს ხარჯი გამონვეული მამკვიდრებლის უკანასკნელი ავადმყოფობის დროს მოვლითა და მკურნალობით, ხელფასის გასტუმრებით, დაკრძალვით, სამკვიდროს დაცვითა და მართვით. დადგენილია, რომ მოსარჩელებს მამკვიდრებლის დაკრძალვისა და მასთან დაკავშირებული ხარჯები არ გაუღიათ. მამკვიდრებლის დაკრძალვის, საფლავის მოწყობისა და მასთან დაკავშირებული ხარჯი – 12140 ლარი გაიღო მოპასუხემ. დაკრძალვის, საფლავის მოწყობისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების უშუალოდ მოპასუხის მი-

ერ გაღებას ადასტურებს საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები და მოწმეები – ე. წ. და გ. ლ. სასამართლომ გონივრულად მიიჩნია მოსარჩელებისათვის სამკვიდრო წილის პროპორციულად დაკრძალვისა და მასთან დაკავშირებული ხარჯის ასანაზღაურებლად 6070 ლარის დაკისრება.

3. გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით – შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძველი:

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 23.05.2018 წლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მათ სამართლებრივ შეფასებებს. სააპელაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ გაწეული ხარჯების ნაწილში ვერ დაკმაყოფილდება ვერც სსკ-ის 987-ე მუხლის საფუძველზე.

საკასაციო საჩივრის მოთხოვნა:

5. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა შეგებებული სარჩელით მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით – შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

7. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრი-

ვი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

8. საქმეზე დადგენილია და საკასაციო საჩივრით დასაშვები, დასაბუთებული პრეტენზია წამოყენებული არ არის, რომ:

8.1. 01.07.2005 წლის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მამკვიდრებელმა შეიძინა პირველი უძრავი ნივთი და საჯარო რეესტრში აღირიცხა ამ ქონების მესაკუთრედ. ნასყიდობის საგნის ღირებულება განისაზღვრა 4000 ლარით.

8.2. შეგებებული სარჩელით მოსარჩელესა და მამკვიდრებელს შორის ქორწინება დარეგისტრირდა 29.07.2009 წელს.

8.3. მამკვიდრებელი გარდაიცვალა 29.09.2013 წელს. მას დარჩა ექვსი პირველი რიგის მემკვიდრე: დედა – მესამე მოსარჩელე, მეუღლე – მოპასუხე და შვილები – პირველი მოსარჩელე, მეორე მოსარჩელე, მ. გ. ი და მ. გ. ი.

8.4. მამკვიდრებლის დანაშთ სამკვიდრო ქონებაზე ანდერძი არ არის შედგენილი და არც სამკვიდრო მონაწილე არ არის გაცემული ნოტარიუსის მიერ.

8.5. მამკვიდრებლის დანაშთ სამკვიდრო მასას წარმოადგენს: 1. პირველი უძრავი ნივთი; 2. პირველი ავტომობილი; 3. მეორე უძრავი ნივთის 1/2 ნაწილი; 4. მეორე ავტომობილის 1/2 ნაწილი.

8.6. აუდიტის 12.09.2016 წლის დასკვნის მიხედვით, შეფასდა პირველ უძრავ ნივთში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების საბაზრო ღირებულება. ამ დასკვნის ავტორისათვის საცხოვრებელ ბინაში შესრულებული სამუშაოების თაობაზე ცნობილი გახდა დამკვეთისაგან. აუდიტმა მათი საბაზრო ღირებულება განსაზღვრა 13 066 ლარით.

8.7. 29.11.2016 წელს აუდიტმა პირველი უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულება განსაზღვრა 18 000 ლარით.

9. საკასაციო საჩივრის ობიექტია სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, კერძოდ, კასატორი ითხოვს: 1) პირველი უძრავი ნივთის მეუღლეთა თანასაკუთრებად აღიარებას და ამ ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილზე მესაკუთრედ ცნობას; 2) პირველი უძრავი ნივთის რემონტის ხარჯის – 3266.50 ლარის ოდენობით, შეგებებული სარჩელით მოპასუხეებისთვის თანაბარწილად დაკისრებას.

10. კასატორის ძირითადი პრეტენზია პირველი უძრავი ნივთის მეუღლეთა თანასაკუთრებად ცნობაზე უარის ნაწილში ისაა, რომ სასამართლომ შეგებებული სარჩელის მოთხოვნა უმთავრესად შეაფასა სსკ-

ის 1158-ე მუხლის ფარგლებში, მაშინ, როდესაც შეგებებული სარჩელით მოსარჩელის მოთხოვნა პირველი უძრავი ნივთის $\frac{1}{2}$ ნაწილზე მესაკუთრედ ცნობის თაობაზე ეფუძნებოდა იმას, რომ მამკვიდრებლის ინდივიდუალური საკუთრების ღირებულება ქორწინების განმავლობაში განეული ხარჯების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა. შესაბამისად, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 1163-ე მუხლი. პალატა განმარტავს, რომ საოჯახო კანონმდებლობით მეუღლეთა საკუთრება იყოფა ორ ნაწილად: ინდივიდუალურ (სსკ-ის 1161-ე-1162-ე მუხლები) და საერთო თანაზიარ საკუთრებად (სსკ-ის 1158-ე მუხლი). ინდივიდუალურია ისეთი ქონება, რომელიც ერთ-ერთ მეუღლეს ეკუთვნის და თვითონვე განკარგავს. ასეთად ითვლება ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე და ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით, ასევე ინდივიდუალური სარგებლობის ნივთები, ძვირფასეულობის გარდა. შესაძლებელია მეუღლის ქონების მეუღლეთა თანასაკუთრებად ტრანსფორმაცია (სსკ-ის 1163-ე მუხლი). თანაზიარ ქონებად (მეუღლეთა საერთო ქონებად) ჩაითვლება მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება, თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ენეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი. ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა შორის შეძენილ ქონებაზე თანასაკუთრების რეჟიმის დაწესებით, კანონმდებელი ხელმძღვანელობს იმ ვარაუდით, რომ, როგორც წესი, ასეთი ქონება იქმნება მეუღლეთა ერთობლივი სახსრებით, საოჯახო მეურნეობის ერთობლივი გაძლიერებითა და ერთობლივი შრომით (შდრ. სუსგ №ას-7-7-2016, 16.03.2016წ.).

11. სსკ-ის 1163-ე მუხლის თანახმად, ინდივიდუალური საკუთრება გარდაიქმნება თანასაკუთრებად, თუ დადგინდება, რომ ქორწინების განმავლობაში განეული ხარჯების შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა. იმ ღონისძიებების მაგალითად, რომელთა შედეგადაც იზრდება ღირებულება, კანონმდებელი ასახელებს: გადაგეგმარებას, მშენებლობის დასრულებასა და გადაკეთებას. ამ სამაგალითო ჩამონათვალის გაგრძელება შეიძლება შემდეგი ღონისძიებებით: კაპიტალური რემონტი, რეკონსტრუქცია, მნიშვნელოვანი დანადგარებით აღჭურვა და ა. შ. აუცილებელია, რომ ყველა ეს ღონისძიება „მნიშვნელოვნად“ ზრდიდეს ქონების ღირებულებას (რუსთაშვილი/ქავშაია/მელაძე, სსკ-ის კომენტარი, ნიჭი VII, თბილისი, 2021 წელი, მუხ. 1163, ველი 6). ქონების მხოლოდ მიმდინარე რემონტი არ შეიძლება ქონების საერთო საკუთრებად აღიარების საფუძველი გახდეს. ქონების რემონ-

ტი ან თანხის დაბანდება მხოლოდ იმ შემთხვევაშია ქონების თანასაკუთრებად აღიარების საფუძველი, როცა ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზრდება (შდრ. სუსგ №ას-392-2021, 29.09.2021წ; სუსგ №ას-840-791-2015, 04.03.2016წ.).

12. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპზე. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. დასახელებული ნორმების თანახმად, სამოქალაქო პროცესში მხარეები ვალდებული არიან, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ თავიანთი პოზიციის გასამყარებლად მითითებული გარემოებების არსებობა. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, რომელიც ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციფიკურ წესს, მოსარჩელეს ევალება სასარჩელო განცხადებაში ასახული ფაქტების მტკიცება, ხოლო მოპასუხე მოვალეა, სარჩელისაგან თავდაცვის მიზნით, ქმედითად უარყოს მოსარჩელის არგუმენტები, წარადგინოს იმგვარი მტკიცებულებები, რომლებიც გააქარწყლებს მოსარჩელის მიერ დასახელებულ ფაქტებს. სსსკ-ის 105-ე მუხლი ადგენს სასამართლოს მხრიდან მხარეთა მიერ მითითებული გარემოებების შეფასების პირობებს, კერძოდ, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძველად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში. ამდენად, სადავო გარემოებების დადგენისას, სასამართლო იმსჯელებს საქმეში წარმოდგენილ მხარეთა განმარტებებზე, წერილო-

ბით დოკუმენტებსა და სხვა მტკიცებულებებზე ერთობლივად, რომლის ურთიერთშეჯერებით გადაწყვეტს, სარწმუნოდ მიიჩნიოს თუ არა ამა თუ იმ ფაქტის არსებობა (სუსგ №ას-584-543-2017, 06.06.2017წ; №ას-484-2019, 30.10.2020წ.).

13. საქმის მასალებით არ დგინდება: პირველ უძრავ ნივთში სარემონტო სამუშაოების ჩატარების დრო – ქორწინების რეგისტრაციამდე, რეგისტრირებული ქორწინების დროს თუ მამკვიდრებლის გარდაცვალებით ქორწინების შეწყვეტის შემდეგ (მოსარჩელის განმარტებით, სამუშაოთა ნაწილი დასრულდა მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ); ვის მიერ იქნა გაწეული შესაბამისი ხარჯი; არ დგინდება სარემონტო სამუშაოების შედეგად მისი ღირებულების მნიშვნელოვნად გაზრდაც.

14. საქმის მასალებში წარმოდგენილი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შეფასების შესახებ 12.09.2016 წლის აუდიტორული დასკვნის თანახმად, აუდიტორისთვის პირველ უძრავ ნივთში ჩატარებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების თაობაზე ცნობილი გახდა დამკვეთისაგან, რომელმაც განუმარტა შემფასებელს, რომ სამუშაოები მიმდინარეობდა 2012-2013 წლებში და რა სამუშაოები იყო შესრულებული. მოწმეების, ი. კ.-სა და ლ. ბ.-ის ჩვენებები ბუნდოვანია. არცერთი მათგანი არ ესწრებოდა შეგებებული სარჩელით მოსარჩელის მიერ ხელოსნებისთვის თანხის გადახდას ან სარემონტო სამუშაოებისთვის საჭირო მასალის შეძენას. პირველი უძრავი ნივთის ღირებულების ქორწინების განმავლობაში მნიშვნელოვნად მატების ფაქტის დასადასტურებლად საკმარისი არ არის მხოლოდ 01.07.2005 წლის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებულ ნასყიდობის საფასურსა და 29.11.2016 წლის აუდიტორულ დასკვნაში აღნიშნული ქონების საბაზრო ღირებულებას შორის სხვაობა, ვინაიდან არ დგინდება, რომ ნასყიდობის ფასი ქონების რეალურ ღირებულებას შეესაბამებოდა. სსკ-ის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. სამოქალაქო კანონები საქართველოს ტერიტორიაზე უზრუნველყოფენ სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებას, თუ ამ თავისუფლების განხორციელება არ ხელყოფს მესამე პირთა უფლებებს (სსკ-ის მე-9 მუხლი). ამ ნესიდან არსებული გამოჩაკლისი, ამ თავისუფლების შეზღუდვა, დასაშვებია მხოლოდ კანონის იმპერატიული დანაწესიდან გამომდინარე. სამოქალაქო კანონმდებლობა არ ზღუდავს მხარეებს ხელშეკრულებაში ფასის დადგენისას. ამრიგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ პირველ უძრავ ნივთზე სსკ-ის 1163-ე მუხლის რეგულირების ფარგლებში ვერ გავრცელდება მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმი.

15. ზემოაღნიშნული მსჯელობა გამორიცხავს სარემონტო სამუშა-

ოების ხარჯების ანაზღაურების შეგებებული სარჩელით მოპასუხეებისათვის დაკისრებასაც. შეგებებული სარჩელის ეს მოთხოვნა (მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ გაწეული ხარჯების მოთხოვნის ნაწილში) ვერ დაკმაყოფილდება ვერც სააპელაციო სასამართლოს მიერ მოხმობილი სსკ-ის 987-ე მუხლის საფუძველზე (პირს, რომელმაც შეგნებულად ან შეცდომით ხარჯები გასწია მეორე პირის ქონებაზე, შეუძლია მისგან მოითხოვოს თავისი დანახარჯების ანაზღაურება, თუ მეორე პირი ამით გამდიდრდა. გამდიდრების არსებობა განისაზღვრება იმ მომენტიტ, როცა მოვალეს უბრუნდება თავისი ნივთი, ან იგი ღირებულების გაზრდის შედეგად სხვაგვარად იღებს სარგებელს). ხარჯების კონდიქციის დროს სასამართლომ უნდა შეამოწმოს, მოსარჩელემ კონკრეტულად რა სახის ხარჯები გაიღო, რამდენად აუცილებელი იყო ამ ხარჯის გაწევა და ამით გაუმჯობესდა თუ არა სადავო ნივთი, თუ იგი მხოლოდ მოსარჩელის, როგორც ნივთის მოსარგებლის სპეციალური ინტერესებიდან გამომდინარე იქნა გაწეული (სუსგ №ას-541-2021, 14.07.2021წ.). მოცემულ შემთხვევაში, შეგებებული სარჩელით მოსარჩელემ, სსსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, ვერ შეძლო დაედასტურებინა აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოებები.

16. ასევე, ვერ იქნება გაზიარებული კასატორის პრეტენზია შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევის თაობაზე. დავა მემკვიდრეობითი ხასიათისაა, მიმდინარეობს მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრეთა შორის სამკვიდროსთან მიმართებით მათი უფლება-მოვალეობების განსაზღვრის მიზნით და ურთიერთგამომრიცხველი მოთხოვნებით აღძრულია სარჩელი, ასევე – შეგებებული სარჩელი. მხარეები სარგებლობდნენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაესაბუთებინათ თავიანთი მოთხოვნები, უარეყოთ ან გაექარწყლებინათ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები თუ მტკიცებულებები. მათ თავად განსაზღვრეს, თუ რომელი ფაქტები უნდა დასდებოდა საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურებულიყო ეს ფაქტები. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა მხარეთა მიერ მითითებული მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადგენის მიზნით შეაფასეს მტკიცებულებები თავიანთი შინაგანი რწმენით, რომელიც ემყარებოდა მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც გამოტანილ იქნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესახებ დასკვნები (სსსკ-ის 4.1, 105.2).

17. სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო

სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

18. კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 399-ე, 264.3, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 23.05.2018წ. განჩინება.
3. კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. მშობლის უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ

არასრულწლოვანი შვილის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-944-2018

12 თებერვალი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების იპოთეკის ნაწილში ბათილად ცნობა, ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის იპოთეკის საგნის რეალიზაციის ნაწილში გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „მ.ო.კ.ს.-ს“ (შემდეგში: პირველი მოპასუხე, აპელანტი, გამსესხებელი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია), როგორც სესხის გამცემს, მ. პ.-ს (შემდეგში: მეორე მოპასუხე, მსესხებელი ან მოსარჩელის მამა), როგორც სესხის მიმღებს და თ. პ.-ს (შემდეგში: მოსარჩელე, კასატორი ან მესაკუთრე), როგორც უძრავი ნივთის მესაკუთრეს, შორის 2015 წლის 13 თებერვალს, დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება (შემდეგში: ხელშეკრულება). სესხის თანხად განისაზღვრა 20 000 აშშ დოლარი, 18 თვით, ყოველთვიურად 2.5% სარგებლის დარიცხვით.

2. სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დაიტვირთა ქ. თბილისში, ... მდებარე მოსარჩელის კუთვნილი 69.75 კვ.მ საოფისე ფართი. უძრავ ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველია ჩუქების ხელშეკრულება.

3. ხელშეკრულების დადებისას მოსარჩელე იყო არასრულწლოვანი (17 წლის). შესაბამისად, სანოტარო აქტის გაფორმებას ესწრებოდა და ნება გამოხატეს როგორც თავად არასრულწლოვანმა, ისე მისმა კანონიერმა წარმომადგენლებმა – დედამ, ნ. ს.-მა (შემდეგში: მესამე მოპასუხე ან მოსარჩელის დედა) და მოსარჩელის მამამ.

4. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებ-

ლობის გამო, 2016 წლის 31 აგვისტოს, გაიცა სააღსრულებო ფურცელი, სადაც კრედიტორია მოპასუხე, ხოლო მოვალე – მოსარჩელე. სააღსრულებო ფურცლით განისაზღვრა იპოთეკის საგნის (ქ. თბილისში, ...-ში მდებარე მოსარჩელის კუთვნილი 69.75 კვ.მ საოფისე ფართის) რეალიზაცია და სააღსრულებო ფურცელი წარდგენილ იქნა კერძო აღმასრულებელთან.

5. სასარჩელო მოთხოვნა

5.1. უძრავი ქონების მესაკუთრემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხისა და საკუთარი მშობლების წინააღმდეგ და მოითხოვა იპოთეკის ნაწილში სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და, იპოთეკის საგნის რეალიზაციის ნაწილში, ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის გაუქმება.

5.2. სარჩელის თანახმად, ხელშეკრულების გაფორმებისას მოსარჩელე იყო არასრულწლოვანი და ვერ აცნობიერებდა საკუთარ უფლებებს, თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა მშობლის მიერ ნაკისრი ფულადი ვალდებულებების შეუსრულებლობას. მოვალის მიერ სესხის აღება არ იყო განპირობებული მოსარჩელის, როგორც არასრულწლოვანის, საუკეთესო ინტერესებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 1198-ე მუხლი კი ავალდებულებს მშობლებს, დაიცვან თავიანთი არასრულწლოვანი შვილების უფლებები და ინტერესები, რაც მოიცავს შვილების ქონების მართვასა და გამოყენებას. ამ ნორმით განსაზღვრულია მშობლის მოვალეობა შვილის მიმართ, ბავშვის ქონების მართვისა და გამოყენების დროს იმოქმედოს მისივე ინტერესების შესაბამისად. ამასთან, მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს (სსკ-ის 1299-ე მუხლი). მოვალის მიერ ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო დადგინდა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ქონების სარეალიზაციოდ მიქცევა, რითაც დაირღვა არასრულწლოვანის ინტერესები.

6. მოპასუხეთა შესაგებლები

6.1. მოსარჩელის მშობლებმა – მეორე და მესამე მოპასუხეებმა წერილობით წარდგენილი შესაგებლებით სარჩელი ცნეს და საქმის განხილვაზე არ გამოცხადდნენ.

6.2. პირველმა მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ვინაიდან სადავო ხელშეკრულების დადებისას მოსარჩელე იყო არასრულწლოვანი, ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელი გახდა მისი კანონიერი წარმომადგენლის (მშობლის) თანხმობა, რაც მოცემულ შემთხვევაში გამოვლენილია. შესაბამისად, გარიგების ნამდვილობის ეჭვქვეშ დაყენება მხოლოდ იმის გამო, რომ ხელშეკრულების დადებისას მესაკუთრე არასრულწლოვანი იყო, უსაფუძვლოა და საფრთხეს უქმნის მთლიანად სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებასა და სტაბილუ-

რობას.

7. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

7.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ხელშეკრულება იპოთეკის ნაწილში და სააღსრულებო ფურცელი გაუქმდა იპოთეკის საგნის რეალიზაციის ნაწილში.

7.2. საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას სსკ-ის 54-ე, 1198-ე, 1198¹-ე, 1199-ე მუხლებით იხელმძღვანელა.

8. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

8.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც უძრავი ქონების მესაკუთრის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

8.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-4 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები, იხელმძღვანელა სსკ-ის 1198-ე მუხლით და მიუთითა, რომ განსახილველ დავაში სარჩელის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შესაფასებლად უნდა დადგენილიყო, დაიღო თუ არა სადავო ხელშეკრულება მოსარჩელის მშობლების მიერ შვილის ინტერესების საწინააღმდეგო ნების გამოვლენით.

8.3. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ხელშეკრულების დადებისას მოსარჩელე იყო არა მცირეწლოვანი (ანუ სსკ-ის მე-12 მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული ქმედუნარო პირი), არამედ – არასრულწლოვანი (ანუ სსკ-ის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით შეზღუდულქმედუნარიანად მიჩნეული პირი), რომელსაც სსკ-ის მე-15 მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის ნამდვილობისთვის სჭირდებოდა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

8.4. სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ სადავო გარიგების დადებისას ნება გამოავლინეს როგორც არასრულწლოვანმა, ისე მისმა კანონიერმა წარმომადგენლებმა. სასამართლოს მითითებით, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი ქმედუნარიანია, ოღონდ, მისი ნების გამოვლენა ჯერ კიდევ არ არის იმთვისების მქონე, რომ მან, როგორც წესი, სხვა პირთა შეფასების გარეშე, დამოუკიდებლად გამოიწვიოს სამართლებრივი შედეგი. მცირეწლოვანი საერთოდ არ წარმოადგენს ნების გამოვლენის სუბიექტს მაშინ, როცა შვიდიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანი ნების გამოვლენის სუბიექტია. ამდენად, არასრულწლოვანის ნების გამოვლენის ნამდვილობა დამოკი-

დებულია დამატებით გარემოებაზე – კანონიერი წარმომადგენლის თანხმობაზე. შესაბამისად, სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია არასრულწლოვანის, ანუ ნების გამოვლენის სუბიექტის მიერ ნების გამოხატვისა და მისი კანონიერი წარმომადგენლების მიერ აღნიშნულზე თანხმობის გაცხადების შემდგომ მითითება მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლების/მშობლების მიერ არასრულწლოვანის სახელით გამოვლენილ ნებაზე.

8.5. სააპელაციო სასამართლომ ასევე იმსჯელა და შეაფასა, კეთილსინდისიერად და მართლზომიერად მოქმედებდა თუ არა გამსესხებელი სესხის გაცემისას. კერძოდ, ხომ არ რჩებოდა გამსესხებელი მხოლოდ იპოთეკის საგნის იმედად, თუ არსებობდა სესხის დაფარვის საფუძვლიანი მოლოდინი. მოსარჩელე თავად განმარტავს, რომ მეორე მოპასუხეს (მოსარჩელის მამა) ფულადი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო 2016 წლის 13 ივნისიდან აქვს ვადაგადაცილება, შესაბამისად, 2015 წლის 13 თებერვლიდან 2016 წლის 13 ივნისამდე მსესხებელი კეთილსინდისიერად ასრულებდა სესხის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას. ის გარემოება კი, რომ მსესხებელი პერიოდულად ასრულებდა ვალდებულებას, მოწმობს გამსესხებლის ლეგიტიმურ მოლოდინს სესხის დაბრუნებაზე, რაც აბათილებს მსჯელობას მის არაკეთილსინდისიერებაზე.

8.6. ამასთან, სასამართლომ მიუთითა ბავშვის უფლებათა კონვენციის 27-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებზე და აღნიშნა, რომ როდესაც საუბარია მშობლების მხრიდან ბავშვის ინტერესების საზიანოდ მოქმედებაზე, უნდა შეფასდეს კონფლიქტის არსებობა ბავშვისა და მშობლების ინტერესებს შორის, მშობლების მიერ მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება-შეუსრულებლობა. მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდებოდა გარემოება, რომ მშობლებმა შვილს (მოსარჩელეს) ვერ შეუქმნეს განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები, რაც აუცილებელი იყო მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის.

8.7. სასამართლოს განმარტებით, მართალია, საქმეში არ მოიპოვება რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა უშუალოდ ნასესხები თანხის გახარჯვის მიზნობრიობას, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა შეფასებულიყო გარემოება, თანხა მოხმარდა თუ არა მოსარჩელის ინტერესებს, მაგრამ აღნიშნული არ არის საკმარისი სარჩელის დაკმაყოფილებისათვის.

8.8. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის მტკიცება იმის თაობაზე, რომ მას არ შესწევს უნარი ამტკიცოს მოსარჩელის მამის მიერ ნასესხები თანხის ხარჯვის მიზნობრიობა. ასეთის მტკიცების აპელანტზე დაკისრება კი ეწინააღმდეგება მტკიცების ტვირთის ლოგი-

კურ და სამართლიანად განაწილების პრინციპს.

8.9. სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ მშობლის მიერ ბავშვის სახელით გარიგების დადება, სსკ-ის შესაბამისად, სპეციალურ ნებართვას არ საჭიროებს. ამასთან, ყურადღება მიაქცია იმ ფაქტსაც, რომ სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიცვრთა მოსარჩელის კუთვნილი საოფისე ფართი, რომელიც კომერციული/სამეწარმეო მიზნებისათვის შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული და არ წარმოადგენდა არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილს. ამასთან, სადავო არ იყო არც ის გარემოება, რომ სესხის მიღების მიზანი იპოთეკით დატვირთულ ფართში სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება იყო. შესაბამისად, სადავო უძრავი ნივთი ემსახურებოდა ამ ნივთის დანიშნულებისამებრ გამოყენების მიზანს.

8.10. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 63-ე მუხლის პირველი ნაწილით (თუ არასრულწლოვანი დებს ორმხრივ გარიგებას (ხელშეკრულებას) კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, მაშინ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომში მისი წარმომადგენელი მოიწონებს თუ არა მას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი იღებს სარგებელს) და განმარტა, რომ არასრულწლოვანის მიერ კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობით დადებული ორმხრივი გარიგების (ხელშეკრულების) ნამდვილობა დამოკიდებული არ არის იმაზე, იღებს თუ არა ის ამ გარიგებიდან სარგებელს, არამედ გარიგების სარგებლიანობის საკითხი აქტუალური ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც გარიგება არასრულწლოვანის მიერ დადებულია კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე.

8.11. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო იპოთეკის ხელშეკრულება არ წარმოადგენდა მოსარჩელის უფლებების ხელმყოფ გარიგებას, შესაბამისად, არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი წანამძღვრები.

9. მოსარჩელის საკასაციო საჩივრის საფუძვლები

9.1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მოსარჩელემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

9.2. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სსკ-ის 54-ე, 1198-ე, 1199-ე მუხლები, ასევე ბავშვის უფლებათა კონვენცია, რომლის შესაბამისად, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ბავშვს იცავენ ყველა ფორმის ექსპლუატაციისაგან, რომელიც ზიანს აყენებს ბავშვის ინტერესებს;

9.3. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ მოსარჩელე პირადად

მონაწილეობდა გარიგების დადებაში. იმ შემთხვევაში, თუ ასეთს ექნებოდა ადგილი, ხოლო მოსარჩელის მშობლები თანხმობას გასცემდნენ გარიგებაში არასრულწლოვანი შვილის მიერ ნების გამოვლენაზე (არასრულწლოვანის კუთვნილ უძრავ ნივთზე იპოთეკის გავრცელებაზე), „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად, მშობლები სავალდებულო წესით ან ცალკე გასცემდნენ თანხმობას, რომელსაც ნოტარიუსი სათანადოდ დაამოწმებდა და ეს თანხმობა დაერთებოდა თავად გარიგებას ან/და სანოტარო აქტში იქნებოდა შესაბამისი ჩანაწერი და გარკვევით და ცალსახად მიეთითებოდა არასრულწლოვანის კანონისმიერი წარმომადგენლების არა სანოტარო მოქმედებაში მონაწილეობის, არამედ სანოტარო მოქმედებაზე დასწრების ფაქტი და ასეთ შემთხვევაში სადავო იპოთეკის ხელშეკრულებას მოსარჩელის მშობლები სპეციალური ჩანაწერით მხოლოდ თანხმობის დასტურად მოაწერდნენ ხელს, როგორც სანოტარო მოქმედების დამსწრე პირები. შესაბამისად, მშობლების თანხმობის აქტი ნათლად და არაორაზროვნად აისახებოდა გარიგებაში. მოცემულ შემთხვევაში აღნიშნულ გარემოებას ადგილი არ აქვს, რადგან სადავო იპოთეკის ხელშეკრულება სსკ-ის 1198-ე და „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 25-ე მუხლის მე-2, მე-3, მე-6 და მე-7 მუხლებიდან გამომდინარე, შეესაბამება მშობლების გარიგებაში მონაწილეობას, მათი კანონისმიერი უფლებამოსილების ფარგლებში. მოსარჩელის მშობლებს დარღვეული აქვთ სსკ-ის 1198-ე და 1199-ე მუხლების მოთხოვნები, რადგან მშობელს მხოლოდ და მხოლოდ არასრულწლოვანის უპირატესი ინტერესებიდან გამომდინარე აქვს უფლება, განკარგოს შვილის ქონება;

9.4. მოსარჩელეს არანაირი ურთიერთობა არ ჰქონია მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან, მას არ უწარმოებია მოლაპარაკება არც იპოთეკისა და არც სესხის პირობებზე, არც მონაწილეობა მიუღია მის საკუთრებაში არსებული ქონების კრედიტორის მიერ შეფასების დროს. იგი მხოლოდ გარიგების ხელმოწერისას ფორმალურად ჩაერთო პროცესში მისი ასაკიდან (17 წელი) და სანოტარო მოქმედების შესრულების წესიდან გამომდინარე. სააპელაციო სასამართლომ კი არასწორად მიუთითა, თითქოს გარიგების დადებას ესწრებოდა და ნება გამოხატეს როგორც თავად არასრულწლოვანმა, ასევე – მისმა კანონიერმა წარმომადგენლებმა. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა წარმომადგენლების მიერ დადებული გარიგება, რომელიც არ გამომდინარეობს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებიდან. უფრო მეტიც, რისკის მაღალი ხარისხიდან გამომდინარე, სადავო გარიგება მოსარჩელისათვის თავიდან-

ვე საზიანო იყო. უკვე სრულწლოვანების მიღწევისას, მოსარჩელისთვის ცხადი გახდა, რომ გარიგებაში მისი მონაწილეობა არათუ მისი ინტერესებიდან გამომდინარეობდა, არამედ პირიქით – სადავო ხელშეკრულებამ უფლებრივად შეზღუდა იგი და გადაულახავი ვალდებულებები დააკისრა;

9.5. სასამართლომ აუცილებლად უნდა დაადგინოს, თუ რა მიზანს ემსახურებოდა არასრულწლოვანი პირის მონაწილეობა ხელშეკრულებაში, რამდენად იყო გათვლილი მხარეთა მიერ ის რისკი, რაც ხელშეკრულებიდან გამომდინარე შეიძლებოდა დამდგარიყო – გარიგებით არასრულწლოვანს ხომ არ ეკისრებოდა მისთვის დაუძლეველი და შეუსრულებელი ვალდებულებები, არამართებულად ხომ არ იმოქმედეს გარიგების დანარჩენმა მხარეებმა და მათი ქმედებით ხომ არ დადგა არასრულწლოვანისათვის ნეგატიური შედეგი;

9.6. სსკ-ის 1198-ე მუხლი უზღუდავს მშობელს შვილების სახელით ნებისმიერი საფუძვლით გარიგების დადების შესაძლებლობას. გარიგების დადების ერთადერთ ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს შვილის ინტერესების უკეთ უზრუნველყოფა. ქონების მართვა და გამოყენება განკარგვის უფლებამოსილებას არ გულისხმობს. რაც შეეხება ამავე მუხლის მე-6 ნაწილის ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც, მშობლები არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად გამოდიან, ნიშნავს იმას, რომ მშობელი ბავშვის სახელით მხოლოდ და მხოლოდ ისეთ გარიგებებს დებს, რომლებიც აუცილებლად ბავშვის ინტერესებშია. მოსარჩელის კუთვნილი ქონების იპოთეკით დატვირთვა მისი მამის მიერ აღებული სესხის უზრუნველსაყოფად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს არასრულწლოვანის ინტერესების შესაბამისად. ამ სახის ნებისმიერი გარიგების დადება განპირობებული უნდა იყოს ბავშვის როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური აუცილებელი მოთხოვნილების დაკმაყოფილების აუცილებლობით (მაგ. ჯანმრთელობის მდგომარეობა, განათლების მიღება და ა.შ.);

9.7. მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა არასრულწლოვანის ქონებით არამიზნობრივი სარგებლობა, რადგან სარგებლობას ქონების მოსპობა (იძულებით აუქციონზე რეალიზაცია) სდევს თან, ამასთან, ამგვარი სარგებლობის მიზანს ბავშვის ინტერესი არ ამართლებს. ოჯახის ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, არაპირდაპირ, მაგრამ მაინც ბავშვის ინტერესებშია, თუმცა ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ბავშვის ქონებაზე რისკის გაწევა, მით უფრო, თუ რისკი გაუთვლელი და დაუზღვეველია, ბავშვის ინტერესების საზიანო შედეგის მომტანია. შესაბამისად, ბავშვის ქონება უნდა განიკარგოს მხოლოდ მისი ინტერესების შესაბამისად;

9.8. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოიყენა ბავშვის უფლებათა კონვენცია, რომელიც ადგენს ბავშვის უფლებების განსაკუთრებული დაცვის აუცილებლობას. კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ნევრი ქვეყნებისთვის სამი განსხვავებული სახის ვალდებულებას ადგენს: ა) თუ გადაწყვეტილების მიღებისას ერთმანეთს სხვადასხვა ინტერესები უპირისპირდება, ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა, რომ გარანტირებულად და უპირატესად მისი საუკეთესო ინტერესები შეფასდეს და გათვალისწინებულ იქნეს; ბ) თუ სასამართლებრივ ნორმას ერთზე მეტი განმარტება შეიძლება მიეცეს, არჩეულ უნდა იქნეს ის განმარტება, რომელიც ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ყველაზე ეფექტურად ემსახურება; გ) ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა მოითხოვს საპროცესო გარანტიებს. გადაწყვეტილების მიღებისას უნდა შეფასდეს ბავშვის ინტერესებზე ამ გადაწყვეტილების შესაძლო ზეგავლენის შედეგები და გადაწყვეტილებაში პირდაპირ უნდა აისახოს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები უპირატესად შეფასდა და მხედველობაში იქნა მიღებული;

9.9. მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პოზიცია კონვენციის ზემოაღნიშნულ მუხლთან მიმართებით. საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში (სუსგ №-ას-1221-1146-2015) გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა ბავშვის უფლებების საერთაშორისო კონვენციის მე-3 მუხლის მიზანთან დაკავშირებით და მოიშველია საქართველოს წინააღმდეგ ერთ-ერთ საქმეზე ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს განმარტება, რომლის მიხედვითაც, ბავშვის უფლებების საერთაშორისო კონვენციის მე-3 მუხლის მიზანია უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები. ეს ნიშნავს იმას, რომ ბავშვის სახელით განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაში მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული ბავშვის საუკეთესო ინტერესები. ბავშვის საუკეთესო ინტერესები არის იმ საპროცესო უფლების მსგავსი, რომელიც სახელმწიფოს ავალდებულებს, ქმედების პროცესში დანერგოს ისეთი ნაბიჯები, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება;

9.10. სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავსი ტიპის დავებზე უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას (იხ. სუსგ №ას-1221-1146-2015), ასევე ადამიანის უფლებათა და თავისუფლება-

თა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს (იხ. ნ.ნ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ).

9.11. სააპელაციო სასამართლომ ასევე დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი, რადგან საქმე განიხილა მატერიალური და საპროცესო სასამართლოს ნორმათა მნიშვნელოვანი დარღვევით. სააპელაციო სასამართლომ არასათანადოდ შეაფასა სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. კერძოდ, ის გარემოება, რომ მოსარჩელე სადავო გარემოების დადებისას აღნიშნულ ურთიერთობებში მონაწილეობდა არა უშუალოდ, არამედ მისი კანონიერი წარმომადგენლების მეშვეობით, სესხის გაცემის მიზნობრიობა კი არ უკავშირდებოდა თავად არასრულწლოვანის – იპოთეკის საგნის მესაკუთრის ინტერესებს. სასამართლომ უარყო მოდავე მხარეთა თანასწორობის ფუნდამენტური პრინციპიც და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიმართ გაუმართლებელი მიკერძოებული მიდგომა გამოავლინა, რამაც არსებითად შეცვალა საქმეზე დამდგარი შედეგი – სასამართლომ არასრულწლოვანის ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება გამოიტანა.

10. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

10.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი დასაშვებად სცნო სსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე და მიიღო არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ კასატორის საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

11. სსკ-ის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა ან გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

12. სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენე-

ბული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

13. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. *ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ*, №7932/03; *Van de Hurk v. Netherlands*, par.61, *Garcia Ruiz v. Spain* [GC] par.26; *Jahnke and Lenoble v France* (dec.); *Perez v France* [GC], par. 81).

14. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით სადავოა სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად არასრულწლოვანის საკუთრებაში არსებული იპოთეკის საგნის რეალიზაციის მართლზომიერება.

15. კასატორის ძირითადი არგუმენტი ემყარება იმ მოსაზრებას, რომ მშობლის მიერ აღებული სესხის უზრუნველსაყოფად არასრულწლოვანი ბავშვის (მესაკუთრის) ქონების იპოთეკით დატვირთვა ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს.

16. საკასაციო სასამართლო, მიუთითებს, რომ ერთ-ერთ საქმეში (რომელსაც კასატორიც მოიხმობს საკუთარი პოზიციის განსამტკიცებლად), რომელიც გამოტანილი იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ ნ.წ.-სა და სხვების №71776/12 განაცხადის საფუძველზე (2 თებერვალი 2016 წელი), სასამართლომ ხაზი გაუსვა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის აუცილებლობას და აღნიშნა, რომ „ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები. ეს ნიშნავს, რომ ბავშვის სახელით განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაში მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული ბავშვის საუკეთესო ინტერესები. ბავშვის საუკეთესო ინტერესები არის იმ საპროცესო უფლების მსგავსი, რომელიც სახელმწიფოს ავალდებულებს, ქმედების პროცესში დანერგოს ისეთი ნაბიჯები, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება“. უნდა აღინიშნოს, რომ არა მხოლოდ დასახელებული საქმე, სადაც ბავშვის ქონებრივი ინტერესების დაცვას არ ეხებოდა საკითხი, არამედ ადამიანის უფლე-

ბათა ევროპული სასამართლოს მიდგომა ბავშვის უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის განხილვისას ეფუძნება არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ღირებულებებს, არამედ, ბავშვის უფლებათა კონვენციას, რადგან სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია, ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც სუბიექტის უფლებების აღიარება და დაცვა. ბავშვის უფლებასთან დაკავშირებულ საქმეზე მსჯელობისას ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილება შეიძლება ეფუძნებოდეს საქმის ინდივიდუალური შესწავლის გზით დადგენილ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს და მათ საფუძველზე მხარეთა მტკიცებების ტვირთის განხორციელების საპროცესო მოვალეობას, რაც ბავშვის საუკეთესო ინტერესის ქრილში უნდა იქნეს დანახული და გადანყვეტილი.

17. თუმცა, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე ისეთი ფაქტობრივი გარემოებები იქნა დადგენილი, რომლებიც არ იძლევა იმგვარი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რომ არასრულწლოვანის წარმომადგენელთა (მშობელთა) მხრიდან ქონების განკარგვის შესახებ გარიგების ბათილობის წინაპირობები წარმოიშვა.

18. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებაზე (რომელსაც კასატორიც მოიხმობს), რომლითაც საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს. ამ საქმეში შედავებული იყო ბანკსა და არასრულწლოვანთა კანონიერ წარმომადგენლებს (მშობლებს) შორის დადებული სესხის უზრუნველყოფის შესახებ გარიგება (იპოთეკის ხელშეკრულება), როგორც მართლსაწინააღმდეგო გარიგება (198-ე მუხლის მეექვსე ნაწილი, 289-ე მუხლის პირველი ნაწილი, 311¹-ე მუხლი, 54-ე მუხლი). ამ განჩინებაში საკასაციო სასამართლომ სადავო გარიგებათა მართლზომიერების შემოწმების კრიტერიუმად კრედიტის გამცემის კეთილსინდისიერად მოქმედების აუცილებლობა მიიჩნია. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ დამატებით უნდა შემოწმებულიყო მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, როგორც გამსესხებლის მიერ სესხის გაცემისათვის სპეციალური კანონით განსაზღვრული წინაპირობების (მიკროკრედიტი არის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადიანობის, დაბრუნებადობის, ფასიანობის და მიზნობრიობის პირობების შესაბამისად მსესხებელზე ან მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული თანხა. კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ, მუხლი 5.1.) არსებობა, შესაბამისად, დასადგენ გარემოებათა წრეს (მტკიცებების საგანი) სესხის მიღების დროს მსესხებლის დამოუკიდებელი შემოსავლების (ხელფასის ან სხვა შემოსავლების სახით) არსებობა წარმოადგენდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, იქმნებოდა

ისეთი ვითარება, რომ გამსესხებელი მხოლოდ იპოთეკის საგნის იმე-
დად რჩებოდა და, შესაბამისად, მის მოქმედებას ყველა კეთილსინდი-
სიერი და საღად მოაზროვნე ადამიანი საზოგადოებაში დამკვიდრებუ-
ლი ზნეობრივი პრინციპების საწინააღმდეგო მოქმედებად შეაფასებ-
და (მდრ: სუსგ №ას- 1221-1146-2015, 20 მაისი, 2016 წელი. პ-31). საგუ-
ლისხმოა, რომ სასესხო (მათ შორის, კრედიტი სესხის ფორმით) ურთი-
ერთობებში კრედიტორის მოქმედების გულისხმიერების აუცილებლო-
ბის თვალსაზრისით დადგენილია უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა
(იხ. სუსგ №ას- 1338-1376-2014; 29.06.2015წ.).

19. იმავდროულად, მხედველობაშია მისაღები საქართველოს უზე-
ნაესი სასამართლოს განმარტება საჯარო წესრიგის დაცვის აუცილებ-
ლობის თვალსაზრისითაც (იხ. სუსგ №ას- 15-15-2016, 1 მარტი 2016 წე-
ლი), რომლის მიხედვით „სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრი-
გის არსებობას უზრუნველყოფს როგორც კანონი, ასევე, მორალური
ქცევის სტანდარტი, შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კერძო სა-
მართლებრივ ურთიერთობებში კერძო ავტონომიისა და თავისუფალი
კონტრაპირების პრინციპი მოქმედებს, გარიგება, რომელიც საზოგა-
დოებაში „საყოველთაოდ მიღებულ ქცევის სტანდარტს“ ეწინააღმდე-
გება, ამორალურ გარიგებად მიიჩნევა და ბათილობის სამართლებრივ
შედეგებს უკავშირდება. სსკ-ის 54-ე მუხლის საკანონმდებლო დანაწე-
სის მიზანს სწორედ იმგვარი გარიგებების თავიდან აცილება წარმოად-
გენს, რომლებიც ფორმალურად კანონსაწინააღმდეგო არ არის, თუმ-
ცა, თავისი არსით, საზოგადოებრივ მართლწესრიგს არღვევს და სამო-
ქალაქო ბრუნვის სუბიექტთა თანაცხოვრებას აუარესებს, რაც შედე-
გობრივად, სამოქალაქო ბრუნვას აფერხებს“.

20. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხოლოდ ყოველ კონ-
კრეტულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების
საფუძველზეა შესაძლებელი იმგვარი დასკვნის გაკეთება, წარმოშობს
თუ არა გარიგება ბათილობის წინაპირობებს, მათ შორის, კეთილსინდი-
სიერების, გულისხმიერების, მართლზომიერების, კანონსაწინააღმდე-
გო თუ, ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედების საფუძველ-
ებით.

21. განსახილველი საკასაციო პრეტენზია (შედავება) კი არ შეიცავს
დასაბუთებულ მითითებას გამსესხებლის მოთხოვნის უარსაყოფად.
მართალია, კასატორი უთითებს სასამართლო პრაქტიკაზე, რომლებ-
შიც ბავშვის საუკეთესო ინტერესებში მოქმედების აუცილებლობაზეა
ყურადღება გამახვილებული და რომლის დაცვის აუცილებლობასაც,
საკასაციო სასამართლო ადასტურებს, თუმცა, კასატორი ვერ ასაბუ-
თებს, განსახილველ საქმეში, კონკრეტულად რაში გამოიხატა დარღვე-
ვა იპოთეკით უზრუნველყოფილი კრედიტის გაცემისას.

22. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას და ყურადღებას გაამახვილებს დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ სადავოდ ქცეულ გარიგებას ხელი მოაწერა თვითონ უძრავი ქონების მესაკუთრემ, რომელიც ამ გარიგების დადების დროს იყო არასრულწლოვანი, კონკრეტულად 17 წლის, რაც არ არის ისეთი ასაკი, როდესაც პირის გონებრივი სიმწიფე, მზაობა, ჩაერთოს სამოქალაქო ბრუნვაში და აქედან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღების უნარი იმთავითვე ეჭვქვეშ დადგეს, რადგან მას არ მიუღწევია კანონით გათვალისწინებული სრულწლოვანებისათვის. საკასაციო სასამართლო სავსებით ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მოცემულ საქმეზე არასრულწლოვანის ასაკთან მიმართებით, რაც წინამდებარე განჩინების 8.3-8.4 ქვეპუნქტებშია ასახული და დამატებით განმარტავს, რომ კანონმდებელს არ გამოუვლენია ნება, რომ აეკრძალა არასრულწლოვანის მონაწილეობით გარიგების დადება, არასრულწლოვანის საკუთრებად რიცხული უძრავი ქონების განკარგვა (მათ შორის სანივთო-სამართლებრივი უფლებით დატვირთვა), რადგან ეს სამოქალაქო ბრუნვის დამაბრკოლებელი გახდებოდა და არასრულწლოვანის ინტერესების საზიანოც, რადგან მისი ეკონომიკური, სოციალური თუ სხვა საჭიროებების განხორციელების ერთ-ერთ შესაძლებლობად სწორედ მის საკუთრებად რიცხული ქონების განკარგვაც იგულისხმება ბავშვის საუკეთესო ინტერესის თვალსაზრისით, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებათა ინდივიდუალური შეფასებისა და მსჯელობის საგანია. „ბავშვის უფლებათა კოდექსის“, როგორც „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციით აღიარებული საუკეთესო ინტერესებისა და ამ უფლებების რეალიზების ზოგადი სამართლებრივი საფუძვლის შექმნის მიზანიც არ ყოფილა არასრულწლოვანის ქონების განკარგვის აკრძალვა. ამ კოდექსის მე-19 მუხლის მე-4 ნაწილი სწორედ იმას განსაზღვრავს, რომ „ბავშვის ქონების განკარგვა შესაძლებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“, ამავე კოდექსის 24-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით „დაუშვებელია მშობლის მიერ მშობლის უფლებების იმგვარად მართვა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ზიანი მიაღდგეს“. ახალი საკანონმდებლო მონესრიგების მოხმობა განპირობებულია იმის წარმოსაჩენად, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსით, რომელმაც გააერთიანა ბავშვის უფლებებისა და ინტერესების დამცავი სამართლებრივი დებულებები ერთ საკანონმდებლო აქტში, არ გაუქმებულა ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით მოქმედი სხვა საკანონმდებლო რეგულაციები. კოდექსმა განამტკიცა საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციასთან, ბავშვის უფლებათა კონვენციასთან, მის და-

მატებით ოქმებსა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობის, მათ მიხედვით განმარტებისა და აღსრულების ვალდებულება (იხ. ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-2 მუხლის მეორე ნაწილი).

23. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ სადავო სამართალურთიერთობის შეფასებისას დაადგინა ასევე, რომ მსესხებელი სესხს გარკვეული პერიოდის განმავლობაში იხდიდა, იპოთეკით დატვირთული იქნა მოსარჩელის კუთვნილი საოფისე ფართი, რაც ისედაც კომერციული მიზნით გამოიყენებოდა. მიკროსაფინანსო ორგანიზაციას არ შეეძლო ევარაუდა, რომ პირველი მოპასუხე სესხს იმთავითვე ვერ დააბრუნებდა და დღის წესრიგში დადგებოდა იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის საკითხი. სააპელაციო სასამართლომ განსახილველი დავის შეფასებისას იმსჯელა სსკ-ის 1198-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ წინაპირობებზე: „მშობლებს ევალებათ, დაიცვან თავიანთი არასრულწლოვანი შვილების უფლებები და ინტერესები, რაც მოიცავს შვილების ქონების მართვასა და გამოყენებას“, ამ მუხლის გამოყენებით კი საქმის გარემოებათა შეფასება ეფუძნება საკასაციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებას/განჩინებას, რომელთაგან თვითონ კასატორი უთითებს საქმეზე №ას-1221-1146-2015 (20 მაისი, 2016წ.), თუმცა, ამ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სრულიად განსხვავდება განსახილველ დავაზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათაგან, რადგან სადავო არაა, რომ კასატორის კუთვნილი საოფისე ფართი დაიტვირთა სესხის უზრუნველყოფის მიზნით, ამასთან, მოვალე გარკვეული პერიოდი ასრულებდა ვალდებულებას. კასატორი მხოლოდ უთითებს, რომ მშობლის მიერ ნაკისრი ვალდებულება მის ინტერესებს ეწინააღმდეგება, თუმცა, ფაქტების მითითების დონეზეც კი არ არსებობს საკმარისი საფუძველი, რომ მოპასუხეს – მისო-ს გადაეკისროს მტკიცების ტვირთი ან შეუბრუნდეს მტკიცების ვალდებულება იმგვარად, რომ სესხის გაცემისას არ გაითვალისწინა ვალდებულების შესრულების (სესხის დაბრუნების) რეალური შესაძლებლობა, რაც მის კეთილსინდისიერებას ეჭვქვეშ დააყენებდა.

24. საკასაციო სასამართლო, იმ შემთხვევაშიც კი, როცა იპოთეკის საგანი მესაკუთრის თუნდაც ერთადერთი საცხოვრებელია, აპრიორი არ მიიჩნევს, რომ იპოთეკის ხელშეკრულება ბათილია (მსგავსად იმ სასამართლო საქმისა, რომელზედაც თავად კასატორმა მიუთითა). საქმის გარემოებები თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა იქნეს შესწავლილი და შეფასდეს. სასამართლოს მეშვეობით არ უნდა ნახალისდეს ვალდებულების შეუსრულებლობა ისეთი გარიგებიდან გამომდინარე, სადაც არასრულწლოვანი პირი მონაწილეობს, მაშინ როცა კრედიტორს არ აქვს ვალდებულების იმთავითვე დარღვევისა და უზ-

რუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარდაუვალობის მოლოდინი. სასამართლოს მიერ იმგვარი განმარტება, რომ კრედიტორის კანონიერ მოთხოვნასთან შედარებით არასრულწლოვანის ქონების უპირატესი და უპირობო დაცვა უნდა მოხდეს იმ პირობებში, როცა არასრულწლოვანის მშობლები გარიგებას ხელს აწერენ და გარკვეულ ვალდებულებას იღებენ, რაც ოჯახის კეთილდღეობას ემსახურება, საფრთხეს შეუქმნიდა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას. ასეთი მიდგომა არასრულწლოვანის ქონებასთან დაკავშირებით გარიგების დადებისგან თავის არიდებისკენ განაწყობდა შესაძლო კონტრაჰენტებს და საბოლოოდ, გარკვეულ შემთხვევებში არასრულწლოვანის კანონიერი ინტერესიც კი შეილახება. სამომხმარებლო სესხის მიზნობრივად გამოყენების მტკიცების ტვირთის კრედიტორისათვის დაკისრება სრულიად გაუმართლებელი და უშედეგო იქნებოდა, საწინააღმდეგოს დამტკიცება სწორედ მოსარჩელის პროცესუალური მოვალეობაა, რაც განსახილველ შემთხვევაში არ განხორციელებულა.

25. საკასაციო სასამართლო განმარტავს, როგორც წესი, საფინანსო ორგანიზაცია სესხის გაცემამდე სავარაუდო მსესხებლის ფინანსურ მდგომარეობას შეისწავლის, რათა განჭვრიტოს ვალდებულების შესრულების – სესხის დაბრუნების რეალურობა და სავარაუდო რისკები. ცხადია, რომ შესაძლოა მოვალემ ვერ შეასრულოს ან ნაწილობრივ შეასრულოს საკუთარი ვალდებულება კრედიტორის წინაშე, თუმცა ეს გარემოება გამსესხებელს იმთავითვე არაკეთილსინდისიერად არ აქცევს. იპოთეკის (მოთხოვნის უზრუნველყოფის) ინსტიტუტის არსებობა სწორედ სავარაუდო რისკების დაზღვევას ემსახურება.

26. განსახილველ შემთხვევაში, კასატორი თავის ვრცელ საკასაციო საჩივარში ვერ ასახელებს, არათუ ასაბუთებს, არსებით გარემოებას, რომ გამსესხებელი სესხის გაცემისას არაკეთილსინდისიერად და არამართლზომიერად მოქმედებდა, მსესხებელი არაკრედიტუნარიანი იყო და, აქედან გამომდინარე, სესხის გაცემის წინაპირობა არ არსებობდა, რასაც შესაძლოა კონკრეტული წინაპირობების დამტკიცების შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის წარმატებულობა განეპირობებინა (შდრ. სუსგ №ას-1221-1146-2015, 20.05.2016). ასევე გაზიარებულია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ გამსესხებელი, მხოლოდ იპოთეკის საგნის იმედად არ იმყოფებოდა, მის (გამსესხებლის) მოქმედებას ყველა კეთილსინდისიერი და საღად მოაზროვნე ადამიანი, საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი პრინციპების საწინააღმდეგო მოქმედებად არ შეაფასებდა, ვინაიდან, სადავო ხელშეკრულების გაფორმების დროს არ არსებობდა ვარაუდი სესხის დაუბრუნებლობისა და არასრულწლოვანის საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული ქონების გასხვისების საჭიროებისა.

27. საკასაციო სასამართლოს ზემოხსენებული მსჯელობისა და დასკვნების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილება სწორია, რაც მისი უცვლელად დატოვების და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თ. პ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შვილის საცხოვრებელი ადგილი მშობლების განქორწინებისას

გადანყვთილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-173-2022

8 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
მ. ერემაძე

დავის საგანი: ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, მშობლის უფლების შეზღუდვა

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მშობლის წარმომადგენლობითი უფლების ნაწილობრივ შეზღუდვის თაობაზე ე. კ-ის (შემდეგში: მოსარჩელე, დედა, შეგვებულის

სარჩელით მოპასუხე ან პირველი აპელანტი) სარჩელი და:

1.1. ა. ჯ-ს (შემდეგში: მოპასუხე, მამა, შეგებებული სარჩელით მოსარჩელე, მეორე აპელანტი ან კასატორი) პასპორტის ალებისა და დედის მიერ ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანის ნაწილში შეეზღუდა მშობლის უფლება 2015 წლის 9 იანვარს დაბადებული გ. ჯ-ის (შემდეგში: შვილი, ბავშვი ან არასრულწლოვანი) მიმართ, კერძოდ: საბერძნეთის რესპუბლიკაში დედამ შვილი გაიყვანოს 15 ივნისიდან 1 აგვისტომდე უკან დაბრუნების ვალდებულებით. დედამ არასრულწლოვნის პასპორტი აიღოს და საზღვარგარეთ წაიყვანოს 2025 წლიდან ბავშვის სურვილის გათვალისწინებით;

1.2. ამავე გადანყვეტილებით მოპასუხის (მამის) შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, არასრულწლოვნის საცხოვრებლად მამის საცხოვრებელი ადგილი განისაზღვრა;

1.3. მოსარჩელის (დედის) სარჩელი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის ნაწილში ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

1.4. დედას არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობა საქართველოში ყოფნისას შემდეგი სახით განესაზღვრა:

ა) ყოველი კვირის, პარასკევ დღეს სასწავლო პროცესის დასრულებიდან ან სხვა დღეებში, 12:00 საათიდან კვირა დღის 20:00 საათამდე, ბავშვის წაყვანის და უკან მამის საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების ვალდებულებით. დედას მიეცეს უფლება, ყოველი კვირის სამშაბათს სასწავლო პროცესის დასრულებიდან ან სხვა დღეებში 12:00 საათიდან წაყვანისა და იმავე დღის 20:00 საათამდე უკან მამის საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების ვალდებულებით;

ბ) ზაფხულის არდადეგების პერიოდში დედამ ურთიერთობა იქონიოს არასრულწლოვან შვილთან – 15 ივნისიდან 1 აგვისტომდე წაყვანისა და უკან დაბრუნების ვალდებულებით;

გ) 1 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე არასრულწლოვანი იქნება მამასთან;

დ) ზამთრის არდადეგების პერიოდი განისაზღვრა შემდეგნაირად: დედამ იქონიოს ურთიერთობა არასრულწლოვან შვილთან არდადეგების დაწყებიდან 7 იანვრამდე წაყვანის და უკან დაბრუნების ვალდებულებით, ხოლო 7 იანვრიდან 14 იანვრამდე ბავშვი იქნება მამასთან;

1.5. მოსარჩელეს (დედას) არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობა საქართველოში არყოფნის შემთხვევაში განესაზღვრა შემდეგი სახით:

ა) დედას შვილთან ურთიერთობა მიეცეს კვირაში ორჯერ ოთხშაბათსა და შაბათს, დღის 19:00 საათიდან იმავე დღის 20:00 საათამდე საკომუნიკაციო პროგრამების – ვაიბერის (viber), ვოტსაპის (whatsapp), მესენჯერის ან სკაიპის მეშვეობით;

ბ) მამამ გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 1 (ერთი)

თვის განმავლობაში მიაწოდოს ინფორმაცია დედას ზემოაღნიშნული საკომუნიკაციო საშუალებიდან რომელი აქვს ჩართული – დედის მიერ ანალოგიური საკომუნიკაციო საშუალების ჩართვის მიზნით. ასეთ შემთხვევაში მამამ დედას მიაწოდოს შვილის სატელეფონო ნომრის შესახებ ინფორმაცია ერთმანეთთან სასაუბროდ;

გ) მამამ უზრუნველყოს მითითებულ პერიოდში სატელეფონო საკომუნიკაციო საშუალების გამართულობა/ჩართულობა დედის მიერ შეილთან საუბრის მიზნით.

1.6 ... – დროებითი განკარგულების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 8.05.2020 წელს გამოცემული განჩინება – ძალაში დარჩა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა. მოსარჩელემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა, ხოლო მოპასუხემ – გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ, კერძოდ, მესამე პუნქტის (წინამდებარე განჩინების 1.3- 1.5 ქვეპუნქტების) გაუქმება და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღება.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით – მოსარჩელისა და მოპასუხის სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება მოპასუხის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებისა და ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე მოსარჩელის (დედის) სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, ასევე – იმ ნაწილში, რომლითაც დადგინდა ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანა 2025 წლიდან და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად;

4. მოსარჩელის სარჩელი ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და არასრულწლოვნის საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილი: ქ. თბილისი, ... დასახლება მე-... მ/რ, მე-... კვარტალი, კორპ. ... ბ, ბინა ... განისაზღვრა;

5. მოპასუხის (მამის) შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

6. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის განწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

6.1. მოსარჩელე და მოპასუხე 2014 წლის 16 ივნისს დაქორწინდნენ;

6.2. მხარეებს 2015 წლის 9 იანვარს შვილი შეეძინათ;

6.3. მოსარჩელე და მოპასუხე ამჟამად განქორწინებულები არიან;
6.4. მოსარჩელე დაქორწინებულია დ. კ-ან. იგი პერიოდულად, საბერძნეთის რესპუბლიკაში იმყოფება და ამ ქვეყანაში ცხოვრებისა და მუშაობის ნებართვა აქვს.

6.5. ბავშვი ცხოვრობს საქართველოში, დედის ოჯახში და დედის არყოფნის პერიოდში, მასზე ზრუნავს ბებია, დედის დედა, დ. ვ-ძე.

6.6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 11 აპრილის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით – ნაწილობრივ დაკმაყოფილდა დედის სარჩელი და მამას, ბავშვის სასარგებლოდ, ალიმენტის სახით 140 ლარის გადახდა დაეკისრა.

6.7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით – დაკმაყოფილდა მამის სარჩელი და მას ბავშვთან ურთიერთობისთვის, ხუთი წლის ასაკის მიღწევამდე, თვეში ორი დღე, ხოლო ხუთი წლის ასაკის მიღწევის შემდეგ – თვეში სამი დღე განესაზღვრა.

7. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ) 354-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საოჯახო საქმეთა განხილვის დროს სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში, მხარეები ფაქტების მითითებისა და მტკიცებულებათა წარდგენის ვალდებულებისაგან საერთოდ თავისუფლდებიან.

8. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ) 1201-ე მუხლის შესაბამისად, 1. თუ განქორწინების გამო ან სხვა მიზეზით მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ ვის ექნება უფლება, გადაწყვიტოს, ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი; 2. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას იმის თაობაზე, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი, წყვეტს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. ამ დებულებათა შესაბამისად, ბავშვის საცხოვრებელი ადგილი, ჩვეულებრივ, მშობელთა შეთანხმებით განისაზღვრება. სასამართლო ბავშვის საცხოვრებელი ადგილის საკითხს წყვეტს მშობლების შეუთანხმებლობის, მათ შორის – დავის არსებობის შემთხვევაში.

9. სააპელაციო სასამართლომ შეფასებით, სასამართლომ ორჯერ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც მშობლებსა და ბავშვს შორის არსებული ურთიერთობები მოანესრიგა, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მამისა და შვილის ურთი-

ერთობა მოგვარდა ხანგრძლივი პერიოდით, ბავშვის ხუთი წლის შესრულების შემდეგაც, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეთა შეთანხმებით, ბავშვის საცხოვრებელი დედის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განისაზღვრა და სასამართლომ ეს შეთანხმება მართლზომიერად და ბავშვის ინტერესების შესაბამისად მიიჩნია. ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე დედის მოთხოვნა მართებულია და, არსებითად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს. ამრიგად, ამ ნაწილში, თავდაპირველმა მოსარჩელემ თავისი მოთხოვნა სსსკ-ის მე-4, 102-ე მუხლების შესაბამისად დაამტკიცა.

10. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მამა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით უკვე დადგენილი და გადაწყვეტილი სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლას ითხოვს. ამ ვითარებაში, თავისი მოთხოვნის დამადასტურებელი ფაქტების მითითებისა და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულება სწორედ მამას ეკისრებოდა. ერთადერთი გარემოება, რის გამოც მამა ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განსაზღვრას ითხოვს, არის ის, რომ დედა საზღვარგარეთ იმყოფება და ბავშვს ბებია (დედის დედა) ზრდის.

11. სააპელაციო სასამართლოს განსჯით, დედის მუდმივად საზღვარგარეთ ცხოვრების ფაქტი საქმის მასალებით არ დგინდება, რამდენადაც სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს მიერ 2019 წლის 11 ივნისს გაცემული ცნობის მიხედვით, 2017 წლის 4 მაისიდან 2019 წლის 31 მაისის ჩათვლით დედამ საქართველოს სახელმწიფოს საზღვარი ორივე მიმართულებით სულ თხუთმეტჯერ გადალახა და ამ პერიოდში საზღვარგარეთ ყოველი გამგზავრების შემდეგ იგი საქართველოში ბრუნდებოდა. გარდა ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ მამის მიერ მითითებული ფაქტი, მისი დამტკიცების შემთხვევაშიც კი – ბავშვის საცხოვრებელი ადგილის თავისთავად შეცვლის საფუძველი არ არის.

12. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ განმარტებაზე მიუთითა: „როდესაც საქმე არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრასა და ცალ-ცალკე მცხოვრებ მშობლებთან ურთიერთობის მოწესრიგებას ეხება, განსაკუთრებული სიფრთხილით შეფასებას მოითხოვს არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე პირებისა თუ შესაბამისი სპეციალისტების (ფსიქოლოგის) მიერ გაკეთებული დასკვნები“ – (სუსგ. საქმე №ას-53-51-2016, 6 ივლისი, 2016 წელი, პ. 59).

13. სასამართლოს განმარტებით, საცხოვრებელი ადგილის შეცვლა სოციალურ ქსელთან – მეგობრებთან, ამხანაგებთან, მეზობლებთან ურთიერთობის, ჩვეული გარემოს და კარგვისა და ახალ გარემოსთან შე-

გუების პროცესთანაა დაკავშირებული. საცხოვრებელი ადგილის შეცვლა ცხოვრების წესის შეცვლას ან, ყოველ შემთხვევაში, ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმიდან ამოვარდნას მაინც იწვევს. ამიტომ, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის შეცვლის თაობაზე გადანაცვეტილების მიღებისას ყველა ზემოხსენებული რისკის შეფასება და გათვალისწინება აუცილებელია. უპირატესობა არსებული, სტაბილური საცხოვრებელი გარემოს შენარჩუნებას უნდა მიენიჭოს.

14. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება და მათზე არც მხარეებს მიუთითებიათ, რომ დედის საცხოვრებელ ადგილას ბავშვს ფიზიკური ან ფსიქიკური საფრთხე დაემუქრება; იგი ვერ მიიღებს განათლებას; არ იქნება დაცული მისი ჯანმრთელობა და სოციალური უფლებები; იქნება ძალადობისა და შეურაცხყოფის მსხვერპლი. თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის სოციალური მუშაკის 2019 წლის 2 აპრილის დასკვნის შესაბამისად, „ბავშვის საცხოვრებელი ადგილი კეთილმოწყობილია, ბავშვს აქვს თავისი პირადი სივრცე, ოთახი, განმავითარებელი სათამაშოები. ოჯახში ჰიგიენის ნორმები დაცულია, არასრულწლოვანს აქვს ყველა საჭირო პირობა განვითარებისთვის. ვიზიტის დროს გამოიკვეთა ბებიის მზრუნველობა და ყურადღება ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით. ამჟამად, დედის რწმუნებული გახლავთ დ. ვ-ძე (სანოტარო აქტი მოქმედების მინდობილობით: №...) ოჯახში სრულად დაცულია ბავშვის უსაფრთხოება. არ იკვეთება ძალადობისა და უგულველყოფის ნიშნები... არასრულწლოვანთან საუბრის დროს გამოიკვეთა, რომ მოსწონს საცხოვრებელი ადგილი“.

15. თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის ფსიქოლოგის 2019 წლის 30 ოქტომბრის დასკვნის მიხედვით, ამ დროისთვის, ბავშვის ლექსიკური მარაგი და ზოგადი ცოდნის დონე ასაკის შესაბამისი იყო. მას ყოველი ვიზიტისას დადებითი გუნება-განწყობილება ჰქონდა, ემოციურ სფეროში სირთულეები არ აღენიშნებოდა, არ ვლინდებოდა შფოთვა და დაძაბულობა. ახლობელ ადამიანებთან აკავშირებდა პოზიტიური მიჯაჭვულობა და უცხო გარემოში ადვილად ადაპტირდებოდა. შიდა ქართლის რეგიონული ცენტრის ფსიქოლოგის 2021 წლის 5 თებერვლის დასკვნის შესაბამისად, ბავშვი სუფთად ჩაცმული და მონესრიგებული იყო. შეხვედრისას გამოირჩეოდა კომუნიკაბელურობით, ცდილობდა დასმულ კითხვებზე ვრცლად და დაუფარავად ეპასუხა. საუბრობდა როგორც დედასთან, ისე მამასთან და მათ ოჯახის წევრებთან ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. შეხვედრისას კომფორტულად გრძნობდა თავს და მასზე რაიმე ფაქტორის ზემოქმედება არ ვლინდებოდა, არ განიცდიდა დაძაბულობას, გონებრივი, ინტელექტუალური და ლოგიკური განვითარება ასაკის შესაბამისი იყო.

16. სააპელაციო სასამართლოს განსჯით, ყოველივე აღნიშნული მიუთითებს, რომ ბავშვის საცხოვრებელი გარემო მისი ფიზიკური, ფსიქოლოგიური უსაფრთხოების დაცვის, სოციალური განვითარების ინტერესებს შეესაბამება და სტაბილური გარემოს შეცვლა შეიძლება მისთვის საფრთხის შემცველი იყოს. სასამართლომ ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნია თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის ფსიქოლოგის 2019 წლის 30 ოქტომბრის დასკვნა, სადაც აღნიშნულია, რომ ბავშვი, მშობლების გარდა, ძლიერ იყო მიჯაჭვული ბებიაზე, რადგან ადრეული ასაკიდან, სწორედ იგი იყო მასზე „ძირითადი მზრუნველი პირი“. შესაბამისად, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, ცხადია, ამ მიჯაჭვულობის რღვევას გამოიწვევს, ეს კი ბავშვის ფსიქიკაზე უარყოფითად აისახება.

17. შიდა ქართლის რეგიონული ცენტრის ფსიქოლოგის 2021 წლის 5 თებერვლის დასკვნის მიხედვით, ბავშვის მამას ფსიქოლოგმა მისცა „რეკომენდაციები მცირეწლოვნის ასაკობრივ თავისებურებებთან, სირთულეებთან, ინტერესებთან და განვითარების ეტაპებთან დაკავშირებით, რათა ბიოლოგიურ მამას სწორად აღექვა და გაენალიზებინა ბავშვისთვის რამდენად მნიშვნელოვანია სტაბილური საცხოვრებელი გარემოს და სანდო მიჯაჭვულობის არსებობა. შეხვედრისას ხაზი გაესვა მიჯაჭვულობის დარღვევის რისკებს და სამომავლო უარყოფით შედეგებსაც“. თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის ფსიქოლოგმა დასკვნაში ყურადღება გაამახვილა ბავშვისთვის სტაბილურობის შეგრძნებისა და მისთვის მნიშვნელოვან ახლობელ ადამიანებთან მიჯაჭვულობის შენარჩუნების აუცილებლობას, რაც ფსიქოლოგის მოსაზრებით, ბავშვის საუკეთესო ინტერესს წარმოადგენდა და გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მისი შემდგომი განვითარებისთვის.

18. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ბავშვის ასაკის გათვალისწინებით, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე მისი დასაბუთებული პოზიციის მოსმენა შეუძლებელია – იგი ამ ტერმინის სამართლებრივ და ფაქტობრივ მნიშვნელობას ჯეროვნად ვერ აცნობიერებს, თუმცა, საყურადღებოა, რომ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე ბავშვმა მზრუნველად ბებია დაასახელა და თქვა, რომ ყველაზე მეტად დედა უყვარდა. ამით, სასამართლოს აზრით, ბავშვმა მისი ასაკისათვის შესაფერისი ლექსიკით განსახილველ საკითხთან დაკავშირებით თავისი პოზიცია გამოხატა. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის სოციალური მუშაკის 2019 წლის 15 აპრილის დასკვნა, რომლის თანახმადაც „არასრულწლოვანთან საუბრის დროს გამოიკვეთა, რომ მოსწონს საცხოვრებელი ადგილი“.

19. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ფსიქოლოგთა და სო-

ციალურ მუშაკთა დასკვნებიდან ირკვევა, რომ არსებულ ვითარებაში ბავშვს ურთიერთობა ორივე მშობელთან აქვს და ისინი ახლობელ, ძვირფას ადამიანებად მიაჩნია. ამავდროულად, თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის ფსიქოლოგის 2019 წლის 30 ოქტომბრის დასკვნაში აღწერილია შემთხვევა, რომ ბავშვს მამის ოჯახში დედის თაობაზე ნეგატიური ინფორმაცია ჩააგონეს – „მამამ თქვა, ცუდი დედა გყავსო“ – რაც ფსიქოლოგმა ბავშვის ემოციური და ფსიქოლოგიური მდგომარეობისთვის ზიანის მიმყენებლად და დაუშვებლად მიიჩნია. ამის შესაბამისად, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში, იარსებებს მსგავსი ვითარების განმეორებისა და, ამის შედეგად, დედა-შვილს შორის ურთიერთობის გაუარესების რისკი. ეს კი ნიშნავს, რომ ბავშვის საცხოვრებელი ადგილის შენარჩუნება ორივე მშობელთან ბავშვის ურთიერთობის შენარჩუნების მიზანსაც შეესაბამება.

20. სააპელაციო სასამართლომ საბოლოოდ დაასკვნა, რომ ბავშვის საცხოვრებელი ადგილის შეცვლამ, შესაძლებელია, მას სტაბილურობის შეგრძნება დაუკარგოს და ახლობელ ადამიანებთან მიჯაჭვულობის რღვევა გამოიწვიოს, ეს კი ბავშვის საუკეთესო ინტერესებს არ შეესაბამება. ამავდროულად, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის შეცვლის აუცილებლობა და მიზანშეწონილობა ვერ დამტკიცდა და ამიტომ მისი საცხოვრებელი საქართველოში დედის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უნდა განისაზღვროს. ამრიგად, მოპასუხის (მამის) შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

21. სააპელაციო სასამართლომ 2021 წლის 9 ნოემბრის განჩინებით დედის მიერ საბერძნეთის რესპუბლიკაში მისი საცხოვრებელი ადგილის მითითება დასაშვებად მიიჩნია. დაადგინა, რომ საბერძნეთში დედის საცხოვრებელი ადგილის მითითება 15 ივნისიდან 30 აგვისტომდე და 26 დეკემბრიდან 15 იანვრამდე ბავშვის ადგილსამყოფელის განსაზღვრას ემსახურება და სსკ-ის 1201-ე მუხლი, შინაარსობრივად, სსკ-ის მე-20 მუხლს („ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი“; არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მშობლის უფლების მქონე მშობლების საცხოვრებელი ადგილი“) უკავშირდება და მისგან გამომდინარეობს. ერთ-ერთი მშობლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა ნიშნავს იმასაც, რომ ამ მშობლის საცხოვრებლის შეცვლის შემთხვევაში, ბავშვის საცხოვრებელი ადგილიც შეიცვლება.

22. სასამართლოს შეფასებით, ვინაიდან ბავშვმა საზღვარგარეთ მხოლოდ შეზღუდული დრო, ნელინადში, დაახლოებით, ორი კვირა დღე უნდა გაატაროს, ამ ვადით გარკვეულ ადგილას ყოფნა საცხოვრებელ

ადგილს არ წარმოშობს. შესაბამისად, საბერძნეთის რესპუბლიკაში ბავშვის ადგილსამყოფლის განსაზღვრის აუცილებლობა არ წარმოიშვა და ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე დედის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

23. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომლითაც მამას ბავშვთან მართებით უფლება შეეზღუდა და დედას ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანის უფლება ყოველი წლის 15 ივნისიდან პირველ აგვისტომდე – 2025 წლიდან, ანუ ბავშვის 10 წლის შესრულების შემდეგ მიეცა. ამ ნაწილში მამას გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია.

24. სასამართლოს განსჯით, დედის მიერ მოთხოვნილი ვადითა და პერიოდებში ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანა მამასა და შვილს შორის ურთიერთობას შეაფერხებს და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასაც შეუძლებელს გახდის – როგორც აღინიშნა, ამ გადაწყვეტილებით, ბავშვის ხუთი წლის შესრულების შემდეგ, მამას მისი, ყოველთვიურად, სამი დღით წაყვანის უფლება მიეცა. ბავშვი ხუთი წლის 2020 წლის 9 იანვარს გახდა. იმ შემთხვევაში, თუ დედა ბავშვს საზღვარგარეთ 15 ივნისიდან 30 აგვისტომდე გაიყვანს, აგვისტოში მამა ბავშვთან ურთიერთობას ვერ მოახერხებს, ე.ი. გადაწყვეტილება ვერ აღსრულდება. გარდა ამისა, მამა-შვილს შორის სრულფასოვანი ურთიერთობის აღდგენისათვის, მნიშვნელოვანია საახალწლო-საშობაო დღესასწაულებისას მათ უშუალო, ფიზიკური კონტაქტის საშუალებაც ჰქონდეთ, ხოლო, თუ ბავშვი ამ პერიოდში საბერძნეთის რესპუბლიკაში იქნება, ამას ვერ მოახერხებენ. სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს მიერ 2019 წლის 11 ივნისს გაცემული ცნობისა და თავად დედის განმარტების თანახმად, იგი საბერძნეთის რესპუბლიკაში მუდმივად არ იმყოფება. ამიტომ, ბავშვთან უშუალო ურთიერთობას საქართველოში დაბრუნების დროსაც შეძლებს. შესაბამისად, მამის პოზიციის გათვალისწინებით, დედას ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანის უფლება საქალაქო სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადით, ე.ი. 15 ივნისიდან 1 აგვისტომდე მიენიჭა, თუმცა, ვინაიდან 2025 წლამდე ამ შესაძლებლობის შეზღუდვის არავითარი საფუძველი და აუცილებლობა არ არსებობდა ამ ნაწილში, გადაწყვეტილება გაუქმდა.

25. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

25.1. მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

25.2. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ შიდა ქართლის რეგიონალური ცენტრის 2021 წლის 26 აპრილის დასკვნა, რომ არ არსებობდა მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვის აუცილებლობა უსაფუძვლოდ არ გაიზიარა და ბავშვის დედას შესაძლებლობა მიეცა, საბერძნეთის რესპუბლიკაში კონკრეტული პერიოდით, 2025 წლიდან გაიყვანოს; არ შეფასდა ის გარემოება, რომ დედა მეუღლესთან ერთად საბერძნეთში ცხოვრობს და არსებობს საშიშროება, ბავშვი საქართველოში აღარ დააბრუნოს; სააპელაციო სასამართლომ არასწორად იმსჯელა, თითქოს სასამართლომ ორჯერ მიიღო გადაწყვეტილება და ამით მშობლებს და ბავშვს შორის არსებული ურთიერთობა მოაწესრიგა; საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 14 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მამისა და ბავშვის ურთიერთობა მოწესრიგდა ხანგრძლივი პერიოდით, 5 წლის ასაკის მიღწევის შემდეგაც, რაც იმას არ ნიშნავს, რომ მხარეთა შეთანხმებით ბავშვის საცხოვრებელი დედის საცხოვრებელი ადგილით განისაზღვრა; სამართლებრივად არასწორად შეაფასა და დაასკვნა, რომ ეს გადაწყვეტილება ბავშვთან ურთიერთობის წესს ეხებოდა და არა საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას; სააპელაციო სასამართლომ ასევე არ შეაფასა სასამართლო სხდომაზე დაკითხული სოციალური მუშაკის პოზიცია, რომელმაც ორივე ინსტანციის სასამართლოში დაადასტურა, რომ მისთვის ცნობილია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მიზანშეწონილად მიიჩნევდა ბავშვის საცხოვრებელი ადგილი მამის საცხოვრებელით განსაზღვრულიყო; არ გამოიკვლია, ის გარემოება, რომ დედას არ შეუძლია დღე და ღამე ბავშვზე ზრუნვა, რადგან არ ცხოვრობს საქართველოში;

25.3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 23 მარტის განჩინებით, ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, სსსკ-ის 396-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო ამავე სასამართლოს 2022 წლის 15 აპრილის განჩინებით – საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა განალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების შეფასების, მოპასუხის საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის გზით შემოწმების შედეგად გამოაქვს დასკვნა, რომ საკასაციო განაცხადი დასაბუთებულია და მოპასუხის (ბავშვის მამის) შეგებული სარჩელი სრულად უნდა დაკმაყოფილდეს.

26. სსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადანყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადანყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელემ ნაწილობრივ დასაბუთებული საკასაციო შედავება წარმოადგინა.

27. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს არის თუ არა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებში მის საცხოვრებლად მამის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა. ამ მიზნიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, მათ შორის, „ბავშვის უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წლის კონვენციით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციითა და საქართველოს შიდასაკანონმდებლო აქტებით აღიარებული მშობლების თანასწორუფლებიანობის პრინციპზე შვილების მიმართ და ბავშვის უფლებაზე, ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში.

28. კასატორის პირველი პრეტენზია ისაა, რომ ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა სხდომაზე დაკითხული სოციალური მუშაკის პოზიცია, რომელმაც ორივე ინსტანციის სასამართლოში დაადასტურა, რომ მისთვის ცნობილია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მიზანშეწონილად მიიჩნევდა ბავშვის საცხოვრებლად მამის საცხოვრებელით განსაზღვრულიყო; არ გამოიკვლია, ის გარემოება, რომ დედას არ შეუძლია დღე და ღამე იზრუნოს ბავშვზე, რამდენადაც იგი საქართველოში მუდმივად არ ცხოვრობს.

29. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია აწესებს ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის. კონვენციის პრეამბულაში აღიარებულია, რომ ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარება

რებისათვის აუცილებელია, იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში. კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპურველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას. კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან, შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია.

30. სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია, ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც სუბიექტის უფლებების აღიარება და დაცვა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის უფლებასა და საუკეთესო ინტერესთან დაკავშირებული თითოეული საქმის განხილვისა და ინდივიდუალური შეფასებისას, რომ ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილებებში, სადაც განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მშობლისა და ბავშვის უფლებები, უპირატესობა მიენიჭოს ბავშვის უფლებებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევა და მისი შესატყვისი გადანყვეტილების მიღება (იხ. *Elsholz v. Germany*, N25735/94, 31.07.2000, par. 52; *TK and KM v. UK*, N 28945/95, 10.05.2001, par. 72. Sdr. ასევე, სუსგ №ას-967-916-2015, 25.02.2016).

31. ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბავშვს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადანყვეტილების მიღებისას უპირატესობა მიენიჭოს მის საუკეთესო ინტერესებს. იმავე კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბავშვს უფლება აქვს, ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში, სადაც შექმნილია პირობები მისი ჰარმონიული აღზრდის, განვითარებისა და კეთილდღეობისთვის.

32. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესი მშობლებთან თანაბარი ურთიერთობის შესაძლებლობასაც მოიაზრებს და კასატორის ყურადღებას გაამახვილებს სსკ-ის 1202-ე მუხლზე (მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განქორწინე-

ბული არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ. მშობელს, რომელთანაც შვილი ცხოვრობს, უფლება არა აქვს, შეზღუდოს მეორე მშობლის უფლება-მოვალეობები). აღნიშნული ნორმა მშობელს, რომელთანაც ცხოვრობს ბავშვი, უკრძალავს მეორე მშობელთან ურთიერთობის შეზღუდვას. სასამართლომ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა ზედმინევნიტ სწორად დაადგინოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას (ბავშვის უფლებათა კონვენციის 3.1 მუხლი). ბავშვი არ უნდა დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევების გარდა, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, განსაზღვრავენ სათანადო კანონისა და პროცედურების შესაბამისად, რომ ასეთი დაშორება საჭიროა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელთან განშორებული ბავშვის უფლებას, რეგულარულ საფუძველზე პირადი ურთიერთობა და პირდაპირი კონტაქტები იქონიოს ორივე მშობელთან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება (ამავე კონვენციის 9.1. და 9.3. მუხლები).

33. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებულია ყველას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, მითითებული დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც, რაც ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ, სსკ-ის 1197-ე მუხლის ბოლო წინადადების თანახმად, ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. მართალია, საერთაშორისოდ აღიარებული ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს, თუმცა ზემოხსენებული სამართლებრივი აქტები თავადვე იძლევიან ჩარევის ლეგიტიმურ დეფინიციას და განსაზღვრავენ, რომ იგი პროპორციულია, თუ ჩარევა გამოწვეულია დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული აუცილებლობით, ამასთან, ჩარევის სტანდარტად გამოყენებულ უნდა იქნეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, რაც ცალსახადაა ასახული „ბავშვის უფლებათა კონვენციაში“. მოხმობილი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი ბავშვის უფ-

ლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს აწესებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის.

34. კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს, ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს, აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლით დადგენილია მშობლების თანასწორუფლებიანობის პრინციპი შვილების მიმართ. მშობლები უფლებამოსილნი და ვალდებულნი არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით (სსკ-ის 1198.1 მუხლი). მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს (სსკ-ის 1199-ე მუხლი). მითითებული საკანონმდებლო დანაწესების ანალიზი იძლევა ცალსახა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მშობელთა უპირველესი მოვალეობა ბავშვის ჰარმონიული აღზრდა-განვითარება, ოჯახური გარემოს შექმნა და ამ კუთხით მისაღები ნებისმიერი გადაწყვეტილებისას, უპირატესობა არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს ენიჭება, შესაბამისად, ჩარევის პროპორციულობის დასაშვები ზღვარი იმისი უალტერნატივოდ დადგენაა, რომ ამგვარი ჩარევა წარმოადგენს ერთადერთ სწორ და მისაღებ გადაწყვეტილებას არასრულწლოვნის/მცირეწლოვნის, როგორც საზოგადოების მომავალი სრულუფლებიანი და ღირსეული წევრის, განვითარებაში (იხ. სუსგ №ას-458-440-2016, 15.07.2016წ).

35. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მხარეები ვერ შეთანხმდნენ არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელ ადგილზე; მხარეებს ჰყავთ საერთო შვილი; მოსარჩელე (ბავშვის დედა) 2017 წლიდან საბერძნეთის რესპუბლიკაში იმყოფება და აქვს იქ ცხოვრების ნებართვა, რომელიც 2017 წლის 13 ივლისს გაიცა და 2022 წლის 12 ივლისამდე ძალაშია; მოსარჩელე 2017 წლის 7 მარტიდან დაქორწინებულია საბერძნეთის მოქალაქე დ. კ.-ზე; მოსარჩელე დასაქმებულია და აქვს სტაბილური შემოსავალი; მოპასუხე (ბავშვის მამა) ცხოვრობს საქართველოში, მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართია გორის რაიონი, სოფელი ...; მათი არასრულწლოვანი შვილი ძირითადად ბებიასთან (დედის დედასთან)

თბილისში (... დასახლება, მე-... მკ/რ, მე... კვარტალი, კორპ. №... ბინა №...) ცხოვრობს და გარკვეულ პერიოდს ბ-ის რაიონის სოფელ ... ატარებს, სადაც მოსარჩელის მშობლების საცხოვრებელია.

36. „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბავშვს უფლება აქვს ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში, სადაც შექმნილია პირობები მისი ჰარმონიული აღზრდისა და განვითარებისა და კეთილდღეობისთვის. სასამართლოს განსახილველია არა მშობლის უფლება, ურთიერთობა ჰქონდეს საკუთარ შვილთან და ნახოს იგი, არამედ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი, ოჯახური გარემოს ჰარმონიული აღქმისა და აღზრდა-განვითარებისათვის ყველა პირობა ჰქონდეს, რათა კონტაქტი არ დაიკარგოს მშობელთან, მიუხედავად მშობლების დამორებისა. „ბავშვები უნდა იყვნენ განხილული არა როგორც მშობლების საკუთრება, არამედ როგორც საკუთარი უფლებებისა და საჭიროებების მქონე ინდივიდები“ (ევროპის საბჭოს ასამბლეა, 31-ს სესია, რეკომენდაციები ბავშვთა უფლებების ევროპულ ქარტიაზე, ტექსტი მიღებული 4.10.1979).

37. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „როდესაც საქმე არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრასა და ცალ-ცალკე მცხოვრებ მშობლებთან ურთიერთობის მოწესრიგებას ეხება, განსაკუთრებული სიფრთხილით შეფასებას მოითხოვს არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე პირებისა თუ შესაბამისი სპეციალისტების (ფსიქოლოგის) მიერ გაკეთებული დასკვნები“ (იხ. სუსგ №ას-53-51-2016, 6.07.2016). მოცემულ საქმეზე ნარმოდგენილია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ მომზადებული რამდენიმე დასკვნა, საიდანაც დგინდება, რომ არასრულწლოვანი ბავშვის ორივე მშობლის ოჯახში შექმნილია ნორმალური საცხოვრებელი პირობები და ორივე შემთხვევაში – არასრულწლოვანისათვის კეთილსაიმედო და უსაფრთხო გარემო. სასამართლოს დროებითი განკარგულების საფუძველზე ბავშვი ყოველი თვის 10 დღეს ატარებს მამის ოჯახში, გორის რაიონ სოფელ ..., დანარჩენ დროს – ბებუასთან (დედის დედასთან), ... ბავშვის დედა საბერძნეთში ცხოვრობს. მამის ოჯახში არასრულწლოვანი თავს მშვიდად და დაცულად გრძნობს და ურჩევნია იქ ყოფნა. მისი საჭიროებები, სურვილები და ინტერესები ოჯახის მხრიდან დაკმაყოფილებულია. მამა არ ახდენს უარყოფით გავლენას ბავშვზე. საქმის მასალების მიხედვით, არასრულწლოვნის ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და მშობლებთან ურთიერთდამოკიდებულების შესწავლის მიზნით, თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის ფსიქოლოგს შესაბამისი კვლევა დაევალა. ფსიქოლოგის შეფასებით, რეკომენდებულია, შემუშავდეს ორივე მშობელთან ურთიერთობისა და თანაცხოვრების იმდაგვარი რეჟიმი, რომელიც ბავშვს არ დაუკარგავს სტაბილურობის შეგრძნებას და ხელს შეუწყობს

მისთვის მნიშვნელოვან ახლოებელ ადამიანებთან მიჯაჭვულობის შენარჩუნებას, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი შემდგომი განვითარებისთვის. ორივე მშობელი ყურადღებიანი და მზრუნველია ბავშვის მიმართ, ორივე მათგანი ორიენტირებულია ბავშვის ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობაზე. დედა ადეკვატურად გამოხატავდა სითბოს, სათანადოდ უჭერდა მხარს შვილს, ზრუნავდა მის ფსიქიკურ თუ ფიზიკურ განვითარებაზე. მამის საუბრის მანერა და ხმის ტემბრი ერგებოდა არასრულწლოვნის ასაკობრივ თავისებურებებს. ბავშვის ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი ფიგურა მამაა, რომელთანაც დადებითი ემოციები აკავშირებს. მშობლებთან ურთიერთობა დადებითად იმოქმედებს ბავშვის ემოციებსა და ფსიქიკაზე, მის შემდგომ ზრდა-განვითარებაზე. შიდა ქართლის რეგიონული ცენტრის ფსიქოლოგმა არასრულწლოვნის ფსიქოემოციური მდგომარეობა შეაფასა 2021 წლის დასაწყისშიც. ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის შეფასებით, არ არის რეკომენდებული ერთი თვის თანაბრად გაყოფა მხარეებს შორის და ბავშვის ორ სხვადასხვა მისამართზე ცხოვრება. ამან შესაძლოა ბავშვის ფსიქიკის გაორება გამოიწვიოს, საფრთხე შეექმნას მის განვითარებას, დაირღვეს სანდო მიჯაჭვულობა და პიროვნულ თვისებებში პრობლემებმა იჩინოს თავი. როგორც ფსიქოლოგის, ასევე, სოციალური მუშაკის რეკომენდაციაა, რომ ბავშვისთვის აუცილებელია სტაბილური გარემოს შექმნა, სადაც ბავშვი ძირითადად იცხოვრებს მზრუნველ, უსაფრთხო და კეთილსაიმედო გარემოში. არასრულწლოვანს ამ ეტაპზე რაიმე სახის ემოციური სირთულე არ აღენიშნება.

38. სოციალური სამსახურის მიერ დეტალურად შემოწმდა მამის საცხოვრებელი პირობები. საცხოვრებელი არის ორსართულიანი ბინა, პირველ სართულზე არის სამი ოთახი, იქვეა მოწესრიგებული სააბაზანო-საპირფარეშო, გ-ის აქვს თავისი სანოლი და ახლად გარემონტებული ოთახი, სახლი აღჭურვილია პირველადი მოხმარების ტექნიკითა და ავეჯით; სოციალური სამსახურის შეფასებით, მამის საცხოვრებელ ადგილას, ბავშვზე დამაკმაყოფილებლად ზრუნავენ, აქვს საკვები, ტანსაცმელი და სათამაშოები, მას ეწყობიან სითბოთი და სიყვარულით. მამასთან ურთიერთობა ღია და გულწრფელია. მამა-შვილი ერთმანეთის მიმართ გამოხატავს თბილ დამოკიდებულებას. მამის ოჯახში ყოფნისას არასრულწლოვანი დაცულია ძალადობისა და უგულვებელყოფისგან. მას მოსწონს იქ ცხოვრება. მამის ოჯახი ინტეგრირებულია იმ საზოგადოებაში, სადაც ისინი ცხოვრობენ, ოჯახის წევრებს მეზობლებთან კარგი ურთიერთობა აქვთ. საცხოვრებელი სახლი ბავშვისთვის არის უსაფრთხო. მამისა და თავად არასრულწლოვნის გადმოცემით, მას ჰყავს სოფელში მეგობრები, რომლებთანაც თამაშობს და ერთობა. მამას სურს და მუდმივად ცდილობს, აქტიურად იყოს ჩართული ბავშვის

ცხოვრებაში. შესაბამისად, დადგენილია, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები და უფლებები – ცხოვრობდეს მშვიდ, უსაფრთხო მზრუნველ და კეთილსამიედო გარემოში, სრულად დაცული და უზრუნველყოფილია მამის საცხოვრებელ ადგილზე.

39. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ არასრულწლოვანის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის საკითხის გადაწყვეტისას შესწავლილი უნდა იქნეს საკითხი იმის შესახებ, როდის და სად სჯობს, იყოს ბავშვი, სად არის მისთვის უკეთესი, რომელ მშობელს აქვს უფრო მეტი რესურსი კონკრეტულ პერიოდში, რომ მისცეს ბავშვს უკეთ განვითარების შანსი. გარემომ, სადაც მომავალში იქნება ბავშვი, ხელი უნდა შეუწყოს მის ფსიქო-ემოციურ და ინტელექტუალურ განვითარების, სამომავლო ურთიერთობებსა და სოციალიზაციის პროცესს. დადგენილია, რომ არასრულწლოვანი ორივე მშობლის მიმართ ამჟღავნებს პოზიტიურ დამოკიდებულებას, თუმცა ვლინდება მამასთან ურთიერთობის დანაკლისი. სოციალური სამსახურის ფსიქოლოგის შეფასებით, ბავშვს ახარებს მამის ნახვა და მასთან ურთიერთობა დადებით ემოციებს უქმნის. ამ ეტაპზე არასრულწლოვნის დედა ძირითადად ცხოვრობს საქართველოს ფარგლებს გარეთ, საბერძნეთში მეუღლესთან ერთად. ბავშვის დედისავე განმარტებით, იგი წელიწადში რამდენჯერმე შეძლებს ჩამოსვლას ბავშვთან (ზუსტ დროს და პერიოდულობას ვერ ასახელებს). ფაქტობრივად ამჟამად ბავშვი არ იზრდება არც ერთ მშობელთან და მისი ძირითად საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს ბებიის (დედის დედის) საცხოვრებელი, შესაბამისად, ბავშვი მოკლებულია ორივე მშობლის სიახლოვეს და მათთან ურთიერთობებს. არც ერთი მხარე არ არის წინააღმდეგი მეორე მშობელს შეუზღუდავად ჰქონდეს ურთიერთობა არასრულწლოვანთან საქართველოს ტერიტორიაზე.

40. საქმეზე დადგენილი გარემოებების, წარმოდგენილი მტკიცებულებების, კერძოდ სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების მიერ მომზადებული დასკვნების გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ არასრულწლოვნის მამასთან ცხოვრება არ იქნება ბავშვისათვის ზიანის მომტანი, არ დააბრკოლებს მის განვითარებას, სოციალიზაციას და არ შეუქმნის საფრთხეს სამომავლოდ მის, როგორც საზოგადოების სრულყოფილ წევრად, ჩამოყალიბებას. ბავშვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა და მისი პოზიტიური ემოციების გამოხატულება მამის მიმართ სასამართლოს აძლევს იმ დაკვნის გამოტანის საფუძველს, რომ ბავშვისთვის უკეთესია ცხოვრობდეს ერთ-ერთ მშობელთან, ამ შემთხვევაში მამასთან და, თავის მხრივ, მამაც აქტიურად იღებდეს მონაწილეობას არასრულწლოვანი შვილის ყოველდღიურ ცხოვრებაში. როგორც საქმეში წარმოდგენილი ფსიქოლოგიური შეფასებიდან ირკვევა, ბავშვის მხრიდან იკვეთება მამას-

თან ინტენსიური ურთიერთობის სურვილი. მამის როლი ბავშვის ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანია. ამასთან, ფსიქოლოგის რეკომენდაციით, არ არის სასურველი, მხარეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ბავშვის ყოფნის პერიოდის ერთი თვის თანაბრად გაყოფა და მისი ორ სხვადასხვა მისამართზე ცხოვრება, რადგან ამან შესაძლოა ბავშვის ემოციური და ფსიქოლოგიური გახლეჩა გამოიწვიოს, საფრთხე შეუქმნას მის განვითარებას, დაირღვეს სანდო მიჯაჭვულობა. მნიშვნელოვანია ბავშვს ჰქონდეს სტაბილურობის განცდა, დაცულობის და უსაფრთხოების შეგრძნება, რაც ცალსახად ვლინდება მამის ოჯახში ყოფნის დროს ბავშვის ემოციური მდგომარეობის შეფასებისას.

41. საკასაციო სასამართლო წინამდებარე გადაწყვეტილებით არ ცდილობს რაიმე ფორმით შეზღუდოს სსკ-ის 1202-ე მუხლით აღიარებული რომელიმე მშობლის ინტერესი, უფრო მეტიც, სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ოჯახური ცხოვრების პატივისცემის მრავლისმომცველ უფლებაზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მშობლისა და ბავშვის მიერ მათი ერთად ყოფნით სიამოვნების მიღება ქმნის ოჯახური ცხოვრების ფუნდამენტურ ელემენტს (იხ. ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „ნ.ნ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“; საჩივარი №.71776/12; 16.02.2016წ; საბოლოო გახდა 2.05.2016წ). საკასაციო სასამართლოს განსჯით, მნიშვნელოვანია ბავშვის საუკეთესო ინტერესის შეფასება, ოჯახური გარემოს ჰარმონიული აღქმისა და აღზრდა-განვითარებისათვის ყველა პირობის არსებობა, რათა მან კონტაქტი არ დაკარგოს მშობელთან, მიუხედავად მშობლების დაშორებისა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ბავშვის ინტერესი მოიცავს ორ მხარეს. ერთის მხრივ, ის აყალიბებს, რომ ბავშვის კავშირი ოჯახთან უნდა იყოს შენარჩუნებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ოჯახი შეფასებულია როგორც შეუფერებელი. იგულისხმება, რომ ოჯახური კავშირი შეიძლება განწყდეს მხოლოდ განსაკუთრებულ, საგამონაკლისო გარემოებებში და ყველაფერი უნდა გაკეთდეს პირადი ურთიერთობების შესანარჩუნებლად და, თუ შესაძლებელია, მოხდეს ოჯახის აღდგენა. მეორე მხრივ, ბავშვის ინტერესებში აუცილებლად შედის ჯანსაღ გარემოში ჩამოყალიბება და მშობელს არ შეუძლია იმ ღონისძიებების მიღება, რომელიც ავნებს ბავშვის ჯანმრთელობას და განვითარებას. ბავშვის საუკეთესო ინტერესები არის მთავარი საზრუნავი ნებისმიერი გადაწყვეტილების შემთხვევაში, რომელიც ბავშვს უკავშირდება (ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპული სასამართლოს 2015 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება საქმე „გ.ს. საქართველოს წინააღმდეგ“).

42. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ განქორწინ-

ნებული მშობლებისა და არასრულწლოვნის ინტერესებს შორის ბალანსის დაცვის მიზნით უნდა გამოინახოს არა მხოლოდ ერთ-ერთი მშობლის სასარჩელო მოთხოვნაზე სწორი გადაწყვეტის საშუალება, არამედ, უნდა დადგინდეს მეორე მშობლის ურთიერთობის წესი ბავშვის მიმართ, თუმცა, საკითხი უნდა გადაწყდეს არა მხოლოდ მოსამართლის, როგორც ინდივიდის პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით, არამედ – ზედმიწევნით უნდა შეფასდეს სპეციალისტების – ბავშვის კანონიერი წარმომადგენლებისა და ფსიქოლოგების შესაძლებლობანი. მზრუნველი, ოჯახური და კომფორტული გარემოს შექმნა ორივე მშობლის ვალდებულებაა, ხოლო მოცემულ შემთხვევაში თითოეულ მშობელს, რადგან ისინი განცალკევებით ცხოვრობენ, ბავშვის ნორმალური განვითარებისათვის ევალება შვილთან ურთიერთობისათვის ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინება, რაც მშობლის არა მხოლოდ ზნეობრივი, არამედ კანონისმიერი ვალდებულებაა.

43. საკასაციო სასამართლო იზიარებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის მოსაზრებას, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მისთვის უსაფრთხო და სტაბილური ფსიქო-ემოციური გარემოს შექმნისათვის მნიშვნელოვანია, რომ ორივე მშობელი თანაბრად იყოს ჩართული მის ზრდა-განვითარებაში და ორივე მშობელმა თანაბრად უნდა ივალდებულოს შვილზე პასუხისმგებლობა. იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვის დედის ძირითად საცხოვრებელ ადგილს არ წარმოადგენს საქართველო, ხოლო ბავშვს მამასთან აქვს პოზიტიური მიჯაჭვულობა, ურთიერთობის დანაკლისი და ავლენს შიშს მასთან განშორებისა, სოციალური სამსახურის რეკომენდაციის საფუძველზე მიზანშეწონილია, რომ ბავშვი ცხოვრობდეს მშობელთან, ამ შემთხვევაში მამასთან, თუმცა მას შენარჩუნებული უნდა ჰქონდეს რეგულარული და პირადი ხასიათის კონტაქტი დედასთან, რომელთანაც სიყვარული და პოზიტიური მიჯაჭვულობა აკავშირებს. ბავშვის დედასთან სტაბილური ურთიერთობა მნიშვნელოვანი და აუცილებელია მათ შორის არსებული ემოციური კავშირის შესანარჩუნებლად. აღნიშნულის გათვალისწინებით, დედას, როგორც მშობელს, უნდა განესაზღვროს არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობის წესი, რაც შეესაბამება არასრულწლოვანი ბავშვის ინტერესებს.

44. საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ გამორჩეულია ბები-პაპის როლი ბავშვის ცხოვრებაში და წინამდებარე გადაწყვეტილება არ წარმოადგენს მის დაკნინებას, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ბებიის სიყვარული და მზრუნველობა მამასთან შვილის ურთიერთობის აუცილებლობას ვერ ჩაანაცვლებს, ისევე, როგორც შეუცვლელია მშობელთა როლი და მათთან ურთიერთობა.

45. კასატორის კიდევ ერთი პრეტენზია გასაჩივრებულ გადაწყვე-

ტილებში არსებულ მსჯელობას შეეხება, სადაც სასამართლომ მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დაასკვნა, რომ საქალაქო სასამართლომ ორჯერ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც მშობლებსა და ბავშვს შორის არსებული ურთიერთობები მოაწესრიგა, კერძოდ, სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოწესრიგდა მამისა და ბავშვის ურთიერთობა ხანგრძლივი პერიოდით, ბავშვის მიერ ხუთი წლის ასაკის მიღწევის შემდეგაც, სასამართლოს შეფასებით, იმას ნიშნავს, რომ მხარეთა შეთანხმებით, ბავშვის საცხოვრებელი ადგილი დედის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განისაზღვრა და სასამართლომ ეს შეთანხმება მართლზომიერად და ბავშვის ინტერესების შესაბამისად მიიჩნია. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის ამ პრეტენზიას და არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მითითებულ მსჯელობას, რამდენადაც ზემოთ ხსენებული გადაწყვეტილების მიხედვით, მხარეებს შორის დავის საგანი შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრას შეეხებოდა, რაც ცხადია განსახილველი დავის საგნისგან დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნაა და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით უკვე დადგენილი და გადაწყვეტილი სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლას არ გულისხმობს.

46. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, და შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, მოპასუხის შეგებებული სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

47. სსსკ-ის 53.3 მუხლის საფუძველზე მხარეთა შორის სახელმწიფო ბაჟის განაწილების საკითხი ასახულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ვ ი ტ ა :

1. ა. ჯ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ე. კ-ის /პ/ნ .../ სასარჩელო მოთხოვნა მშობლის წარმომადგენლობითი უფლების ნაწილობრივ შეზღუდვის თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს:

3.1. ა. ჯ-ს /პ/ნ ...-/ შეეზღუდოს მშობლის უფლება გ. ჯ-ის / დაბადებული 2015 წლის 09 იანვარს, პ/ნ .../ მიმართ პასპორტის აღების და ე. კ-ის მიერ გ. ჯ-ის საზღვარგარეთ გაყვანის ნაწილში, კერძოდ: ე. კ-მა /პ/ნ .../ გ. ჯ-ი გაიყვანოს საბერძნეთის რესპუბლიკაში 15 ივნისიდან 01 აგვისტომდე – უკან დაბრუნების ვალდებულებით;

4. ა. ჯ-ის /პ/ნ .../ შეგეგბებული სარჩელი დაკმაყოფილდეს:

4.1. არასრულწლოვნის გ. ჯ-ის / დაბადებული 2015 წლის 09 იანვარს, პ/ნ ... / საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს მამის, ა. ჯ-ის /პ/ნ .../ საცხოვრებელი ადგილი;

5. ე. კ-ის /პ/ნ .../ სარჩელი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის ნაწილში ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს:

5.1. ე. კ-ს /პ/ნ .../ არასრულწლოვან შვილთან გ. ჯ-თან/ დაბადებული 2015 წლის 09 იანვარს, პ/ნ .../ ურთიერთობა საქართველოში ყოფნისას განესაზღვროს შემდეგი სახით:

ა) ყოველი კვირის პარასკევს დღეს სასწავლო პროცესის დასრულებიდან, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში დღის 12:00 საათიდან კვირა დღის 20:00 საათამდე ბავშვის წაყვანის და უკან მამის – ა. ჯ-ის /პ/ნ .../ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების ვალდებულებით. ასევე, ე. კ-ს მიეცეს უფლება ყოველი კვირის სამშაბათს დღეს სასწავლო პროცესის დასრულებიდან, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში დღის 12:00 საათიდან წაყვანის და იმავე დღის 20:00 საათამდე უკან მამის, ა. ჯ-ის /პ/ნ .../ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების ვალდებულებით.

ბ) ზაფხულის არდადეგების პერიოდში – ე. კ-მა /პ/ნ .../ იქონიოს ურთიერთობა არასრულწლოვან შვილთან, გ. ჯ-ან 15 ივნისიდან 01 აგვისტომდე წაყვანის და უკან დაბრუნების ვალდებულებით.

გ) 01 აგვისტოდან 01 სექტემბრამდე არასრულწლოვანი ბავშვი, გ. ჯ-ი იქნება მამასთან – ა. ჯ-ან.

დ) ზამთრის არდადეგების პერიოდი განისაზღვროს შემდეგი სახით: ე. კ-მა იქონიოს ურთიერთობა არასრულწლოვან შვილთან გ. ჯ-ან არდადეგების დაწყებიდან 07 იანვრამდე წაყვანის და უკან დაბრუნების ვალდებულებით, ხოლო 07 იანვრიდან 14 იანვრამდე არასრულწლოვანი ბავშვი გ. ჯ-ი იქნება მამასთან – ა. ჯ-ან.

5.2. ე. კ-ს /პ/ნ .../ არასრულწლოვან შვილთან გ. ჯ-ან / დაბადებული 2015 წლის 09 იანვარს, პ/ნ .../ ურთიერთობა საქართველოში არ ყოფნის შემთხვევაში განესაზღვროს შემდეგი სახით:

ა) ე. კ-ს შვილთან ურთიერთობა მიეცეს კვირაში ორჯერ ოთხშაბათს და შაბათს დღეს დღის 19:00 საათიდან იმავე დღის 20:00 საათამდე კო-

მუნიკაციის საშუალებით /Viber-ის, whatsapp-ის, მესენჯერის, ან სკაიპის/ მეშვეობით.

ბ) ა. ჯ-მა გადანაცვების კანონიერ ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში მიაწოდოს ინფორმაცია ე. კ-ს ზემოაღნიშნული საკომუნიკაციო საშუალებიდან /იხ. 5.2 „ა“ პუნქტი/ რა აქვს ჩართული – ე. კ-ის მიერ ანალოგიური საკომუნიკაციო საშუალების ჩართვის მიზნით. ასეთ შემთხვევაში ა. ჯ-ის მიერ ასევე მიეწოდოს ე. კ-ს, თუ რა სატელეფონო ნომრით სარგებლობს – დედის მხრიდან შვილთან საუბრის მიზნით.

გ) ა. ჯ-მა უზრუნველყოს ზემოთ მითითებულ პერიოდში /იხ. 5.2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი/ სატელეფონო საკომუნიკაციო საშუალების გამართულობა/ჩართულობა ე. კ-ის მიერ შვილთან გ. ჯ-ან საუბრის მიზნით;

6. ე. კ-ს ა. ჯ-ის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის 150 ლარის გადახდა;

7. ე. კ-ს /პ/ნ .../ დაუბრუნდეს მოცემულ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 200 ლარიდან – 100 (ასი) ლარი / გადახდილი ორჯერ 100 – 100 ლარი;

პირველი გადახდა – გადამხდელი გ. კ-ძე, პ/ნ ..., გადახდილი 16.01.2019 წელს, სს „... ბანკში“ საგადახდო დავალება № – გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარი, ბანკის კოდი ..., სახაზინო კოდი ...

მეორე გადახდა – გადამხდელი გ. კ-ძე, პ/ნ ..., გადახდილი 24.12.2019 წელს, სს „... ბანკში“ საგადახდო დავალება № ... გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარი, ბანკის კოდი ..., სახაზინო კოდი .../;

8. საკასაციო სასამართლოს გადანაცვების საბოლოო და არ საჩივრდება.

მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვა

ბანჩინაბა საქართველოს სახელმწიფო

№ას-1286-2020

22 სექტემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. მიქაუტაძე,
მ. ერემაძე

დავის საგანი: მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვა

აღწერილობითი ნაწილი:

1. თ. ჩ-ი (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, მონინალმდევე მხარე ან ბავშვის დედა) და გ. ჯ-ი (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, აპელანტი, კასატორი ან ბავშვის მამა) არარეგისტრირებულ ქორწინებაში იყოფებოდნენ. მათ შეეძინათ ორი შვილი: 1995 წლის 14 თებერვალს დაბადებული ქ. (შემდეგში მოხსენიებული, როგორც არასრულწლოვნის და) და 2009 წლის 24 დეკემბერს დაბადებული მ. (შემდეგში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელი-სა და მოპასუხის შვილი ან არასრულწლოვანი).

2. მხარეები ერთ ოჯახად აღარ ცხოვრობენ.

3. 2016 წლის ივლისიდან მოსარჩელე ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა, სადაც იგი იმავე წლის სექტემბრიდან მუდმივად ცხოვრობს/დასაქმებულია და საქართველოში პერიოდულად ჩამოდის.

3.1. მოსარჩელე ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს მეუღლესთან, რ.ჯ.ჰ-თან (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელის მეუღლე) ერთად, რომელიც ფლობს მამაპაპისეულ, სამსართულიან სახლს, 80-წლიანი ოჯახური ცხოვრების ისტორიით. სახლი უსაფრთხო უბანში მდებარეობს და ქვეყნის საუკეთესო სამუსიკო სასწავლებელთან ორი საათის სავალზეა.

4. მოპასუხე ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქეა, მისი ძირითადი საცხოვრებელი ადგილიც ყაზახეთია და საქართველოში პერიოდულად ჩამოდის.

5. არასრულწლოვანი 2016-2018 წლებში სსიპ გურჯაანის №2 საჯარო სკოლაში სწავლობდა. 2018 წლის სექტემბრიდან სსიპ თბილისის №123-ე საჯარო სკოლისა და ე. მიქელაძის სახელობის თბილისის ცენ-

ტრალური სამუშაო სკოლის მოსწავლეა. ამჟამად, თბილისში, დასთან ცხოვრობს.

6. 2018 წლის 26 ნოემბერს, მოსარჩელემ სარჩელი აღძრა გურჯაანის რაიონულ სასამართლოში მოპასუხის წინააღმდეგ არასრულწლოვანი შვილის მიმართ პასპორტისა და სხვა პირადობის დამადატურებელი დოკუმენტის მიღების, ამერიკის შეერთებულ შტატებში გასამგზავრებლად საჭირო ნებისმიერი საერთაშორისო სამოგზაურო დოკუმენტის მიღებაზე თანხმობის/ნებართვის გაცემისა და ამერიკის შეერთებულ შტატებში საცხოვრებლად გასამგზავრებლად საჭირო ნებართვის/თანხმობის გაცემის ნაწილში მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვის მოთხოვნით.

7. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ გადანყვეტილი აქვს საქართველოში დაბრუნება და შვილებთან ერთად ცხოვრება, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში კი, არ ექნება საშუალება, ურთიერთობა იქონიოს შვილთან.

8. მესამე პირი – სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენელი დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას.

9. პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში გამართულ სასამართლო სხდომებზე არასრულწლოვანმა განმარტა, რომ დედის მეუღლე ძალიან თბილი და კარგი ადამიანია და სურს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრება და მათთან ერთად ცხოვრება.

10. გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 3 ოქტომბრის გადანყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს შეეზღუდა მშობლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არასრულწლოვანი შვილის მიმართ პასპორტისა და სხვა პირადობის დამადატურებელი დოკუმენტის მიღების, ამერიკის შეერთებულ შტატებში გასამგზავრებლად საჭირო ნებისმიერი საერთაშორისო სამოგზაურო დოკუმენტის მიღებაზე თანხმობის/ნებართვის გაცემისა და ამერიკის შეერთებულ შტატებში საცხოვრებლად გასამგზავრებლად საჭირო ნებართვის/თანხმობის გაცემის ნაწილში.

11. გადანყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, რომელმაც გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით, სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 21 ივლისის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. გასაჩივრებული გადანყვეტილება დარჩა უცვლელად.

12.1. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და დავის საგანთან

მიმართებით მხარეთა განმარტებებისა და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის საფუძველზე და არასრულწლოვნის ორივე მშობლის საქართველოში არ ყოფნის/ცხოვრების პირობებში, დადასტურებულად მიიჩნია, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით, მისი ფიზიკური, ფსიქიკური, სულიერი მორალური აღზრდის მიზნებიდან გამომდინარე, ვლინდებოდა საცხოვრებლად დედასთან ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრების მიზნით მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვის საკმარისი წინაპირობა, ამასთან, მოპასუხეს შვილის მიმართ უნარჩუნდებოდა მშობლის ყველა სხვა უფლება.

13. სააპელაციო სასამართლოს გაჩინებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხემ და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

13.1. კასატორის მტკიცებით, საქართველოში დაბრუნება მსოფლიოში შექმნილი ეპიდემიური ვითარების გამო ვერ შეძლო. მოსარჩელე ცდილობს, არასრულწლოვანი მამის მიმართ უარყოფითად განაწყოს, ბავშვი კი აცხადებს, რომ მხოლოდ ამერიკის დათვალეერება სურს და არა იქ ცხოვრება. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში საქმის განხილვისას ფსიქოლოგი არ მონაწილეობდა, ხოლო ე.წ. სოციალური სააგენტოს წარმომადგენლები ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ. საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით შეილახა არამართო მშობლის, არამედ მცირეწლოვნის ინტერესები მისი მომავალი აღზრდის პირობების გაურკვევლობის გამო.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით, სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულია განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

15. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პა-

ლატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

16. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურდა, კერძოდ, მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვის მოთხოვნა, სსკ-ის 1202-ე (მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განქორწინებული არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ), 1205-ე (მშობლის უფლებები და მოვალეობები შეიძლება, შეიზღუდოს მხოლოდ სასამართლოს გადანყვეტილებით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. სასამართლოს შეუძლია შეზღუდოს მშობლის ერთი ან რამდენიმე უფლება და მოვალეობა მშობლის სხვა უფლებებისა და მოვალეობებისაგან დამოუკიდებლად), 1197-ე (ბავშვს აქვს უფლება, ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში), 1198-ე მუხლის პირველი პუნქტისა და (მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით) 1199-ე (მშობლის უფლება არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს) მუხლებიდან გამომდინარეობს, რომელთა ფარგლებშიც კანონმდებლობით დადგენილია მშობელთა თანაბრობის პრინციპი არასრულწლოვნის აღზრდა-განვითარებისათვის სასარგებლო მოქმედებათა განხორციელებაში, თუმცა რაკი საკითხი მეტად მგრძნობიარე თემას უკავშირდება გადამწყვეტია სასამართლოს მხრიდან ბავშვის საუკეთესო ინტერესების გამორკვევა, რომელიც ნებისმიერ სხვა ინტერესს, იქნება ეს მშობლის სუვერენული უფლება თუ სხვა, გადანონის.

17. ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნება ასახულია ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის (შემდგომში – კონვენცია) მე-3 მუხლში, რომლის თანახმადაც, ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას.

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ, უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და ზრუნვით, როგორიც საჭიროა მისი კეთილდღეობისათვის, ამასთან ითვალისწინებენ მისი მშობლების, მეურვეების ან კანონით მისთვის პასუხისმგებელი სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს და ამ მიზნით მიმართავენ ყველა შესაბამის

საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომებს.

მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვებზე ზრუნვისათვის ან მათი დაცვისათვის პასუხისმგებელი დანებებულებები, სამსახურები და ორგანოები შეესაბამებოდნენ კომპეტენტური ორგანოების მიერ დადგენილ ნორმებს, კერძოდ, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში და მათი პერსონალის რიცხვისა და ვარგისიანობის, აგრეთვე, კომპეტენტური ზედამხედველობის თვალსაზრისით.

18. კონვენციის ხსენებული დებულებები ფართო განმარტებას ექვემდებარება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნება სამგანზომილებიანია:

(ა) მატერიალური უფლება: ბავშვის უფლება, მისი საუკეთესო ინტერესები შეფასდეს და დაეთმოს უპირველესი ყურადღება, როდესაც ხდება სხვადასხვა ინტერესის განხილვა კონკრეტულ საკითხზე გადანყვეტილების მისაღებად და გარანტია, რომ ეს უფლება განხორციელდება ყოველთვის, როდესაც გადანყვეტილებაა მისაღები ბავშვთან, ბავშვთა დადგენილ თუ დაუდგენელ ჯგუფთან ან ზოგადად ბავშვებთან დაკავშირებით. მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ანებსებს სახელმწიფოთა არსებით ვალდებულებას, რომელიც პირდაპირ მოქმედებს (თვითაღსრულებადია) და შეიძლება მოხმობილ იქნეს სასამართლოს წინაშე.

(ბ) ძირითადი, სამართლებრივი პრინციპი: თუ სამართლებრივი ნორმა იძლევა ერთზე მეტი განმარტების შესაძლებლობას, გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი განმარტება, რომელიც ყველაზე ეფექტიანად ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. კონვენციასა და მის ფაკულტატურ ოქმებში ასახული უფლებები ქმნიან ჩარჩოს განმარტებისათვის.

(გ) საპროცესო ნორმა: როდესაც ხდება ისეთი გადანყვეტილების მიღება, რომელიც შეეხება კონკრეტულ ბავშვს, ბავშვთა დადგენილ თუ დაუდგენელ ჯგუფს ან ზოგადად ბავშვებს, გადანყვეტილების მიღების პროცესი უნდა მოიცავდეს ამ გადანყვეტილების შესაბამის ბავშვზე ან ბავშვებზე შესაძლო ზეგავლენის (დადებითი თუ უარყოფითი) შეფასებას. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა მოითხოვს საპროცესო გარანტიებს. ამასთან, გადანყვეტილების დასაბუთებაში უნდა ჩანდეს, რომ ეს უფლება ცალსახად იქნა გათვალისწინებული. ამ თვალსაზრისით, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განმარტონ, თუ როგორ იქნა გათვალისწინებული ეს უფლება გადანყვეტილებაში, ე.ი. რა იქნა მიჩნეული ბავშვის ქეშმარიტ ინტერესებად, რა კრიტერიუმებს დაეფუძნა იგი და როგორ შეფასდა ბავშვის ქეშმარიტი ინ-

ტერესები სხვა მოსაზრებებთან შედარებით, იქნება ეს პოლიტიკის ზოგადი საკითხები თუ ცალკეული შემთხვევები. მე-3 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს ჩარჩოს მონაწილე სახელმწიფოთა სამი სხვადასხვა სახის ვალდებულებისთვის:

(ა) ვალდებულება, უზრუნველყონ, რომ ბავშვის ქეშმარიტი ინტერესები სათანადოდ ინტეგრირებული იყოს და თანმიმდევრულად ხდებოდეს მათი გათვალისწინება საჯარო უწყების მიერ განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაში, განსაკუთრებით განხორციელების ყველა ღონისძიებაში, ადმინისტრაციულ და სასამართლო სამართალწარმოებაში, რომელსაც პირდაპირი ზეგავლენა აქვს ბავშვებზე;

(ბ) ვალდებულება, უზრუნველყონ, რომ ყველა სასამართლო და ადმინისტრაციულ გადანყვეტილებაში, ისევე, როგორც ბავშვებთან დაკავშირებულ კანონმდებლობასა და პოლიტიკაში ნათლად ჩანდეს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესს დაეთმო უპირველესი ყურადღება. საჭიროა იმის აღწერაც, თუ როგორ მოხდა საუკეთესო ინტერესების შესწავლა და შეფასება და რა მნიშვნელობა მიენიჭა მათ გადანყვეტილებაში.

(გ) ვალდებულება, უზრუნველყონ, რომ ბავშვის ინტერესები შეფასდა და დაეთმო უპირველესი ყურადღება კერძო სექტორის ყველა გადანყვეტილებაში და ქმედებაში, მათ შორის მომსახურების მიმწოდებლების ან ნებისმიერი სხვა კერძო ორგანიზაციის ან დაწესებულების მიერ, რომლებიც იღებენ ისეთ გადანყვეტილებას, რომელიც ზეგავლენას ახდენს ბავშვზე ან შეეხება მას.

19. კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიზანია ნებისმიერი ქმედება, რომელიც უკავშირდება ბავშვს, უნდა ითვალისწინებდეს მის საუკეთესო ინტერესებს, როგორც უპირველეს პრიორიტეტს. სიტყვა „ქმედება“ მოიცავს არა მხოლოდ გადანყვეტილებებს, არამედ მოქმედებებს, ქცევას, წინადადებებს, მომსახურებას, პროცედურებსა და სხვა ღონისძიებებს. მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულება, სათანადოდ გაითვალისწინონ ბავშვის საუკეთესო ინტერესები, წარმოადგენს ყოვლისმომცველ ვალდებულებას, რომელიც მოიცავს ყველა საჯარო და კერძო სოციალური დაცვის ორგანოს, სასამართლოს, ადმინისტრაციულ ორგანოებსა და საკანონმდებლო ორგანოებს, რომლებსაც შეეხება აქვთ ან დაკავშირებული არიან ბავშვებთან. მიუხედავად იმისა, რომ მშობლები პირდაპირ არ არიან ნახსენები მე-3 მუხლის პირველ პუნქტში, ბავშვის საუკეთესო ინტერესები „უნდა იყოს მათი მთავარი საზრუნავი“ (მე-18 მუხლის პირველი პუნქტი). ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრისას, კონკრეტული ღონისძიების შესახებ გადანყვეტილების მისაღებად, უნდა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

(ა) საქმის კონკრეტულ ფაქტობრივ კონტექსტში უნდა განისაზ-

ღვროს, თუ რომელია შესაბამისი ელემენტები საუკეთესო ინტერესების შეფასებისათვის, მიენიჭოს მათ კონკრეტული შინაარსი და პრიორიტეტი ერთმანეთთან მიმართებაში;

(ბ) ამისათვის დაცული უნდა იქნეს ისეთი პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს სამართლებრივ გარანტიებსა და უფლების სათანადო გამოყენებას.

20. ამავდროულად, „საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა“ წარმოადგენს ოფიციალურ პროცესს მკაცრი საპროცესო გარანტიებით, რომელიც შექმნილია ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრად საუკეთესო ინტერესების შეფასების საფუძველზე. წინამდებარე განჩინების კვლევის საგანს უპირველესად არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დადგენა და იმის განსაზღვრა წარმოადგენს, თუ რა იქნება ბავშვის, როგორც საზოგადოების მომავალი სრულწლოვანი წევრის ფიზიკური, გონებრივი და სულიერი განვითარებისათვის სასარგებლო; კერძოდ, იმის დადგენა, არის თუ არა არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესი პასპორტისა და სხვა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების, ამერიკის შეერთებულ შტატებში გასამგზავრებად საჭირო ნებისმიერი საერთაშორისო სამოგზაურო დოკუმენტის მიღებაზე თანხმობის/ნებართვის გაცემისა და ამერიკის შეერთებულ შტატებში საცხოვრებლად გამგზავრებისთვის საჭირო ნებართვის/თანხმობის გაცემის ნაწილში, კასატორისთვის მშობლის უფლების შეზღუდვა.

20.1. ამ მიზნით საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლზე, რომლითაც გარანტირებულია ყველას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის მიხედვით, მითითებული დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა – არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც, რაც ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის ბოლო წინდადების თანახმად, ბავშვს აქვს უფლება, ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში.

მართალია, საერთაშორისოდ აღიარებული ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს, თუმცა ზემოხსენებული სამართლებრივი აქტი თავადვე იძლევა ჩარევის ლეგიტიმური საფუძვლის დეფინიციას და განსაზღვრავს, რომ იგი პროპორციულია, თუ ჩარევა გამოწვეულია დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული აუცილებლობით, ამასთან, ჩარევის სტანდარტად, გამოყენებულ უნდა იქნეს არასრულწლოვნის სა-

უკეთესო ინტერესი, რაც ცალსახადაა ასახული „ბავშვის უფლებათა კონვენციაში“.

20.2. კონვენცია ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს ანებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის.

კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება.

მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლით დადგენილია მშობლების თანასწორუფლებიანობის პრინციპი შვილების მიმართ. მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით (სკ-ის 1198.1 მუხლი). მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს (სკ-ის 1199-ე მუხლი).

მითითებული საკანონმდებლო დანაწესების ანალიზი იძლევა დასკვნის შესაძლებლობას, რომ მშობელთა უპირველესი მოვალეობა ბავშვის ჰარმონიული აღზრდა-განვითარება, ოჯახური გარემოს შექმნაა და ამ კუთხით მისაღები ნებისმიერი გადაწყვეტილებისას უპირატესობა არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს ენიჭება, შესაბამისად, ჩარევის პროპორციულობის დასაშვები ზღვარი იმისი უაღტერნატივოდ დადგენაა, რომ ამგვარი ჩარევა წარმოადგენს ერთადერთ სწორ და მისაღებ გადაწყვეტილებას არასრულწლოვნის, როგორც საზოგადოების მომავალი სრულუფლებიანი და ღირსეული წევრის, განვითარებაში.

საკასაციო სასასამართლო განმარტავს, რომ ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, როდესაც იგი არასრულწლოვნის უფლებებს შეეხება, მიუხედავად კანონით რეგლამენტირებული ორივე მშობლის თანასწორობის პრინციპისა, ამოსავალი დებულება ყოველთვის ბავშვის საუკეთესო ინტერესია, რომლის უზრუნველყოფის მიზნით დაიშვება, როგორც ერთ-ერთი, ისე – ორივე მშობლის უფლების შეზღუდვა, თუკი მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი დასახული მიზნის მიღწევა.

21. დადგენილია, რომ არასრულწლოვნის მშობლები ცალ-ცალკე, სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობენ, თავად არასრულწლოვანი კი, საქართველოში – დასთან ერთად იმყოფება. კასატორი არასრულწლოვან შვილს დისტანციურად, სოციალური ქსელის მეშვეობით ეკონტაქტება და მისი ძირითადი პრეტენზია იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლოს არ უნდა შეეზღუდა მისთვის მშობლის წარმომადგენლობითი უფლება – არასრულწლოვანი შვილის, საზღვარგარეთ გაყვანასთან და საზღვარგარეთის პასპორტების მიღებაზე თანხმობის გაცემის ნაწილში, ვინაიდან აპირებდა ყაზახეთის რესპუბლიკიდან საქართველოში საცხოვრებლად დაბრუნებას, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება სასამართლოში არ წარუდგენია.

ნიშანდობლივია, რომ „უახლოეს პერიოდში“ საქართველოში დაბრუნების განზრახვის შესახებ მოპასუხის პოზიცია თავდაპირველად პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას გაჟღერდა (2019 წლის 06 მაისის შესაგებელი). აღნიშნული განმარტების მიუხედავად, დასახელებული პერიოდიდან საკასაციო საჩივრის განხილვამდე კასატორი საქართველოში არ დაბრუნებულა და ამიტომ მისი განცხადება საკასაციო პალატას არადამაჯერებლად მიაჩნია.

ამდენად, სსსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, მოპასუხემ/კასატორმა ვერ შეძლო თავისი წილი მტკიცებების ტვირთის რეალიზება და სასამართლოსთვის იმ მტკიცებულებების წარდგენა, რომლითაც დაარწმუნებდა სასამართლოს, რომ რეალურად აპირებს საქართველოში საცხოვრებლად დაბრუნებას.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის ზემოხსენებულ პრეტენზიას, რადგან აღნიშნული მართოდენ მხარის სუბიექტური პოზიცია და ვარაუდებია და არ არის გამყარებული სამართლებრივად ვარგისი მტკიცებულებებით. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი არაა არც ერთი დოკუმენტი ან სხვა ხასიათის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ მშობლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაწილობრივი შეზღუდვის პირობებში ბავშვის ინტერესებს რაიმე ხასიათის ხელყოფა ემუქრება.

22. საკასაციო სასამართლო კასატორის ყურადღებას მიაქცევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზეც, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ერთ-ერთ საქმეში – „ნ.წ და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ არსებულ დასკვნაზე – „ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა წარმოადგენდეს უმთავრეს განხილვის საგანს და, მისი ბუნებიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, შეიძლება, აჭარბებდეს მშობლების ინტერესებს“.

23. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მშობლების

ბავშვთან ურთიერთობასთან დაკავშირებულ დავებზე არაერთხელ აღნიშნა, რომ ბავშვის ინტერესები არის განსაკუთრებული მნიშვნელობის (Krasicki v. Poland, no. 17254/11, § 83, 15 April 2014). ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს უპირველესი საზრუნავი (Gnahore v. France, n. 40031/98, § 59, ECHR 2000-IX) და შესაძლებელია, თავისი შინაარსიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, გადასწონოს მშობლების ინტერესი (Sahin v. Gernamy [GC], no. 30943/96, § 66, ECHR 2003-VIII). სახელდობრ, კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით, მშობელს არა აქვს ისეთი ღონისძიებების მოთხოვნის უფლება, რომელთა განხორციელებამ შესაძლებელია ზიანი მიაყენოს ბავშვის ჯანმრთელობას და განვითარებას (Krasicki v. Poland, no. 17254/11, § 83, 15 April 2014, Scozzari and Giunta v. Italy [GC], nos. 39211/98 and 41963/98, § 169, ECHR 2000-VIII, and P., C. And S. v. The United Kingdom, no. 56547/00, § 177, ECHR 2002-VI).

24. საქმეში „საჰინი გერმანიის წინააღმდეგ“ ევროსასამართლომ განმარტა, რომ „კონვენციის მე-8 მუხლი სახელმწიფოებისაგან მოითხოვს ბავშვისა და მშობლების ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვას და ამ ბალანსის ძიებისას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს“ (Sahin v. Gernamy [GC], no. 30943/96, § 66, ECHR 2003-VIII).

25. ამდენად, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ საქმის განხილვისას დადგენილ გარემოებებს, რომლებიც კასატორის მხრიდან გაქარწყლებული ვერ იქნა და მიაჩნია, რომ სახეზეა მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვის წინაპირობები; ამასთან ასეთი ხასიათის შეზღუდვა სრულად შეესაბამება არასრულწლოვანის უპირატეს ინტერესებს.

26. სსსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

27. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს განჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

28. კასატორს სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408.3, 410-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. გ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 21 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვა

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-1399-2019

31 მაისი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ლ. მიქაბერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ერემაძე,
ვ. კაკაბაძე**

დავის საგანი: არასრულწლოვან შვილთან/შვილიშვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა

აღწერილობითი ნაწილი:

1. თ. კ-იამ (შემდგომ – დედა, მოსარჩელე, შეგებებული სარჩელის მოპასუხე, მეორე კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. ნ-ძის (შემდგომ – მამა, მოპასუხე, შეგებებული სარჩელით მოსარჩელე, პირველი კასატორი) მიმართ და მოითხოვა 2012 წლის 27 დეკემბერს დაბადებული მ. ნ-ძის (შემდგომ – ბავშვი, არასრულწლოვანი) საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, ასევე, მოპასუხისათვის არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ ალიმენტის – ყოველთვიურად 300 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრება სარჩელის აღძვრის დღიდან – 2016 წლის 7 ივლისიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე და მოპასუხისათვის მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვა არასრულწლოვანი შვილის მიმართ საზღვარგარეთ გაყვანის ნაწილში.

2. მოპასუხემ შეგებებული სარჩელი აღძრა სასამართლოში მოსარჩელის მიმართ არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის მოთხოვნით.

3. არასრულწლოვნის პაპამ – თ. კ-ძემ (შემდგომ – პაპა) სარჩელი აღძრა დედის მიმართ და მოითხოვა, მიეცეს არასრულწლოვანი შვილიშვილის კანადაში წაყვანის უფლება ყოველწლიურად, ზაფხულში, აგვისტოში, ერთი თვით; მიეცეს არასრულწლოვანი შვილიშვილის, კანადაში წაყვანის უფლება ორ წელიწადში ერთხელ შობის დღესასწაულზე, სამი კვირით – 15 დეკემბრიდან 5 იანვრამდე; საქართველოში ყოფნის პერიოდში მიეცეს არასრულწლოვან შვილიშვილთან ყოველდღიური ურთიერთობის (ბავშვის ნახვა, სასაუბროდ წაყვანა) და რამდენიმე დღით პაპასთან საცხოვრებელ სახლში დარჩენის უფლება, ასევე, საქართველოს ტერიტორიაზე, ერთი კვირის ვადით არასრულწლოვნის დასასვენებლად წაყვანის უფლება. პაპას კანადაში ან სხვა ქვეყანაში ყოფნისას მიეცეს არასრულწლოვან შვილიშვილთან ელექტრონული კომუნიკაციის ან სხვა ტექნიკური საშუალებებით რეგულარული ურთიერთობის უფლება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით – ნაწილობრივ დაკმაყოფილდა დედის სარჩელი, არასრულწლოვანი ბავშვის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის საცხოვრებელი ადგილი, მამას დაეკისრა არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ ყოველთვიურად ალიმენტის, 350 ლარის, გადახდა სარჩელის აღძვრის დღიდან – 2016 წლის 7 ივლისიდან სრულწლოვანების მიღწევამდე. მამას შეეზღუდა მშობლის კანონიერი წარმომადგენლობითი უფლება არასრულწლოვანი შვილის მიმართ საქართველოდან საზღვარგარეთ გაყვანის ნაწილში 2023 წლამდე დედის თანხმობის გარეშე. მამას მიეცა უფლება, არასრულწლოვანი შვილი გაიყვანოს საზღვარგარეთ 2023 წლიდან. აღნიშნული შეზღუდვა არ გავრცელდება იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანა/შემოყვანაზე შეთანხმდებიან ბავშვის მშობლები. ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მამის შეგებებული სარჩელი. მამას მიეცა უფლება, არასრულწლოვანი შვილი წაიყვანოს საზღვარგარეთ – კანადაში 2023 წლიდან ზაფხულის არდადეგებზე 27 ივნისიდან 1 აგვისტომდე უკან დედასთან დაბრუნების ვალდებულებით;

– მამას მიეცა უფლება, არასრულწლოვანი შვილი წაიყვანოს საზღვარგარეთ – კანადაში 2025 წლიდან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ 10 დღით 5 იანვრიდან 15 იანვრამდე უკან დედასთან დაბრუნების ვალდებულებით. საქართველოში ყოფნისას ამ უკანასკნელის ურთიერთობა არასრულწლოვან შვილთან განისაზღვრა შემდეგი სახით: ხუთშაბათს, დღის 18:00 საათიდან კვირამდე, დღის 11:00 საათამდე, ხოლო სამშაბათს, დღის 16:00 საათიდან იმავე დღის 20:00 საათამდე სასწავ-

ლებლიდან ან დედის საცხოვრებელი ადგილიდან წაყვანის და უკან დედასთან დაბრუნების ვალდებულებით;

– ზამთრის არდადეგების დროს არდადეგების დაწყებიდან 6 იანვრამდე არასრულწლოვანი იქნება დედასთან, ხოლო 6 იანვრიდან 14 იანვრამდე – მამასთან დედასთან დაბრუნების ვალდებულებით. ზაფხულის არდადეგების პერიოდში ივნისში 15 ივნისიდან ყოველი ოთხი დღე არასრულწლოვანი ბავშვი იყოს დედასთან, შემდეგი ოთხი დღე მამასთან. 1 ივლისიდან 15 ივლისამდე არასრულწლოვანი ბავშვი იქნება მამასთან ივლისის დანარჩენი დღეები იქნება დედასთან. 1-ელ აგვისტოდან 15 აგვისტომდე არასრულწლოვანი ბავშვი იქნება მამასთან, აგვისტოს დანარჩენი დღეები იქნება დედასთან;

– 2023 წლიდან ურთიერთობა არასრულწლოვან შვილთან განისაზღვრა შემდეგი სახით: (ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს ამ უკანასკნელის სურვილის შემთხვევაში მამა წაიყვანს კანადაში) არასრულწლოვანი 27 ივნისიდან 1 აგვისტომდე იქნება მამასთან (მამის მხრიდან არასრულწლოვანის წაყვანის და უკან დედასთან დაბრუნების ვალდებულებით), 1 აგვისტოდან ზაფხულის არდადეგების დასრულებამდე ბავშვი იქნება დედასთან; 2025 წლიდან განსხვავებული წესით განისაზღვრა ზამთრის არდადეგების დროს ურთიერთობა არასრულწლოვან შვილთან: ზამთრის არდადეგების დაწყებიდან 5 იანვრამდე არასრულწლოვანი იქნება დედასთან, ხოლო 5 იანვრიდან 15 იანვრამდე იქნება მამასთან (მამის მხრიდან არასრულწლოვანის წაყვანისა და უკან დედასთან დაბრუნების ვალდებულებით);

– დაევაღათ დედასა და მამას 2018 წლის სექტემბრიდან კავკასიის ფრანგული სკოლის საბავშვო ბაღში (მდებარე: თბილისში, ...) არასრულწლოვანის მიყვანა, ხოლო 2019 წლიდან კი ამავე – კავკასიის ფრანგულ სკოლაში, კავკასიის ფრანგული სკოლის საბავშვო ბაღის/კავკასიის ფრანგული სკოლის – სწავლების ხარჯის გადახდის უზრუნველყოფა დაევაღა მამას;

– მამის მიერ შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის, კერძოდ, ოპერაციის ან მკურნალობის მიზნით, კანადაში წაყვანის უფლების მიღების ნაწილში – დაკმაყოფილდა უშუალოდ დედის თანხმობის (დასტურის) არსებობის შემთხვევაში, რასაც უნდა ადასტურებდეს ბავშვის ჯანმრთელობის (ოპერაციის ან მკურნალობის) საჭიროების არსებობის შესახებ ექიმის მიერ გაცემული დასკვნა;

– დედამ მამას უნდა აცნობოს არასრულწლოვანის საერთო ფიზიკური თუ ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ, საქართველოს საზღვრებს გარეთ გაყვანის, საქართველოს ტერიტორიაზე არდადეგების პერიოდში რამდენიმე დღით დასასვენებლად გაყვანის შესახებ. უარყოფითი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციად მიჩნეულ იქ-

ნეს ექიმის შეფასება. დედა ვალდებულია, აღნიშნული ინფორმაცია გაუგზავნოს მამას სატელეფონო („სმს“) შეტყობინების სახით იმავე დღეს ან ერთი დღის განმავლობაში. დედა ვალდებულია, მის მიერ არასრულწლოვანი შვილის საზღვარგარეთ ან საქართველოს ტერიტორიაზე არდადეგების პერიოდში რამდენიმე დღით დასასვენებლად წაყვანის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მამას არანაკლებ 5-7 დღით ადრე სატელეფონო („სმს“) შეტყობინების სახით ან სხვა საკომუნიკაციო საშუალებით;

– არასრულწლოვნის კანადაში ან სხვა ქვეყანაში ყოფნისას (იგულისხმება არანაკლებ ორი კვირის ვადისა) მიეცეს უფლება, იქონიოს არასრულწლოვან შვილთან საკომუნიკაციო კავშირი (სკაიპით, ვაიბერით ან სხვა საკომუნიკაციო საშუალებით მხარეთა შეთანხმებით) კვირაში 2 ჯერ/3 ჯერ (ერთი დღე შაბათს ან კვირას, მეორე (მესამე) დღე – კვირის ნებისმიერი დღეს დედასთან შეთანხმებით) 20-30 წუთამდე დროის ხანგრძლივობით ან უფრო მეტი დროით ბავშვის სურვილის გათვალისწინებით. დედამ უზრუნველყოს ბავშვის საკომუნიკაციო კავშირი/ურთიერთობა მამასთან, ორივე მხარისათვის მისაღებ დროს. თუ რა დროის მონაკვეთში დაელაპარაკება შვილი მამას, ამის თაობაზე დედამ არანაკლებ ერთი დღით ადრე აცნობოს მამას. მხარეთა ურთიერთშეთანხმებით შეიძლება, შეიცვალოს (ჩამოყალიბდეს) საკომუნიკაციო საშუალება;

– მამის სხვა სასარჩელო მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა;

– პაპის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; პაპას საქართველოში ყოფნისას არასრულწლოვან შვილიშვილთან ურთიერთობა განესაზღვრა შემდეგი სახით: არდადეგების დროს, ერთი კვირით არასრულწლოვნის წაყვანის და უკან, დედასთან ან მამასთან (ვისთანაც უწევს ბავშვს ყოფნა ურთიერთობის დადგენილი, განსაზღვრული წესით) დაბრუნების ვალდებულებით; სასწავლო პერიოდში ყოველი კვირის პარასკევი დღის სასწავლო პროცესის დასრულებიდან კვირა დღის 21:00 საათამდე არასრულწლოვნის წაყვანის და უკან დედასთან ან მამასთან (ვისთანაც უწევს ბავშვს ყოფნა ურთიერთობის დადგენილი, განსაზღვრული წესით) დაბრუნების ვალდებულებით; არდადეგებისა და სასწავლო პერიოდში პაპა-შვილიშვილის ურთიერთობისას ბავშვის მშობლებთან დადგენილი ურთიერთობის წესი ჩერდება, გარდა იმ შემთხვევაში, როცა შვილი არ იმყოფება საქართველოში ან დედას დასასვენებლად ჰყავს გაყვანილი. პაპა არასრულწლოვან შვილიშვილთან განსაზღვრული ურთიერთობის დანყების თაობაზე რამდენიმე დღით (არანაკლებ 5-7 დღისა) ადრე აცნობებს დედას (საკომუნიკაციო საშუალებით). არდადეგების პერიოდში პაპა-შვილიშვილის ურთიერთობა (ზემოაღნიშნული დადგენილი წესი) მოქმედებს მხოლოდ ერთხელ ზამთარში და

მხოლოდ ერთხელ ზაფხულში. პაპის სხვა სასარჩელო მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა; ზემოაღნიშნული ურთიერთობის წესი მოქმედებს არასრულწლოვნის სურვილის გათვალისწინებით. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით მამა-შვილის ურთიერთობის დადგენილი წესი (2.1, 2.2, 2.3, 2.7) შეიძლება შეიცვალოს არასრულწლოვანი ბავშვის სურვილის გათვალისწინებით და მშობელთა ურთიერთშეთანხმებით.

– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 30 მარტის დამატებითი გადაწყვეტილებით სასამართლო ხარჯები განაწილდა.

5. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ორივე მხარემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებით, დედის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

– შეიცვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 23 მარტის გადაწყვეტილების 1.3, 2.1, 2.2, 2.3.4, 2.3.5, 3.2 პუნქტები, დაემატა 2.3 და 6.1 პუნქტები და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

– მამას შეეზღუდა მშობლის კანონიერი წარმომადგენლობითი უფლება არასრულწლოვანი შვილის მიმართ საქართველოდან საზღვარგარეთ გაყვანის ნაწილში 2023 წლამდე დედის თანხმობის გარეშე. მამამ არასრულწლოვანი შვილი გაიყვანოს საზღვარგარეთ 2023 წლიდან დედასთან ერთად ამ უკანასკნელის სურვილის შემთხვევაში. თუ დედას არ ექნება სურვილი, ნაჰყვეს საზღვარგარეთ – კანადაში, მამას უფლება აქვს, 2023 წლიდან არასრულწლოვანი შვილი გაიყვანოს საზღვარგარეთ – კანადაში დედის თანხმობის გარეშე.

– მამას მიეცეს უფლება, არასრულწლოვანი შვილი წაიყვანოს საზღვარგარეთ – კანადაში 2023 წლიდან ზაფხულის არდადეგებზე 1 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით, დედასთან ერთად ამ უკანასკნელის სურვილის შემთხვევაში, უკან საქართველოში დედის საცხოვრებელს ადგილზე დაბრუნების ვალდებულებით. თუ დედას არ ექნება სურვილი, ნაჰყვეს საზღვარგარეთ – კანადაში არასრულწლოვანი შვილი, მამას უფლება აქვს, 2023 წლის ზაფხულის არდადეგებზე 1 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით არასრულწლოვანი შვილი გაიყვანოს საზღვარგარეთ – კანადაში დედის თანხმობის გარეშე;

– მამას მიეცეს უფლება, არასრულწლოვანი შვილი წაიყვანოს საზღვარგარეთ – კანადაში 2025 წლიდან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ 10 დღის ვადით 5 იანვრიდან 15 იანვრამდე დედასთან ერთად ამ უკა-

ნასკნელის სურვილის შემთხვევაში, უკან საქართველოში დედის საცხოვრებელს ადგილზე დაბრუნების ვალდებულებით. თუ დედას არ ექნება სურვილი წაჰყვას საზღვარგარეთ – კანადაში არასრულწლოვან შვილს მამას უფლება აქვს, არასრულწლოვანი შვილი გაიყვანოს საზღვარგარეთ – კანადაში დედის თანხმობის გარეშე;

– დედის მგზავრობისა და ცხოვრების (ბინის დაქირავების) ხარჯების გადახდა დაეკისროს მამას. მამის მიერ არასრულწლოვანი შვილის დედასთან ერთად კანადაში წაყვანის ვალდებულება, ამ უკანასკნელის შვილთან ერთად წასვლის სურვილის შემთხვევაში, განისაზღვროს არასრულწლოვანი შვილის 15 წლის ასაკის მიღწევის ჩათვლით – 2027 წლის 27 დეკემბრის ჩათვლით. 2027 წლის 28 დეკემბრიდან არასრულწლოვანი კანადაში წაყვანის უფლება მიეცეს მამას დედის სავალდებულო წაყვანისა და თანხმობის გარეშე;

– 2023 წლიდან მამის ურთიერთობა არასრულწლოვან შვილთან განისაზღვროს შემდეგი სახით (ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს ამ უკანასკნელის სურვილის შემთხვევაში მამა წაიყვანს კანადაში) არასრულწლოვანი 1 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით დედასთან ერთად ამ უკანასკნელის სურვილის შემთხვევაში იქნება მამასთან (მამის მხრიდან არასრულწლოვანის წაყვანის და უკან დედასთან დაბრუნების ვალდებულებით), 1 აგვისტოდან ზაფხულის არდადეგების დასრულებამდე ბავშვი იქნება დედასთან;

– 2025 წლიდან განსხვავებული წესით განისაზღვროს ზამთრის არდადეგების პერიოდში მამის ურთიერთობა არასრულწლოვან შვილთან: ზამთრის არდადეგების დაწყებიდან 5 იანვრამდე არასრულწლოვანი იქნება დედასთან, ხოლო 5 იანვრიდან 15 იანვრამდე დედასთან ერთად ამ უკანასკნელის სურვილის შემთხვევაში იქნება მამასთან (მამის მხრიდან არასრულწლოვანის წაყვანის და უკან დედასთან დაბრუნების ვალდებულებით);

– პაპას მიეცა უფლება, სასწავლო პერიოდში ყოველი თვის პირველი პარასკევი დღის სასწავლო პროცესის დასრულებიდან შემდგომ შაბათამდე, დღის 12:00 საათამდე, არასრულწლოვანის წაყვანის და უკან დედასთან ან მამასთან (ვისთანაც უწევს ბავშვს ყოფნა ურთიერთობის დადგენილი, განსაზღვრული წესით) დაბრუნების ვალდებულებით;

– არ დაკმაყოფილდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 2 მარტის საოქმო განჩინების (განკარგულების) გაუქმების თაობაზე ნ. ბ-ის საჩივარი, ნ. ბ-ისათვის სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას ნესრიგის დარღვევის გამო ჯარიმის დაკისრების ნაწილში;

– დედის სააპელაციო საჩივარი სხვა ნაწილში არ დაკმაყოფილდა;

– მამის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

7. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საყურადღებო იყო მცირე-

ლოვნის ფსიქოემოციური მდგომარეობა, ფსიქოლოგთა მოსაზრებები და რეკომენდაციები, მცირეწლოვნის ასაკი და მისი მიჯაჭვულობა დედის მიმართ. აქედან გამომდინარე, პალატამ წარდგენილი დასკვნის საფუძველზე მიზანშეწონილად მიიჩნია ბავშვისა და მამას შორის ჯანსაღი, ნორმალური ურთიერთობის დამყარების აუცილებლობა. სწორედ ამ გზით არის შესაძლებელი ბავშვის საუკეთესო ინტერესების განხორციელება, რაც სახელმძღვანელო პრინციპია არამხოლოდ სასამართლოსათვის ან სხვა დაწესებულებისათვის, არამედ ოჯახის, უპირველეს ყოვლისა, მშობლებისათვის. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არსებითად სწორად იმსჯელა და დაადგინა არასრულწლოვანი ბავშვის მამასა და პაპასთან ურთიერთობის წესი, თუმცა მიზანშეწონილად მიიჩნია ურთიერთობის წესის ნაწილობრივ შეცვლა წინამდებარე განჩინების მე-6 პუნქტში ჩამოყალიბებული წესით.

პირველი კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

8. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მამამ საკასაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

9. პირველი კასატორის მტკიცებით, სასამართლომ მამას უნდა მისცეს უფლება, წაიყვანოს შვილი კანადაში ყოველი წლის ზაფხულში სამი თვით და ამ პერიოდის განმავლობაში შვილის საქართველოდან ან კანადიდან ევროპის რომელიმე ქვეყანაში სამი კვირით წაყვანის უფლება, ხოლო შობის დღესასწაულზე ორ წელიწადში ერთხელ ერთი თვით 15 დეკემბრიდან 15 იანვრამდე კანადაში წაყვანის უფლება; ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე ოპერაციის ან მკურნალობის მიზნით ბავშვის კანადაში წაყვანის უფლება დედასთან ერთად, რომლისთვისაც საჭირო ხარჯებს დაფარავს მამა; არ დაკმაყოფილდეს მამისათვის მშობლის უფლების შეზღუდვის შესახებ დედის სარჩელი.

10. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლოს არ გამოუკვლევია მამის ქონებრივი მდგომარეობა, კერძოდ, აქვს თუ არა მას მატერიალური შესაძლებლობა, 1 თვის განმავლობაში ყოფილი მეუღლე უზრუნველყოს საცხოვრებელი ბინით კანადაში და გაილოს მისი მგზავრობის ხარჯები.

11. სასამართლო გადაწყვეტილებიდან იკითხება, რომ მამამ შვილი და ყოფილი მეუღლე კანადაში უნდა წაიყვანოს, ხოლო მამას შვილთან ურთიერთობა ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დედას ამის სურვილი გაუჩნდება.

12. სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში არ დაუსაბუთებია, რატომ დარჩა ასეთი უნდობლობა სასამართლოს მამის

მიმართ, რატომ ვერ დაიმსახურა მამამ ნდობა იმისათვის, რომ მცირე ხნით დედის გარეშე წაიყვანოს შვილი თავის საცხოვრებელ ადგილზე? სასამართლოს უნდა დაესაბუთებინა, რა მავნე ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს მამას შვილზე, მით უფრო, როცა ყველა დასკვნით დგინდება, რომ არასრულწლოვანი თავს კარგად გრძნობს მამასთან, აქვს ჯანსაღი მიჯაჭულობა და უკონფლიქტო ურთიერთობა. არც ის არ არის დასაბუთებული, დედასთან განშორება რატომ აისახება ბავშვზე ცუდად.

13. სასამართლოსათვის ცნობილია, რომ მამის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი კანადაა. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, თუ მამას არ ექნება საკმარისი ფულადი სახსრები იმისათვის, რომ 1 თვით კანადაში წაიყვანოს და საცხოვრებელი უზრუნველყოს მეუღლე, მას ფაქტობრივად ურთიერთობა აღარ ექნება შვილთან. მამის საქართველოში ყოფნის დროს მხოლოდ მცირეხნიანი ვიზიტები დადებითად ვერ აისახება არასრულწლოვნის ფსიქიკაზე და გამოიწვევს მამა-შვილის გაუცხოვებას.

14. გასათვალისწინებელია ისიც, როგორ უნდა მოიპოვოს მამამ დედის უარი კანადაში წასვლაზე სანოტარო წესით გაფორმებული თანხმობით. თუ ამასაც არ დაეთანხმა დედა, ძალით ვერ დაანერინებენ განცხადებას. ასეთ შემთხვევაში გამოვა, რომ მამა 2028 წლამდე ვერ წაიყვანს შვილს კანადაში. სასამართლომ არც ის გაითვალისწინა, რომ დედას სჭირდება ვიზა კანადაში გასამგზავრებლად, ვინ გაიღებს ამის ხარჯს ან თუკი ვიზა ვერ მიიღო, რა ხდება მაშინ?

15. სასამართლო უთითებს მშობელთა თანაბარ უფლებებზე, თუმცა არსად დაუსაბუთებია დედისათვის უპირატესობის მინიჭების საფუძველი.

16. ამასთან, მამა იმედოვნებს, რომ შვილს ჯანმრთელობის პრობლემები არასოდეს შეექმნება, მაგრამ გაუგებარია, რა პრობლემა დაინახა სასამართლომ, რომ მამას უფლება ჰქონდეს შვილს უმკურნალოს იმ ქვეყანაში, რომლის სამედიცინო მომსახურებასაც ენდობა.

მეორე კასატორის მოთხოვნა და საფუძველი:

17. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება დედამ საკასაციო წესით გასაჩივრა, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების 1.3, 2.1, 2.2, 2.3, 2.3.4, 2.3.5, 3.2 პუნქტების გაუქმება.

18. კასატორის მტკიცებით, გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, არასრულწლოვანი კანადის მოქალაქეა, თუმცა არ არის მითითებული, რომ საქართველოში დაიბადა, ფლობდა საქართველოს მოქალაქეობას და მუდმივად იზრდებოდა თბილისში.

19. მამის მიერ ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანის მცდელობა მითითებულია როგორც დედის ვარაუდი და არა – როგორც ფაქტი. არც თავად მხარე უარყოფს, რომ ბავშვი წაყვანილი ჰყავდა აეროპორტში. რე-

ესტრის თანამშრომელმა დედას მიაწოდა ინფორმაცია, რომ ბავშვის პასპორტში საზღვრის კვეთაზე უარი იყო ჩარტყმული, შესაბამისად, ბავშვი პასპორტის კონტროლამდე იყო მისული. არასწორია იმის მითითებაც, რომ მამას ყაზბეგში ბავშვი 4 დღე ჰყავდა წაყვანილი, სადაც მამა-შვილი 2 დღე იმყოფებოდნენ, მას 5 დღე ჰყავდა წაყვანილი ყაზბეგში არასრულწლოვანი და დედასთან პოლიციამ დააბრუნა.

20. სასამართლომ არ გაიზიარა და არ მიიღო არცერთი მტკიცებულება, რომელიც მამის მოძალადობრივ ხასიათს დაადასტურებდა. საქმეში წარმოდგენილია მოპასუხის ძალადობის დამადასტურებელი არაერთი მტკიცებულება.

21. სასამართლომ თვითნებურად ახსნა მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული მოსარჩელის მოთხოვნა. ეს უკანასკნელი მოითხოვდა ამ უფლების მთლიანად შეზღუდვას, თუმცა გადანყვეტილებაში წერია, რომ მან მხოლოდ საზღვარგარეთ გაყვანის ნაწილში მოითხოვა შეზღუდვა.

22. უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელე არასოდეს ეწინააღმდეგებოდა არათუ მამა-შვილის, არამედ პაპა-შვილიშვილის ურთიერთობას, თუმცა გაჩნდა მამასთან ურთიერთობის გადახედვის აუცილებლობა. სასამართლო გადანყვეტილებით, მამას ექნება ბავშვის ერთი თვით საზღვარგარეთ გაყვანის უფლება, როდესაც ბავშვი იქნება 10 წლის. სასამართლოს არ დაუსაბუთებია, იქნება თუ არა 10 წლის ბავშვის საზღვარგარეთ დედის გარეშე 1 თვით გაყვანა ბავშვის ინტერესებისაკენ მიმართული. რაც შეეხება დედის თანხლებით გამგზავრებას, სასამართლომ ამ შემთხვევაში დედის უფლებები დაარღვია, აიძულა რა მას ყოფილ მეუღლესთან ერთად გამგზავრება. არავითარი გარანტია არ არსებობს, რომ დედის გამგზავრების შემთხვევაში, არ დაირღვევა ბავშვის უფლებები და იგი დაბრუნდება თავის საცხოვრებელ გარემოში, ამიტომ უნდა გაუქმდეს სასამართლო გადანყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც მამას მიეცა უფლება, არასრულწლოვანი გაიყვანოს საზღვარგარეთ.

23. კანადაში ხანგრძლივად გამგზავრების შემთხვევაში გამოსაკვლევი იქნება ბებია-ბაბუის ცხოვრების წესი და მათი ფსიქიკური მდგომარეობა. შესაბამისად, სასამართლოს გადანყვეტილება ამ მხრივაც დაუსაბუთებელია.

24. პაპას ბავშვთან ურთიერთობის ცალკე დღეები გამოეყო, რაც ნიშნავს იმას, რომ ბავშვი დედასთან იქნება მხოლოდ 2 საღამო და 4 ღამე და არცერთი დღე. პაპა საქართველოში ჩამოსვლისას უმეტეს დროს ატარებს შვილთან ერთად, ამიტომ მამასთან ყოფნის პერიოდში ბავშვი ისედაც პაპასთან ერთად იქნება. შესაბამისად, პაპისათვის დამატებითი ნახვის საათების განსაზღვრა დაუსაბუთებელია და დედი-

სათვის განკუთვნილი დროის ხარჯზე პაპასთან არ უნდა იყოს.

25. სასამართლომ განგებ თუ შეცდომით თვითნებური ინტერპრეტაცია გაუკეთა მოსარჩელის შუამდგომლობას და იმის ნაცვლად, რომ პოლიციისათვის ეკითხა, ჰქონდა თუ არ მამას შვილის საზღვარგარეთ გაყვანის მცდელობა 2015 წლის ნოემბერში, მიმართა, კითხვით მიმდინარეობდა თუ არა სისხლის სამართლის გამოძიება მამის მიმართ. რაკი ამ კითხვაზე დედას არ პასუხობენ, სასამართლომ ხელახლა თავად უნდა მიმართოს შესაბამის ორგანოს. ამასთან, დედა მოითხოვს, სასამართლომ მიანიჭოს უფლება აღუდგინოს ბავშვს საქართველოს მოქალაქეობა მამის თანხმობის გარეშე. სწორედ ამას გულისხმობდა დედა, როდესაც დაზუსტებული სარჩელით მამის წარმომადგენლობითი უფლების სრულად შეზღუდვა მოითხოვა. უნდა გაუქმდეს გადაწყვეტილება იმ ნაწილშიც, რომლითაც არ დაკმაყოფილდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 2 მარტის საოქმო განჩინების (განკარგულების) გაუქმების თაობაზე ნ. ბ-ის საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

26. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია, ხოლო შეგებებული სარჩელით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და, ახალი გადაწყვეტილებით, შეგებებული სარჩელით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

27. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

28. წინამდებარე საქმეში კვლევის საგანს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დადგენა და იმის განსაზღვრა წარმოადგენს, თუ რა იქნება ბავშვის, როგორც საზოგადოების მომავალი სრულფასოვანი წევრის ფიზიკური, გონებრივი და სულიერი განვითარებისათვის სასარ-

გებლო. ამ მიზნიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, მათ შორის, „ბავშვის უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წლის კონვენციით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციითა და საქართველოს შიდასაკანონმდებლო აქტებით აღიარებულ მშობლების თანასწორუფლებიანობის პრინციპზე შვილების მიმართ და ბავშვის უფლებაზე, ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში.

29. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია აწესებს ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის. კონვენციის პრეამბულაში აღიარებულია, რომ ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია, იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში. კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას. კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან, შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია.

30. სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია, ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც სუბიექტის უფლებების აღიარება და დაცვა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის უფლებასა და საუკეთესო ინტერესთან დაკავშირებული თითოეული საქმის განხილვისა და ინდივიდუალური შეფასებისას, რომ ეროვნული სასამართლოს გადანაცვეტილებებში, სადაც განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მშობლისა და ბავშვის უფლებები, უპირატესობა მიენიჭოს ბავშვის უფლებებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტი უნდა ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევა

და მისი შესატყვისი გადანყვეტილების მიღება (იხ. Elsholz v. Germany, N25735/94, 31.07.2000, par. 52; TK and KM v. UK, N 28945/95, 10.05.2001, par. 72. Sdr. ასევე, სუსგ №ას-967-916-2015, 25.02.2016).

31. ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბავშვს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადანყვეტილების მიღებისას უპირატესობა მიენიჭოს მის საუკეთესო ინტერესებს. იმავე კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბავშვს უფლება აქვს, ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში, სადაც შექმნილია პირობები მისი ჰარმონიული აღზრდის, განვითარებისა და კეთილდღეობისთვის.

32. პალატა განმარტავს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესი მშობლებთან თანაბარი ურთიერთობის შესაძლებლობასაც მოიაზრებს და ყურადღებას გაამახვილებს სსკ-ის 1202-ე მუხლზე (მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განქორწინებული არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ. მშობელს, რომელთანაც შვილი ცხოვრობს, უფლება არა აქვს, შეზღუდოს მეორე მშობლის უფლება-მოვალეობები). ნორმა მშობელს, რომელთანაც ცხოვრობს ბავშვი, უკრძალავს მეორე მშობელთან ურთიერთობის შეზღუდვას. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცული ოჯახური ცხოვრების პატივისცემა გულისხმობს არა მხოლოდ ერთად მცხოვრები ოჯახის წევრების უფლებების დაცვასა და პატივისცემას, არამედ ცალ-ცალკე მცხოვრები ოჯახის წევრებს შორის კავშირის შენარჩუნებაც და ოჯახური გარემოს დაცვის ვალდებულებას ისეთ შემთხვევებშიც, როგორც ეს განსახილველ საქმეშია. ეროვნული სასამართლო ვალდებულია, ხელი შეუწყოს ოჯახური კავშირის აღდგენასა და განმტკიცებას, რაც, უპირველეს ყოვლისა, ბავშვის ჭეშმარიტი და საუკეთესო ინტერესითაა განპირობებული. ოჯახის გაერთიანების ცნება გულისხმობს არა მხოლოდ ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას, არამედ მშობლისა და შვილის მჭიდრო კავშირს, რასაც ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი სასამართლომ, თუკი არ იკვეთება ბავშვის საუკეთესო ინტერესის საწინააღმდეგო წინაპირობა, რადგან მშობლისა და ბავშვის ინტერესთა ბალანსის დაცვის პროცესში, სწორედ ბავშვის ინტერესია ამოსავალი და სახელმძღვანელო სასამართლოსა და ყველა ადმინისტრაციული თუ სხვა ორგანოსათვის, რაც უმეტესწილად გადასწონის მშობლის ინტერესს. საკასაციო პალატა დეტალურად გაეცნო საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს და მათი ანალიზის შედეგად მიიჩნევს, რომ ასეთი შეზღუდვის წინაპირობები საქმეში წარმოდგენილი სოციალური მუშაკის დასკვნისა თუ ფსიქოლოგთა შეფასებებით არ დასტურდება.

33. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მამის ძირითად

საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს კანადის სახელმწიფო, ქალაქი ონტარიო. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის ფსიქოლოგის გამოკვლევის შედეგებზე, რომლის მიხედვითაც სასამართლო განჩინების დავალების საფუძველზე გამოკვლეულ იქნა არასრულწლოვნის ფსიქოემოციური მდგომარეობა, მისი მშობლებთან მიჯაჭვულობისა და მათთან დაშორების შესაძლო რისკების განსაზღვრა. როგორც კვლევის შედეგად დადგინდა, არასრულწლოვანი ბავშვი ორივე მშობლის მიმართ დადებით დამოკიდებულებას, ემოციებს გამოხატავს და ორივე მშობელი ადეკვატურად რეაგირებს ბავშვის საჭიროებებზე. ორივე მშობელი ბავშვისთვის ერთნაირად აუცილებელია, თუმცა მშობლების სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრების ფაქტის გათვალისწინებით, ფსიქოლოგი კვლევის საფუძველზე ადგენს, რომ ბავშვის მამასთან ერთად საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში გადასვლა გულისხმობს დედასთან ხანგრძლივი პერიოდით განშორებას, რაც დედასთან არსებულ მიჯაჭვულობის რღვევას გამოიწვევს. ეს კი, შესაძლოა, გახდეს ბავშვის ფსიქიკური და ფიზიკური ხასიათის ცვლილებების (როგორიცაა დაბალი თვითშეფასება, მუდმივი შფოთვა, აგრესია, ცუდად განვითარებული ემოციური უნარები) საფუძველი. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის განმარტებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეფასებითია, თუ რას წარმოადგენს ფსიქოლოგის დასკვნაში მითითებული „ხანგრძლივი პერიოდი“. მოცემულ შემთხვევაში, მცირეწლოვანი ასაკთან მიმართებით, კანადის სახელმწიფოში იმ პერიოდით გაყვანა ბავშვის, რასაც ამ ეტაპზე მოითხოვს მამა (ზაფხულის არდადეგებზე შვით), შესაძლოა, შეფასდეს იმ ხანგრძლივ პერიოდად, რაც დაარღვევს არასრულწლოვნის დედასთან არსებულ მიჯაჭვულობას, რამაც პოტენციურად, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ემოციური სირთულეები გამოიწვიოს. თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის ფსიქოლოგი შვიდჯერ შეხვდა არასრულწლოვანს. კვლევის პროცესში ქცევაზე დაკვირვების შედეგის მიხედვით, არასრულწლოვანი მხიარული, აქტიური და ენერგიით სავსეა. იგი ადვილად ურთიერთობს ფსიქოლოგთან, მასთან უშუალო და თავისუფალია, ხშირად იღიმის, ამყარებს თვალეზით კონტაქტს. მშობლებთან ერთად ვიზიტისას მათ ირგვლივ ტრიალებს, დედასაც და მამასაც რთავს თამაშის პროცესში, ბავშვი დავალებებს ხალისით ასრულებს, ავლენს ინტერესს და იჩენს ინიციატივას. არასრულწლოვანი პოზიტიურად მიჯაჭვულია ახლობელ ადამიანებთან, აქვს უსაფრთხოებისა და დაცულობის გრძნობა. ორივე მშობელთან სრულიად კომფორტულად გრძნობს თავს, ხალისიანად ურთიერთობს მათთან. ბავშვს ყოველი ვიზიტისას კარგი გუნება-განწყობილება აღენიშნებოდა. ფსიქოლოგის კვლევის შედეგად მიღებული დასკვნა შემ-

დეგი სახისაა: არასრულწლოვან მ. ნ-ძეს ფიზიკური და ემოციური მიჯაჭვულობა აკავშირებს ორივე მშობელთან, მათთან თავს უსაფრთხოდ და კომფორტულად გრძნობს. ორივე მშობელი ადეკვატურად რეაგირებს ბავშვის საჭიროებებზე და უზრუნველყოფს სათანადო ემოციური მხარდაჭერით. მამა ბავშვის ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი ფიგურაა. ბავშვს, რომელიც მამისგან სისტემატურად ემოციურ მხარდაჭერას იღებს, ნაკლებად აღენიშნება ფსიქიკური პრობლემები. მამის ნაკლებად ჩართულობა ბავშვის აღზრდაში არაერთ ფსიქიკურ კომპლექსებს, ქცევით სირთულეებს, დესტრუქციულ ემოციებს, ურთიერთობის პრობლემებს უკავშირდება. ბავშვის საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში გადასვლა (მამასთან ერთად) გულისხმობს დედასთან ხანგრძლივი პერიოდით განშორებას. შემცირებულმა ურთიერთობამ კი შეიძლება ემოციური და ფიზიკური მიჯაჭვულობის შემცირება გამოიწვიოს. მიჯაჭვულობის დარღვევა კი საბოლოოდ ბავშვის ფსიქიკური და ფიზიკური ხასიათის სერიოზულ და ხანგრძლივ ცვლილებებს იწვევს. ფსიქოლოგის მიერ გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაციები: ბავშვისთვის ორივე მშობელი ერთნაირად მნიშვნელოვანია და ორივე მშობელი მაქსიმალურად უნდა იყოს ჩართული ბავშვის ცხოვრებაში. მუდმივი ურთიერთობა ორივე მშობელთან მომავალში განაპირობებს ბავშვის უკეთ ადაპტაციას გარემოსთან. შვილებს, რომელთაც თანაბარი და დადებითი ურთიერთობა აქვთ ორივე მშობელთან, ნაკლებად აქვთ უარყოფილობის შეგრძნება და დაბალი თვითშეფასება.

34. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დავის თავისებურების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, საკითხი შეფასდეს არა ცალმხრივად, არამედ ყოველმხრივ, თითოეული მშობლის ბავშვებთან ურთიერთობის რეალური შესაძლებლობის გათვალისწინებით, რათა მიღწეულ იქნეს დასახული მიზანი, რაც გულისხმობს ოჯახთან გაერთიანებასა და, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით, ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების რეალიზაციას. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ რაკი ბავშვის საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილი განისაზღვრა საქართველოში, მამისა და შვილის შორის ჩამოყალიბებულ მჭიდრო კავშირის შენარჩუნებას ხელშეწყობა სჭირდება, მით უფრო, რომ მამა საქართველოში არ ცხოვრობს. ამიტომ, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მამას უნდა ჰქონდეს უფლება, ზაფხულის სამთვიან არდადეგებზე საკუთარი შვილი თავის საცხოვრებელ ადგილზე ერთი თვით წაიყვანოს, ხოლო ორ წელიწადში ერთხელ – ზამთრის არდადეგებზე. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ გამოვლენილა მამასთან ურთიერთობის ხელისშემშლელი გარემოება, რამაც შესაძლოა, ცუდი გავლენა მოახდინოს არასრულწლოვანზე, მათ შორის, არდადეგებზე კანადაში მამასთან ნასვლის შემთხვევაშიც, მით

უფრო, რომ მას პირველი ვიზიტი 11 წლის ასაკში მოუწევს.

35. შეგებებული სარჩელის მოპასუხე თავის პრეტენზიას აფუძნებს იმას, რომ მამის მოძალადეობრივ ხასიათს ადასტურებს „ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი – პ-ს“ კლინიკურ ფსიქოლოგ ნ. ნ-ის დასკვნა, რომელიც სასამართლომ საქმეს არ დაურთო. პირველ რიგში, პალატა მიუთითებს, რომ ვერ იმსჯელებს იმ მტკიცებულებაზე რომელიც საქმეს არ ერთვის, ამასთან, საქმეში წარმოდგენილია იმავე ფსიქოლოგის 2016 წლის ივნისში შედგენილი დასკვნა, რომელიც სასამართლოს კასატორის მიერ მითითებულ გარემოებების შესახებ ეჭვის საფუძველს არ აძლევს. უფრო მეტიც, როგორც აღინიშნა, თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 2017 წლის 2 თებერვლის ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგები (№04-00-2885) საპირისპიროზე მიუთითებს, კერძოდ კი, დასკვნის თანახმად, ბავშვს ფიზიკური და ემოციური მიჯაჭვულობა აკავშირებს ორივე მშობელთან, მათთან თავს უსაფრთხოდ და კომფორტულად გრძნობს.

36. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ამგვარ დავებზე შეძლებისდაგვარად უნდა გათვალისწინდეს სუბიექტური ფაქტორებიც – ბავშვის მიერ არსებული სიტუაციის აღქმა, რაც შესაბამისი დაკვირვება-გამოკვლევის გზითაა შესაძლებელი. მოცემულ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, მამასა და შვილს შორის პოზიტიური ურთიერთობაა, ბავშვი მამის მიმართ გამოხატავს დადებით ემოციას, სურს მასთან ურთიერთობა. ფსიქოლოგის რეკომენდაციაც მამასა და შვილს შორის ხშირი კავშირის აუცილებლობაზე მიუთითებს. ამასთან, მოწინააღმდეგე მხარე წარმოდგენილი საკასაციო შესაგებლითაც დამაჯერებლად ვერ ასაბუთებს, თუ რატომ უნდა ჰქონდეს მამას შვილთან ურთიერთობა იმაზე შეზღუდული დროით, ვიდრე ეს პირველი ინსტაციის სასამართლომ დაადგინა. დედა ვერ ასახელებს მამის მხრიდან მშობლის ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შესახებ ვერცერთ დამაჯერებელ არგუმენტს. რაც შეეხება ფაქტს, რომ მამა ეცადა, გაეტაცა ბავშვი კანადაში, რაიმე მტკიცებულებით გამყარებული არ არის. უფრო მეტიც, იმავე საქმეში კანონიერ ძალაშია შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ბავშვის საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებელი განისაზღვრა. აღნიშნულ ნაწილში მამას გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია, პირიქით, შეგებებული სარჩელით ბავშვის ნახვის დღეების განსაზღვრა მოითხოვა. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უსაფუძვლოა დედის მტკიცება მამის მიერ ბავშვის კანადაში წაყვანისა და ქვეყანაში არდაბრუნების რისკთან დაკავშირებით. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს საზღვარგარეთ ბავშვის გაყვანის უფლებამოსილების მამის-

თვის შეზღუდვის ფაქტობრივსამართლებრივი საფუძველი.

37. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მშობლების განქორწინების შემდეგ ბავშვთან კონტაქტის უფლება მშობელს, რომელთანაც შვილი არ ცხოვრობს, არათუ უნარჩუნდება, არამედ ის ვალდებულიცაა, ეფექტური და შეძლებისდაგვარად რეგულარული ურთიერთობა ჰქონდეს შვილთან. რასაკვირველია, ამ საკითხის გადაწყვეტის დროს, პირველ რიგში, უნდა გათვალისწინდეს ბავშვის ინტერესები, რომელიც ორ ასპექტს გულისხმობს: ერთი მხრივ, ბავშვის ინტერესებია, რომ განვითარდეს ჯანსაღ გარემოში და მშობელს არ მიეცეს ისეთი ნაბიჯის გადადგმის შესაძლებლობა, რომელიც ზიანს მიაყენებს მის ჯანმრთელობასა და განვითარებას; მეორე მხრივ, ცხადია, ბავშვისთვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ შენარჩუნდეს მისი კავშირი მამასთან, რათა გაძლიერდეს მამის როლი და მისი აქტიური ჩართულობა ბავშვის ცხოვრებაში. შესაბამისად, თუ არ არსებობს საგამონაკლისო გარემოება, მოსარჩელეს ბავშვის თავისთან დროებით წაყვანის უფლება არ უნდა შეეზღუდოს (იხ.: სუსგ №ას-63-59-2017, 13.11.2018წ.; №ას-440-2020, 13.04.2021წ.; №ას-732-2021, 30.04.2024წ.).

38. ამასთან, საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დედა ვალდებულია, ხელი არ შეუშალოს მამა-შვილის ურთიერთობას, პირიქით, ხელი შეუწყოს მათ იმგვარი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში, რაც უზრუნველყოფს ბავშვის ჰარმონიულ აღზრდა-განვითარებას. ამასთან, საგულისხმოა, რომ არასრულწლოვანს დადებით ემოციებს ანიჭებს მამასთან ურთიერთობა და ამას ხელშეწყობა და მოფრთხილება სჭირდება, რაც არა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ევალება კასატორს, არამედ იგი ზნეობრივადაც ვალდებულია – საკუთარი შვილის საუკეთესო ინტერესებისათვის. მეორე მხრივ კი, სწორედ მამაზე დამოკიდებული, თუ რამდენად მართებულად გამოიყენებს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ წესს შვილთან ურთიერთობაში, იზრუნებს ოჯახური კავშირის გამყარებაზე ბავშვის საუკეთესო ინტერესის უპირატესობის გათვალისწინებით.

39. საკასაციო სასამართლო, ბუნებრივია, წინამდებარე გადაწყვეტილებით არ ცდილობს რაიმე ფორმით შეზღუდოს სსკ-ის 1202-ე მუხლით აღიარებული რომელიმე მშობლის ინტერესი, უფრო მეტიც, პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ოჯახური ცხოვრების პატივისცემის მრავლისმომცველ უფლებაზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მშობლისა და ბავშვის მიერ მათი ერთად ყოფნით სიამოვნების მიღება ქმნის ოჯახური ცხოვრების ფუნდამენტურ ელემენტს (იხ. „ნ.ნ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“). შესაბამისად, უკიდურესი და გამონაკლისი შემთხვევების გარდა, თითოეული მშობლის მიერ ნახალისებული უნდა იყოს ბავშვის მეო-

რე მშობელთან ურთიერთობა, ვინაიდან ბავშვის სრულყოფილი აღზრდა-განვითარებისათვის აუცილებელი წინაპირობაა.

40. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეზე დაადგინა კონვენციის დარღვევა, როდესაც მომჩივანს არ მიეცა შვილთან ურთიერთობის საშუალება, მაგ: ევროსასამართლომ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევად მიიჩნია ისეთი შემთხვევა, როდესაც ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს ქმედითი ღონისძიებების განხორციელება, რათა მომჩივნის, კონკრეტულ შემთხვევაში – მამის უფლება უზრუნველყოფილიყო, რომ ენახა საკუთარი ვაჟი იძულებითი აღსრულების გზით, რადგან დედამ უარი განაცხადა მანამდე მშობლებს შორის მიღწეული შეთანხმების შესრულებაზე (*Zawadka v. Poland*, No.48542/99, 23.06.05). ერთ-ერთ საქმეზე მე-8 მუხლის დარღვევა დადგინდა იმის გამო, რომ ადგილობრივმა ორგანოებმა ვერ შეძლეს მომჩივნის (მამის) უფლების აღსრულება (*Eberhard v. Slovenia*, No.8673/05 and 9733/05, 01.12.09).

41. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებულია ყველას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, მითითებული დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა – არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც, რაც ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის ბოლო წინადადების თანახმად, ბავშვს აქვს უფლება, ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. მართალია, საერთაშორისოდ აღიარებული ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს, თუმცა ზემოხსენებული სამართლებრივი აქტები თავადვე ქმნის ჩარევის ლეგიტიმურ დეფინიციას და განსაზღვრავს, რომ იგი პროპორციულია, თუ ჩარევა გამოწვეულია დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული აუცილებლობით, ამასთან, ჩარევის სტანდარტად გამოყენებულ უნდა იქნეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, რაც ცალსახადაა ასახული „ბავშვის უფლებათა კონვენციაში“. მოხმობილი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს აწესებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათ-

ვის. კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს, ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს, აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია. სსკ-ის 1197-ე მუხლით დადგენილია მშობლების თანასწორუფლებიანობის პრინციპი შვილების მიმართ. მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით (სსკ-ის 1198.1 მუხლი). მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს (სსკ-ის 1199-ე მუხლი). მითითებული საკანონმდებლო დანაწესების ანალიზი ქმნის ცალსახა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რომ მშობელთა უპირველესი მოვალეობა ბავშვის ჰარმონიული აღზრდა-განვითარება, ოჯახური გარემოს შექმნაა და ამ კუთხით მისაღები ნებისმიერი გადანეწყვტილებისას, უპირატესობა არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს ენიჭება, შესაბამისად, ჩარევის პროპორციულობის დასაშვები ზღვარი იმის უალტერნატივოდ დადგენაა, რომ ამგვარი ჩარევა წარმოადგენს ერთადერთ სწორ და მისაღებ გადანეწყვტილებას არასრულწლოვნის/მცირეწლოვნის, როგორც საზოგადოების მომავალი სრულუფლებიანი და ღირსეული წევრის, განვითარებაში (იხ. სუსგ №ას-458-440-2016, 15.07.2016წ.; №ას-159-149-2017, 31.07.2017წ.; №ას-1323-2023, 7.02.2024წ.). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კანადაში ბავშვის წაყვანასთან დაკავშირებული დედის საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელი, ხოლო მამის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მამას უფლება უნდა მიეცეს არასრულწლოვანი შვილი წაიყვანოს საზღვარგარეთ – კანადაში ზაფხულის არდადეგებზე ყოველ წელს 27 ივნისიდან 1 აგვისტომდე, ხოლო 2025 წლიდან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ზამთრის არდადეგების პერიოდში უკან დედასთან დაბრუნების ვალდებულებით.

42. რაც შეეხება მამის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე ოპერაციის ან მკურნალობის მიზნით ბავშვის დედასთან ერთად კანადაში წაყვანის უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა და სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა სასამართლოს გადანეწყვტილება, მამის მიერ შვი-

ლის ჯანმრთელობის მდგომარეობის, კერძოდ, ოპერაციის ან მკურნალობის ჩატარების მიზნით, კანადაში წაყვანის უფლების მიღების ნაწილში – დაკმაყოფილდა უშუალოდ დედის თანხმობის (დასტურის) არსებობის შემთხვევაში, რასაც ასევე, უნდა ადასტურებდეს ექიმის მიერ გაცემული დასკვნა ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის (ოპერაციის ან მკურნალობის) საჭიროების არსებობის შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ მხარეთა შორის სადავო არ იყო ბავშვის მკურნალობასთან დაკავშირებით, სამედიცინო დაწესებულების მიერ სათანადო ჯანმრთელობის ცნობის საფუძველზე, საჭიროებიდან გამომდინარე ოპერაციის ან მკურნალობის მიზნით კანადაში წაყვანის თაობაზე მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. არასრულწლოვან ბავშვს, როგორც კანადის მოქალაქეს, მიეცემა შესაძლებლობა, ისარგებლოს კანადის სახელმწიფოში არსებული ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამით. საკასაციო პალატა მიუთითებს, რაკი თავად მამა მოითხოვდა ასეთ შემთხვევაში ბავშვის დედასთან ერთად წაყვანასა და ამ ხარჯების თავის მიერ დაფარვას, რაც პრაქტიკულად თანხვედრაშია სასამართლოს მიერ დადგენილ წესთან, გაუგებარია კასატორის დაჟინება დედის თანხმობის გარეშე ბავშვის სამკურნალოდ წაყვანასთან მიმართებით. საკასაციო პალატის განსჯით, თუკი საკითხი ბავშვის ჯანმრთელობას უკავშირდება, მკურნალობასთან დაკავშირებული საკითხები სწორედ ორივე მშობლის ურთიერთშეთანხმებით, ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე უნდა გადაწყდეს.

43. დედამ საკასაციო საჩივარში მამის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების სრულად შეზღუდვაზე მიუთითა. პირველ რიგში, მოსარჩელე დაზუსტებულ სარჩელში პირდაპირ მიუთითებს, რომ მოითხოვს მშობლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვას ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანის ნაწილში. ამასთან, შინაარსობრივადაც დასაბუთებაში სწორედ ამას მიუთითებს, რომ მოპასუხეს აქვს ბავშვის პასპორტი, იმ შემთხვევაში, თუ შეინარჩუნებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, საქართველოში ჩამოსვლის შემთხვევაში შესაძლებლობა ექნება, წაიყვანოს ბავშვი კანადაში დედის თანხმობის გარეშე. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანის საკითხი მონესრიგდა. რაც შეეხება საკასაციო საჩივარში მითითებულ ბავშვისათვის მამის თანხმობის გარეშე დედის მიერ მოქალაქეობის შეცვლას, ამგვარი არც მოთხოვნა და არც მოთხოვნის საფუძველად რაიმე ფაქტობრივ გარემოებაზე მოსარჩელეს სარჩელში არ მიუთითებია.

44. რაც შეეხება პაპასთან ბავშვის ურთიერთობას, კასატორის პრეტენზიის თანახმად, პაპის ურთიერთობა არასრულწლოვანთან ცალკე არ უნდა განისაზღვროს და მამისათვის განკუთვნილ პერიოდს უნდა

დამთხვევს. პირველ რიგში, პალატა მიუთითებს სსკ-ის 1203-ე მუხლის მიხედვით, პაპასა და ბებიას უფლება აქვთ ურთიერთობა იქონიონ თავიანთ არასრულწლოვან შვილიშვილებთან მაშინაც, როცა ისინი უშუალოდ არ მონაწილეობენ შვილიშვილების აღზრდაში. თუ მშობლები ან მეურვე/მზრუნველი უარს ეუბნებიან პაპასა და ბებიას შვილიშვილებთან ურთიერთობაზე, სასამართლოს შეუძლია დაავალდებულოს მშობლები ან მეურვე/მზრუნველი, საშუალება მისცენ პაპასა და ბებიას, ურთიერთობა იქონიონ შვილიშვილებთან სასამართლოს მიერ დადგენილი წესით, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ეს ხელს არ შეუშლის ბავშვების ნორმალურ აღზრდას და ცუდ გავლენას არ მოახდენს მასზე. ამრიგად, ბავშვისა და მშობლების ან/და ოჯახის სხვა წევრების ურთიერთობის უფლება შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს მხოლოდ მაშინ, თუ ეს აუცილებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განწყობა პაპა-ბებიასა და შვილიშვილებს შორის ურთიერთობასთან დაკავშირებით ანალოგიურია, აუცილებელი და გამონაკლისი შემთხვევების გარდა, სასამართლო მხარს უჭერს მათ შორის კავშირის შენარჩუნებასა და აღდგენას. ერთ-ერთ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა იმ საფუძველზე, რომ სოციალურმა სამსახურმა არ გადადგა „ადეკვატური ან საკმარისი ნაბიჯები“ ბებია-ბაბუასა და შვილიშვილებს შორის „თითქმის სრულად განწყვეტილი“ ურთიერთობის შესანარჩუნებლად (იხ. *Case of Beccarini and Ridolfi v. Italy*, 07.12.2017). სხვა საქმეზე, იმავე სასამართლომ, ასევე დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა, ვინაიდან ხელისუფლებამ არ გასწია აუცილებელი ძალისხმევა, რათა დაეცვა ოჯახური კავშირი ბებიას, ბაბუასა და შვილიშვილს შორის, რომელთაც ერთმანეთი თორმეტი წლის განმავლობაში არ ენახათ (იხ. *Case of Manuello and Nevi v. Italy*, 20.01.2015). ამ სულისკვეთებას იზიარებს საკასაციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკაც.

45. განსახილველ შემთხვევაში, როგორც სააპელაციო სასამართლომ პაპისათვის დაადგინა, „სასწავლო პერიოდში ყოველი თვის პირველი პარასკევი დღის სასწავლო პროცესის დასრულებიდან შემდგომი შაბათი დღის 12:00 საათამდე არასრულწლოვანის წაყვანის და უკან დედასთან ან მამასთან (ვისთანაც უწევს ბავშვს ყოფნა ურთიერთობის დადგენილი, განსაზღვრული წესით) დაბრუნების ვალდებულება“, რომელიც ისედაც მამის ნახვის დღეებს ემთხვევა (მდრ. პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების 2.3.1. პუნქტს, რომლითაც საქართველოში ყოფნისას მამის ურთიერთობა არასრულწლოვან შვილთან განისაზღვრა შემდეგი სახით: ხუთშაბათს, დღის 18:00 საათიდან კვირამდე, დღის 11:00 საათამდე, ხოლო სამშაბათს, დღის 16:00 საათიდან იმავე დღის 20:00 საათამდე სასწავლებლიდან ან დედის საცხოვრებელი ადგილი-

დან წაყვანის და უკან დედასთან დაბრუნების ვალდებულებით). შესაბამისად, პაპას ფაქტობრივად დამატებით არდადეგების პერიოდში ერთი კვირით წაყვანის და უკან დედასთან ან მამასთან (ვისთანაც უწევს ბავშვს ყოფნა ურთიერთობის დადგენილი, განსაზღვრული წესით) დაბრუნების უფლება მიენიჭა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა დასაბუთებულად განსაზღვრეს პაპის ბავშვთან დამოუკიდებლად ურთიერთობისთვის აუცილებელი დროის მონაკვეთები და ურთიერთობის წესი. შესაბამისად, დედის საკასაციო საჩივარი ამ კუთხითაც დაუსაბუთებელია.

46. მეორე კასატორის პრეტენზია ქვედა ინსტანციების სასამართლოთა საოქმო განჩინებების გაუქმებასაც უკავშირდება. პალატის მითითებით, აღნიშნულზე კასატორს დასაბუთებული შედავება არ წარმოუდგენია. პალატა იზიარებს ამ საკითხზე სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს და მიაჩნია, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილების სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული რაიმე საფუძველი არ არსებობს. კასატორი მოითხოვს, სასამართლომ ხელახლა უნდა მიმართოს შესაბამის ორგანოს და გამოითხოვოს მტკიცებულება, ჰქონდა თუ არ მამას შვილის საზღვარგარეთ გაყვანის მცდელობა 2015 წლის ნოემბერში. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მტკიცებულებების წარდგენის მკაცრად განერილ პროცედურას და საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვისას, კანონმდებლობით მხარე ასეთ შესაძლებლობას მოკლებულია – საკასაციო სასამართლო არ წარმოადგენს ფაქტების დამდგენ სასამართლოს, შესაბამისად, მოთხოვნა დაუსაბუთებელია.

47. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ დედის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მამის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს; უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.3 – 2.3.4 პუნქტები და ამ

ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; მამას მიეცეს უფლება არასრულწლოვანი შვილი წაიყვანოს საზღვარგარეთ – კანადაში ზაფხულის არდადეგებზე ყოველ წელს 27 ივნისიდან 1 აგვისტომდე უკან დედასთან დაბრუნების ვალდებულებით; ხოლო 2025 წლიდან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ზამთრის არდადეგებისას უკან დედასთან დაბრუნების ვალდებულებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 411-ე მუხლებით

გ ა ლ ა ნ ე შ ი ბ ა:

1. თ. კ-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. გ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.3 – 2.3.4 პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. გ. ნ-ძეს (პ/ნ ...) მიეცეს უფლება არასრულწლოვანი შვილი მ. ნ-ძე (დაბადებული 2012 წლის 27 დეკემბერს; პ/ნ ...) წაიყვანოს საზღვარგარეთ – კანადაში ზაფხულის არდადეგებზე ყოველ წელს 27 ივნისიდან 1 აგვისტომდე უკან დედასთან, თ. კ-იასთან დაბრუნების ვალდებულებით;
5. გ. ნ-ძეს (პ/ნ ...) მიეცეს უფლება არასრულწლოვანი შვილი მ. ნ-ძე (დაბადებული 2012 წლის 27 დეკემბერს; პ/ნ ...) წაიყვანოს საზღვარგარეთ – კანადაში 2025 წლიდან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ზამთრის არდადეგების პერიოდში უკან დედასთან, თ. კ-იასთან დაბრუნების ვალდებულებით;
6. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
7. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1328-2023

07 მარტი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
მ. ერემაძე

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. ნ. ბ-მა (შემდგომ – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. ბ-ის (შემდგომ – მოპასუხე) მიმართ არასრულწლოვანი შვილის – 2009 წლის 22 იანვარს დაბადებული ა. ბ-ის (შემდგომ – არასრულწლოვანი, ბავშვი) სასარგებლოდ ალიმენტის, ყოველთვიურად 1865 ლარის გადახდის შესახებ სარჩელის აღძვრის დღიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, მხარეები არიან 2009 წლის 22 იანვარს დაბადებული ა. ბ-ის მშობლები. მოსარჩელემ შექმნა სხვა ოჯახი და მას ასევე ჰყავს ორი არასრულწლოვანი შვილი – 2019 წლის 14 იანვარს დაბადებული ა. ნ-ი და 2020 წლის 23 ივნისს დაბადებული დ. ნ-ი. არასრულწლოვანი ცხოვრობს მოსარჩელის ოჯახში. მოპასუხე მატერიალურად არ ზრუნავს თავის შვილზე, ბავშვის ყველა მატერიალურ ხარჯს უზრუნველყოფს დედა და მისი ოჯახი.

3. მოსარჩელის მითითებით, არასრულწლოვანის სარჩენი ხარჯი ყოველთვიურად შეადგენს 3730 ლარს, რაც მოიცავს მისი კვების, ჩაცმის, სწავლის, სპორტული აქტივობის, ასევე სხვა დამატებით ხარჯს. მოპასუხე დასაქმებულია და მისი შემოსავალი შეადგენს 4000 ლარს.

4. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხე მეტად უნდა ჩაერთოს არასრულწლოვანი შვილის რჩენა-აღზრდაში, სადავო ხარჯი დაანგარიშებულია, ბავშვის სპორტული და საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე. ბავშვს აღნიშნული აქტივობებისათვის ესაჭიროება სხვადასხვა საგნები (ინვენტარი, ტანისამოსი და ა.შ.), რომელთა შეძენაც ფინანსურ სახსრებთანაა დაკავშირებული. ასაკიდან გამომდინარე, ბავ-

შვის საჭიროებების გათვალისწინებით, მითითებული ალიმენტის ოდენობაც მინიმალურია.

მოპასუხის პოზიცია:

5. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ ყოველთვის ზრუნავდა და ზრუნავს თავის არასრულწლოვან შვილზე. წლების განმავლობაში უზრუნველყოფდა ყველა მისთვის ცნობილი აქტივობის გადასახადს, როგორცაა საბავშვო ბაღი, „პრესკული“, სკოლა, ფიგურული სრიალი, სიმღერა, ბაღეტი, ქართული ცეკვა და ა.შ. იგი უწყვეტად იხდის სკოლის გადასახადს წელიწადში 5000 ლარის ოდენობით. ასევე, ბავშვზე მატერიალურად ზრუნავს მისი ბებია, რომელსაც შვილიშვილის სახელზე გახსნილი აქვს ანაბარი.

6. მოპასუხემ განმარტა, რომ შექმნა ახალი ოჯახი და ჰყავს ერთი არასრულწლოვანი შვილი – 2018 წლის 26 აპრილს დაბადებული ე. ბ-ია, რომელსაც, ასევე, ესაჭიროება მისი მხრიდან დახმარება. ამასთან, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა არ არის გონივრული და რეალური, მოპასუხე შვილს უზრუნველყოფს, მისი დავალდებულების გარეშე, თუმცა მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ბავშვის საჭიროებებთან დაკავშირებით სადავოა, მისი შვილის (მისთვის ცნობილი) ყველა საჭიროება დაკმაყოფილებულია.

არასრულწლოვნის ადვოკატის პოზიცია:

7. არასრულწლოვნის ადვოკატმა განმარტა, რომ სასარჩელო მოთხოვნას ეთანხმება, მიუთითა მოპასუხის შესაძლებლობებზე, ბავშვის საჭიროებებსა და ინტერესზე, ორივე მშობლისაგან მიიღოს მატერიალური დახმარება. ძირითადად არასრულწლოვანს მატერიალურად უზრუნველყოფს მოსარჩელე, ამიტომ მოპასუხე ვალდებულია, ჩაერთოს შვილის რჩენაში.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს არასრულწლოვანი შვილის სარჩენად დაეკისრა ყოველთვიურად ალიმენტის – 550 ლარის გადახდა სარჩელის აღძვრიდან – 2020 წლის 11 აგვისტოდან, ხოლო 2022 წლის 10 ივნისიდან 850 ლარის ანაზღაურება, ბავშვის სრულწლოვანებამდე, რაც ორივე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარს ეთქვა უარი, ხოლო მოპასუხის სააპელაციო საჩივარი ნა-

ნილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და მისი სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდა იმგვარად, რომ მოპასუხეს არასრულწლოვანი შვილის სარჩენად დაეკისრა ყოველთვიურად ალიმენტის – 550 ლარის გადახდა სარჩელის აღძვრიდან მის სრულწლოვანებამდე შემდეგ გარემოებათა გამო:

10. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეებს ჰყავთ საერთო, 2009 წლის 22 იანვარს დაბადებული არასრულწლოვანი შვილი. ბავშვი ცხოვრობს დედასთან. მოსარჩელემ შექმნა ახალი ოჯახი და ჰყავს კიდევ ორი არასრულწლოვანი შვილი.

11. არასრულწლოვანი არის ლ. დ-ძის მოსწავლე მხატვრულ ტანვარჯიშში. 2019 წლიდან ის შეუერთდა ლ. დ-ძის სახელობის კლუბს „გ.რ-ს“, ასევე, 2019 წლიდან წარმატებით ასპარეზობს სხვადასხვა შიდა შეჯიბრებაზე და საერთაშორისო შეჯიბრებების მონაწილეობის კანდიდატია.

12. ბავშვი არის შპს „ნ.თ.ს-ის“ მოსწავლე. 2015 წლის 24 აპრილის ხელშეკრულების თანახმად, სადაც მხარეებს წარმოადგენენ არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენელი მამა – მოპასუხე და შპს „ნ.თ.ს-ა“, სწავლის წლიური საფასური შეადგენს 4500 ლარს, ხელშეკრულება ძალაშია 2027 წლის პირველ აგვისტომდე.

13. 2021-2022 აკადემიური წლის სწავლის გადასახადი შპს „ნ.თ.ს-აში“ არასრულწლოვანისათვის შეადგენს 5500 ლარს.

14. შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მონაცემების მიხედვით, (04.03.2022 წლის მდგომარეობით) მოპასუხის სახელზე 2020 წლის 10 აგვისტოდან გადაწყვეტილების გამოტანამდე ფიქსირდება შემოსავლის ჩარიცხვა (დაუბეგრავი): 2020 წლის ოქტომბერი სულ – 8735.51 ლარი, დამსაქმებლები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი; 2020 წლის ნოემბერი, სულ – 5500 ლარი, დამსაქმებლები: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი; 2020 წლის დეკემბერი, სულ – 9735.171 ლარი, დამსაქმებლები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი; 2021 წლის იანვარი, სულ – 6418.37 ლარი, დამსაქმებლები: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი; 2021 წლის თებერვალი, სულ – 7100 ლარი, დამსაქმებლები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი; 2021 წლის მარტი, სულ – 6446.67 ლარი, დამსაქმებლები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი.

ტი; 2021 წლის აპრილი, სულ – 6366.67 ლარი, დამსაქმებლები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი; 2021 წლის მაისი, სულ – 6366.67 ლარი, დამსაქმებლები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი, 2021 წლის ივნისი, სულ – 6366.67 ლარი, დამსაქმებლები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი; 2021 წლის ივლისი, სულ – 6366.67 ლარი, დამსაქმებლები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი; 2021 წლის აგვისტო, სულ – 6366.67 ლარი, დამსაქმებლები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი; 2021 წლის სექტემბერი, სულ – 6100 ლარი, დამსაქმებლები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი; 2021 წლის ოქტომბერი, სულ – 5500 ლარი, დამსაქმებლები: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი; 2021 წლის ნოემბერი სულ – 6700 ლარი, დამსაქმებლები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი; 2021 წლის დეკემბერი, სულ – 7592.34 ლარი, დამსაქმებლები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი, შპს „ს. გ-ი“; 2022 წლის იანვარი, სულ – 6100 ლარი, დამსაქმებლები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი.

15. შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მონაცემების მიხედვით (23.03.2022 წლის მდგომარეობით), მოსარჩელის სახელზე 2020 წლის 10 აგვისტოდან დღემდე ფიქსირდება შემოსავლის ჩარიცხვა (დაუბეგრავი): 2020 წლის აგვისტო – 392.86 ლარი, დამსაქმებელი: შპს „პ. ჯ-ია“; 2020 წლის სექტემბერი, სულ – 1896.86 ლარი, დამსაქმებელი: შპს „პ. ჯ-ია“; 2020 წლის ოქტომბერი, სულ – 7571.43 ლარი, დამსაქმებელი: შპს „პ. ჯ-ია“; 2020 წლის ნოემბერი, სულ – 7571.43 ლარი, დამსაქმებელი: შპს „პ. ჯ-ია“; 2020 წლის დეკემბერი, სულ – 15635.46 ლარი, დამსაქმებელი: შპს „პ. ჯ-ია“; 2021 წლის იანვარი – 392.86 ლარი, დამსაქმებელი: შპს „პ. ჯ-ია“; 2021 წლის თებერვალი, სულ – 7571.43 ლარი, დამსაქმებელი: შპს „პ. ჯ-ია“; 2021 წლის მარტი, სულ – 7650.51 ლარი, დამსაქმებელი: შპს „პ. ჯ-ია“; 2021 წლის აპრილი, სულ – 7670.91 ლარი, დამსაქმებელი: შპს „პ. ჯ-ია“; 2021 წლის მაისი, სულ – 7571.43 ლარი, დამსაქმებელი: შპს „პ. ჯ-ია“; 2021 წლის ივნისი, სულ – 7638.01 ლარი, დამსაქმებელი: შპს „პ. ჯ-ია“; 2021 წლის ივლისი, სულ – 15142.13 ლარი, დამსაქმებლები: შპს „პ. ჯ-ია“, F.N.S.B.V-ის საქართველოს ფილიალი; 2021 წლის აგვისტო, სულ – 14201.5 ლარი, დამსაქმებელი: F.N.S.B.V-ის საქართველოს ფილიალი;

2021 წლის სექტემბერი, სულ – 14 227.6 ლარი, დამსაქმებელი: F.N.S.B.V-ის საქართველოს ფილიალი; 2021 წლის ოქტომბერი, სულ – 14405.4 ლარი, დამსაქმებელი: F.N.S.B.V-ის საქართველოს ფილიალი; 2021 წლის ნოემბერი, სულ – 14 065.2 ლარი, დამსაქმებელი: F.N.S.B.V-ის საქართველოს ფილიალი; 2021 წლის დეკემბერი, სულ – 14288.85 ლარი, დამსაქმებელი: F.N.S.B.V-ის საქართველოს ფილიალი; 2022 წლის იანვარი, სულ – 14 590 ლარი, დამსაქმებელი: F.N.S.B.V-ის საქართველოს ფილიალი; 2022 წლის თებერვალი სულ – 15 069.2 ლარი, დამსაქმებელი: F.N.S.B.V-ის საქართველოს ფილიალი; მოპასუხეს შექმნილი აქვს ოჯახი და, არასრულწლოვანის გარდა, ჰყავს კიდევ ერთი არასრულწლოვანი, 2018 წლის 26 აპრილს დაბადებული შვილი.

16. არასრულწლოვანი დაზღვეულია და ყოველთვიური სადაზღვევო შესატანი შეადგენს 190 ლარს, რომელსაც იხდის მოსარჩელე მხარე.

17. მოსარჩელე ბავშვის სასარგებლოდ იხდის ტრანსპორტირებისა და სასწავლო წრეების ხარჯებს: 22/09/2021 – 44.5 ლარი, გერმანული ენის წიგნები; 16/12/2021 – 100 ლარი, ტრანსპორტირების თანხა; 08/07/2020 – 480 ლარი, ა. ბ-ის თანხა; 01/04/2022 – 145 ლარი, ტანვარჯიში და ქორეოგრაფია; 01/04/2022 – 30 ლარი, მასწავლებლისათვის ჩარიცხული თანხა; 18/04/2022 – 250 ლარი, მათემატიკა; 01/04/2022 – 160 ლარი, ა. ბ-ია – პიროვნული ზრდის; 07/09/2021 – 247 ლარი, წიგნების თანხა; არასრულწლოვანის სტომატოლოგიური მომსახურების ჯამური ღირებულება 15.03.2022წ. განსაზღვრულია – 845 ლარით, 15.04.2022წ. – 946 ლარით და 19.04.2022წ. – 70 ლარით.

18. მოსარჩელეს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ტრანსპორტით არასრულწლოვანის მომსახურების შესახებ, ხელშეკრულების თანახმად, ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 100 ლარს.

19. 01/03/2017 წლიდან 19/04/2022 წლამდე პერიოდში სს „ს.ბ-ში“ მოსარჩელის ანგარიშიდან ბავშვის ანგარიშზე სულ გადარიცხულია 2120.67 ლარი. 01/03/2017 წლიდან 19/04/2022 წლამდე პერიოდში სს „ს.ბ-ში“ მოსარჩელის ანგარიშიდან არასრულწლოვანის ნომერზე გადახდილია თანხა 368 ლარის ოდენობით.

20. მოსარჩელეს 19/04/2022 წლის მდგომარეობით სს „ს.ბ-ში“ სარგებლობს იპოთეკური სესხით, ყოველთვიური გადასახადი – 3907.30 ლარი, 10/06/2022 წლიდან ყოველთვიური გადასახადი გრაფიკის მიხედვით – 4143.81 ლარი, მოქმედების ვადა: 10/08/2029 წ.

21. მოსარჩელე არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ იხდის ტრანსპორტირებისა და სკოლის ხარჯებს. 2015 წლის 15 გაფორმებული ტრანსპორტით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების თანახმად, ყოველთვიური გადასახადი შეადგენდა 165 ლარს. მოპასუხის მხრიდან, 2015 წლის 28 თებერვალს ფიქსირდება არასრულწლოვანის ვარჯიშის

საფასურის 50 ლარის გადახდა, ასევე, 2014 წლის 21 სექტემბერს ფიქსირდება სწავლის საფასურის 700 ლარის გადახდა, 2014 წლის 15 ნოემბერს – 350 ლარი, 2014 წლის 12 დეკემბერს – 350 ლარისა და 2015 წლის 25 იანვარს – 350 ლარის გადახდები.

22. მოპასუხის ანგარიშზე ფიქსირდება ბავშვის სწავლის საფასურის გადახდა 2020 წლის აპრილის თვიდან 2022 წლის აპრილის თვის ჩათვლით – პერიოდში სულ 11 000 ლარის ოდენობით.

23. არასრულწლოვანის სახელზე გახსნილია საბავშვო ანაბარი სს „ბ.ბ-ში“, სადაც 2014 წლის 16 ოქტომბრიდან 2015 წლის ნოემბრამდე ფიქსირდებოდა თანხების შეტანა და საბოლოო ნაშთმა შეადგინა 11 822.43 ლარი. 2015 წლის 8 დეკემბრიდან 2016 წლის 26 დეკემბრამდე ფიქსირდებოდა თანხების შეტანა და საბოლოო ნაშთმა შეადგინა 14 229.99 ლარი.

24. სს „ბ.ბ-ში“, მოპასუხის ანგარიშზე 2022 წლის 20 აპრილის მდგომარეობით, შვილის ანაბარზე (ა-ს ანაბარი) ფიქსირდება 18 000 ლარი, 736.29 ევრო და 804 აშშ დოლარი, გახსნის თარიღია 12.03.2014 წელი.

25. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლომ არასრულწლოვანი ბავშვის სასარგებლოდ ალიმენტის გონივრულ ოდენობად მიიჩნია მოპასუხისათვის ყოველთვიურად სარჩელის აღძვრიდან – 11.08.2020 წლიდან – 550 ლარის, ხოლო – 10.06.2022 წლიდან – 850 ლარის დაკისრება ბავშვის სრულწლოვანებამდე.

26. მოსარჩელემ გადანაცვტილება გაასაჩივრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და მიაჩნია, რომ დაკისრებული ალიმენტი საკმარისი არ არის არასრულწლოვანი ბავშვის მატერიალურად უზრუნველყოფისათვის, ხოლო მოპასუხემ გადანაცვტილება გაასაჩივრა სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და მოითხოვა დაკისრებული ალიმენტის ოდენობის შემცირება. მოპასუხის სააპელაციო პრეტენზია იმაში მდგომარეობდა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ არასრულწლოვანი ბავშვი აღარ სწავლობს კერძო ფასიან სკოლაში და გადავიდა საჯარო სკოლაში, მას გაეზარდა მეორე მცირეწლოვანი შვილის ყოველთვიური გადასახადი საბავშვო ბაღში, ასევე შემცირდა მისი შემოსავლები.

27. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა შედეგი ნორმატიული აქტებით:

„ბავშვის უფლებათა კონვენციის“ 27-ე მუხლით აღიარებულია ყოველი ბავშვის უფლება, უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის. მშობელს (მშობლებს) ან ბავშვის სხვა აღმზრდელებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლო-

ბა, თავისი უნარისა და ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები.

28. „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, ბავშვს უფლება აქვს, ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში, სადაც შექმნილია პირობები მისი ჰარმონიული აღზრდა-განვითარებისა და კეთილდღეობისთვის. მშობელი, ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირი ვალდებულია პატივი სცეს ბავშვის პიროვნებას, აღზარდოს ბავშვი მშვიდობის, ადამიანის უფლებების პატივისცემის, შემწყნარებლობის, თანასწორობისა და სოლიდარობის პრინციპებით, იზრუნოს მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისთვის, მოამზადოს ბავშვი საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის, ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით.

29. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ) 1212-ე და 1214-ე მუხლების შესაბამისად, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ როგორც შიდა კანონმდებლობით, ასევე, საერთაშორისო აქტებით განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ბავშვთა უფლებების სათანადოდ დაცვას. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას უპირატესია ბავშვის უფლება, მიიღოს ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელი მატერიალური სახსრები. არასრულწლოვანთან მიმართებით ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას ამოსავალი წერტილი არის მისი საუკეთესო ინტერესები. ალიმენტის ოდენობის დადგენისას არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესები უნდა განისაზღვროს მისი ფიზიკური, სოციალური, გონებრივი, ემოციური და სულიერი მოთხოვნებიდან გამომდინარე.

30. არასრულწლოვანის აღზრდის, მისი განვითარებისა და საზოგადოებაში წარმატებული ადაპტაციისათვის აუცილებელია არა მხოლოდ მისი ყოველდღიური საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, არამედ არასრულწლოვანის უზრუნველყოფა იმ სახსრებით, რომელიც მას მისცემს განათლების მიღების, ემოციური და სულიერი სამყაროს განვითარების შესაძლებლობას, სხვადასხვა სოციალურ, სპორტულ, კულტურულ, საგანმანათლებლო, რელიგიურ თუ გასართობ აქტივობებში მონაწილეობის გზით. აღნიშნული მოთხოვნილებები განსხვავდება არასრულწლოვანის ასაკიდან გამომდინარე. ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება არასრულწლოვანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა და შესაბამისად, ამისათვის საჭირო ხარჯების ოდენობაც.

31. „ბავშვთა უფლებების შესახებ“ კონვენციის, ასევე, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ბავშვისათვის ნორმალური განვითარების პირობების შექმნის ძირითადი ვალდებულება ეკისრებათ მის მშობლებს.

32. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას უპირატესია ბავშვის უფლება, მიიღოს ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელი მატერიალური სახსრები. ალიმენტის გადახდევინება მიზნად ისახავს ბავშვის ინტერესების დაცვას, მისთვის ძირითადი საარსებო პირობების შექმნას და თუ ეს შესაძლებელია, ცხოვრების იმ დონის შენარჩუნებასაც, რომელიც მას ექნებოდა მშობლების ნორმალური ურთიერთობის პირობებში. ალიმენტის ოდენობა განისაზღვრება გონივრული და სამართლიანი შეფასების საფუძველზე. იმის გამო, რომ შრომისუნარიან მშობელს არ გააჩნია სტაბილური მატერიალური შემოსავალი, იგი არ შეიძლება გათავისუფლდეს შვილის რჩენის ვალდებულებისაგან. სასამართლოს მიერ ალიმენტის დაკისრება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს და ალიმენტი რეალურად უნდა უზრუნველყოფდეს სარჩენი პირისათვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნას (სუსგ №ას-829-2019, 11.07.2019წ.; №ას-332-2019, 02.08.2019წ.; №ას-1875-2018, 29.03.2019წ.). ამასთან, სსკ-ის 1214-ე მუხლის ფარგლებში სასამართლომ, ერთი მხრივ, უნდა დაადგინოს ბავშვების ის მატერიალური აუცილებლობანი, რომლებიც მათი რჩენა-აღზრდის საკითხს მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფენ, ხოლო, მეორე მხრივ, გადანყევტილება უნდა იყოს აღსრულებადი, კერძოდ, ალიმენტვალდებულმა პირმა რეალურად უნდა შეძლოს დაკისრებული თანხის გადახდა (სუსგ №ას-619-619-2018, 12.09.2018წ.; №ას-876-2019, 26.07.2019წ.).

33. კანონმდებელი არასრულწლოვანის რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელი ხარჯების ზღვრულ ოდენობას არ ითვალისწინებს და შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ალიმენტის მოცულობა დაადგინოს ისეთი გარემოებების ობიექტურად და სამართლიანად შეფასების შედეგად, როგორიცაა მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, სარჩენი ბავშვის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი საჭიროებანი, თითოეული მშობლის კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვი და სხვ. (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 27 ივნისის გადანყევტილება საქმეზე №ას-58-49-2011). სწორედ ამ მიზნით, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის, აგრეთვე, მისი შემცირების საკითხის განხილვისას, უპირატესად განსაზღვრია ალიმენტის გონივრული ოდენობა, რომელიც დგინდება მშობელთა ქონებრივი მდგომარეობისა და ბავშვის საჭიროებების ურთიერთშეჯერებით.

34. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ არასრულწლოვანი ცხოვრობს მოსარჩელესთან და ეს უკანასკნელი ახორციელებს მასზე ძირითად მზრუნველობას. დედას შექმნილი აქვს მეორე ოჯახი და ჰყავს კიდევ ორი მცირეწლოვანი შვილი. თავის მხრივ, უდავოა, რომ მამა გარკვეულწილად იღებს მონაწილეობას შვილის მატერიალურ უზრუნველ-

ყოფაში, იგი ყოველთვიურად იხდიდა შვილის სწავლის საფასურს, რომელიც თვეში დაახლოებით 550 ლარს შეადგენდა. მოპასუხე არც ახლანაა ნინალმდეგი, მეორე მშობელთან ერთად, თანაბრად უზრუნველყოს შვილის მოთხოვნილებები, თუმცა უთითებს, რომ გადასახდელი თანხის ოდენობა უნდა დადგინდეს არასრულწლოვანის საჭიროებების და მისი ფინანსური შესაძლებლობების ურთიერთდაბალანსებით.

35. მოპასუხემ თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას წარადგინა ახალი მტკიცებულებები, რომელიც დაერთო საქმეს, კერძოდ: სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ არასრულწლოვანი 2022 წლის 11 ნოემბრის მდგომარეობით (გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ) ირიცხება სსიპ ... სახელობის ქალაქ თბილისის №... საჯარო სკოლაში.

36. სააპელაციო სასამართლოში წერილობითი მტკიცებულებები წარადგინა მოსარჩელემაც, კერძოდ, არასრულწლოვანის საღამოს სკოლის მომსახურების გადასახადი ფიზიკაში და მათემატიკაში სსიპ „ვლ. კომაროვის თბილისის ფიზიკისა და მათემატიკის“ № 199 საჯარო სკოლაში – გადახდილი 2022 წლის 14 ნოემბერს და 2023 წლის 3 აპრილს (800 ლარი, 800 ლარი და 640 ლარი), 2022 წლის 14 ნოემბერს გადახდილი 130 ლარის ქვითარი არასრულწლოვანისათვის პროგრამირების შესწავლის საფასური, მცირეწლოვანი შვილის ა. ნ-იას საბავშვო ბაღის საფასურის 650 ლარის გადახდის ქვითარი 2022 წლის დეკემბერში და მაისში, ასევე 2023 წლის მარტისა და აპრილის თვეში 1000 და 1200 ლარიანი გადარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი, რომელიც მოსარჩელის განმარტებით, არის უმცროსი ბავშვის ძიძის და ოჯახის დამხმარის საფასური, მოსარჩელეს ასევე წარმოდგენილი აქვს თბილისის ენერჯის სააბონენტო გადასახადის ქვითრები.

37. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 1197-ე, 1212-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ საქმის მასალების თანახმად, მოდავე მხარეებს აქვთ სტაბილური შემოსავალი. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელის შემოსავალი ორჯერ აღემატება მოპასუხის შემოსავალს. ისიც დადგენილია, რომ ორივე მათგანს მეორე ქორწინებიდან ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები და, ბუნებრივია, ორივე მათგანს აქვთ აქედან გამომდინარე ხარჯი.

38. საქმის გარემოებებით ცალსახად დასტურდება ის გარემოება, რომ მოპასუხე თავს არ არიდებს მისი უფროსი შვილისათვის აუცილებელი ხარჯების გადახდას. აღნიშნულის დასტურია მის მიერ შპს „ნ.თ.ს-ის“ საფასურის გადახდა. ასევე, შვილის სახელზე ანაბარზე თანხების განთავსება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ყველაფერს თან ახლავს მეტად დაძაბული ურთიერთობა ა-ს მშობლებს შორის, რომელიც ართულებს

როგორც მათ შორის, ასევე, ბავშვთან კომუნიკაციასაც. ხოლო ეს ყოველივე ხელს უშლის მშობლებს მიიღონ ერთობლივი, გონივრული გადაწყვეტილებები შვილის აღზრდა-განვითარებისათვის აუცილებელი ღონისძიების გასატარებლად.

39. საქმის გარემოებებით ასევე დასტურდება ის გარემოება, რომ საქმის განხილვის პერიოდისათვის შემცირებულია არასრულწლოვანის სწავლასთან დაკავშირებული ხარჯი, რადგან იგი აღარ არის შპს „ნ.თ.ს-ის“ მოსწავლე. დანარჩენი, დედის მიერ მითითებული ხარჯი, კერძოდ ის, რომ ბავშვი დადის სხვადასხვა საგანზე მასწავლებელთან, ან სხვადასხვა აქტივობებზე, მას ესაჭიროება დანტისტის მომსახურება და ა.შ. არ წარმოადგენს ალიმენტის გაზრდის საფუძველს, რადგან აღნიშნულ ხარჯში მონაწილეობის ვალდებულება გააჩნია მოსარჩელესაც.

40. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ ეტაპზე არ არსებობს ალიმენტის გაზრდის საფუძვლები, პირიქით, იმის გამო, რომ შემცირებულია სწავლის ხარჯი, უნდა შემცირდეს მოპასუხის მიერ გადასახდელი ალიმენტის ოდენობაც. ასევე ალიმენტის გაზრდის საფუძვლად არ შეიძლება გამოყენებულიყო არც ის გარემოება, რომ მოსარჩელის მეუღლე უმუშევარია ან გაეზარდა კომუნალური გადასახადები და ა.შ. მითითებულ ხარჯებზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოსარჩელის მეუღლესაც და მისი ყოფილი მეუღლე არ არის ვალდებული, მონაწილეობა მიიღოს ამ ხარჯებში.

41. სააპელაციო პალატამ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ მოპასუხეს საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე არ გამოუთქვამს უარი შვილის აღზრდისათვის საჭირო ხარჯში მონაწილეობაზე. პირიქით, იგი ყოველთვის გამოხატავდა მზადყოფნას, შვილისათვის საჭირო თანხის გადახდაზე. პალატამ ასევე მიუთითა, რომ ნებისმიერ დროს შესაძლებელია წარმოიშვას ბავშვის საჭიროებისათვის გაუთვალისწინებელი ხარჯი ან გაიზარდოს მისი ოდენობა. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელე უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს მოპასუხისათვის ამ ხარჯის დაკისრების მოთხოვნით, იმ შემთხვევაში თუ ეს უკანასკნელი თავს აარიდებს ამ ვალდებულების შესრულებას.

42. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხის მატერიალური მონაწილეობა საერთო შვილის აღზრდაში მისი ყოველთვიური შემოსავლის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს 550 ლარით ბავშვის სრულწლოვანებამდე, რამდენადაც ამავე ოდენობით მატერიალური სახსრების მოსარჩელის მიერ განვეის შემთხვევაში, დადგინდება გონივრული ბალანსი არასრულწლოვანის ინტერესებსა (რაც მეტნაკლებად უზრუნველყოფს ბავშვის საჭიროებებს) და მშობელთა სოციალურ თუ სხვა პასუხისმგებლობას შორის საზოგადოებაში.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

43. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე არასრულწლოვანის წარმომადგენელმა შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

44. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არასწორად მიიჩნია უდავოდ ის ფაქტი, რომ მამა მონაწილეობას იღებდა შვილის მატერიალურად უზრუნველყოფაში. ურთიერთსაწინააღმდეგოა გასაჩივრებული განჩინების მსჯელობა, რომ მამა უხდის შვილს სწავლის საფასურს – 550 ლარს და ამავდროულად, საქმის განხილვის პერიოდისათვის სწავლის ხარჯი შემცირდა, რადგან არასრულწლოვანი აღარ არის იმ სკოლის მოსწავლე, რომლის ხარჯსაც მამა იხდიდა.

45. მხარემ აღნიშნა, რომ მოცემული დავის საგანს წარმოადგენს ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა-დადგენა და არა მისი გაზრდა ან შემცირება.

46. კასატორმა იხელმძღვანელა სსკ-ის 1198-ე, 1202-ე, 1212-ე მუხლებით, „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის 27-ე მუხლით და მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად შეამცირა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ალიმენტის ოდენობა, რომელიც მატერიალურად ისედაც არ უზრუნველყოფდა არასრულწლოვანის საჭიროებებს.

47. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოიკვეთა ბავშვის შემდეგი საჭიროებები: სადაზღვევო შენატანი – 190 ლარი; 22/09/2021 – 45 ლარი; გერმანული ენის სახელმძღვანელოები – 100 ლარი; ტრანსპორტირების თანხა – 480 ლარი; პირადი ხარჯი – 145 ლარი; ტანვარჯიში და ქორეოგრაფია – 145 ლარი; მასწავლებლისათვის ჩარიცხული თანხა – 30 ლარი; მათემატიკა – 250 ლარი; პიროვნული ზრდის წრე – 160 ლარი; წიგნები – 247 ლარი; ტრანსპორტით მომსახურების თანხა – 100 ლარი; სტომატოლოგიური მომსახურება: 13.03.2022 – 845 ლარი, 15.04.2022 – 945 ლარი; 19.04.2022 – 70 ლარი. ამავდროულად, სააპელაციო პალატას არ გაუთვალისწინებია, რომ არასრულწლოვანს, ზემოაღნიშნული ხარჯის გარდა, კვების, ტანსაცმლის, პირადი ჰიგიენის, გასართობი და შემეცნებითი ღონისძიებები, რაც ასევე, მატერიალურ დანახარჯთანაა დაკავშირებული. მითითებულთან დაკავშირებით მოსარჩელემ წარუდგინა სასამართლოს ხარჯთაღრიცხვა, რომელიც მოიცავდა შემდეგს: სკოლისათვის საჭირო ყოველწლიური წიგნები – 300 ლარი; სხვადასხვა მხატვრული ლიტერატურა და საჭირო საკანცელარიო ინვენტარი – 960 ლარი; ბავშვის ყოველდღიური ხარჯი, როგორიცაა ბუფეტი, მობილური ტელეფონი და სხვა, თვეში – 120 ლარი; ინგლისური ენის კერძო გაკვეთილები – 3600 ლარი (თვეში – 327,27 ლარი); გერმანული ენის გაკვეთილები – 2500 ლარი (თვეში – 227,27

ლარი); მათემატიკის კერძო გაკვეთილები – 2500 ლარი (თვეში – 227,27 ლარი); ცეკვა – 1320 ლარი (თვეში – 120 ლარი); სათხილამურო სკოლა – 1200 ლარი ზამთრის სეზონზე; სათხილამურო ეკიპირება (სპეც-ქურთუკი, სპეც-კომბინიზონი, თხილამურები, დამცავი ინვენტარი) – 2500 ლარი ზამთრის სეზონზე; ზაფხულის დასვენების ხარჯი – 2000 ლარი; ზამთრის დასვენების ხარჯი – 2000 ლარი; კინო, თეატრი, აუზი, სწრაფი კვების ობიექტები, გასართობი ცენტრები – წლიურად 3000 ლარი (თვეში – 250 ლარი); მეგობრების დაბადების დღეების საჩუქრების ხარჯი – 1200 ლარი წლიურად; კვება – წელიწადში 9600 ლარი (თვეში – 800 ლარი); ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წლიური ღირებულება – 6000 ლარი (თვეში – 500 ლარი); ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ინვენტარი (სმარტფონი, ველოსიპედი; ლეპტოპი და სხვა) წლიურად საშუალოდ 3000 ლარი (თვეში – 250 ლარი); თავის მოვლისა და ჰიგიენის საშუალებები – წლიურად 800 ლარი (თვეში 150 ლარი); სილამაზის სალონი – წლიურად 2400 ლარი (თვეში – 200 ლარი); ტრანსპორტირება ტაქსით – წლიურად 3600 ლარი (თვეში – 300 ლარი).

48. კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ ვერ დაასაბუთა, კონკრეტულად რომელი ხარჯი არ მიიჩნია საჭიროდ არასრულწლოვანისთვის და რატომ უგულებელყო ის გარემოება, რომ დაკისრებული ალიმენტისა და მეორე მშობლის თანაბარი მონაწილეობის პირობებში მითითებული დანახარჯი ბევრად აღემატება 1100 ლარს. ასევე, საკმარისად დასაბუთებული არ არის, თუ რატომ გაიზიარა სააპელაციო პალატამ მხოლოდ მოპასუხის რჩენაზე მყოფი სხვა არასრულწლოვანის არსებობა, როდესაც მოსარჩელეს ასევე ეკისრება ახალ ქორწინებაში შექმნილი არასრულწლოვანი შვილების უზრუნველყოფა. იმ პირობებში, როდესაც არსებობს სახელმწიფო საბავშვო ბაღი და მოპასუხის სხვა შვილსაც, ჰყავს დედა, რომელსაც, მოსარჩელის მსგავსად, თანაბარწილად ეკისრება შვილზე ზრუნვა, მოპასუხის ვალდებულების არსებობა მეორე შვილზე არ წარმოადგენდა სადავო ალიმენტის მცირე ოდენობით განსაზღვრის საფუძველს. სადავო ალიმენტის ოდენობაზე გავლენა არ უნდა ჰქონოდა არც იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს მოპასუხეს აღარ ერიცხებოდა ორი უნივერსიტეტიდან შემოსავალი, რადგან მითითებული შეიძლება, განპირობებული ყოფილიყო ნაკლები ალიმენტის დაკისრების სურვილით.

49. კასატორი არ დაეთანხმა სააპელაციო პალატის პოზიციას, რომ ბინის კომუნალური ხარჯები არ უნდა შევიდეს ალიმენტის ოდენობაში, რადგან აღნიშნული ხარჯი ხმარდება არასრულწლოვანსაც. სააპელაციო პალატამ ასევე არასწორად არ გაიზიარა მოსარჩელის სხვა ხარჯი, კერძოდ, იმ საცხოვრებელი ბინის იპოთეკური სესხის ყოველთვიური გადასახადი 4 143,81 ლარი, არასრულწლოვანისა და მისი და-ძმის

რჩენის ხარჯი.

50. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2024 წლის 30 იანვრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით (საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას).

სამოტივაციო ნაწილი:

51. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

52. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგ – სსსკ-ი) 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამომწებებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო პალატის შეფასების საგანი იქნება კასატორის შედავებების საფუძვლიანობა, კერძოდ, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა ფაქტობრივ გარემოებებს და განსხვავებულად განმარტა სამართლის ნორმები, ხოლო გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

53. სსსკ-ის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული;

54. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, ედავებიან თუ არა ამ შეფასებას მხარეები. ეს იმას ნიშნავს, რომ

არც სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლო არაა შებოჭილი სააპელაციო თუ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევებით და ისინი ამონმებენ გადაწყვეტილებას მატერიალურსამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. თუ ასეთი შემონმების შედეგად სასამართლო იმ დასკვნას გამოიტანს, რომ საჩივრის მოთხოვნა გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ არა საჩივარში მითითებული, არამედ მატერიალურსამართლებრივი ნორმის (კანონის) სხვა დარღვევის გამო, სასამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში კი, თუ არასწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად, ანუ კანონის (სსსკ-ის 393.2 მუხლის) დარღვევით მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შესაძლებელია სხვაგვარი სამართლებრივი შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, თავისი განჩინებით ძალაში დატოვოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ან ამ გადაწყვეტილების შეცვლით მიიღოს ახალი გადაწყვეტილება (სსსკ-ის 386-ე მუხლი). ასეთივე შესაძლებლობითაა აღჭურვილი საკასაციო სასამართლოც, კერძოდ, მას შეუძლია, არ გააუქმოს გადაწყვეტილება და ძალაში დატოვოს იგი (სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) ან ახალი გადაწყვეტილებით დაადგინოს სხვა სამართლებრივი შედეგი (სსსკ-ის 411-ე მუხლი).

55. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სარჩელში დავის საგანს წარმოადგენს არასრულწლოვანი შვილის – 2009 წლის 22 იანვარს დაბადებული ა. ბ-იას სასარგებლოდ ალიმენტის, ყოველთვიურად 1865 ლარის გადახდა სარჩელის აღძვრის დღიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. აღნიშნული მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით და მოპასუხეს არასრულწლოვანი შვილის სარჩენად დაეკისრა ყოველთვიურად ალიმენტის – 550 ლარის გადახდა სარჩელის აღძვრიდან – 2020 წლის 11 აგვისტოდან, ხოლო 2022 წლის 10 ივნისიდან 850 ლარის ანაზღაურება, ბავშვის სრულწლოვანებამდე. მითითებული გადაწყვეტილება შეიცვალა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით და მისი სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდა იმგვარად, რომ მოპასუხეს არასრულწლოვანი შვილის სარჩენად დაეკისრა ყოველთვიურად ალიმენტის – 550 ლარის გადახდა სარჩელის აღძვრიდან მის სრულწლოვანებამდე.

56. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ის სამართლებრივი შედეგი, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურდა, კერძოდ, ალიმენტის დაკისრება არასრულწლოვანი შვილის – 2009 წლის 22 იანვარს დაბადებული ა. ბ-იას სასარგებლოდ, ყოველთვიურად 1865 ლარის ოდენობით სარჩე-

ლის აღძვრის დღიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე, სსკ-ის 1212-ე (მშობლები მოვალენი არიან, არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე, შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ), 1214-ე (თუ მშობლები ვერ შეთანხმდებიან ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას გადაწყვეტს სასამართლო. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლის, ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას), 1198.2 (მშობლებს აქვთ ბავშვის რჩენის ვალდებულება) და 1202-ე (მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განქორწინებული არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ) მუხლებიდან გამომდინარეობს.

57. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონმდებლობით დაწესებულია მშობლების მიერ შვილების რჩენის მოვალეობა, რაც ალიმენტის გადახდის მოვალეობასაც მოიცავს, მაგრამ კანონმდებელი არასრულწლოვნის სასარგებლოდ დასაკისრებელი ალიმენტის ზღვრულ ოდენობას არ ადგენს. შესაბამისად, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მოქმედებს დისკრეციის ფარგლებში და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებათა შეფასებით, უნდა დაადგინოს ალიმენტის გონივრული და სამართლიანი ოდენობა.

58. ამასთან, საქართველოს უზენაეს სასამართლოს არაერთ საქმეზე აქვს განმარტებული, რომ ალიმენტის დაკისრების საკითხის განხილვის დროს ამოსავალი წერტილია ბავშვის საუკეთესო ინტერესი – გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნებს. ამასთან, ალიმენტის ოდენობის დადგენისას უნდა შეფასდეს მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, სარჩენი ბავშვის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი საჭიროებანი, თითოეული მშობლის კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვი და სხვა ობიექტური გარემოებები. ალიმენტის დაკისრება არ უნდა ატარებდეს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს, ის უნდა იყოს ეფექტური და ქმედითი ღონისძიება, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს ბავშვის განვითარებისთვის საჭირო და აუცილებელი პირობების შექმნას. შვილების რჩენის ვალდებულება უპირობო ხასიათისაა და იმის გამო, რომ შრომისუუნარიან მშობელს არ გააჩნია სტაბილური მატერიალური შემოსავალი, იგი არ შეიძლება გათავისუფლდეს შვილის რჩენის ვალდებულებისაგან (იხ. სუსგ-ები: №ას-58-49-2011, 27 ივნისი, 2011წ; №ას-1141-1061-2017, 17 ოქტომბერი, 2017წ; №ას-ას-1301-2019, 13 მარტი, 2020 წ; №ას-878-2021, 27 ოქტომბერი, 2021წ.)

59. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო პალატის მიერ დადგენილად უნდა ჩაითვალოს შემდეგი გარემოებანი:

60. მხარეებს ჰყავთ საერთო, 2009 წლის 22 იანვარს დაბადებული არასრულწლოვანი შვილი. ბავშვი ცხოვრობს დედასთან. მოსარჩელემ შექმნა ახალი ოჯახი და ჰყავს კიდევ ორი არასრულწლოვანი შვილი.

61. არასრულწლოვანი 2019 წლიდან შეუერთდა ლ. დ-ძის სახელობის კლუბს „გ.რ-ს“, ასევე, 2019 წლიდან წარმატებით ასპარეზობს სხვადასხვა შიდა შეჯიბრებაზე და საერთაშორისო შეჯიბრებების მონაწილეობის კანდიდატია.

62. შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მონაცემების მიხედვით, (04.03.2022 წლის მდგომარეობით) მოპასუხის სახელზე 2020 წლის 10 აგვისტოდან გადაწყვეტილების გამოტანამდე ფიქსირდება შემოსავლის ჩარიცხვა (დაუბეგრავი): 2020 წლის ოქტომბერი სულ – 8735.51 ლარი, დამსაქმებლები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი; 2020 წლის ნოემბერი, სულ – 5500 ლარი, დამსაქმებლები: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი; 2020 წლის დეკემბერი, სულ – 9735.171 ლარი, დამსაქმებლები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი; 2021 წლის იანვარი, სულ – 6418.37 ლარი, დამსაქმებლები: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი; 2021 წლის თებერვალი, სულ – 7100 ლარი, დამსაქმებლები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი; 2021 წლის მარტი, სულ – 6446.67 ლარი, დამსაქმებლები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი; 2021 წლის აპრილი, სულ – 6366.67 ლარი, დამსაქმებლები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი; 2021 წლის მაისი, სულ – 6366.67 ლარი, დამსაქმებლები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი, 2021 წლის ივნისი, სულ – 6366.67 ლარი, დამსაქმებლები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი; 2021 წლის ივლისი, სულ – 6366.67 ლარი, დამსაქმებლები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი; 2021 წლის აგვისტო, სულ – 6366.67 ლარი, დამსაქმებლები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი; 2021 წლის სექტემბერი, სულ – 6100 ლარი, დამსაქმებლები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი; 2021 წლის ოქტომბერი, სულ – 5500 ლარი, დამსაქმებლები: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი; 2021 წლის ნოემბერი სულ – 6700 ლარი, დამსაქმებლები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი; 2021 წლის დეკემბერი, სულ – 7592.34 ლარი, დამსაქმებლები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი, შპს „ს.გ-ი“; 2022 წლის იანვარი, სულ – 6100 ლარი, დამსაქმებლები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თ.თ.უ-ი.

63. შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მონაცემების მიხედვით (23.03.2022 წლის მდგომარეობით), მოსარჩელის სახელზე 2020 წლის 10 აგვისტოდან დღემდე ფიქსირდება შემოსავლის ჩარიცხვა (დაუბეგრავი): 2020 წლის აგვისტო – 392.86 ლარი, დამსაქმებელი: შპს „პ. ჯ-ია“; 2020 წლის სექტემბერი, სულ – 1896.86 ლარი, დამსაქმებელი: შპს „პ. ჯ-ია“; 2020 წლის ოქტომბერი, სულ – 7571.43 ლარი, დამსაქმებელი: შპს „პ. ჯ-ია“; 2020 წლის ნოემბერი, სულ – 7571.43 ლარი, დამსაქმებელი: შპს „პ. ჯ-ია“; 2020 წლის დეკემბერი, სულ – 15635.46 ლარი, დამსაქმებელი: შპს „პ. ჯ-ია“; 2021 წლის იანვარი – 392.86 ლარი, დამსაქმებელი: შპს „პ. ჯ-ია“; 2021 წლის თებერვალი, სულ – 7571.43 ლარი, დამსაქმებელი: შპს „პ. ჯ-ია“; 2021 წლის მარტი, სულ - 7650.51 ლარი, დამსაქმებელი: შპს „პ. ჯ-ია“; 2021 წლის აპრილი, სულ – 7670.91 ლარი, დამსაქმებელი: შპს „პ. ჯ-ია“; 2021 წლის მაისი, სულ – 7571.43 ლარი, დამსაქმებელი: შპს „პ. ჯ-ია“; 2021 წლის ივნისი, სულ – 7638.01 ლარი, დამსაქმებელი: შპს „პ. ჯ-ია“; 2021 წლის ივლისი, სულ – 15142.13 ლარი, დამსაქმებლები: შპს „პ. ჯ-ია“, F.N.S.B.V-ის საქართველოს ფილიალი; 2021 წლის აგვისტო, სულ – 14 201.5 ლარი, დამსაქმებელი: F.N.S.B.V-ის საქართველოს ფილიალი; 2021 წლის სექტემბერი, სულ – 14 227.6 ლარი, დამსაქმებელი: F.N.S.B.V-ის საქართველოს ფილიალი; 2021 წლის ოქტომბერი, სულ – 14405.4 ლარი, დამსაქმებელი: F.N.S.B.V-ის საქართველოს ფილიალი; 2021 წლის ნოემბერი, სულ – 14 065.2 ლარი, დამსაქმებელი: F.N.S.B.V-ის საქართველოს ფილიალი; 2021 წლის დეკემბერი, სულ – 14288.85 ლარი, დამსაქმებელი: F.N.S.B.V-ის საქართველოს ფილიალი; 2022 წლის იანვარი, სულ – 14 590 ლარი, დამსაქმებელი: F.N.S.B.V-ის საქართველოს ფილიალი; 2022 წლის თებერვალი სულ – 15 069.2 ლარი, დამსაქმებელი: F.N.S.B.V-ის საქართველოს ფილიალი; მოპასუხეს შექმნილი აქვს ოჯახი და, არასრულწლოვანის გარდა, ჰყავს კიდევ ერთი არასრულწლოვანი, 2018 წლის

26 აპრილს დაბადებული შვილი.

64. არასრულწლოვანი დაზღვეულია და ყოველთვიური სადაზღვეო შესატანი შეადგენს 190 ლარს, რომელსაც იხდის მოსარჩელე მხარე.

65. მოსარჩელე ბავშვის სასარგებლოდ იხდის ტრანსპორტირებისა და სასწავლო წრეების ხარჯებს: 22/09/2021 – 44.5 ლარი, გერმანული ენის წიგნები; 16/12/2021 – 100 ლარი, ტრანსპორტირების თანხა; 08/07/2020 – 480 ლარი, ა. ბ-იას თანხა; 01/04/2022 – 145 ლარი, ტანვარჯიში და ქორეოგრაფია; 01/04/2022 – 30 ლარი, მასწავლებლისათვის ჩარიცხული თანხა; 18/04/2022 – 250 ლარი, მათემატიკა; 01/04/2022 – 160 ლარი, ა. ბ-ია – პიროვნული ზრდის; 07/09/2021 – 247 ლარი, წიგნების თანხა; არასრულწლოვანის სტომატოლოგიური მომსახურების ჯამური ღირებულება 15.03.2022წ. განსაზღვრულია – 845 ლარით, 15.04.2022წ. – 946 ლარით და 19.04.2022წ. – 70 ლარით.

66. მოსარჩელეს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ტრანსპორტით არასრულწლოვანის მომსახურების შესახებ, ხელშეკრულების თანახმად, ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 100 ლარს.

67. 01/03/2017 წლიდან 19/04/2022 წლამდე პერიოდში სს „ს. ბ-ში“ მოსარჩელის ანგარიშიდან ბავშვის ანგარიშზე სულ გადარიცხულია 2120.67 ლარი. 01/03/2017 წლიდან 19/04/2022 წლამდე პერიოდში სს „ს. ბ-ში“ მოსარჩელის ანგარიშიდან არასრულწლოვანის ნომერზე გადახდილია თანხა 368 ლარის ოდენობით.

68. მოსარჩელე 19/04/2022 წლის მდგომარეობით სს „ს. ბ-ში“ სარგებლობს იპოთეკური სესხით, ყოველთვიური გადასახადი – 3907.30 ლარი, 10/06/2022 წლიდან ყოველთვიური გადასახადი გრაფიკის მიხედვით – 4143.81 ლარი, მოქმედების ვადა: 10/08/2029წ.

69. მოსარჩელე არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ იხდის ტრანსპორტირებისა და სკოლის ხარჯებს. 2015 წლის 15 გაფორმებული ტრანსპორტით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების თანახმად, ყოველთვიური გადასახადი შეადგენდა 165 ლარს. მოპასუხის მხრიდან, 2015 წლის 28 თებერვალს ფიქსირდება არასრულწლოვანის ვარჯიშის საფასურის 50 ლარის გადახდა, ასევე, 2014 წლის 21 სექტემბერს ფიქსირდება სწავლის საფასურის 700 ლარის გადახდა, 2014 წლის 15 ნოემბერს – 350 ლარი, 2014 წლის 12 დეკემბერს – 350 ლარისა და 2015 წლის 25 იანვარს – 350 ლარის გადახდები.

70. მოპასუხის ანგარიშზე ფიქსირდება ბავშვის სწავლის საფასურის გადახდა 2020 წლის აპრილის თვიდან 2022 წლის აპრილის თვის ჩათვლით – პერიოდში სულ 11 000 ლარის ოდენობით.

71. არასრულწლოვანის სახელზე გახსნილია საბავშვო ანაბარი სს „პ. ბ-ში“, სადაც 2014 წლის 16 ოქტომბრიდან 2015 წლის ნოემბრამდე ფიქსირდებოდა თანხების შეტანა და საბოლოო ნაშთმა შეადგინა 11

822.43 ლარი. 2015 წლის 8 დეკემბრიდან 2016 წლის 26 დეკემბრამდე ფიქსირდებოდა თანხების შეტანა და საბოლოო ნაშთმა შეადგინა 14 229.99 ლარი.

72. სს „ბ. ბ-ში“, მოპასუხის ანგარიშზე 2022 წლის 20 აპრილის მდგომარეობით, შვილის ანაბარზე (ა-ს ანაბარი) ფიქსირდება 18 000 ლარი, 736.29 ევრო და 804 აშშ დოლარი, გახსნის თარიღია 12.03.2014 წელი.

73. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საალიმენტო ვალდებულება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ნაირსახეობაა და გულისხმობს ალიმენტის მიმღების უფლებასაც – მოითხოვოს ალიმენტის გადახდა. მშობლები ვალდებული არიან მატერიალურად დაეხმარონ არასრულწლოვან შვილებს (იხ. დამატებით: რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, თბილისი, 2009, გვ. 252; Corden A., Meyer D.R., *Child Support Policy Regimes in the United States, United Kingdom, and other Countries: Similar issues, Different approaches*, University of Wisconsin-Madison Institute for Research on Poverty, Focus, Volume 21, Number 1, 2000, Spring, 75.). ბავშვები განსაკუთრებით დაუცველები არიან მშობლების განქორწინების დროს. ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც მათ შესაძლოა დაეხმაროს ამ სტრესული სიტუაციის დაძლევაში, არის ოჯახური და იმავე სოციალური გარემოს შენარჩუნება. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო ხელმძღვანელობს პრინციპით – ბავშვს მაქსიმალურად შეუნარჩუნდეს ცხოვრების არსებული დონე, რომელიც მას მშობლების განქორწინებამდე ჰქონდა. სასამართლოს ამოცანაა, ბავშვის მატერიალური მდგომარეობა მშობლების განქორწინების გამო, რაც შეიძლება ნაკლებად გაუარესდეს (იხ. დამატებით: Kavacek-Stanic G., *Child in Single (Absent) Parent family: Maintenance and Family Home: Family Finances*, (Verschagen B (ed))., Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, P.637.; Stark B., *Internacional Family Law, an Introduction*, Ashgate Publishing Limited, Great Britain, Burlington, 2012, P.211.; Duncan W., *Note on the desirability of revising the Hague Conventions on Maintenance Obligations*, Hague Conference on Private International Law, January, 1999.

74. საკასაციო პალატა, სადავო საკითხის მართებულად შეფასებისთვის, მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს სამართლებრივ დანაწესებზე, კერძოდ, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-8 მუხლით დაცული ოჯახური ცხოვრების პატივისცემა გულისხმობს ოჯახის წევრებს შორის კონტაქტისა და ურთიერთობების დაცვას. სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია, ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც სუბიექტის უფლებების აღიარება და დაცვა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის უფლებასთან და საუკეთესო ინტერესთან და-

კავშირებული თითოეული საქმის განხილვისა და ინდივიდუალური შეფასებისას, რათა ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილებებში, იქ, სადაც საქმე ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მშობლისა და ბავშვის უფლებებს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის უფლებებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევა და მისი შესატყვისი გადანყვეტილების მიღება.

75. „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მონაწილე სახელმწიფოებიც აღიარებენ, რომ ბავშვებს აქვთ განსაკუთრებული ზრუნვისა და დამატარების უფლება. კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ, უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და ზრუნვით, როგორც საჭიროა მისი კეთილდღეობისათვის, ამასთან, ითვალისწინებენ მისი მშობლების, მეურვეების ან კანონით მისთვის პასუხისმგებელი სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს და ამ მიზნით მიმართავენ ყველა შესაბამის საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომას (იხ. ბავშვის უფლებების ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, ლაშა ლურსმანაშვილის თარგმანი, თბილისი, 2020, გვერდი 11.).

76. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, ბავშვის საუკეთესო ინტერესის ცნება არის სამგანზომილებიანი: (ა) მატერიალური უფლება: ბავშვის უფლება, მისი საუკეთესო ინტერესები შეფასდეს და დაეთმოს უპირველესი ყურადღება, როდესაც ხდება სხვადასხვა ინტერესის განხილვა კონკრეტულ საკითხზე გადანყვეტილების მისაღებად, და გარანტია, რომ ეს უფლება განხორციელდება ყოველთვის, როდესაც გადანყვეტილებაა მისაღები ბავშვთან დაკავშირებით. (ბ) ძირითადი, სამართლებრივი პრინციპი: თუ სამართლებრივი ნორმა იძლევა ერთზე მეტი განმარტების შესაძლებლობას, გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი განმარტება, რომელიც ყველაზე ეფექტიანად ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. კონვენციასა და მის ფაკულტატურ ოქმებში ასახული უფლებები ქმნიან ჩარჩოს განმარტებისათვის. (გ) საპროცესო ნორმა: როდესაც ხდება ისეთი გადანყვეტილების მიღება, რომელიც შეეხება კონკრეტულ ბავშვს, ბავშვთა დადგენილ თუ დაუდგენელ ჯგუფს ან ზოგადად ბავშვებს, გადანყვეტილების მიღების პროცესი

უნდა მოიცავდეს ამ გადაწყვეტილების შესაბამის ბავშვზე ან ბავშვებზე შესაძლო ზეგავლენის (დადებითი თუ უარყოფითი) შეფასებას. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა მოითხოვს საპროცესო გარანტიებს. ამასთან, გადაწყვეტილების დასაბუთებაში უნდა ჩანდეს, რომ ეს უფლება ცალსახად იქნა გათვალისწინებული. ამ თვალსაზრისით, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განმარტონ, თუ როგორ იქნა გათვალისწინებული ეს უფლება გადაწყვეტილებაში, ე.ი. რა იქნა მიჩნეული ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებად, რა კრიტერიუმებს დაეფუძნა იგი და როგორ შეფასდა ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები სხვა მოსაზრებებთან შედარებით, იქნება ეს პოლიტიკის ზოგადი საკითხები თუ ცალკეული შემთხვევები. „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ 31-ე მუხლის თანახმად, ბავშვის მოთხოვნები მოიცავს ფართო დიაპაზონს, ესენია: განათლების, კულტურული და სოციალური მოთხოვნები.

77. „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ 27.2. მუხლი განსაზღვრავს, რომ მშობელს (მშობლებს) ან ბავშვის აღმზრდელ სხვა პირებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ თავიანთი შესაძლებლობებისა და ფინანსური საშუალებების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები (მდრ. სუსგ №ას-1141-1061-2017, 10 ოქტომბერი, 2017 წ.; №ას-1347-2022, 08 ივნისი, 2023 წ.).

78. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მშობლების ბავშვთან ურთიერთობასთან დაკავშირებულ დავებზე არაერთხელ აღნიშნა, რომ ბავშვის ინტერესები არის განსაკუთრებული მნიშვნელობის (*Krasicki v. Poland*, no. 17254/11, § 83, 15 April 2014). ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს უპირველესი საზრუნავი (*Gnahore v. France*, n. 40031/98, § 59, ECHR 2000-IX) და შესაძლებელია, თავისი შინაარსიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, გადაწონოს მშობლების ინტერესი (*Sahin v. Germany* [GC], no. 30943/96, § 66, ECHR 2003-VIII). სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია, ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც სუბიექტის უფლებების აღიარება და დაცვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ალიმენტის დაკისრებისას სასამართლომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების, მშობლის ფინანსური მდგომარეობისა და მისი სხვა საჭიროებების გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს ალიმენტის ოდენობა. (მდრ. სუსგ-ები: №ას-767-2021, 18 ნოემბერი, 2021 წ., პ.24-26; №ას-1284-2020, 25 ნოემბერი, 2022 წ., პ. 16.; №ას-1355-2019, 25 თებერვალი, 2020 წ., პ.28.).

79. მშობლის პასუხისმგებლობის შესახებ ევრო საბჭოს წევრი სახელმწიფოების მინისტრთა კომიტეტის R (84) 4 რეკომენდაციის პირველი პრინციპის თანახმად, მშობლის პასუხისმგებლობა არის ვალდებულებებისა და უფლებამოსილებების ერთობლიობა, რომელიც მოწო-

დებულია უზრუნველყოს ბავშვის მორალური და მატერიალური კეთილდღეობა, კერძოდ, ბავშვის მოვლა, ბავშვთან პირადი ურთიერთობების შენარჩუნება, და მისი უზრუნველყოფა განათლებით, რჩენისათვის საჭირო სახსრებით, ოფიციალური წარმომადგენლობით და მისი ქონების ადმინისტრირებით. ამავე რეკომენდაციის მე-2 პრინციპის თანახმად, უფლებამოსილი ორგანოს ნებისმიერი გადაწყვეტილება მშობლის პასუხისმგებლობის განსაზღვრასთან ან ამ პასუხისმგებლობის განხორციელების გზებთან დაკავშირებით, უპირველესად უნდა ეფუძნებოდეს ბავშვის ინტერესებს.

80. „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციით აღიარებული ბავშვის უფლებების სრულფასოვნად რეალიზაციისათვის, 2020 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოში ამოქმედდა „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, რომლის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ბავშვს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა მიენიჭოს მის საუკეთესო ინტერესებს, რომლებიც ბავშვისთვის ინდივიდუალურად, ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად განისაზღვრება. (იხ. სოფო კილაძე, პაატა ტურავა, ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარი, თბილისი, 2021, გვერდი 65.).

81. ალიმენტის გადახდის დაკისრების კონტექსტში საკასაციო პალატა მიუბრუნდება არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების კვლევის საკითხს და აღნიშნავს, რომ მშობლები ვალდებული არიან, არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები. აღნიშნული ვალდებულება ეკისრება როგორც დედას, ისე – მამას, მიუხედავად იმისა, ისინი დაქორწინებული არიან თუ არა. მშობლები ვალდებული არიან, არჩინონ თავიანთი შვილები სრულწლოვანებამდე. ალიმენტის გადახდენება მიზნად ისახავს ბავშვის ინტერესების დაცვას, მისთვის არა მარტო არსებობისათვის აუცილებელი მინიმუმის უზრუნველყოფას, არამედ, თუ ეს შესაძლებელია, ცხოვრების იმ დონის შენარჩუნებასაც, რომელიც ექნებოდა მშობლების ნორმალური ურთიერთობის პირობებში (მდრ: სუსგ-ები: №ას-733-733-2018, 11 ივლისი, 2018 წ., პ. 128; №ას-541-509-2012, 30 აპრილი, 2021 წ.; №ას-1122-1069-2013, 10 თებერვალი, 2014 წ.; №ას-204-191-2014, 20 ოქტომბერი, 2014 წ.; №ას-495-469-2015, 01 ივლისი, 2015 წ.; №ას-1173-1128-2016, 30 ივნისი, 2017 წ.; №ას-861-2019, 03 დეკემბერი, 2019 წ.; №ას-148-2020, 20 მაისი, 2020 წ.). სსკ-ის 1214-ე მუხლი ითვალისწინებს ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის ძირითად პირობებს, კერძოდ, ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე, შვი-

ლის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. სასამართლოს მიერ ალიმენტის დაკისრება არ უნდა იყოს ფორმალური და ალიმენტი რეალურად უნდა უზრუნველყოფდეს სარჩენი პირისათვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნას, ანუ ალიმენტის ოდენობა, რასაც სასამართლო განსაზღვრავს, არ შეიძლება იყოს იმმინიმალურ ოდენობაზე ნაკლები, რაც აუცილებელია პირის სარჩენად. (შდრ: სუსგ-ები: №ას-358-2023, 27 ივნისი, 2023 წ. პ.16; №ას-767-2021, 18 ნოემბერი, 2021 წ.; №ას-1355-2019, 25 თებერვალი, 2020 წ.; №ას-463-463-2018, 14 იანვარი, 2020 წ.; №ას-495-469-2015, 01 ივლისი, 2015 წ.; №ას-1610-1511-2012, 04 თებერვალი, 2013 წ.).

82. სსკ-ის 1214-ე მუხლის ფარგლებში სასამართლომ, ერთი მხრივ, უნდა დაადგინოს ბავშვის ის მატერიალური აუცილებლობანი, რომლებიც მისი რჩენა-აღზრდის საკითხს მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფენ, ხოლო, მეორე მხრივ, გადაწყვეტილება უნდა იყოს აღსრულებადი, კერძოდ, ალიმენტვალდებულმა პირმა რეალურად უნდა შეძლოს დაკისრებული თანხის გადახდა, რამდენადაც უნდა დადგინდეს გონივრული ბალანსი არასრულწლოვანთა ინტერესებსა (რაც მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს ბავშვების საჭიროებებს) და მშობელთა სოციალურ თუ სხვა პასუხისმგებლობას შორის საზოგადოებაში“ (იხ. სუსგ-ები: №ას-319-319-2018, 15 მაისი, 2018 წ.; №ას-619-619-2018, 12 სექტემბერი, 2018 წ.; №ას-829-2019, 11 ივლისი, 2019 წ.).

83. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ალიმენტის დაკისრების საკითხის განხილვის დროს ამოსავალი წერტილია ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვის უზრუნველყოფა და ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნებს, აგრეთვე, მშობლებისა და შვილების რეალურ მატერიალურ მდგომარეობას. ალიმენტის დაკისრებას არ უნდა ჰქონდეს მხოლოდ ფორმალური ხასიათი, ის უნდა იყოს ეფექტური და ქმედითი ღონისძიება, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს ბავშვის განვითარებისთვის საჭირო და აუცილებელი პირობების შექმნას. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას უპირატესია ბავშვის უფლება, მიიღოს ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელი მატერიალური სახსრები. ალიმენტის გადახდევინება მიზნად ისახავს ბავშვის ინტერესების დაცვას, მისთვის ძირითადი საარსებო პირობების შექმნას და თუ ეს შესაძლებელია, ცხოვრების იმ დონის შენარჩუნებასაც, რომელიც მას ექნებოდა მშობლების ნორმალური ურთიერთობის პირობებში. ალიმენტის ოდენობა განისაზღვრება გონივრული და სამართლიანი შეფასების საფუძველზე. იმის გამო, რომ შრომისუნარიან მშობელს არ გააჩნია სტაბილური მატერიალური შემოსავალი, იგი არ შეიძლება გათავისუფლდეს შვილის რჩენის ვალდებულები-

საგან. სასამართლოს მიერ ალიმენტის დაკისრება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს და ალიმენტი რეალურად უნდა უზრუნველყოფდეს სარჩენი პირისათვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნას (იხ. სუსგ №ას-341-2022, 14 ივნისი, 2022წ.; №ას-1141-1061-2017, 17 ოქტომბერი, 2017 წ.). ალიმენტის ოდენობა განისაზღვრება ალიმენტის მიმღები პირის აუცილებლობისა და ალიმენტგაღებული პირის შესაძლებლობის გათვალისწინებით, რაც იმას ნიშნავს, რომ სარჩო, რომლის მიღების უფლებაც არასრულწლოვანს მშობლისგან აქვს, უნდა წარმოადგენდეს სარჩენი პირის მოთხოვნილებათა მინიმალური დაკმაყოფილების საფუძველს მაინც. ამდენად, კანონმდებელი არასრულწლოვანის რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელი ხარჯების ზღვრულ ოდენობას არ ითვალისწინებს და შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ალიმენტის მოცულობა დაადგინოს გონივრული და სამართლიანი ოდენობით, ისეთი გარემოებების ობიექტურად და სამართლიანად შეფასების შედეგად, როგორიცაა მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, სარჩენი ბავშვის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი საჭიროებანი, თითოეული მშობლის კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვი და სხვა (იხ. სუსგ-ები: №ას-58-49-2011, 27 ივნისი, 2011 წ.; №ას-1610-1511-2012, 04 თებერვალი, 2013 წ.; №ას-1128-1075-2013, 10 თებერვალი 2014 წ.; №ას-675-641-2013, 10 თებერვალი, 2015 წ.; №ას-298-283-2016, 26 სექტემბერი 2016 წ.; №ას-1194-1154-2016, 31 მარტი, 2017 წ.; №ას-319-319-2018, 15 მაისი, 2018 წ.; №ას-332-2019, 02 აგვისტო, 2019 წ.; №ას-463-463-2018, 14 იანვარი, 2020 წ.; №ას-148-2020, 20 მაისი, 2020 წ.; №ას-46-2023, 29 მარტი, 2023 წ., №ას-1347-2022, 08 ივნისი, 2023 წ.).

84. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის საკითხის განხილვისას, უპირატესად უნდა განისაზღვროს ალიმენტის გონივრული ოდენობა, რა დროსაც სასამართლო ხელმძღვანელობს სსკ-ის 1212-ე მუხლით, რომელიც ადგენს არასრულწლოვანი შვილების რჩენის მოვალეობას, იმავე კოდექსის 1198-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლითაც დადგენილია მშობლების ვალდებულება შვილების აღზრდის, ზრუნვის, ფიზიკური, სულიერი თუ გონებრივი განვითარების ასპექტში და 1214-ე მუხლით, რომელიც შვილებზე ზრუნვის საკითხში მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ითვალისწინებს დავის სასამართლო წესით გადაწყვეტას, თუმცა ამოსავალ პრინციპს მაინც ბავშვის ჰარმონიული აღზრდა-განვითარება და მისთვის ოჯახური გარემოს შექმნა წარმოადგენს და ამ კუთხით მისაღები ნებისმიერი გადაწყვეტილებისას უპირატესობა არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს ენიჭება. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეებს

აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია (იხ. სუსგ-ები: №ას-50-2121, 05 მარტი, 2021 წ.; №ას-177-2019, 23 მაისი, 2019 წელი; №ას-284-2019, 27 ივნისი, 2019 წელი). №ას-621-2019, 11 ივლისი, 2019 წელი).

85. საკასაციო პალატამ არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზეა დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

86. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს მოთხოვნის საფუძვლად მითითებულ გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის სწორი განაწილება მოდავე მხარეებს შორის. სსსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, მტკიცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე.

87. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რო-

მელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს.

88. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო პროცესში დადგენილი უნდა იქნეს სამი სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და შედეგების მიხედვით ისეთი ფაქტები, როგორიცაა: 1) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ პროცესუალურ სამართლებრივი შედეგი (სარჩელის მიღება წარმოებაში, ან ასეთ მიღებაზე უარის თქმა); 2) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მატერიალურ სამართლებრივი შედეგი, ანუ მთავარი საძიებელი ფაქტები (სარჩელის დაკმაყოფილება, ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა); 3) მტკიცებულებითი ფაქტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება მთავარი, ანუ გადანყვეტილებით თავის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცება – დადასტურება.

89. შესაბამისად, სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანი მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები თავიანთი მოთხოვნების (შესაგებლის) დასაბუთება-გამართლების მიზნით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება მტკიცების საგნის განსაზღვრის კრიტერიუმის შესახებ შემდეგი დასკვნის გაკეთება: მტკიცების საგანში შედიან მხარეთა მიერ მითითებული ფაქტები, რომლებიც სასამართლოს შეხედულებით სამართლებრივად ასაბუთებენ (ამართლებენ) მათ მოთხოვნებს და შესაგებელს. კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და მატერიალურ სამართლებრივი ნორმა.

90. „სამართლებრივი დავისას სამოქალაქო საქმის განმხილველ მოსამართლეს ორი ამოცანა აქვს დასაძლევ: პირველ რიგში, მან უნდა გამოარკვიოს, თუ რა მოხდა სინამდვილეში. მეორე რიგში კი, მოსამართლემ სამართლებრივად უნდა შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები და დაადგინოს, არსებობს თუ არა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. მოსარჩელემ სასამართლოს უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, მაშინ სარჩელი უკვე ამ საფუძველზევე არ უნდა დაკმაყოფილდეს. ასეთ შემთხვევაში

მოსამართლეს არა აქვს უფლება, საკუთარი ინიციატივით მოიძიოს სასარჩელო მოთხოვნის დამადასტურებელი გარემოებები და შეაგროვოს მტკიცებულებები. თუ მოსარჩელის მიერ სასარჩელოში მითითებულია ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ადასტურებენ მოთხოვნის არსებობას, მაშინ უკვე მოპასუხეზე დამოკიდებული, ამ გარემოებების არსებობის უარყოფა“ (იხ. თომას ჰერმანი, მტკიცებულებითი სამართალი, GIZ, თბილისი, 2016, გვ.3-4). „მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს“ (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ, ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების მეთოდთა, თბ., 2004, გვ.64). შეუძლია თუ არა სასამართლოს თავისი ინიციატივით შეიტანოს მტკიცების საგანში და საფუძველად დაუდოს გადანყვეტილებას ფაქტები, რომლებზეც მხარეები არ მიუთითებენ? იურიდიულ დოქტრინაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, სასამართლოს ეს არ შეუძლია (იხ. დამატებით: თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 87; ჰ. ბოელინგი, ლ, ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების მეთოდთა, თბ., 2004, გვ.64).

91. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე (შდრ: შმიტი შ., რიჰტერი ჰ., მოსამართლის მიერ გადანყვეტილების მიღების გადანყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში გვ.27).

92. საქართველოს სამოქალაქო სამართალსა და საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტის თანახმად, მტკიცების ტვირთი განაწილებული უნდა იქნეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს უნდა დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ტვირთი, რომელთა მტკიცება მათთვის უფრო მარტივი და ობიექტურად შესაძლებელია. ამტკიცებს ის, ვინც ამტკიცებს და არა ის, ვინც უარყოფს.

93. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა ნამდვილი შეჯიბრება რეალურად შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ იყვნენ ამ შეჯიბრებაში მონაწილე მხარეები თანასწორნი. მხარეთა პროცესუალური თანასწორობის განმსაზღვრელი ძირითადი ნიშნები და მიმართულებანი ჩამოყალიბებულია სსსკ-ის 4.1 მუხლში, რომლის თანახმად მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეთა პროცესუალური თანასწორობის პრინციპითაა გამსჭვალული საპროცესო კანონმდებლობის თითქმის ყოველი ნორმა, დაწყებული საქმის მომზადების სტადიით და დამთავრებული გადაწყვეტილების გამოტანით და მისი გასაჩივრებით.

94. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ისეთ ეფექტურ საშუალებას, როგორიცაა შესაგებელი. შესაგებელი, როგორც მოპასუხის საპროცესო თავდაცვის საშუალება მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მასში ვლინდება წერილობითი შეჯიბრებითობის პრინციპი. იგი ასევე, ერთგვარი გამოხატულებაა დისპოზიციურობის (სსსკ-ის მე-3 მუხლი) პრინციპისა, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა საპროცესო უფლებების ავტონომიურად განკარგვის შესაძლებლობას. საპროცესო ავტონომიის ფარგლებში მოპასუხის გადასაწყვეტია ცნობს თუ არა სარჩელს, დაასრულებს თუ არა საქმეს მორიგებით, ან რა სახის საპროცესო თავდაცვის საშუალებას გამოიყენებს, რაც გარკვეულწილად დავაში შესვლას და სარჩელში მითითებულ გარემოებებზე პასუხის გაცემას გულისხმობს. შესაბამისად, სარჩელის წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად კვალიფიციურად დაიცავს თავს მოპასუხე სარჩელისაგან. აქედან გამომდინარე, დავის გადაწყვეტაში სარჩელთან ერთად შესაგებლის, როგორც საპროცესო ინსტიტუტის როლი, უაღრესად მნიშვნელოვანია.

95. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შესაგებლის ზოგადი კლასიფიკაცია შემდეგია: მატერიალური და საპროცესო შესაგებელი; აბსტრაქტული (ზოგადი) და კონკრეტული შესაგებელი; მარტივი და კვალიფიციური (არსებითი) შესაგებელი. რა ტიპის შესაგებელს წარადგენს მოპასუხე, სრულად თავსდება ამ უკანასკნელის ნების ავტონომიის ფარგლებში. კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება გამომდინარეობს სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან (ივარაუდება, რომ შედავებული უნდა იყოს დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ფაქტები და არა სამართლებრივი მოსაზრებები, ე.ი. ისეთი ფაქტები, რომელთა არსებობა წარმოშობენ მოთხოვნას), წინააღმდეგ შემ-

თხვევაში მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები, დამტკიცებულად ითვლება. მოსამართლემ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს პირველ რიგში საპროცესო შესაგებელს, ხოლო ამის შემდეგ მატერიალურ შესაგებელს. მატერიალური შედაგება მიმართულია სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგის მიღწევის წინააღმდეგ, რაც გულისხმობს მოპასუხის მხრიდან ისეთ ფაქტებზე (წინაპირობებზე) მითითებას, რომლებიც გამორიცხავენ, წყვეტენ ან აფერხებენ (განუხორციელებელს ხდიან) სარჩელით მოთხოვნილი შედეგის დადგომას.

96. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შესაგებლის სახეებიდან განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია კვალიფიციურ შედაგებას. კვალიფიციური შედაგება იურიდიულ დოქტრინაში განმარტებულია შემდეგნაირად: „მოპასუხე მოსარჩელის მოხსენების ნაცვლად წარმოადგენს მოვლენათა განვითარების მისეულ, განსხვავებულ ვერსიას, რომელიც ცალკეულ საკითხებში სადავოს ხდის მოსარჩელის მოხსენებას“ (შდრ. მოსამართლის მიერ გადანეყვითლების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, შ.შმიტი, ჰ.რიჰტერი, (GIZ), 2013წ., გვ.19.). კვალიფიციურ შედაგებას არსებით შედაგებადაც მოიხსენიებენ. ამგვარი შედაგება, ერთი მხრივ, შეიძლება გამორიცხავდეს სარჩელის დაკმაყოფილებას უსაფუძვლობის გამო, ხოლო მეორე მხრივ, ცვლიდეს მოსარჩელის მიერ შემოთავაზებული სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაციას, საიდანაც მოსარჩელეს დამატებითი მოხსენების (ფაქტების მითითების) გარეშე გაუჭირდება იმ შედეგის მიღწევა, რომელიც სარჩელით აქვს მოთხოვნილი. კვალიფიციური (არსებითი) შედაგება მოსამართლეს ავალდებულებს მოიძიოს მოთხოვნის სხვა დამფუძნებელი ნორმა, ასევე შეამოწმოს საგამონაკლისო ნორმები.

97. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მას შემდეგ, რაც მოსამართლე მოიძიებს მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას, განსაზღვრავს ნორმის ფაქტობრივ ელემენტებს (წინაპირობებს), ამ წინაპირობებს მიუსადაგებს მოსარჩელის მიერ მოხსენებულ ფაქტებს და თითოეულ წინაპირობაზე გაცემის დადებით პასუხს, იგი ამოწმებს რომელ ფაქტებს ხდის მოპასუხე სადავოდ (მოპასუხის სტადია). თუ მოპასუხეს არ აქვს წარდგენილი კვალიფიციური (არსებითი) შედაგება, არამედ მხოლოდ სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების უარყოფით შემოიფარგლება, მოსამართლე გადადის მტკიცების სტადიაზე, რაც ნიშნავს სადავოდ გამხდარი ფაქტების დადგენის პროცესს. მოპასუხის მხრიდან არსებითი ხასიათის შედაგების შემთხვევაში, მოსამართლემ ასევე უნდა მოიძიოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც გამორიცხავს, წყვეტს ან აფერხებს მოთხოვნის განხორციელებას, ხოლო ნორმის წინაპირობების შემოწმება იმავე წესით ხორციელდება. აქაც მნიშვნელოვანია რას პასუხობს მოსარჩელე მოპასუხის არსებით შედაგებას, არ არის გამო-

რიცხული მოსარჩელემაც კვალიფიციური პასუხი გასცეს მოპასუხის ამგვარ განმარტებას. ამდენად, მოსამართლე ასე უნყვეტად გადადის მოსარჩელის სტადიიდან მოპასუხის სტადიაზე და პირიქით, ვიდრე არ დასრულდება მხარეთა განმარტებების ურთიერთგაცვლის პროცესი, რომლის შედეგადაც უნდა გაირკვეს უდავო და სადავო (მტკიცების საგანში შემავალი) ფაქტები.

98. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის მიერ მითითებულ (არსებით) გარემოებებზე შედავებას საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთების გარეშე, მაშინ ამ გარემოებებთან დაკავშირებით გადანყვეტილება უკვე მტკიცების სტადიაზე მიიღება იმისდა მიხედვით, (მტკიცების ტვირთის განაწილების გათვალისწინებით) დამტკიცდება თუ არა ეს სადავო გარემოებები; თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის არსებითი გარემოებების შედავებას და ასევე, საპირისპირო ნორმის წინაპირობების საკმარისად დასაბუთებას, მაშინ მტკიცების სტადიაზე უნდა გაირკვეს, მტკიცდება თუ არა სადავო გარემოებები (მტკიცების ტვირთის გადანაწილების შესაბამისად). შემდეგ ეტაპზე, უნდა შემოწმდეს, ახერხებს თუ არა მოსარჩელე თავისი მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების იმგვარ დასაბუთებას, რომელიც, ასევე, აქარწყლებს მოპასუხის მიერ დასაბუთებულ საპირისპირო მითითებებს (ნორმებს).

99. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ალიმენტის ძირითადი დანიშნულებაა ბავშვის ნორმალური აღზრდის მატერიალური უზრუნველყოფა. აღნიშნულ საკანონმდებლო მოწესრიგებას საფუძვლად უდევს კონკრეტული სოციალური პროცესების მართვის სამართლებრივ-პოლიტიკური მოდელი ანუ, როდესაც კანონმდებელი განსაზღვრულ ქცევას სავალდებულოდ ადგენს, ამით მას სურს განსაზღვრული მიზნების მიღწევა. ასეთ შემთხვევაში, კანონმდებელს მინიჭებული აქვს უფლება მოსილებები ერთი მხრივ, დასახული მიზნის მიღწევასთან, ხოლო მეორე მხრივ, ამ მიზნის მისაღწევად გამოსაყენებელი სამართლებრივი საშუალებების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. კანონის ინტერპრეტაცია უნდა ემსახუროდეს ამ კანონის მიზანს. კანონის ცალკეული დებულებები გააზრებული უნდა იქნეს სხვადასხვა დებულებათა ურთიერთდამოკიდებულებაში. კანონის ინტერპრეტაცია მთლიანობაში წარმოადგენს არგუმენტების შერჩევისა და გადანყვეტილებების მიღების პროცესს, რომელიც ხშირად სხვადასხვა, ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფ მიზნებზე არის ორიენტირებული. სამართლებრივი გადანყვეტილებები დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციებზე, რადგან განსხვავებულ, თუნდაც ტიპიურ სიტუაციებში, მიზნები და მათთან დაკავშირებული ინტერესები სხვადასხვა მოცულობითა და კონსტელაციაში გარკვეულ როლს თამაშობენ.

100. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ყურადღებას გამახვილებს, რომ 2009 წლის 22 იანვარს დაბადებული არასრულწლოვანი ცხოვრობს დედასთან. მოსარჩელემ შექმნა ახალი ოჯახი და ჰყავს კიდევ ორი არასრულწლოვანი შვილი. ამრიგად, უდავოა, რომ მოპასუხეს, რომელთანაც არ ცხოვრობს 2009 წლის 22 იანვარს დაბადებული არასრულწლოვანი შვილი, უნდა დაეკისროს მის აღზრდაში მონაწილეობისთვის ალიმენტის გადახდა.

101. რაც შეეხება დასაკისრებელი ალიმენტის ოდენობას, რასაც სადავოდ ხდის კასატორი (მოსარჩელე), გასათვალისწინებელია, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, არასრულწლოვნის საჭიროებები, მშობლების შემოსავლები. საყურადღებოა ასევე მოპასუხის განმარტება, რომ შექმნა ახალი ოჯახი და ჰყავს ერთი არასრულწლოვანი შვილი – 2018 წლის 26 აპრილს დაბადებული ე. ბ-ია, რომელსაც, ასევე, ესაჭიროება მისი მხრიდან დახმარება.

102. საკასაციო პალატა მიუთითებს მოპასუხის შესაგებელში, ასევე სააპელაციო საჩივარში მითითებულ მოპასუხის განმარტებაზე, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა არ არის გონივრული და რეალური. მოპასუხე შვილს უზრუნველყოფს მისი დავალდებულების გარეშე, თუმცა მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ბავშვის საჭიროებებთან დაკავშირებით სადავოა, მისი შვილის (მისთვის ცნობილი) ყველა საჭიროება დაკმაყოფილებულია.

103. ზემოაღნიშნულის საწინააღმდეგოდ, კასატორი მიუთითებს (იხ., ამ განჩინების პ.48), რომ დაკისრებული ალიმენტისა და მეორე მშობლის თანაბარი მონაწილეობის პირობებში, მითითებული დანახარჯი ბევრად აღემატება 1100 ლარს.

104. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, მოსარჩელემ/კასატორმა სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედი სადავო გარემოებების მტკიცების სტანდარტის დაცვით, უზრუნველყო მისი მტკიცების საგანში შემავალი გარემოების ნაწილობრივ დადასტურება, შესაბამისად, კასატორის მიერ წარმოდგენილია ნაწილობრივ დასაშვები (დასაბუთებული) საკასაციო პრეტენზია.

105. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, გადანყვეტილება ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, რაც მისი გაუქმების საფუძველია, თუ გადანყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, ხოლო სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების ნაწილობრივი გაუქმებით მიღებული უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ, კერძოდ, არასრულწლოვანის ინტერესების გათვალისწინებით, მოპასუხისათვის დაკისრებული ალიმენტის ოდენობა უნდა განისაზღვროს ყოველთვიურად 700 ლარის ოდენობით სარჩელის აღძვრის დღიდან (11.08.2020 წ.) ბავშვის სრულწლოვანებამდე.

106. ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ სსკ-ის 1221-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იმ მშობლების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის შეცვლის შემთხვევაში, რომლებიც ალიმენტს იხდიან მტკიცე თანხის სახით, სასამართლოს უფლება აქვს, დაინტერესებული პირის მოთხოვნით, შეამციროს ან გაადიდოს ალიმენტის ოდენობა. კანონის მოხმობილი ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრული ალიმენტის ოდენობა მუდმივი არ არის. კანონმდებელი დასაშვებად მიიჩნევს სასამართლო გადაწყვეტილებით ალიმენტის ოდენობის შემცირებას ან პირიქით, მის გაზრდას, ხოლო ამის საფუძველად განიხილავს – ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის ან ალიმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის შეცვლას. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის შეცვლაში იგულისხმება ალიმენტის დაკისრების შემდეგ ისეთი ახალი გარემოებების წარმოშობა, რომლებიც აშკარა გავლენას ახდენს ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის მატერიალურ და ოჯახურ მდგომარეობაზე, მაგალითად, შემოსავლების შემცირება/გაზრდა, ჯანმრთელობის გაუარესება, კმაყოფაზე მყოფი პირების რაოდენობის გაზრდა და სხვა (იხ. სუსგ-ები: №ას-303-290-2015, 13 მაისი, 2015წ.; №ას-284-2019, 27 ივნისი, 2019წ.). მითითებული საკანონმდებლო დანაწესი გამომდინარეობს თავად ალიმენტის მიზნიდან. კანონი ადგენს მშობლის ვალდებულებას, იზრუნოს თავის შვილზე, რაც გულისხმობს მისი მატერიალურად უზრუნველყოფის მოვალეობას. არასრულწლოვნის რჩენისათვის აუცილებელი მინიმალური ოდენობის დადგენისას გაითვალისწინება მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, თითოეული მშობლის კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვი, სარჩენი ბავშვის ასაკი, მისი საჭიროებები, ალი-

მენტის გადამხდელი მშობლის სხვა შვილის (შვილების) არსებობა. შესაბამისად, იმ მშობლის ფინანსური თუ ოჯახური მდგომარეობის შეცვლამ, რომელიც ალიმენტის იხდის, შესაძლოა, განაპირობოს სასამართლოს მიერ ალიმენტის ოდენობაში ცვლილების შეტანა (იხ. სუსგ-ები: №50-2021, 05 მარტი, 2021 წ.; №ას-617-585-2014, 30 დეკემბერი, 2014 წელი).

107. სსსკ-ის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან გათავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია.

108. მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ მოსარჩელე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია სსსკ-ის 46.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

109. სარჩელი დაკმაყოფილდა ალიმენტის სახით ყოველთვიურად 700 ლარის დაკისრების ნაწილში, ხოლო სსსკ-ის 41.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დავის საგნის ღირებულებაა (700*12) 8400 ლარი.

110. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

111. შესაბამისად, კასატორის მოწინააღმდეგე მხარეს (მოპასუხე) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის გადახდა 420 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მესამე ნაწილით, 411-ე მუხლით და,

გ ა დ ა ნ ე შ ი ტ ა :

1. ა. ბ-იას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებით მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ა. ბ-იას სარჩელი გ. ბ-იას მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. გ. ბ-იას 2009 წლის 22 იანვარს დაბადებული ა. ბ-იას სასარგებლოდ დაეკისროს ყოველთვიურად ალიმენტის გადახდა 700 ლარის ოდენობით 2020 წლის 11 აგვისტოდან (სარჩელის აღძვრიდან) ბავშვის სრულ-

წლოვანებამდე;

5. გ. ბ-იას სახელმწიფო ბიუჯეტის (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის 420 ლარის გადახდა;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ალიმენტის ოდენობის გაზრდა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-50-2021

5 მარტი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი**

დავის საგანი: ალიმენტის ოდენობის გაზრდა

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2005 წლის 15 ნოემბერს დაბადებული თ. ა-ი (შემდგომში – „არასრულწლოვანი“, ბავშვი“ ან „შვილი“) არის მ. ც-ძისა (შემდგომში – „მოსარჩელე“, „დედა“ ან „კასატორი“) და გ. ა-ის (შემდგომში – „მოპასუხე“, „მამა“ ან „აპელანტი“) შვილი.

2. მხარეები ცხოვრობენ ცალ-ცალკე, ხოლო არასრულწლოვანი ცხოვრობს დედასთან.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით მამას შვილის სასარგებლოდ ალიმენტის სახით დაეკისრა ყოველთვიურად 200 ლარის გადახდა.

4. გადაწყვეტილების მიხედვით, იმ დროისათვის მოპასუხის ყოველთვიური ხელფასი შეადგენდა 905 ლარს.

5. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, არასრულწლოვანს დაუდგინდა მსუბუქი გონებრივი განვითარების ჩამორჩენა ქცევის მნიშვნელოვანი აშლილობით, რომელიც მოითხოვს ყურადღებას და მკურნალობას. იგი არის სხვა პირის მუდმივი დახმარების სა-

ჭიროების მქონე. გარდა ამისა, არასრულწლოვანს აქვს მე-2 ხარისხის სქოლიოზი.

6. მოპასუხე იმყოფება არარეგისტრირებულ ქორწინებაში ქ. ბ-ძეს-თან და არასრულწლოვნის გარდა, ჰყავს ორი შვილი – 2008 წლის 30 მაისს დაბადებული ნ. ა-ი და 2013 წლის 17 იანვარს დაბადებული მ. ა-ი.

7. მ. ა-ს აქვს ჯანმრთელობის პრობლემა – მისი მარცხენა თირკმელი არ ვიზუალირდება.

8. მოპასუხე ამჟამად მუშაობს სს „ლ. ბ-ში“ და მისი ყოველთვიური დარიცხული ხელფასი შეადგენს 3000 ლარს.

9. მოპასუხის მამა, ა. ა-ი არის 78 წლის. მან 2012 და 2016 წლებში გადაიტანა მიოკარდიუმის ინფარქტი. გარდა ამისა, მას აწუხებს რამდენიმე სხვა დაავადებაც.

10. მოპასუხის დედა, ს. ლ-ი არის 74 წლის. იგი დაავადებულია არასტაბილური სტენოკარდიითა და შაქრიანი დიაბეტით.

11. ა. ა-ისა და ს. ლ-ის შემოსავალს წარმოადგენს სახელმწიფო პენსია.

12. მოპასუხის და, ნ. ა-ი მუშაობდა შპს „აკადემიკოს გ. ჩ-ძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში“ და მისი საშუალო ხელფასი შეადგენდა 300 ლარს. 2020 წლის 29 აპრილიდან იგი თანამდებობიდან გათავისუფლდა.

13. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით (სამოქალაქო საქმე №2/9079-06) მოპასუხისათვის არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ ალიმენტის სახით ყოველთვიურად დაკისრებული თანხის – 200 ლარის გაზრდა 1400 ლარამდე.

14. მოსარჩელის განმარტებით, სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემდგომ საგრძნობლად შეიცვალა არასრულწლოვნის ჯანმრთელობის მდგომარეობა და საჭიროებები. კერძოდ, ასაკის მატებასთან ერთად, გაუარესდა მისი ფსიქოლოგიურ-ნერვული მდგომარეობა; გაიზარდა მისთვის საჭირო როგორც საკვებისა და მედიკამენტების ღირებულება, ისე აუცილებლად ჩასატარებელი თერაპიების ოდენობა; უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გაუარესდა არასრულწლოვნის ქცევა და გახდა უმართავი, ახასიათებს სპონტანური აგრესიულობა; სასწავლო კურსის ასათვისებლად ესაჭიროება პერსონალური დახმარება და უწყვეტი მეთვალყურეობა. შესაბამისად, ალიმენტის სახით მოპასუხისათვის დაკისრებული 200 ლარი არასრულწლოვნის საჭიროებების უზრუნველსაყოფად არ არის საკმარისი. ამასთან, მოსარჩელე არასრულწლოვნის დაბადების დღიდან უმუშევარი და ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და იმის გათვალისწინე-

ბით, რომ მას უწყვეტი მეთვალყურეობა ესაჭიროება, მის მიერ მუშაობის დაწყება ამ ეტაპზე წარმოუდგენელია. მოსარჩელემ ბავშვის ყოველდღიური საჭიროებების უზრუნველსაყოფად უკვე გაასხვისა მისი ოჯახის კუთვნილი უძრავი ქონება, თუმცა ეს თანხები არ არის საკმარისი მისი მკურნალობისა და თერაპიული კურსებისათვის. რაც შეეხება მოპასუხეს, მას აქვს სტაბილური, მაღალანაზღაურებადი სამსახური სს „ლ. ბ-ში“.

15. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი ცნო ნაწილობრივ და დაეთანხმა ალიმენტის გადახდას 250 ლარის ოდენობით, ხოლო სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე დაეთანხმა ალიმენტის გაზრდას 100 ლარით.

16. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის დაკისრებული ალიმენტის ოდენობა შეიცვალა და მას შვილის სასარგებლოდ ალიმენტის სახით დაეკისრა 850 ლარის გადახდა, 2020 წლის 21 იანვრიდან მის სრულწლოვანებამდე.

17. მხარეებმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინეს სააპელაციო საჩივრები. მოსარჩელემ მოითხოვა გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება; ხოლო, მოპასუხემ გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ალიმენტის ოდენობის 300 ლარით გასაზღვრა.

18. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ხოლო, მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; შეიცვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის დაკისრებული ალიმენტის ოდენობა და მას შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის – ყოველთვიურად 600 ლარის გადახდა, 2020 წლის 21 იანვრიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე.

19. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე გადაწყვეტილების 1-12 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

20. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1221-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის ოდენობის გაზ-

რდის ან შემცირების საფუძველს წარმოადგენს ალიმენტვალდებული მშობლის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის შეცვლა. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლის თანახმად, ამ შემთხვევაშიც, მშობლის რეალური მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინება აუცილებელია. არ შეიძლება მშობლისათვის იმგვარი საალიმენტო ვალდებულების დაკისრება, რომლის შესრულებასაც იგი ვერ შეძლებს.

21. სააპელაციო პალატის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ ალიმენტის სახით მოთხოვნილი თანხა, 1400 ლარი არასრულწლოვნის ყოველთვიურ საჭიროებებს შეესაბამება, მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია, შესაბამისად, სადავოა მხოლოდ ბავშვის საჭიროებების შესაბამისობა მოპასუხის შემოსავალთან და ოჯახურ მდგომარეობასთან. დადგენილია, რომ 2007 წელს მოპასუხის ყოველთვიური ხელფასი იყო 905 ლარი, ხოლო ამაჟამად მისი ხელფასი 3000 ლარს შეადგენს. ამავდროულად, სსიპ შემოსავლების სამსახურის ინფორმაციითა და სს „ლ. ბ-ის“ მიერ გაცემული ცნობით დგინდება, რომ თანამდებობრივი სარგოს გარდა, მოპასუხე ხელფასის სახით იღებს დამატებით თანხასაც. კერძოდ, სს „ლ. ბ-ის“ 20.07.2020წ. ცნობის მიხედვით, მოპასუხეს 2019 წლის 01 იანვრიდან 2019 წლის დეკემბრის ჩათვლით ხელფასის სახით დაერიცხა 44 847,13 ლარი, საიდანაც დაუკავდა საშემოსავლო გადასახადი – 8 419 ლარი. დარიცხული თანხა მოიცავდა დარიცხულ: ხელფასს – 39 660,88 ლარს, დაზღვევის თანხას – 699 ლარს და სამივლინებოდ გაცემულ სანვავის თანხას – 4 487,25 ლარს. შესაბამისად, ნათელია, რომ მოპასუხის მიერ ხელფასის სახით მიღებულმა ყოველთვიურმა შემოსავალმა შეადგინა – 39 660,88/12=3 305,07 ლარი, საიდანაც საშემოსავლო გადასახადის დაკავების შემდეგ, მან ყოველთვიურად მიიღო $3\,305,07 - 3305,07 \times 20\% = 2644,06$ ლარი.

22. სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საქმის მასალებით არ დგინდება 2007 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული მოპასუხის ხელფასი წარმოადგენდა დარიცხულ თუ ხელზე ასაღებ თანხას, თუმცა ნათელია, რომ ალიმენტის დაკისრების შემდეგ მოპასუხის შემოსავალი დაახლოებით 2,92-3,65-ჯერ გაიზარდა. დადგენილია ასევე, რომ 2007 წლის 11 იანვრის შემდეგ შეიცვალა მოპასუხის ოჯახურის მდგომარეობა. მას შეეძინა ორი შვილი, რომელთაგან ერთი თორმეტი, ხოლო მეორე შვიდი წლისაა. ამასთან, მ. ა-ს აქვს ჯანმრთელობის პრობლემა. გარდა ამისა, მოპასუხის მშობლები არიან შრომისუუნაროები. მისმა მამამ მოპასუხისათვის ალიმენტის დაკისრების შემდეგ, ორჯერ გადაიტანა მოკარდიუმის ინფარქტი. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1218-ე მუხლის მე-2 ნაწილის სა-

ფუძველზე, მოპასუხეს მშრობლების რჩენის ვალდებულებაც გააჩნია. ხოლო, ის გარემოება, რომ შვილების რჩენაში მონაწილეობა მოსარჩელემ, ხოლო მშობლების რჩენაში – მოპასუხის დამ უნდა მიიღოს, მოპასუხეს პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შვილის მიმართ მოპასუხის საალიმენტო ვალდებულებები უნდა განისაზღვროს იმგვარად, რომ მან სხვა სარჩენი პირების მიმართ არსებული ვალდებულებებიც შეასრულოს და საარსებოდ საჭირო შემოსავალიც დარჩეს.

23. სააპელაციო პალატის განმარტებით, საქართველოს საერთო სამართლოების პრაქტიკის თანახმად, პირის საალიმენტო ვალდებულებები მისი შემოსავლის 50%-ს არასდროს აღემატება. მთელი შემოსავლის შვილების სასარგებლოდ განკარგვა მშობლის მორალური და არა სამართლებრივი ვალდებულებაა. თუ მოპასუხე შვილის სასარგებლოდ ყოველთვიურად 850 ლარს გადაიხდის, მას კუთვნილი ხელფასიდან $3000 - 20\% - 850 = 1550$ ლარი დარჩება. ხოლო, თუ, ამავდროულად, იმ სხვადასხვა სახის დანამატებსაც გავითვალისწინებთ, რომელსაც მოპასუხე, სავარაუდოდ, 2019 წელს იღებდა, ეს თანხა $2644,06 - 850 = 1794,06$ ლარს შეადგენს. როგორც ზემოთ ითქვა, აღნიშნული თანხით მოპასუხემ, როგორც დანარჩენი შვილების, ისე მშობლების რჩენაში უნდა მიიღოს მონაწილეობა. თითოეულ შემთხვევაში მოპასუხის ვალდებულება 300 ლარით მაინც რომ განისაზღვროს, მის მიერ გადასახდელი თანხა, ჯამში $900 + 850 = 1750$ ლარს, ე.ი. საუკეთესო შემთხვევაში, შემოსავლის 66%-ზე მეტს შეადგენს. თუმცა, ვითარება, როდესაც მშობელი ერთი შვილის სარჩოდ 850 ლარს, ხოლო დანარჩენი შვილების სარჩოდ, მხოლოდ, 300-300 ლარს იხდის, არასამართლიანია. ეს კი ნიშნავს, რომ სარჩოს სამართლიანად განაწილების შემთხვევაში, მოპასუხის მთელი შემოსავალი საალიმენტო ვალდებულებების შესრულებას მოხმარდება და მას საარსებო თანხა აღარ დარჩება.

24. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის დაკისრებული ალიმენტის ოდენობა მის შემოსავალს არ შეესაბამება. შესაბამისად, მოპასუხის შემოსავლების, მისგან სარჩოს მიღების უფლების მქონე პირებისა და არასრულწლოვნის საჭიროებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მოპასუხის მიერ გადასახდელი ალიმენტის გონივრულ ოდენობად ყოველთვიურად 600 ლარი მიიჩნია.

25. სააპელაციო პალატამ მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის საფუძველიანობის ცალკე შემოწმება მიზანშეწონილად აღარ მიიჩნია, ვინაიდან მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ალიმენტის ოდენობა 600 ლარს მნიშვნელოვნად აღემატებოდა.

26. მოსარჩელემ სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე წარადგინა

ნა საკასაციო საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება მოითხოვა.

27. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

27.1. სასამართლომ უხეშად დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი. დარღვეულია სასამართლოში მტკიცებულების წარდგენის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესი, კერძოდ, სსსკ-ის 102 მუხლის პირველი ნაწილი და 380-ე მუხლის მე-2 ნაწილი;

27.2. სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა მოპასუხის მშობლების ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ხარჯების ამსახველი მტკიცებულებები და, შესაბამისად, დადგენილად არ უნდა მიეჩნია, რომ მოპასუხის შემოსავლები მშობლების რჩენაშიც იხარჯება. მოპასუხეს პენსიონერი მშობლები რომ ჰყავს, რომელთაც ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ, ახალი გარემოება არ არის, თუმცა კონკრეტული ხარჯის თაობაზე სასამართლოს ინფორმაცია არ ჰქონია. მოპასუხეს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას არ მიუთითებია აღნიშნული დოკუმენტების წარუდგენლობის საპატიო მიზეზების შესახებ;

27.3. სასამართლოს ასევე არ უნდა გაეზიარებინა მოპასუხისა და ქ. ბ-ძის სახელფასო ცნობებში ასახული ინფორმაცია და მოპასუხის შვილის, მ. ა-ის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ხარჯების ამსახველი მტკიცებულებები. მოპასუხეს არ მიუთითებია აღნიშნული მტკიცებულებების პირველი ინსტანციის სასამართლოში წარუდგენლობის საპატიო მიზეზების შესახებ;

27.4. სასამართლოსთვის ცნობილი იყო, რომ მოპასუხის შვილს, მ. ა-ს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს. თუმცა, მოპასუხეს სსსკ-ის 102-ე, 103-ე მუხლების შესაბამისად, კონკრეტული ხარჯის გაწევის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარუდგენია და არც აღნიშნული მტკიცებულებების წარუდგენლობის საპატიო მიზეზის შესახებ მიუთითებია შესაგებელში ან/და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას. სააპელაციო სასამართლოში მოპასუხემ წარადგინა მ. ა-ის ჯანმრთელობის შესახებ ცნობები, რომლებიც თითქოსდა ახალ გარემოებას მოიცავს, თუმცა არცერთი ანალიზი, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა ან ცნობა მიუთითებს უშუალოდ ანალიზებიდან ან ექიმის პირადი გასინჯვიდან გამომდინარე ინფორმაციას. ექიმი ყოველ ჯერზე გადმოსცემს მშობლების მონათხრობს, ექიმის მითითებით, როგორც მას მშობლებმა განუცხადეს, მ. ა-ს აღენიშნებოდა გულყრა-ცნობიერების დაბინდვით. აღნიშნული არ არის საკმარისი დასკვნისთვის, რომ მ. ა-ის მდგომარეობა გაუარესდა ან მას დამატებით აუცილებლად ესაჭიროება კონკრეტული მკურნალობა და ხარჯები, პაციენტის ცნობიერება ნათელი და ადეკვატურია;

27.5. სასამართლომ მტკიცებულებების წარუდგენლობის საპატიო

მიზეზად პანდემია დაასახელა, თუმცა სასამართლოს არცერთ ეტაპზე შეუწყვიტავს დოკუმენტაციის მიღება ელექტრონული საშუალებით. თუ დავაკვირდებით პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელისა და შესაგებლის წარდგენის პერიოდსა და ვადებს, ასევე COVID 19-ის გავრცელების გამო დაწესებული შეზღუდვების ვადებს, დავრწმუნდებით, რომ მოპასუხის არგუმენტაცია მტკიცებულებების წარუდგენლობის შესახებ არარეალურია და საპროცესო კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში მოდის;

27.6. მოსარჩელემ სარჩელი სასამართლოში 2020 წლის 20 იანვარს შეიტანა, შესაბამისად, მოპასუხეს საკმარისი დრო ჰქონდა იმისათვის, რომ აღნიშნული მტკიცებულებები მოეპოვებინა და სასამართლოში პანდემიის დაწყებამდე წარედგინა;

27.7. სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში საერთოდ არ შეეხო მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხს, გადაწყვეტილება, საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით, ამ მტკიცებულებებს დააფუძნა და განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ბავშვის ინტერესების საზიანოდ გამოიყენა;

27.8. გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმების დარღვევისა, სააპელაციო სასამართლომ არ მოახდინა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების ადეკვატური შეფასება;

27.9. სასამართლომ დაასკვნა, რომ არასრულწლოვნის სასარგებლოდ მოპასუხისათვის დაკისრებული ალიმენტის, 850 ლარის ძალაში დატოვების შემთხვევაში, მოპასუხეს თავისი შემოსავლის პირობებში დანარჩენი 2 შვილისთვის 300-300 ლარი დარჩება, რაც არასამართლიანია. სასამართლოს აღნიშნული ლოგიკა იმთავითვე მცდარია და არ შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესების კონცეფციას. სასამართლომ ამ კალკულაციის დროს მხედველობაში არ მიიღო შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებები: პირველი – ბავშვის საუკეთესო ინტერესი თითოეული ბავშვის ინდივიდუალური მოთხოვნილებებიდან და საჭიროებებიდან დგინდება, შესაბამისად, არასწორია არასრულწლოვნის, ნ. ა-ისა და მ. ა-ის საჭიროებების გათანაბრება. ნ. ა-ი, როგორც საქმის მასალებიდან იკვეთება, განსხვავებული საჭიროებების მქონე ბავშვი არ არის და მისი ჯანმრთელობის ან სხვა ტიპის განსაკუთრებული, არაორდინალური მოთხოვნილებების შესახებ მოპასუხეს არ მიუთითებია. ხოლო, რაც შეეხება მ. ა-ს, სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებების გაზიარების შემთხვევაშიც კი, ნათელია, რომ მისი მკურნალობის ყოველთვიური ხარჯი 200 ლარიც არ არის. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოპასუხე სარგებლობს ოჯახური დაზღვევის სერვისით, რომელსაც ხელფასიდან ავტომატურად იხდის;

27.10. გარდა ამისა, მოსარჩელისგან განსხვავებით, მოპასუხის მე-

უღლე – ქ. ბ-ძე დასაქმებულია და ასევე უზრუნველყოფს შვილების მოვლა-პატრონობას. მოსარჩელე ვერასდროს იმუშავებს, რადგან არასრულწლოვანს სტანდარტული აუტიზმის დიაგნოზის გარდა, მწვავე აგრესიულობა და ფსიქოზური ქცევები ახასიათებს. იგი ვერ უწევს კონტროლს საკუთარ ქმედებებს, სცემს დედას, მოხუცებულ ბებიას და უფრო მეტად აგრესიული ხდება, თუ მასთან უცხო ადამიანები მიდიან. ახასიათებს უკონტროლო მოთხოვნილებები: ჭამის, კონკრეტული ნივთის ქონის და სხვა, ვერ აანალიზებს არქონის/ვერქონის მიზეზებს, იწყებს ნივთების მტვრევას და ყვირილს, რომელიც საათობით გრძელდება. გაუსაძლისია ამ მდგომარეობაში მყოფი მოზარდის კონტროლი და მოვლა, მას აუცილებლად სჭირდება სპეციალური ცოდნის მქონე სპეციალისტის დახმარება, მაგრამ აღნიშნულის შესაძლებლობა არ არსებობს. მდგომარეობა მართლაც უმძიმესია და სწრაფი ტემპით რეგრესირდება. სააპელაციო სასამართლოში მოსარჩელემ წარადგინა ვიდეო მასალა, სადაც ნათლად ჩანს არასრულწლოვნის უეცრად გამოვლენილი ქცევის მოდელი, რომელიც მხოლოდ მშობლის გადმოცემით არ არის აღწერილი, არამედ ფაქტია და მცირედ წარმოდგენას მაინც ქმნის რეალურ სურათზე;

27.11. მოპასუხემ ბავშვის მამობაც კი უარყო და მხოლოდ სასამართლო წესით მოხდა მამობის დადგენა. მას არ სურს ბავშვის ნახვა, მასზე მზრუნველობა, მას ბავშვის დანახვის ეშინია;

27.12. ქვედა ინსტანციების სასამართლოებში წარდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ არასრულწლოვნის განსაკუთრებული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად 600 ლარი საკმარისი არ არის. დღემდე მოპასუხე იხდის იძულებით დაკისრებულ ალიმენტს – 200 ლარის ოდენობით, რომელიც ერთი დღეც არ ჰყოფნის ბავშვის საჭიროებებს;

27.13. საქმეში წარდგენილია მტკიცებულებები, ამონაწერები საჯარო რეესტრიდან, სადაც ნათლად ჩანს, რომ მოსარჩელემ გაასხვისა მემკვიდრეობით მიღებული ქონებები და დღეს საცხოვრებლის გარდა აღარაფერი გააჩნია. ბავშვის ღირსეული ყოფისა და საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მინიმუმ 850 ლარი კრიტიკულად აუცილებელია;

27.14. მოპასუხის პენსიონერი მშობლების რჩენის ვალდებულება მათ მეორე შვილს, ნ. ა-საც თანაბრად აკისრია, რომელიც ცხოვრობს მათთან ერთად, არის ჯანმრთელი და თავისუფალი შესაძლებლობების მქონე.

28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 23 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

29. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

30. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია მოპასუხისათვის (მამა) სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის გაზრდილი ოდენობის მართლობიერება.

31. კასატორი დავობს, რომ არასრულწლოვნის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მისი რჩენა-აღზრდისა და ინდივიდუალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული ალიმენტის ოდენობა – 600 ლარი საკმარისი არ არის. აღნიშნულისათვის საჭიროა ყოველთვიურად მინიმუმ 850 ლარი.

32. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ალიმენტის ოდენობის გაზრდის თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1221-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, იმ მშობლების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის შეცვლის შემთხვევაში, რომლებიც ალიმენტს იხდიან მტკიცე თანხის სახით, სასამართლოს უფლება აქვს, დაინტერესებული პირის მოთხოვნით, შეამციროს ან გაადიდოს ალიმენტის ოდენობა.

33. კანონის მოხმობილი ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრული ალიმენტის ოდენობა მუდმივი არ არის. კანონმდებელი დასაშვებად მიიჩნევს სასამართლო გადაწყვეტილებით ალიმენტის ოდენობის შემცირებას ან პირიქით, მის გაზრდას, ხოლო ამის საფუძვლად განიხილავს – ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის შეცვლას. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის შეცვლაში იგულისხმება ალიმენტის დაკისრების შემდეგ ისეთი ახალი გარემოებების წარმოშობა, რომლებიც აშკარა გავლენას ახდენს ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის მატერიალურ და ოჯახურ მდგომარეობაზე, მაგალითად, შემოსავლების შემცირება/გაზრდა, ჯანმრთელობის გაუარესება, კმაყოფაზე მყოფი პირების რაოდენობის გაზრდა, ან შემცირება და სხვა (იხ. სუსგ საქმე №ას-303-290-2015, 13 მაისი, 2015 წელი; №ას-284-2019, 27 ივნისი, 2019 წელი).

34. მითითებული საკანონმდებლო დანაწესი გამომდინარეობს თავად ალიმენტის მიზნიდან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1212-ე, 1213-ე და 1214-ე მუხლებით კანონი ადგენს მშობლის ვალდებულებას, იზრუნოს თავის შვილზე, რაც გულისხმობს მისი მატერიალურად

უზრუნველყოფის მოვალეობას. არასრულწლოვნის რჩენისათვის აუცილებელი მინიმალური ოდენობის დადგენისას გაითვალისწინება მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, თითოეული მშობლის კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვი, სარჩენი ბავშვის ასაკი, მისი საჭიროებები, ალიმენტის გადამხდელი მშობლის სხვა შვილის (შვილების) არსებობა. შესაბამისად, იმ მშობლის ფინანსური თუ ოჯახური მდგომარეობის შეცვლამ, რომელიც ალიმენტს იხდის, შესაძლოა, განაპირობოს სასამართლოს მიერ ალიმენტის ოდენობაში ცვლილების შეტანა (იხ. სუსგ საქმე №ას-617-585-2014, 30 დეკემბერი, 2014 წელი).

35. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კანონმდებელი არასრულწლოვნის რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელი ხარჯების ზღვრულ ოდენობას არ ითვალისწინებს და შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ალიმენტის მოცულობა დაადგინოს ისეთი გარემოებების ობიექტურად და სამართლიანად შეფასების შედეგად, როგორიცაა: მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, სარჩენი ბავშვის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი საჭიროებანი, თითოეული მშობლის კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვი და სხვა. სწორედ ამ მიზნით, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის, აგრეთვე, გაზრდის საკითხის განხილვისას, უპირატესად უნდა განისაზღვროს ალიმენტის გონივრული ოდენობა, რომელიც დგინდება მშობელთა ქონებრივი მდგომარეობისა და ბავშვის საჭიროების ურთიერთშეჯერებით, ამ უკანასკნელის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით. გონივრულობის აღნიშნული სტანდარტის განსასაზღვრად სასამართლო ხელმძღვანელობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლით, რომელიც ადგენს არასრულწლოვანი შვილების რჩენის მოვალეობას, იმავე კოდექსის 1198-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლითაც დადგენილია მშობლების ვალდებულება შვილების აღზრდის, ზრუნვის, ფიზიკური, სულიერი თუ გონებრივი განვითარების ასპექტში და 1214-ე მუხლით, რომელიც შვილებზე ზრუნვის საკითხში მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ითვალისწინებს დავის სასამართლო წესით გადაწყვეტას, როდესაც, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმად დადგენილია როგორც მშობლის, ასევე – შვილის რეალური მატერიალური შესაძლებლობა და საჭიროება, თუმცა ამოსავალ პრინციპს მაინც ბავშვის ჰარმონიული აღზრდა-განვითარება და მისთვის ოჯახური გარემოს შექმნა წარმოადგენს და ამ კუთხით მისაღები ნებისმიერი გადაწყვეტილებისას უპირატესობა არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს ენიჭება. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის.

ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია (იხ. სუსგ საქმე №ას-621-2019, 11 ივლისი, 2019 წელი; №ას-177-2019, 23 მაისი, 2019 წელი; №ას-284-2019, 27 ივნისი, 2019 წელი).

36. წინამდებარე საქმეში დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით მოპასუხეს არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 200 ლარის ოდენობით; ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის დროისათვის მოპასუხის შრომის ანაზღაურება შეადგენდა ყოველთვიურად 905 ლარს; დადგენილია ასევე, რომ ამჟამად მოპასუხე მუშაობს სს „ლ. ბ-ში“ და მისი ყოველთვიური დარიცხული ხელფასი შეადგენს 3000 ლარს; მოპასუხე ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს გარდა, იღებს დანამატს. ამდენად, ცხადია, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემდგომ მოპასუხის მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესებულია, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1221-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ალიმენტის ოდენობის გაზრდის წინაპირობას წარმოადგენს.

37. თუმცა, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისათვის ასევე მნიშვნელოვანია წინამდებარე საქმეში დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მოპასუხეს გარდა მოსარჩელესთან საერთო შვილისა, ჰყავს ორი არასრულწლოვანი შვილი, რომელთა რჩენის ვალდებულება მას იგივე მოცულობით აკისრია; ამასთან, დადგენილია, რომ მათგან ერთ-ერთ აქვს ჯანმრთელობის პრობლემა – მისი მარცხენა თირკმელი არ ვიზუალირდება, თუმცა მოპასუხეს არ წარუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მას აღნიშნულის გამო ესაჭიროება რაიმე სახის მკურნალობა და დამატებითი ხარჯების განწევა; გარდა ამისა, მოპასუხეს ჰყავს პენსიონერი მშობლები, რომელთა შემოსავალს წარმოადგენს მხოლოდ სახელმწიფო პენსია და მათი რჩენის მოვალეობა ასევე ეკისრება მოპასუხეს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1218-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად [შვილები მოვალენი არიან იზრუნონ მშობლებისათვის და დაეხმარონ მათ].

38. მოცემულ შემთხვევაში განსაკუთრებით ყურადღასაღებია თავად არასრულწლოვნის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რის გამოც მისი რჩენა-აღზრდისა და ინდივიდუალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ჩვეულებრივზე მეტი სახსრებია ესაჭიროება. კერძოდ, დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, არასრულწლოვანს დაუდგინდა მსუბუქი გონებრივი განვითარების ჩამორჩენა, ქცევის მნიშვნელოვანი აშლილობით, რომელიც მოითხოვს ყურადღებას და მკურნალობას. იგი არის სხვა პირის მუდმივი დახმარების საჭიროების მქონე. გარდა ამისა, არასრულწლოვანს აქვს მე-2

ხარისხის სქოლიოზი. კასატორის განმარტებით, არასრულწლოვანს სტანდარტული აუტიზმის გარდა, მწვავე აგრესიულობა და ქცევები ახასიათებს. იგი ვერ უწევს კონტროლს საკუთარ ქმედებებს, არის აგრესიული ოჯახის წევრების მიმართ, ხოლო უცხო ადამიანების მიმართ კი დევ უფრო აგრესიული ხდება. ახასიათებს უკონტროლო მოთხოვნილებები ჭამის, ნივთების ქონის და სხვა. ვერ აანალიზებს არქონის/ვერქონის მიზეზებს, იწყებს ნივთების მტკრევას და ყვირილს, რომელიც საათობით გრძელდება. ბავშვის მუდმივ მეთვალყურეობასა და მოვლას დედა ახორციელებს, რის გამოც იგი მოკლებულია შესაძლებლობას იმუშაოს და დამატებით სახსრები მოიძიოს შვილის რჩენა-აღზრდისათვის.

39. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხის ყოველთვიური შემოსავლის, არასრულწლოვნის ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხეს ჰყავს სხვა არასრულწლოვანი შვილები და პენსიონერი მშობლები, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხისათვის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის ოდენობა უნდა გაიზარდოს და მისი ოდენობა განისაზღვროს ყოველთვიურად 750 ლარით. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ალიმენტის აღნიშნული ოდენობა გონივრულია და შეესაბამება, როგორც მშობლის, ისე შვილის რეალურ მატერიალურ და ოჯახურ მდგომარეობას, ასევე, მის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

40. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას მოპასუხის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებების საქმეზე დართვასთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლისა და 382-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შეიძლება მოყვანილ იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილ იქნეს ახალი მტკიცებულებები. სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა. ამასთან, სააპელაციო სასამართლო მიიღებს ახლად წარმოდგენილ მტკიცებულებებს, თუ მათ მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის, 380-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

41. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული სასამართლებრივი ნორმა წარმოადგენს ე.წ. „შეზღუდული აპელაციის“ პრინციპის განმსაზღვრელ ნორმას და სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ახალ ფაქტებზე მითითებისა და ახალი მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობას უშვებს მხოლოდ საგამონაკლისო წესით, საპატიო მიზეზის არსებობისას. თავის მხრივ, მტკიცებულების

წარდგენის საპატიოობაც სრულად უნდა შეესაბამებოდეს ამავე კოდექსით დადგენილ სტანდარტს (სსსკ-ის 215.3 მუხლი), რათა დაუსაბუთებლად არ შეილახოს პროცესის ფუნდამენტური პრინციპები (იხ. სუსგ საქმე №ას-123-123-2018, 09 ნოემბერი, 2018 წელი). ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ მტკიცებულებებს მნიშვნელობა ჰქონდეთ საქმის განხილვისთვის.

42. გარდა ამისა, ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ დავებში, ბავშვის საუკეთესო ინტერესების კვლევისას სასამართლო ხელმძღვანელობს საოჯახო დავების განხილვისთვის დამახასიათებელი ინკვიზიციურობის პრინციპით, რაც დასადგენ გარემოებათა წრის სასამართლოს ინიციატივით განსაზღვრაში და მტკიცებულებათა გამოთხოვაში გამოიხატება (სსსკ-ის 354-ე მუხლის პირველი ნაწილი).

43. მოცემულ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ პირველ ინსტანციაში წინამდებარე დავის განხილვის პერიოდი დაემთხვა COVID-19-ის, ახალი კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებულ პანდემიასა და შეზღუდვებს, ამასთან, განსახილველი დავა დაკავშირებულია არასრულწლოვნის უფლებებთან, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოპასუხის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებები საქმეს მართებულად დაერთო.

44. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს ამგვარი საფუძვლები, შესაბამისად, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

45. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ; შეიცვალოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის დაკისრებული ალიმენტის ოდენობა და მოპასუხეს არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ დაეკისროს ალიმენტის, ყოველთვიურად 750 ლარის გადახდა 2020 წლის 21 იანვრიდან მის სრულწლოვანებამდე.

46. მოპასუხის/მონინალმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველ ნა-

ნილზე [საკასაციო სასამართლო იმჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები] და განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება. იმავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. დასახელებული სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე, მოპასუხეს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (ქვითრების ასლები), მთლიანობაში „2“ ფურცლად.

47. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამასთან, იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

48. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ მოპასუხისათვის ალიმენტის სახით დაკისრებული 200 ლარის 1400 ლარამდე გაზრდა. ამდენად, დავის საგნის ღირებულება, სსსკ-ის 41.1.გ მუხლის შესაბამისად, შეადგენდა 14 400 ლარს (1200 ლარი x 12 თვეზე). მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი ცნო ნაწილობრივ და დაეთანხმა ალიმენტის ოდენობის 100 ლარით გაზრდას.

49. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და ალიმენტის ოდენობა განისაზღვრა 750 ლარით, ანუ მისი ოდენობა გაიზარდა 550 ლარით. ამდენად, დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნის 45,83%.

50. მოსარჩელე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად [სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისა-

გან თავისუფლდებიან: მოსარჩელები – ალიმენტის გადახდევინების სარჩელებზე, გათავისუფლებული იყო სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად მის მიერ გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის – 197,98 ლარის (14 400 ლარის 3% არის 432 ლარი, რომლის 45,83% შეადგენს 197,98 ლარს), გადახდა უნდა დაეკისროს მოპასუხეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

51. თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოპასუხემ სარჩელი ცნო ალიმენტის 100 ლარით გაზრდის ნაწილში, ანუ სარჩელი ცნო 1200 ლარის ფარგლებში (100×12). ამდენად, მოპასუხე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან [თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხე ცნობს სარჩელს იგი მთლიანად თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან] გამომდინარე, უნდა გათავისუფლდეს სახელმწიფო ბაჟის იმ ნაწილის გადახდისაგან, რომელიც მან ცნო. კერძოდ, მის მიერ გადასახდელ სახელმწიფო ბაჟს 197,98 უნდა გამოაკლდეს 36 ლარი (1200 ლარის 3%) და საბოლოო მოპასუხეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 161,98 ლარი.

52. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა ორივე მხარემ. მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, ვინაიდან იგი გათავისუფლებულია წინამდებარე საქმეზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, მის მიერ გასაწევ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

53. რაც შეეხება მოპასუხის სააპელაციო საჩივარს, მის სააპელაციო მოთხოვნას წარმოადგენდა მისთვის დაკისრებული ალიმენტის ოდენობის – 850 ლარის 550 ლარით შემცირება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოში დავის საგანს წარმოადგენდა 6 600 ლარი ($550 \text{ ლარი} \times 12 \text{ თვეზე}$). საკასაციო სასამართლოში დამდგარი შედეგის გათვალისწინებით, მოპასუხის სააპელაციო მოთხოვნა დაკმაყოფილდა 1200 ლარის ნაწილში ($100 (850-750) \times 12$), ანუ დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნის 18,18%. მოპასუხემ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა 264 ლარი, რომლის 18,18% შეადგენს 47,99 ლარს და რაც უნდა დაეკისროს მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ.

54. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ და მოითხოვა ალიმენტის ოდენობის 850 ლარით განსაზღვრა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოში დავის საგნის ღირებულება შეადგენდა 3000 ლარს (250×12). საკასაციო სასამართლოში დამდგარი შედეგის გათვალისწინებით, მოსარჩელის საკასაციო მოთხოვნა დაკმაყოფილდა 1800 ლარის (150×12) ნაწილში, ანუ დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნის 60%.

55. მოსარჩელე გათავისუფლებული რომ არ ყოფილიყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, მას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39.1.გ, 39.2 და 14.გ მუხლებიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით უნდა გადაეხადა 150 ლარი. შესაბამისად, მოპასუხეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 150 ლარის 60%, რაც 90 ლარს შეადგენს.

56. ამგვარად, საბოლოო ჯამში, მოპასუხეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 251,98 (161,98+90) ლარის გადახდა. ხოლო, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად 47,99 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ვ ი ტ ა :

1. მ. ც-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. ც-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. შეიცვალოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით გ. ა-ისათვის დაკისრებული ალიმენტის ოდენობა და გ. ა-ს შვილის, 2005 წლის 15 ნოემბერს დაბადებული თ. ა-ის სასარგებლოდ დაეკისროს ალიმენტის, ყოველთვიურად 750 ლარის გადახდა 2020 წლის 21 იანვრიდან თ. ა-ის სრულწლოვანებამდე;
5. გ. ა-ს (პ/ნ: ...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაეკისროს 251,98 ლარის გადახდა;
6. მ. ც-ძეს (პ/ნ: ...) გ. ა-ის (პ/ნ: ...) სასარგებლოდ დაეკისროს 47,99 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
7. გ. ა-ს დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (ქვითრების ასლები), მთლიანობაში „2“ ფურცლად;
8. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. შვილად აყვანა

შვილად აყვანის დადასტურება აღმზრდელის ბარდაცვალებისას

ბანჩინება საქართველოს სახელით

№ას-1264-2018

27 ოქტომბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: შვილად აყვანის ფაქტის აღიარება, მემკვიდრედ
ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ა. კ-ა (შემდგომში – „აღმზრდელი“), ც. კ-ა (შემდგომში – „პირველი
მოპასუხე“) და ლ. კ-ა (შემდგომში – „მეორე მოპასუხე“) არიან დები.

2. 2013 წლის 19 მაისს დაიბადა აღმზრდელისა და მეორე მოპასუხის
დის – პირველი მოპასუხის შვილიშვილი შ. კ-ა (შემდგომში – „მოსარჩე-
ლე“ ან „კასატორი“).

3. აღმზრდელი გარდაიცვალა 2016 წლის 28 ნოემბერს ქ. ზუგდიდში.
მას გარდაცვალებამდე სასამართლოსთვის მოსარჩელის შვილად აყვა-
ნის შესახებ განცხადებით არ მიუმართავს.

4. 2017 წლის 10 იანვარს – პირველმა მოპასუხემ, ხოლო 2017 წლის
21 იანვარს მეორე მოპასუხემ, როგორც მეორე რიგის მემკვიდრეებმა,
განცხადებით მიმართეს ქ. ზუგდიდის ნოტარიუსს 2016 წლის 28 ნოემ-
ბერს გარდაცვლილი დის – აღმზრდელის დანაშთ სამკვიდრო ქონება-
ზე სამკვიდრო მონაწილის მიღების მოთხოვნით.

5. 2017 წლის 22 თებერვალს ქ. ზუგდიდის ნოტარიუსს მოსარჩელის
სახელით განცხადებით მიმართეს მშობლებმა დ. ლ-ვამ (შემდგომში –
„მოსარჩელის მამა“) და ნ. ე-ამ (შემდგომში – „მოსარჩელის დედა“) (შემ-
დგომში ერთობლივად – „მოსარჩელის მშობლები“), რომლებმაც მოით-
ხოვეს სამკვიდრო მონაწილის გაცემა 2016 წლის 28 ნოემბერს გარდაც-
ვლილი აღმზრდელის დანაშთ სამკვიდრო ქონებაზე სრულად. ნოტარი-
უსმა განცხადების განხილვის შედეგად მიიღო დადგენილება სამკვიდ-
რო მონაწილის გაცემაზე უარის თქმის შესახებ იმ მოტივით, რომ მოსარ-

ჩელის დაბადების მოწმობის გრაფაში მშობლებად მითითებული არიან მოსარჩელის მამა და მოსარჩელის დედა და მათ ნოტარიუსისთვის არ წარუდგენიათ აღმზრდელის მიერ არასრულწლოვანი მოსარჩელის შვილად აყვანის დამადასტურებელი დოკუმენტი.

6. აღმზრდელი სიცოცხლეში ურთიერთობდა მოსარჩელესთან, მაგრამ იგი შვილად არ აუყვანია. შესაბამისად, 2016 წლის 28 ნოემბერს გარდაცვლილ აღმზრდელს დარჩა მხოლოდ მეორე რიგის მემკვიდრეები დების – პირველი და მეორე მოპასუხეების სახით.

7. 2013 წლის 19 მაისს დაბადებული მოსარჩელე, რომელიც სარჩელის წარდგენის დროისათვის მცირეწლოვანია, ცხოვრობდა და იზრდებოდა ბიოლოგიური მშობლების ოჯახში, ამასთან, მასზე ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენდა ან გარდაცვლილი აღმზრდელი.

8. 2017 წლის 14 მარტს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში პირველი და მეორე მოპასუხეების (შემდგომში ერთობლივად – „მოპასუხეები“) მიმართ და მოითხოვა აღმზრდელის მიერ შვილად აყვანის და მის მემკვიდრედ ცნობა.

9. პირველმა მოპასუხემ სარჩელი ცნო, ხოლო მეორე მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

10. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

11. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 25 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

12. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-7 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები.

13. სააპელაციო სასამართლომ დავის გადაწყვეტისას იხელმძღვანელა სსკ-ის 1239-ე და 1240-ე მუხლებით.

14. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელე მხარე მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ ის აღმზრდელის ოჯახში შვილად იყო მიღებული. ამგვარი სამართლებრივი საფუძვლით შვილად აყვანის დასადგენად კანონი (სსკ-ის 1240-ე მუხლი) განსაზღვრავს შვილად ასაყვანი სუბიექტის სტატუსს და მიუთითებს, რომ ის უნდა იყოს არასრულწლოვანი, თუმცა უმთავრესი და გადამწყვეტი ამ ტიპის სარჩელის დაკმაყოფილებისათვის არის კანონისმიერი დანაწესი, რომელიც იმპერატიულად ითხოვს, რომ აღმზრდელის გარდაცვალებისას შვილად აყვანის ფაქტი შეიძლება სასამართლოს წესით დადასტურდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი ოჯახში შვილად იყო მიღებული, აგრეთვე თუ მშვილებელმა სიცოცხლეშივე შეიტანა განცხადება სასამართლოში შვილად

აყვანის შესახებ. სააპელაციო პალატის განმარტებით, სასამართლოს წესით შვილად აყვანის ფაქტის დადასტურებისთვის 2 პირობა ერთდროულად უნდა არსებობდეს: 1) არასრულწლოვანი ოჯახში შვილად უნდა იყოს მიღებული და 2) მშვილებელს სიცოცხლეშივე უნდა ჰქონდეს შეტანილი განცხადება სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, კონკრეტულ შემთხვევაში აღმზრდელი ისე გარდაიცვალა, რომ მას მსგავსი განცხადებით სასამართლოსთვის არ მიუმართავს.

15. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 1336-ე მუხლით და აღნიშნა, რომ მოსარჩელე არ წარმოადგენს გარდაცვლილი აღმზრდელის კანონისმიერ ან ანდერძისმიერ მემკვიდრეს, რის გამოც მისი სარჩელი აღმზრდელის მემკვიდრედ ცნობის შესახებ უსაფუძვლოა.

16. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ წარადგინა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

17. საკასაციო საჩივარი ემყარება შემდეგ საფუძვლებს:

17.1. სააპელაციო სასამართლომ სამართლის ნორმები არასწორად განმარტა. კასატორის მოსაზრებით, აღმზრდელის გარდაცვალებისას შვილად აყვანის ფაქტი სასამართლო წესით შეიძლება დადასტურდეს იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი ოჯახში შვილად იყო მიღებული ან იმ შემთხვევაში, თუ მშვილებელს სიცოცხლეში ჰქონდა სასამართლოში განცხადება შეტანილი შვილად აყვანის შესახებ. შესაბამისად, ვინაიდან მოსარჩელე მოთხოვნას გარდაცვლილი აღმზრდელის ოჯახში შვილად მიღებაზე აფუძნებდა, მოცემულ საქმეში სასამართლოს უნდა გამოეყენებინა დანაწესი: აღმზრდელის გარდაცვალებისას შვილად აყვანის ფაქტი სასამართლო წესით შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი ოჯახში შვილად იყო მიღებული;

17.2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სასამართლომ სამართლებრივად შეაფასა მხოლოდ სასამართლოში განცხადების შეტანასთან დაკავშირებული გარემოება. სამართლებრივად შეფასებული არ არის არასრულწლოვნის ოჯახში შვილად მიღების ფაქტის არსებობა-არარსებობა. კასატორი მოთხოვნას ამყარებს იმ გარემოებაზე, რომ აღმზრდელმა ის ფაქტობრივად იშვილა. შესაბამისად, სასამართლოს სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება უნდა დაედგინა. მართალია, სასამართლოს არ უარყვია გარდაცვლილი აღმზრდელის ოჯახში არასრულწლოვნის შვილად მიღების ფაქტი, მაგრამ არც მოცემული ფაქტი დაუდგენია და სამართლებრივად შეუფასებია. საქმეზე დადგენილი ფაქტები არ იძლევა პასუხს კითხვაზე, მოსარჩელე შვი-

ლად იყო თუ არა მიღებული გარდაცვლილი აღმზრდელის ოჯახში, მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლო ა. კ-ას მოიხსენიებს მოსარჩელის აღმზრდელად;

17.3. საკასაციო სასამართლომ საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დააბრუნოს სააპელაციო სასამართლოში და დაავალოს მას იმ ფაქტობრივი გარემოების დადგენა, არასრულწლოვანი მოსარჩელე შვილად იყო თუ არა მიღებული მისი აღმზრდელის ოჯახში, და ამ ფაქტობრივი გარემოების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება აღმზრდელის მიერ არასრულწლოვანი მოსარჩელის შვილად აყვანის ფაქტის დადასტურების ან არდადასტურების შესახებ;

17.4. ბავშვის „ოჯახში შვილად მიღება“ თავისთავად გულისხმობს იმას, რომ აღმზრდელს გააჩნდა მისი შვილების ნება;

17.5. იმ შემთხვევაში, როდესაც ნორმაში მოცემულია შედეგის დასადგომად აუცილებელი პირობების (საფუძვლების) ჩამონათვალი, ამ ჩამონათვალში სიტყვა „აგრეთვე“ გამოიყენება ერთი ან რამდენიმე დამოუკიდებელი პირობის (საფუძვლის) გამოსაყოფად და არა იმის აღსანიშნავად, რომ ერთდროულად უნდა არსებობდეს „აგრეთვე“-მდე და „აგრეთვე“-ს შემდეგ მითითებული პირობები. სამოქალაქო კოდექსში მრავლად არის იმის დამადასტურებელი მაგალითი, როდესაც „აგრეთვე“ არ არის პირობების ერთდროულად არსებობის აღმნიშვნელი;

17.6. დადგენილი წესით შვილების შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანისას ჩვეულებრივ სახეზე არ არის ფაქტობრივი შვილება. შესაბამისად, ერთდროულად მშვილებლის მიერ შვილების შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანისა და ბავშვის ოჯახში შვილად მიღების პირობების მოთხოვნით განსახილველი ნორმა მკვედარ ნორმად იქცევა;

17.7. მოყვანილი ორივე პირობის ერთდროულად არსებობის არასავალდებულობაზე ასევე მიუთითებს ამ პირობების სუბიექტური შემადგენლობები. პირველ პირობაში საუბარია არასრულწლოვნის „ოჯახში შვილად მიღებას“ (შვილად ფაქტობრივ აღმზრდელსა) და არასრულწლოვანზე (ფაქტობრივ აღსაზრდელზე), ხოლო მეორე პირობაში – მშვილებელსა და შვილად ასაყვანზე. მშვილებელი შეიძლება იყოს პირი, რომელიც აკმაყოფილებს „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს და აღრიცხულია გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა რეესტრში (მუხლი 1245). შვილად ასაყვანი კი უნდა იყოს შვილად აყვანას დაქვემდებარებული ბავშვი (მუხლი 1254). შესაბამისად, მეორე პირობის სუბიექტები კანონით დადგენილ გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდნენ, მაშინ როდესაც ასეთი კრიტერიუმები პირველი პირობის სუბიექტებისათვის არ არის დადგენილი (გარდა იმ მოთხოვნებისა, რაც საკუთრივ ამ პირო-

ბაშია მოცემული);

17.8. არასრულწლოვნის შვილად აყვანა შეიძლება გამოვლენილი იყოს, როგორც კონკლუდენტური მოქმედებებით (ბავშვის მიმართ მშობლის უფლება-მოვალეობების ფაქტობრივი შესრულებით), ისე – სასამართლოში შვილების შესახებ განცხადების შეტანით;

17.9. მცდარია მოსაზრება, რომ შვილად აყვანის ფაქტის დასადასტურებლად სავალდებულოა მშვილებლისა და ნაშვილების ერთად ცხოვრება. შვილად აყვანის მომწესრიგებელი არცერთი ნორმა არ მიუთითებს თანაცხოვრებაზე. იმ შემთხვევაშიც, როდესაც შვილება ხდება მშვილებლისა და ნაშვილების, როგორც მშობლისა და შვილის, ფაქტობრივი ურთიერთობის არსებობის საფუძველზე (სსკ-ის 1239-ე მუხლის მე-2 ნაწილი), საუბარი არ არის მშვილებლისა და ნაშვილების თანაცხოვრებაზე. არასწორია მოსაზრება, რომ გაშვილების შემთხვევაში ნაშვილებს არ უნდა ჰქონოდა თავის ბიოლოგიურ მშობლებთან ურთიერთობა ან მათთან არ უნდა ეცხოვრა. ბიოლოგიურ მშობლებთან ურთიერთობის შენარჩუნება და ცხოვრება განსაკუთრებით არაა პრობლემური იმ შემთხვევაში, როდესაც მშვილებელი ერთი პირია (მარტოხელაა). სარჩელის აღძვრისას მოქმედებდა ნორმა, რომლის თანახმად, ერთი პირის მიერ ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში, ნაშვილები ინარჩუნებს უფლება-მოვალეობებს – დედის სურვილით, თუ მშვილებელი მამაკაცია, ან მამის სურვილით – თუ მშვილებელი ქალია (სსკ-ის 1260-ე მუხლის მე-2 ნაწილი). სწორედ მოცემულ ნორმაზე მიუთითებდა სასამართლო, როდესაც ნაშვილების ბიოლოგიურ მშობლებთან ცხოვრებას შვილად აყვანის ფიქციურობის დამადასტურებელ გარემოებად არ მიიჩნევდა (07.03.2011 წ. სუსგ №ას-1349-1188-2010).

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 3 ივლისის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

19. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

20. საკასაციო სასამართლო გადანყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში [სსსკ-ის 404. 1. მუხლის პირველი წინადადება]. საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადანყვეტილებებში ან

სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) [სსსკ-ის 407-ე მუხლი].

21. საკასაციო საჩივარი ემყარება სააპელაციო სასამართლოს მიერ დავის გადანყვეტისას სამართლის ნორმების დარღვევას, კერძოდ, ნორმის არასწორ განმარტებას [სსსკ-ის 393-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები: 1. საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადანყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. 2. სამართლის ნორმები დარღვევულად ითვლება, თუ სასამართლომ: ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; გ) არასწორად განმარტა კანონი].

22. შვილად აყვანა იურიდიული ფაქტია, რომელიც შვილად ამყვანსა და ნაშვილებს შორის წარმოშობს ისეთ სამართლებრივ ურთიერთობას, რაც ღვიძლ მშობლებსა და შვილებს შორის არსებობს. შვილება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი არასრულწლოვანი ბავშვის კეთილდღეობასა და ინტერესების დაცვას უზრუნველყოფს და მშვილებელსა და ნაშვილებს შორის მყარი და მუდმივი საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველი გახდება (იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2000, გვ. 244-245).

23. შვილება (შვილად აყვანა) დაიშვება მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესებისათვის, თუკი მოსალოდნელია, რომ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშვას ისეთივე ურთიერთობა, როგორიცაა მშობელსა და შვილებს შორის [სსსკ-ის 1239.1. მუხლი].

24. შვილად აყვანის შესახებ საბოლოო გადანყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სასამართლო [„შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.2. მუხლი], რაც მას განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს შვილად აყვანის საქმეების განხილვისა და გადანყვეტისას.

25. შვილად აყვანის შესახებ გადანყვეტილებას მშვილებლის განცხადებით იღებს სასამართლო მშვილებლის ან შვილად ასაყვანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის შემდეგ [სსსკ-ის 1242-ე მუხლი].

26. თუმცა, კანონი ითვალისწინებს ისეთ საგამონაკლისო შემთხვევას, როდესაც საოჯახო ურთიერთობა ფაქტობრივად არსებობდა შვი-

ლად აყვანის მსურველსა და შვილად ასაყვანს შორის, მაგრამ მშვილდ-ბელმა (ალმზრდელმა) სიცოცხლეში ვერ მოასწრო აღნიშნული ურთიერთობის კანონის მოთხოვნათა შესაბამისად გაფორმება ანუ შვილად აყვანა. მოცემულ შემთხვევაში ადგილი ექნება არა მშვილებლის მიერ ნაშვილების შვილად აყვანას, არამედ – სასამართლოს მიერ ნაშვილების შვილად აყვანის ფაქტის დადასტურებას. აღნიშნულ შემთხვევას აწესრიგებს სსკ-ის 1240-ე მუხლი, რომლის თანახმად, ალმზრდელის გარდაცვალებისას შვილად აყვანის ფაქტი შეიძლება სასამართლოს წესით დადასტურდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი ოჯახში შვილად იყო მიღებული, აგრეთვე, თუ მშვილებელმა სიცოცხლეშივე შეიტანა განცხადება სასამართლოში შვილად აყვანის თაობაზე.

27. განსახილველ შემთხვევაში სადავოა საკითხი იმის შესახებ, სსკ-ის 1240-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგის (შვილად აყვანის ფაქტის დადასტურება) განმაპირობებელი ორი გარემოება: 1. ალმზრდელის ოჯახში არასრულწლოვნის შვილად მიღება; 2. მშვილებლის მიერ სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ განცხადების სიცოცხლეშივე შეტანა, წარმოადგენს კუმულაციურ თუ ალტერნატიურ პირობებს ანუ შვილად აყვანის ფაქტის დადასტურებისათვის აუცილებელია თუ არა ამ ორი წინაპირობის ერთდროულად არსებობა.

28. კანონის გრამატიკული და ტელეოლოგიური განმარტების შედეგად, საკასაციო პალატა სსკ-ის 1240-ე მუხლით განსაზღვრულ ზემოაღნიშნულ გარემოებებს ერთმანეთისგან დამოუკიდებელ (ალტერნატიულ) პირობებად განიხილავს და მიიჩნევს, რომ თითოეული წინაპირობის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია სასამართლოს მიერ შვილად აყვანის ფაქტის დადასტურება.

29. ნორმის შინაარსის გარკვევა იწყება გრამატიკული განმარტებით. გრამატიკული განმარტებისას ნორმის შინაარსის ახსნა ხდება სიტყვათა მნიშვნელობისა და გრამატიკული წესების მიხედვით. გრამატიკული განმარტება არკვევს არა ერთმანეთისაგან იზოლირებული სიტყვების, არამედ მთლიანად წინადადების მნიშვნელობას. გრამატიკული განმარტება, ასევე, ითვალისწინებს სიტყვათა შორის ლოგიკურ კავშირს და მთლიანად წინადადების ლოგიკურ სტრუქტურას (იხ. გიორგი ხუბუა, „სამართლის თეორია“, მეორე, შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2015, გვ. 187-188).

30. გრამატიკული მეთოდის მეშვეობით ხდება კანონის ნორმის, მისი ცალკეული წინადადების გამოკვლევა გამოყენებული სიტყვების მნიშვნელობის, სიტყვათა წყობისა და გრამატიკის ზოგადი წესების მიხედვით. ამ დროს მხედველობაში მიიღება როგორც ცალკეული სიტ-

ყვისა თუ ფრაზის ზოგადი (ენობრივი) გამოყენება, ისე იურიდიული, უპირატესად შესაბამის კანონში მინიჭებული მნიშვნელობა (იხ. დავით კერესელიძე, „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები“, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009 წელი, გვ. 66).

31. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს სსკ-ის 1240-ე მუხლში მოცემული წინადადებების სტრუქტურას და აღნიშნავს, რომ შედეგის განმაპირობებელი ორი გარემოება (წინადადება): 1. „თუ არასრულწლოვანი ოჯახში შვილად იყო მიღებული“; 2. „თუ მშვილებელმა სიცოცხლეშივე შეიტანა განცხადება სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ“ ერთმანეთს უკავშირდება არა „და“ კავშირით, რაც აღნიშნული პირობების ერთდროულად არსებობაზე მიუთითებდა, არამედ – სიტყვით „აგრეთვე“, რომელიც განსაზღვრავს, რომ სასამართლოს წესით შვილად აყვანის ფაქტის დადასტურება შესაძლებელია ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც მშვილებელმა სიცოცხლეშივე შეიტანა განცხადება სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ.

32. ზემოაღნიშნულ დასკვნამდე მივიდა საკასაციო სასამართლო ასევე ნორმის ტელეოლოგიური განმარტების შედეგად.

33. ცალკეული ნორმის განმარტებისას გადამწყვეტია კანონის არსის გათვალისწინება და მისი მიზნის შესაბამისი განმარტება. ამასთან, მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ მიზანი, რომლის მიღწევასაც ესწრაფვის კანონმდებელი შესაბამისი ნორმით, არამედ ასევე ამ მიზნის სამართლიანობა და მიზანშეწონილობა. ეს განპირობებულია იმით, რომ თითოეული დებულება არ განიხილება არც შესაბამისი ინსტიტუტებისა თუ ცნებათა სისტემისგან იზოლირებულად, არც სამართლებრივი წესრიგისათვის დამახასიათებელი ფასეულობებისაგან დამოუკიდებლად. ის სამართლიანი და მიზანშეწონილობაზე დამყარებული სამართლებრივი წესრიგის ნაწილია (იხ. დავით კერესელიძე, „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები“, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009 წელი, გვ. 74).

34. აღნიშნული ნორმის მიზანს წარმოადგენს აღმზრდელის გარდაცვალების შემდეგ მის მიერ სიცოცხლეში გამოხატული ნების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა. სიცოცხლეში აღმზრდელის ნება კონკრეტული პირის შვილად აყვანის შესახებ იმით არის გამოხატული, რომ, ერთ შემთხვევაში, მან არასრულწლოვანი შვილად მიიღო ოჯახში, ხოლო, მეორე შემთხვევაში მშვილებელმა განცხადება შეიტანა სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ. აღმზრდელის ნების გამოხატვის ორივე ფორმის ერთდროულად არსებობა, როდესაც თითოეულ შემთხვევაში ცალ-ცალკე მკაფიოდ ჩანს მისი განზრახვა კონკრეტული პირის შვილებაზე, აღნიშნული ნორმით განსაზღვრული მიზნის მიღწევას – შვი-

ლად აყვანის ფაქტის დადასტურებას თითქმის შეუძლებელს ხდის და ზედმეტად ამძიმებს შვილად ასაყვანი პირის მტკიცების ტვირთს.

35. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ სსკ-ის 1240-ე მუხლის გამოყენებაზე უარი იმ დასაბუთებით, რომ მასში მითითებული ორი წინაპირობა ერთდროულად უნდა არსებობდეს, უსაფუძვლოა და ემყარება კანონის არასწორ განმარტებას.

36. სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“¹ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სახეზეა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი.

37. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სარჩელის წარდგენის დროისათვის აღმზრდელი გარდაცვლილია და მას მოსარჩელის შვილად აყვანის თაობაზე განცხადება წარდგენილი არ ჰქონია. შესაბამისად, სსკ-ის 1240-ე მუხლით განსაზღვრული მეორე შემთხვევა (თუ მშვილებელმა სიცოცხლეშივე შეიტანა განცხადება სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ) სახეზე არ არის. რაც შეეხება პირველ შემთხვევას (თუ არასრულწლოვანი ოჯახში შვილად იყო მიღებული), სააპელაციო პალატას აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება სათანადოდ არ გამოუკვლევია, რადგან სასამართლომ მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი იმ დასაბუთებით უარყო, რომ სახეზე უნდა ყოფილიყო სსკ-ის 1240-ე მუხლით განსაზღვრული ორივე წინაპირობა.

38. სსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება, ვიდრე სააპელაციო სასამართლო საქმეზე არ დაადგენს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას.

39. პირველ რიგში, სააპელაციო პალატამ საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად უნდა დაადგინოს, სახეზეა თუ არა სსკ-ის 1240-ე მუხლით გათვა-

ლისწინებული პირველი შემთხვევა ანუ იყო თუ არა არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) აღმზრდელის ოჯახში შვილად მიღებული. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მხოლოდ ის გარემოება, რომ არასრულწლოვანი ატარებს აღმზრდელის გვარს, არ არის საკმარისი და განმსაზღვრელი სადავო ფაქტობრივი გარემოების დასადგენად.

40. ამასთან, ვინაიდან მოსარჩელე არასრულწლოვანია, სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული სადავო ფაქტის დადგენის პროცესში უნდა შეამოწმოს, დაკმაყოფილებულია თუ არა საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა და „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდგომში – „სპეციალური კანონი“) გათვალისწინებული ის მინიმალური მოთხოვნები, რომლებიც სსკ-ის 1240-ე მუხლით განსაზღვრული საგამონაკლისო ნორმის შემთხვევაშიც კი დაცული უნდა იყოს.

41. საკასაციო სასამართლო, უპირველესად, მიუთითებს სსკ-ის 1239.1. მუხლზე, რომლის თანახმად, შვილება (შვილად აყვანა) დაიშვება მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესებისათვის, თუკი მოსალოდნელია, რომ მშვილბელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშვას ისეთივე ურთიერთობა, როგორიცაა მშობელსა და შვილებს შორის. სპეციალური კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ბავშვის შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის თაობაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ემსახუროდეს მისთვის ისეთი სტაბილური ოჯახური გარემოს შექმნას, რომელიც ეფუძნება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, აღემატება მინდობით აღზრდის მიზნით გადაცემისათვის სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებს და რომელშიც ბავშვს ექნება იმაზე უკეთესი პირობები და განვითარების შესაძლებლობები, რომლებიც შვილად აყვანამდე ან მინდობით აღზრდამდე ჰქონდა. ამდენად, შვილად აყვანის თაობაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, მათ შორის, საგამონაკლისო შემთხვევაშიც, როგორიცაა, აღმზრდელის გარდაცვალებისას შვილად აყვანის ფაქტის სასამართლოს წესით დადასტურება, დაიშვება მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვის კეთილდღეობისა და მისი საუკეთესო ინტერესებისათვის. ამასთან, სპეციალური კანონის 61-ე მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, შვილად აყვანისას გასაშვილებელი ბავშვის ინტერესებს სასამართლოში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილი პირი იცავს. მსგავს ნორმას შეიცავდა სარჩელის წარდგენის დროს მოქმედი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს 2009 წლის 18 დეკემბრის კანონიც [20.3. მუხლი: გასაშვილებელი ბავშვის ინტერესებს იცავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილი პირი], რომელიც ძალადაკარგულად იქნა ცნობილი ამჟამად მოქმედი, 2017 წლის 4 მაისის სპეციალური კა-

ნონის 80.1. მუხლით [ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს 2009 წლის 18 დეკემბრის კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №50, 31.12.2009, მუხ. 398)]. განსახილველ შემთხვევაში კი გასაშვილებელი ბავშვის ინტერესების დასაცავად საქმეში ჩართული არ ყოფილა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

42. ამასთან, სსკ-ის 1254-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ბავშვი შვილად აყვანას ექვემდებარება, თუ ყველა მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა თანხმობა განაცხადა მის გაშვილებაზე დადგენილი წესით. სსკ-ის 1251-ე მუხლის თანახმად, მშობლის მიერ ბავშვის გაშვილებაზე თანხმობის მიცემის წესი განისაზღვრება „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონით. სპეციალური კანონის 9.1. მუხლის თანახმად, შვილად აყვანას ექვემდებარება ბავშვი, რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი და რომელიც რეგისტრირებულია რეესტრში. ამავე მუხლის მეორე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი ენიჭება ბავშვს, რომლის ყველა კანონიერი წარმომადგენელი აცხადებს თანხმობას მის გაშვილებაზე მინისტრის მიერ დადგენილი წესით, ხოლო კანონის მე-12 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, დაუშვებელია ბავშვის მშობლის (მშობლების) ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხმობის გარეშე გაშვილება. მშობელმა (მშობლებმა) ან სხვა კანონიერმა წარმომადგენელმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბავშვის გაშვილებაზე თანხმობა უნდა დაადასტუროს (დაადასტურონ) სპეციალური ფორმით, რომელსაც ამტკიცებს სააგენტოს დირექტორი. მსგავს ნორმას შეიცავდა სარჩელის წარდგენის დროს მოქმედი სპეციალური კანონიც, რომლის 6.1. მუხლის თანახმად, შვილად აყვანას ექვემდებარება რეესტრში აღრიცხული 18 წლამდე პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი. ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი ენიჭება პირს, რომლის ყველა კანონიერმა წარმომადგენელმა თანხმობა განაცხადა მის გაშვილებაზე მინისტრის მიერ დადგენილი წესით. შესაბამისად, გამოსაკვლევი, არსებობს თუ არა მოსარჩელის კანონიერი წარმომადგენლების – მშობლების სპეციალური ფორმით გაცემული თანხმობა ბავშვის გაშვილებაზე. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მშობლების თანხმობის შემთხვევაში, ბავშვის ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად საქმეში ასევე უნდა ჩაერთოს დამოუკიდებელი საპროცესო წარმომადგენელი. შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ არასრულწლოვან მოსარჩელეს იურიდიული დახმარების გასანევად დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე [„იურიდი-

ული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4¹ მუხლის პირველი პუნქტი: არასრულწლოვანი სარგებლობს უფასო იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების უფლებით, თუ საქმეში არ მონაწილეობს მის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით)].

43. გამომდინარე აქედან, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სარჩელის დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილების საკითხი უნდა გადაწყდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული საკითხების გამოკვლევისა და შესწავლის, ასევე საქმეში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსა და საპროცესო წარმომადგენლის ჩართვის შემდეგ.

100. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც გაწეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით [სსსკ-ის 53.4 მუხლი]. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

9. შ. კ-ას (კანონიერი წარმომადგენელი დ. ლ-ვა) საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

10. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 25 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

11. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge